

## **მდგრადი განვითარების მიზნები - თეორიიდან პრაქტიკამდე**

სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის

ავტორი და შემდგენელი: მანანა რატიანი

სახელმძღვანელოში განხილულია მდგრადი განვითარების მიზნები, ძირითადი ცნებები და ფაქტები, თითოეული მიზნის აქტუალობა, მიზეზები და გამოვლინებები, ასევე მათი მოგვარებისკენ მიმართული საერთაშორისო, ეროვნული ძალისხმევა, დააფიქრებს მკითხველს პიროვნულ დონეზე პრობლემების მოგვარებისკენ.

სახელმძღვანელო განკუთვნილია როგორც უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის (ძირითადად ბიზნესის, განათლების, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებები), ისე მდგრადი განვითარების საკითხებით დაინტერესებული ყველა პირისთვის.

აკადემიური რედაქტორი: სოფიო ლობჯანიძე

რედაქტორი: ნათია ორმოცაძე

2022 წელი

# მდგრადი განვითარების მიზნები - თეორიიდან პრაქტიკამდე

## შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზნები - თეორიიდან პრაქტიკამდე	2
წინასიტყვაობა	5
მდგრადი განვითარების მიზნები - გლობალური დღის წესრიგი	7
რა არის - „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“.	9
მიზანი 1. ყველა სახის სიღარიბის საყოველთაო აღმოფხვრა	14
ფაქტები და მონაცემები:	14
ტერმინები - სიღარიბის სახესხვაობები	15
სიღარიბის მიზეზები	15
რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?	15
სიღარიბის შედეგები და დაძლევის გზები	16
ბავშვთა შრომა	17
დილემა - ბავშვთა შრომა	20
მდგრადი განვითარების მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	21
ფაქტები და მონაცემები:	22
შიმშილობასთან დაკავშირებული ტერმინები	22
შიმშილობის მიზეზები:	23
რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?	24
შიმშილობის შედეგები და დაძლევის გზები	25
ქეისი - კამპანია ოთხი მავნებლის წინააღმდეგ	26
მდგრადი განვითარების მიზანი 3: ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველასთვის ყველა ასაკში	28
ფაქტები და მონაცემები:	29
ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებული ტერმინები	30
რატომ არის მნიშვნელოვანი ამ მიზნის მიღწევა	30
ჯანმრთელობის პრობლემების დაძლევის გზები	32
დილემა - გენმოდირიცირებული ორგანიზმები - ჯანმრთელობის საფრთხე თუ შიმშილობის დაძლევა	33
მდგრადი განვითარების მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის ხელშეწყობა ყველასათვის	36

ფაქტები და მონაცემები	37
ძირითადი ტერმინების განმარტებები:	37
განათლებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის მიზეზები და სისტემის გამოწვევები	38
განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზები	40
ქეისი - განათლების სისტემის ციფრული გაყოფა - განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემები თუ შესაძლებლობები	42
მდგრადი განვითარების მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას გაძლიერება	45
ფაქტები და მონაცემები:	45
ტერმინები	46
გენდერული უთანასწორობის მიზეზები	46
როგორ იზომება გენდერული თანასწორობა	48
გამოწვევები და დაძლევის გზები	50
დილემა - ვის ეკუთვნის მემკვიდრეობა	51
მდგრადი განვითარების მიზანი 6: წყლის რესურსების მდგრადი მართვისა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის საყოველთაო უზრუნველყოფა	54
ფაქტები და მონაცემები:	55
ტერმინები	56
წყალმომარაგებისა და სანიტარიის დეფიციტის მიზეზები	56
პრობლემები უსაფრთხო წყალზე წვდომისა და სათანადო სანიტარული პირობების არქონის კუთხით; მათი დაძლევის გზები	58
ქეისი - არალის ზღვის პრობლემები	60
მდგრადი განვითარების მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, მდგრადი და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	62
ენერჯიაზე ხელმისაწვდომობის გამოწვევები და გადაჭრის გზები	66
ჰესი - სუფთა ენერჯის წყარო თუ საფრთხე	68
მდგრადი განვითარების მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის	71
ფაქტები და მონაცემები:	71
ტერმინები	72
გამოწვევები და გადაჭრის გზები	73
ქეისი - რა უზრუნველყოფს ღირსეულ სამუშაოს ყველასათვის?	76
მდგრადი განვითარების მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა	80

ფაქტები და მონაცემები:	81
ტერმინები	82
რატომ არის მნიშვნელოვანი მიზნის „მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა“ აღსრულება?	82
პრობლემის მოგვარების გზები	84
ქეისი - უქმნის თუ არა საფრთხეს ინოვაციები ტრადიციულ სამუშაო ადგილებს	84
მდგრადი განვითარების მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის	88
ფაქტები და მონაცემები:	89
ტერმინები	90
რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ შესრულდეს მიზანი - „უთანასწორობის შემცირება“?	91
ქეისი - დამაბინძურებელი ინდუსტრიების გადატანა განვითარებად ქვეყნებში	94
მდგრადი განვითარების მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო, მოქნილი და მდგრადი განვითარება	97
ფაქტები და მონაცემები:	98
ტერმინები	99
ქალაქების წინაშე მდგომი ყველაზე მწვავე გამოწვევები და მათი მოგვარების გზები	99
ქვეყნის შიდა უთანასწორობები	101
ქეისი - ეკომეგობრული და მდგრადი ქალაქი	102
მდგრადი განვითარების მიზანი 12: მდგრადი მოხმარებისა და წარმოების უზრუნველყოფა	105
ფაქტები და მონაცემები:	106
ტერმინები	108
გამოწვევები და პრობლემების მოგვარების გზები	108
მაღალთესიანელების და ანტიმაღალთესიანელების ხედვები	112
მდგრადი განვითარების მიზანი 13: გადაუდებელი ზომების გატარება კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ	114
ფაქტები და მონაცემები:	115
ტერმინები	116
კლიმატის ცვლილების მიზეზები	117
კლიმატის ცვლილების გამოვლინებები	118
ქეისი - კლიმატის ცვლილება - მითი თუ რეალობა	122
მდგრადი განვითარების მიზანი 14: ოკეანეების, ზღვებისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება მდგრადი განვითარებისათვის	124
ფაქტები და მონაცემები:	124

ტერმინები	126
ოკეანესთან დაკავშირებული პრობლემები და მათი მასშტაბები	126
ოკეანეების დაცვის მექანიზმი - დაცული საზღვაო ტერიტორიები	128
ნარჩენები ოკეანეში - მზარდი პრობლემა	129
მდგრადი განვითარების მიზანი 15: ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება	131
ფაქტები და მონაცემები:	132
ტერმინები	134
სიცოცხლე ხმელეთზე და მასთან დაკავშირებული საფრთხეები	135
პრობლემის მოგვარების გზები	137
ქეისი - კუზნეცის მოდიფიცირებული მრუდი	138
მდგრადი განვითარების მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის; მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასათვის; ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე	141
ფაქტები და მონაცემები:	142
ტერმინები	142
მშვიდობიანი საზოგადოების ხელის შემშლელი პირობები	143
პრობლემების მოგვარების გზები	146
ქეისი - სახელმწიფო საზღვრები თანამედროვე მსოფლიოში	147
მდგრადი განვითარების მიზანი 17: განხორციელების საშუალებების და გლობალური პარტნიორობის გაძლიერება მდგრადი განვითარებისთვის	151
ფაქტები და მონაცემები:	152
ტერმინები	152
თანამშრომლობის ხელის შემშლელი ბარიერები და პრობლემის მოგვარების გზები	154
რა უნდა გაკეთდეს თანამშრომლობის წასახალისებლად	155
ქეისი - თვითმარგინალიზებული ქვეყანა - ჩრდილო კორეა	156
ბიბლიოგრაფია და სასარგებლო ბმულები:	160

## წინასიტყვაობა

„ჩვენ არ გვერგო დედამიწა წინაპრებისგან, არამედ ვისესხეთ ის ჩვენი შვილებისგან“.

ანტუან დე სენტ ეგზიუპერი

2015 წლის სექტემბერში მსოფლიოს დღის წესრიგად 2030 წლამდე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა განისაზღვრა. მის შესრულებაზე ყველა პასუხისმგებლობა სახელმწიფომ აიღო და დოკუმენტის ნაციონალიზება მოახდინა.

მიზნების მიღწევაში განათლებას თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება. ახალგაზრდების ღირებულებითი ტრანსფორმაციის ყველაზე ნაყოფიერი გზა მათივე ცნობიერების ამაღლებაა. ამ საგნის სწავლება ახალგაზრდებს დაეხმარება, თავიანთი მომავალი პროფესიული მოღვაწეობისას გაითვალისწინონ მდგრადი განვითარების მიზნები, რათა უარი თქვან ისეთ ეკონომიკურ ზრდაზე, რომლის მიზანიც მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური კეთილდღეობაა, რაც ჭარბ მიწოდებასა და მოხმარებას გულისხმობს და საერთოდ არ ითვალისწინებს ბუნებრივი გარემოს დეგრადაციასა და ეკოსისტემების ლიმიტს. განვითარება და მომავალი უნდა იყოს სიცოცხლისუნარიანი, თანასწორი, სამართლიანი, მდგრადი, სადაც თითოეული ინდივიდი, მთლიანად საზოგადოება, ბიზნესი და სახელმწიფო სოციალურ და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას აიღებს.

სწავლება განათლების ყველა საფეხურზე აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს მდგრადი განვითარების პრინციპებს. ახალგაზრდები უნდა იღებდნენ ცოდნას, რომელიც მომავალ განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. მათ საშუალება უნდა ეძლეოდეთ, მონაწილეობა მიიღონ არსებული სისტემების გადაფასებაში.

ჩვენთან არ არის საკმარისი საგანმანათლებლო რესურსი, რომ ხელი შევუწყოთ მდგრადი განვითარების მიზნების სასწავლო პროცესში შეტანას. აღნიშნული რესურსი ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად წარმართვას. ის გახდება საშუალება მომავლისთვის აუცილებელი კომპეტენციებისა და ღირებულებების გამოსამუშავებლად.

პუბლიკაცია განკუთვნილია სტუდენტებისთვის, რომლებიც რამდენიმე წელიწადში სამუშაო ბაზარს შეუერთდებიან და საქმიანობაში მდგრადი განვითარების პრინციპებით იხელმძღვანელებენ. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბიზნესისა და განათლების სკოლის სტუდენტებისთვის, რომლებიც სასწავლო დაწესებულებებში ამ ცოდნის დანერგვაში მიიღებენ მონაწილეობას, რაც გაზრდის მოსწავლეების ცნობიერებას გლობალური პრობლემების მიმართ, ხოლო ბიზნესს გარემოსადმი მეგობრულს გახდის. მისი გამოყენება შესაძლებელი გახდება პროფესიულ სასწავლებლებშიც. (მაგ., ტურიზმის მიმართულებისთვის გამოკვეთილია 8, 12, 14, 15 მიზნები <https://www.e-unwto.org/doi/pdf/10.18111/9789284417254>). სტუდენტებისთვის საინტერესოა განათლების მიღება ქეისებით, დილემებით, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებით, რადგან ისინი შეიცავენ რეალურ ცხოვრებისეულ მაგალითებს და მათზე მსჯელობა მათ კრიტიკული ანალიზისა და თვითწარდგენის უნარებს გამოუმუშავებს.

შესავალი ნაწილი მიეძღვნება ისტორიულ წანამძღვრებსა და საერთაშორისო პროცესებს, რომლებიც წარმატებული ინსტრუმენტი უნდა გახდეს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. მეორე ნაწილში გაიშლება მდგრადი განვითარების 17 თემა. თითო ნაწილი მოიცავს თითო მიზანს. აქვე მოცემულია საკითხთან დაკავშირებული ტერმინები, ფაქტები და მიზნის

გასააზრებლად საჭირო ინფორმაცია; თემის ბოლოს კი - მიზანთან დაკავშირებული ქეისი ან დილემა, მისი ანალიზისთვის საჭირო მეთოდოლოგიური მიდგომები - როგორ უნდა მოხდეს სასწავლო პროცესში მათი გამოყენება.

მსოფლიოში უზღვავი ისეთი მაგალითი დაგროვდა, რომლებიც გვიჩვენებს, რა მოიტანა ბუნებაში გაუაზრებელმა ჩარევამ, რა გამოუსწორებელი ზიანი მიადგა გარემოს, როგორ გადაიჭრა პრობლემური საკითხები სწორი და ინოვაციური მიდგომით. წიგნში მოცემული რეკომენდაციების დაცვა სტუდენტებს განუვითარებს მსჯელობის, არგუმენტირების, ინფორმაციის დამუშავების უნარებს და დააფიქრებს პრობლემის გადაჭრის გზებზე. ისინი შეიძენენ ცოდნას მდგრადი განვითარების სამივე მიმართულებით - სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი, ასევე ისწავლიან საკითხების სისტემურად განხილვას.

გვჯერა, რომ პუბლიკაცია მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მდგრადი განვითარების მიზნების გააზრებასა და დანერგვაში.

## მდგრადი განვითარების მიზნები - გლობალური დღის წესრიგი

ბუნება-ადამიანი-საზოგადოების ურთიერთობის, როგორც გლობალური მასშტაბის ეკოლოგიური პრობლემების შესახებ XIX საუკუნეში მხოლოდ სამეცნიერო წრეებში საუბრობდნენ. იქაც კი მათ იღებენ ცოტა გამზიარებელი ჰყავდა. თუმცა სამრეწველო რევოლუცია, რესურსების არარაციონალური, მტაცებლური მოხმარება სულ უფრო ფართოდ იკიდებდა ფეხს და ცვლიდა ბუნებრივ გარემოს. თავიდან ეს ნაკლებად შესამჩნევი იყო, რადგან რესურსების ფართომასშტაბიანი მოპოვება ძირითადად კოლონიებში ხდებოდა. კოლონიების ბუნების მოფრთხილება კი კოლონიზატორი ქვეყნებისთვის პრიორიტეტი არასოდეს ყოფილა. პროგრესის მიღწევად სახეცვლილი ლანდშაფტები ბუნებას ა და მის ძალებზე გამარჯვებად აღიქმებოდა.


გლობალური პრობლემების ფართოდ განხილვა მხოლოდ 1970-იან წლებში დაიწყო. შეუქცევადი ცვლილებები იქცა იმის მიზეზად, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზოგადოების თვალსაწიერში უკვე არაერთი კონკრეტული ეკოლოგიური პრობლემა მოქცეულიყო. გლობალური პრობლემების სამეცნიერო განხილვა „რომის კლუბიდან“ დაიწყო - ორგანიზაციიდან, რომელიც მსოფლიო მეცნიერებს აერთიანებს და რომ ლს კვლევებიც უდავოდ იმსახურებს საზოგადოების ყურადღებას. „რომის კლუბის“ წევრები კრიზისიდან გამოსვლის გზებსაც ეძებდნენ. მათი მთავარი იდეა იყო მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილება გარემოზე ნაკლები ზემოქმედებით. მათ ძირითად პრინციპს - „იფიქრე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად“ - დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

„რომის კლუბის“ ნაშრომებიდან გამოირჩევა პოლ ერლიჩის „მოსახლეობის ბომბი“, რომელმაც პრობლემების საფუძვლად ჭარბი მოსახლეობა დაასახელა. მოსახლეობის ზრდა მრავალი რესურსული თუ ეკონომიკური პრობლემის სათავედ იქნა მიჩნეული. მოსახლეობის ზრდის გარდა, გარემოს დაბინძურებისა და დეგრადირების მთავარ მიზეზად სიდარიბესა და საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებებსაც მიიჩნევდნენ.

1972 წელს ტერმინი „მდგრადი განვითარება“ დენის და დონელი მედოუზების ნაშრომში, „ზრდის საზღვრებშიც“ გამოჩნდა. ტერმინის დამკვიდრება კი ბრუტლანდის კომისიის 1987 წლის მოხსენების – „ჩვენი საერთო მომავალი“ – გამოქვეყნებას მოჰყვა. თუმცა მდგრადი განვითარების კონცეფციის ჩამოყალიბებას ხელი მრავალმა ეკოლოგიურმა, ეკონომიკურმა, სოციალურ-პოლიტიკურმა იდეამ შეუწყო, რამაც ამ ტერმინის სხვადასხვა გაგებამდე მიგვიყვანა. ფართო გაგებით, მდგრადი განვითარება არის ყველა იმ საქმიანობის ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია გარემოს გაჯანსაღებისკენ, ეფექტიანობის ზრდისაკენ, დანახარჯების ეკონომიისა და შედეგების გაუმჯობესებისკენ (ნიკოლაიშვილი დ., 2014).

ბრუნდტლანდის კომისიის მოხსენება მიზნად ისახავდა მსოფლიო წყობის ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც თანამედროვეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მომავალ თაობებს რისკს არ შეუქმნიდა.

ნახ.2 ძირითადი საერთაშორისო მოვლენების დროის ხაზი (UNESCO, 2014)



რა არის - „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“.

„განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ - არის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს,

განათლებაში მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვით მდგრადობის იდეა აქციოს რეალობად; აღჭურვოს ადამიანები საჭირო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რაც შესაძლებელს გახდის მათ პროდუქტიულ ცხოვრებას ბუნებასთან ჰარმონიაში. ის ავითარებს და აძლიერებს ინდივიდებს, ორგანიზაციებსა და ქვეყნებს, რათა მოახდინონ მოვლენებისა და პროცესების შეფასება და გააკეთონ სწორი არჩევანი, რომელიც ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას. „მას შეუძლია, შეცვალოს ადამიანების აზროვნება და ჩვენი სამყარო აქციოს უსაფრთხო, ჯანმრთელ და უზრუნველყოფილ ადგილად, რაც, თავის მხრივ, გააუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს“ (სტრატეგია - „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“).

თუ ამ პუბლიკაციას კითხულობთ, თქვენ უთუოდ გექნებათ ნაფიქრი, როგორი გინდათ იყოს მომავალი, რა ცოდნითა და უნარებით უნდა აღიჭურვონ ახალგაზრდები გლობალური გამოწვევების ფონზე, რომ ათწლეულების შემდეგაც, როდესაც ისინი შრომის ბაზარს შეუერთდებიან, მათი კომპეტენციები შეესაბამებოდეს დროის მოთხოვნებს. რა კომპეტენციებს უნდა ფლობდეს ის, ვინც ასწავლის, რომ ასეთი თაობები აღზარდოს?

განმანათლებლები (განათლების სხვადასხვა საფეხურზე, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებაში მომუშავე მასწავლებელი, ლექტორი, აღმზრდელი თუ სხვა) ცვლილებების მძლავრი აგენტები არიან. განათლების ეფექტიანი ტრანსფორმაცია, უპირველესად, დამოკიდებულია მათ მოტივაციაზე, შესაძლებლობასა და მონდომებაზე (რატიანი, 2012).

მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ თითოეულ ადამიანს შესწევს ძალა და პასუხისმგებლობა გლობალური მასშტაბის პოზიტიური ცვლილებებისა და იდეების განსახორციელებლად. თითოეული ჩვენგანის დღევანდელ ქმედებაზე დამოკიდებული, როგორი იქნება მომავალი. უკეთესი მომავლის იმედს კი სწორედ ღირებულებებზე დაფუძნებული განათლება იძლევა. სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაცია და მათი სწავლების მეთოდები საშუალებას მოგვცემს, სტუდენტებს განვუვითაროთ ჰოლისტიური მიდგომა (რომელიც აერთიანებს კომპეტენციებს, რომლებიც ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ აზროვნებას მოითხოვს) და ცვლილებების ხელვა (რომლის ფარგლებშიც კომპეტენციები მოითხოვს ალტერნატიული სცენარების განხილვას - წარსულის კრიტიკულ ანალიზს, მისი განვითარებისა და მიღწევების სწორად შეფასებასა და უკეთესი მომავლის დაგეგმვას).

ადამიანის დღევანდელმა არჩევანმა შესაძლოა, გავლენა მოახდინოს სამყაროს მომავალზე. ჩვენ წინაშე კომპლექსური ხასიათის გამოწვევებია და მათი მოგვარება მოითხოვს მრავალ დისციპლინაში არსებული ცოდნის გამოყენებას. ეს ცოდნა მოიცავს ბუნებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ, საკანონმდებლო თუ სხვა სფეროებს. საკითხები, რომლებიც მდგრად განვითარებას ეხება, ხშირად წინააღმდეგობრივი და რთულია. განსხვავებულ პერსპექტივებს შეუძლია, ერთი მხრივ, გაართულოს გადაწყვეტილების მიღება, მეორე მხრივ კი, უკეთესი შედეგი დგება, როდესაც ვწონით ყველა მოსაზრებას, გამოვთქვამთ არგუმენტებს და გადაწყვეტილებას მათ საფუძველზე ვიღებთ.

უპირობო საგანმანათლებლო სისტემის ტრანსფორმაცია, ვინაიდან არსებული ვერ უზრუნველყოფს განვითარების მდგრად მოდელს, სადაც პიროვნება პასუხისმგებლობას აიღებს საკუთარ ცხოვრებაზე, არჩევანზე, რომელსაც ყოველდღიურად აკეთებს. პრაქტიკული მოქმედებების ტრანსფორმაციას საკვანძო მნიშვნელობა აქვს. განათლების სისტემის სხვადასხვა საფეხურის თანამშრომლებმა უნდა გაიაზრონ სისტემის, პრაქტიკული მოქმედების, აზროვნების ცვლილების აუცილებლობა. პედაგოგიკის ტრანსფორმაცია გულისხმობს გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ქმნის ახალ შესაძლებლობებს კრეატიულობის, ინოვაციურობის თვალსაზრისით, სახავს ცხოვრების ალტერნატიულ გზებს. მსგავსი პრაქტიკა წაახალისებს სტუდენტს, თავისი ყოველდღიური ქმედება წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს მდგრადი განვითარების მიზნებთან.

სასწავლო პროცესში სხვადასხვა თემის ფარგლებში შესაძლებელია მდგრადი განვითარების პრინციპების შეტანა, მაგალითად: მშვიდობის სწავლება, ეთიკა და ფილოსოფია, მოქალაქეობა, დემოკრატია და მმართველობა, ადამიანის უფლებები, სიღარიბის დაძლევა, კულტურული მრავალფეროვნება, ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება, გარემოს დაცვა, ეკოლოგია, ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტი, კლიმატის გლობალური ცვლილება, ადამიანის ჯანმრთელობა, გარემოს (საკვების, წყლის, ატმოსფეროს ჰაერის, ნიადაგის) მდგომარეობა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, ადგილობრივი ცოდნა, წარმოება და მოხმარება, სასოფლო-საქალაქო განვითარება, ეკოტექნოლოგიები, მდგრადი შეფასება (მაგ., გარემოს ზემოქმედების შეფასება - გზმ). მათ შორის კავშირების დამყარება შესაძლებელია საერთო პროექტების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციების ჩამოყალიბებას.

მდგრადი განვითარების მიზნების შემუშავების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გაეროს წევრი ქვეყნების მიერ, გაეროს კონფერენციაზე მდგრადი განვითარების შესახებ (რიო + 20), რომელიც 2012 წელს რიო დე ჟანეიროში ჩატარდა.

შეთანხმება სამწლიანი გამჭვირვალე პროცესის შედეგია. მიზნებს მხარი დაუჭირეს მსოფლიოს სამოქალაქო საზოგადოებამ, ბიზნესმა, პარლამენტარებმა და სხვა ადამიანებმა და ათასწლეულის განვითარების მიზნები ჩაანაცვლეს (2001-2015). 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროში 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანსა და 169 ამოცანას. თუ ათასწლეულის განვითარების მიზნებს ძირითადად სოციალური ხასიათი ჰქონდა და განკუთვნილი იყო განვითარებადი ქვეყნებისთვის, განვითარებული ქვეყნები კი მხოლოდ პროცესების დონორებად მოიაზრებოდნენ, 17 მიზანი და, შესაბამისად, ყველა ქვეყნის დღის წესრიგი ყველა ქვეყანას რაღაც ვალდებულებას აკისრებს.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება და წარმატება 2030 წლისთვის დამოკიდებულია ქვეყნების მდგრადი განვითარების პოლიტიკაზე, გეგმებსა და პროგრამებზე, რომლებსაც თავად ქვეყნები განახორციელებენ. დღის წესრიგი შედგება 17 გლობალური მიზნისგან:

- მიზანი 1. ყველა სახის სიღარიბის საყოველთაო აღმოფხვრა;
- მიზანი 2. შიმშილის აღმოფხვრა, სურსათის უვნებლობის, გაუმჯობესებული კვებისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის მიღწევა;
- მიზანი 3. ჯანმრთელი ცხოვრებისა და კეთილდღეობის მიღწევა ყველა ასაკის ადამიანისათვის;
- მიზანი 4. ინკლუზიური და თანასწორი განათლება. საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველყოფა მთელი ცხოვრების განმავლობაში;
- მიზანი 5. გენდერული თანასწორობა. ქალთა და გოგონათა უფლებამოსილების გაზრდა;
- მიზანი 6. წყლისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა და მდგრადი მართვა;
- მიზანი 7. ხელმისაწვდომი, სანდო, მდგრადი და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა;
- მიზანი 8. ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის, სრული და პროდუქტიული დასაქმებისა და ღირსეული სამუშაოს ხელშეწყობა;
- მიზანი 9. მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაცია, ინოვაციების ხელშეწყობა;
- მიზანი 10. ქვეყნებში და ქვეყნებს შორის უთანასწორობის შემცირება;
- მიზანი 11. ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება;
- მიზანი 12. მდგრადი მოხმარება და წარმოება;
- მიზანი 13. დაუყოვნებელი მოქმედება კლიმატის ცვლილებისა და მისი შედეგების დაძლევის მიზნით;
- მიზანი 14. ოკეანეთა, ზღვებისა და საზღვაო რესურსების კონსერვაცია და მდგრადი განვითარება;
- მიზანი 15. სახმელეთო ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება. ტყეების მდგრადი გამოყენება. გაუდაბნობის, ნიადაგის დეგრადირებისა და ბიომრავალფეროვნების განადგურების დაძლევა;
- მიზანი 16. მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ხელშეწყობა მდგრადი განვითარების, ხელმისაწვდომი მართლმსაჯულებისა და ყველა დონეზე არსებული ინკლუზიური ინსტიტუტების განვითარების მიზნით;
- მიზანი 17. განხორციელების მექანიზმების დახვეწა და გლობალური პარტნიორობის გამოცოცხლება მდგრადი განვითარებისათვის.

სწავლებაში მდგრადობის ერთიანი, სისტემური მიდგომის დანერგვა საშუალებას აძლევს სტუდენტს, იპოვოს კავშირები არა მხოლოდ დისციპლინის შიდა მიმართულებებს შორის, არამედ სხვადასხვა დისციპლინას შორისაც. ასეთ შემთხვევაში უკეთესად ხდება ახალ

კონტექსტში, რეალურ სიტუაციებში ახალი ცოდნისა და უნარების გადატანა. მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინებით, ერთიანი ინსტიტუციური მიდგომით ხდება სასწავლო თემებისა და კონცეფციების შეკავშირება რეალურ ცხოვრებასთან, ჩვენ გარშემო მიმდინარე პროცესებთან თუ მოვლენებთან.

დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლების სტილს, დავალებებს. სწავლების მეთოდებიდან შედეგიანია კვლევებზე, ადგილზე, პრობლემაზე, პროექტზე, თემზე დაფუძნებული სწავლება. ამავდროულად, წახალისებული უნდა იქნას დისკუსიები და განხილვები, იმისთვის, რომ ინფორმაციის ანალიზთან ერთად მოხდეს მოსწავლეების ღირებულებების ტრანსფორმაცია და მორალური განვითარება. სტუდენტები მზად უნდა იყვნენ სხვადასხვა სააზროვნო დავალების დასაძლევად. ასე მათ გაუადვილებათ პრობლემურ სიტუაციაში გამოსავლის პოვნა, პრობლემების გადაჭრა. შესაძლებელია სააზროვნო სტრატეგიების სწავლებაც. მის შესახებ არაერთი ნაშრომი დაწერილა. მოსწავლეს უნდა შეეძლოს პრობლემის სწორად იდენტიფიცირება, უნდა იცოდეს, როდის სცადოს დამატებითი რესურსების მოძიება-აქტივაცია და როგორ იმოქმედოს პრობლემის გადასაჭრელად.

2013 წელს ანდერსონის (Anderson, 2013) მიერ ჩატარებული კვლევის რეკომენდაციები გვეუბნება, რომ:

- ✓ აქტიური სწავლება ლოკალური პრობლემებიდან უნდა ამოდიოდეს და მათი გადაჭრისკენ უნდა იყოს მიმართული;
- ✓ მეცნიერული კონცეპტების სწავლებისა და მოსწავლეების ინფორმირების კვალდაკვალ მნიშვნელოვანია პრობლემის გადაჭრის უნარის, კრიტიკული აზროვნების განვითარება, რასაც ინდივიდის ქცევის პოზიტიური ცვლილება უნდა მოჰყვეს;
- ✓ პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებულმა განათლებამ სტუდენტის ქცევა უნდა გახადოს მდგრადი. მაგალითად, მან უნდა შეამციროს საკუთარი ეკოლოგიური ნაკვალევი. კლიმატის ცვლილების მიმართ ცნობიერების ამაღლებამ უნდა გამოიღოს შედეგი – თითოეულმა ინდივიდმა უნდა გააცნობიეროს გარემოსადმი საკუთარი პასუხისმგებლობა;
- ✓ სწავლების ქვაკუთხედია - ნარატივი, ვიზუალიზებული მასალა, მაგალითები და ისტორიები სხვადასხვა დესტრუქციული ქმედების უარყოფით გამოვლინებებზე და მათი პრევენციის წარმატებულ მაგალითებზე;
- ✓ ტრანსდისციპლინარული მიდგომები კვლავაც კურიკულუმის მთავარ გამოწვევად რჩება. ასევე პრობლემაა დაწერილი კურიკულუმი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ძირითად თემებსა და საჭირო კომპეტენციებს მოიცავს - თუმცა, რთული სათქმელია - რამდენად აღწევს ის აუდიტორიებამდე; რამდენად ხდება მისი დანერგვა. ამისთვის საჭიროა, სასწავლო გეგმა მეტ თავისუფლებას აძლევდეს მასწავლებლებს, რომლებსაც ხარისხიანი გადამზადების შედეგად თავდაჯერებულობა და კომპეტენტურობა შეემატებათ;
- ✓ მდგრადობასთან დაკავშირებული ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების სწავლება უნდა მოიცავდეს რეალურ ცხოვრებისეულ საკითხებს, რათა გაიზარდოს სტუდენტთა მოტივაცია და საკითხების აღქმის ხარისხი.

# მიზანი 1. ყველა სახის სიღარიბის საყოველთაო აღმოფხვრა



სიღარიბე წარმოადგენს მდგომარეობას, როდესაც პიროვნება განიცდის ფინანსური რესურსების ნაკლებობას, შეიქმნას ცხოვრებისთვის აუცილებელი პირობები. სიღარიბე შესაძლოა, ასევე მოიცავდეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგენელებსაც. არსებობს მისი რამდენიმე განსაზღვრება: გაეროს იგი აღწერილი აქვს, როგორც ქმედითუნარობა არჩევანისა და შესაძლებლობების ძიების პროცესში, რაც აისახება სოციალურ საზოგადოების ნაკლებ ჩართულობაზე. უფრო ფართო გაგებით, სიღარიბე მოიცავს საკვებისა და ტანსაცმლის არქონას, განათლებისა და ჯანდაცვის მომსახურების შესაძლებლობის შეზღუდულობას, მეურნეობისთვის განკუთვნილი მიწის სიმცირეს, ან სამსახურში დაბალ ანაზღაურებას. სიღარიბისთვის დამახასიათებელია საზოგადოების დიფერენციაცია, დაუცველობა, უძლურება და სხვა.

სიღარიბე მსოფლიო პრობლემაა და მისი მასშტაბები გამუდმებით იზრდება. დღეს ეს პრობლემა მილიონობით ადამიანს ეხება. ყველა ქვეყანაში არსებობს მინიმალური სტანდარტი, რომლის ქვემოთაც ხალხი „ღარიბთა“ კატეგორიაში ხვდება. როდესაც ადამიანის ან ოჯახის შემოსავალი ნორმალური ცხოვრებისთვის დადგენილი აუცილებელი მინიმუმის ქვემოთაა, ასეთი პიროვნება ან ოჯახი ღარიბად მიიჩნევა.

## ფაქტები და მონაცემები:

- 2015 წელს მსოფლიოს მოსახლეობის 10%-ს, ანუ 734 მილიონ ადამიანს დღეში 1.90 დოლარზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა.
- მოსალოდნელია, რომ სამხრეთ აზიასა და სუბ-საჰარის აფრიკაში ყველაზე მეტად გაიზარდოს უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებთა რიცხვი. მან შესაძლოა 32 მილიონს მიაღწიოს.
- უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მსოფლიოს მშრომელთა წილი გასული ათწლეულის განმავლობაში განახევრდა - 2010 წელს თუ ეს მაჩვენებელი 14.3% იყო, 2019 წელს 7.1% შეადგინა.
- საბაზისო პროგნოზების მიხედვით, ჯერ კიდევ COVID-19-მდე ნავარაუდები იყო, რომ 2030 წლისთვის გლობალური მოსახლეობის 6% კვლავ უკიდურეს სიღარიბეში დარჩებოდა. პანდემიის გამო უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებთა რაოდენობას 70 მილიონზე მეტი ადამიანი დაემატება.
- ხუთი ბავშვიდან ერთი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. ადრეულ ასაკში სიღარიბის გამოცდილება უარყოფით გავლენას იქონიებს მათ ცხოვრებაზე.
- 2016 წელს მსოფლიოს მოსახლეობის 55% - დაახლოებით 4 მილიარდი ადამიანი - არ სარგებლობდა სოციალური დაცვის რაიმე საშუალებით.
- მსოფლიოს მასშტაბით სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სიღარიბის დონე 17.2%-ია, რაც სამჯერ აღემატება ქალაქის მცხოვრებთა ამავე მონაცემს.

## ტერმინები - სიღარიბის სახესხვაობები

- **აბსოლუტური (უკიდურესი) სიღარიბე** – ეს არის მდგომარეობა, როდესაც პიროვნება განიცდის სიცოცხლისთვის ისეთი აუცილებელი საჭიროებების ნაკლებობას, როგორებიცაა: საკვები, სასმელი წყალი, საცხოვრისი, ჯანდაცვა და სხვა. მისთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ შემოსავლის, არამედ ხელმისაწვდომობის ნაკლებობაც.
- **შედარებითი (ფარდობითი) სიღარიბე** – სიღარიბის დონის განსაზღვრის ყველაზე მარტივი გზაა. იგი აღწერს სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოების განსხვავებულ ჯგუფს, რის შედეგადაც გამოიკვეთება ადამიანების ჯგუფი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ნორმალური ცხოვრების სტანდარტულ პირობებს.
- **მეორადი სიღარიბე** – დამახასიათებელია საზოგადოების იმ ჯგუფისთვის, რომელსაც საკმარისი შემოსავალი აქვს პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, თუმცა ამ სახსრებს მთლიანად ხარჯავს ალკოჰოლზე, ნარკოტიკზე, აზარტულ თამაშებზე და სხვა.
- **ციკლური სიღარიბე** – დაკავშირებულია იმ სახის სიღარიბესთან, რომელმაც შესაძლოა, მოიცვას გარკვეული ჯგუფები, მაგრამ იგი აუცილებლად დროშია შეზღუდული. მაგალითს წარმოადგენს „დიდი დეპრესია“.
- **ერთობლივი (კოლექტიური) სიღარიბე** - ციკლური სიღარიბისგან განსხვავებით არაა დროში შეზღუდული. პირიქით, იგი ძირითადად თაობიდან თაობასაც კი გადაეცემა. დამახასიათებელია სამხრეთი აზიის, ტროპიკული აფრიკის ქვეყნებისთვის.

## სიღარიბის მიზეზები

სიღარიბის არსებობაში დიდ როლს თამაშობს სხვადასხვა ფაქტორი:

- ომი და შეიარაღებული კონფლიქტები;
- სასმელი წყლისა და საკვების ნაკლებობა;
- ცუდი საცხოვრებელი გარემო;
- ფიზიკური ქნედითუუნარობა;
- ჯანდაცვისა და განათლების გაუმართავი სისტემა;
- უმუშევრობა;
- სქესობრივი, რასობრივი და სხვა დისკრიმინაცია;
- კატასტროფული ხასიათის სტიქიური მოვლენები;
- კორუფცია.

არსებობს არამატერიალური ელემენტებიც, რომლებიც უკავშირდება სიღარიბეს: გაფანტულობა, თავდაჯერებულობის ნაკლებობა, ლიდერის თვისებების ნაკლებობა, სოციალური კაპიტალის არარსებობა და სხვა.

## რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

2015 წელს უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებთა რიცხვს ათობით მილიონი ადამიანი დაემატა. უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებლად ითვლებიან ადამიანები, რომლებიც დღეში 1,90 დოლარზე ნაკლებს გამოიმუშავენ, ასეთია სუბ-საჰარის მოსახლეობის უმეტესობა.

ჯერ კიდევ COVID-19-ის პანდემიის დაწყებამდე 700 მილიონზე მეტი ადამიანი, ანუ მსოფლიოს მოსახლეობის 10% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა, იბრძოდა ყველაზე აუცილებელი

მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, როგორცაა ჯანმრთელობა, განათლება, წყალზე და სანიტარიულ პირობებზე წვდომა. ვარაუდობდნენ, რომ 2030 წელს უკიდურეს სიღარიბეში გლობალური მოსახლეობის 6% იქნებოდა, თუმცა დამანგრეველი სოციალური და ეკონომიკური კრიზისი უფრო მეტს გააღარიბებს. ამის საფუძველს იძლევა ის, რომ ღარიბი მოსახლეობა ძირითადად არაფორმალური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზეა დამოკიდებული, ნაკლებად დაცულია კრიზისებისგან. თუკი დაზარალებული ფორმალური სექტორის წარმომადგენლებს აქვთ გარკვეული უფლებები, შეუძლიათ მოითხოვონ დამსაქმებლისგან დახმარება, ან სახელმწიფოსა და პროფკავშირის თანადგომა, ამის გაკეთება არაფორმალურ სექტორში დასაქმებულებს არ შეუძლიათ, მათ უფლებებს არავინ იცავს. მსგავსი სამუშაოების რიცხვი პანდემიის დროს ან შემცირდა, ან საერთოდ გაქრა, შეიზღუდა ადამიანის გადაადგილების უფლება, შეიზღუდა ტრანსპორტის სექტორის მომსახურება. ყველაზე მეტად დაზარალდა ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები. ამ შემოსავალზე დამოკიდებული ადამიანები უმუშევრობისთვის და შესაბამისად, სიღარიბისთვის განწირული აღმოჩნდნენ. განსაკუთრებით დაზარალდნენ დაბალშემოსავლიანი სამუშაოს შემსრულებლები, რადგან მათ არ ჰქონდათ საკმარისი დანაზოგები.

სამსახურის ქონა არ უზრუნველყოფს ცხოვრების ღირსეულ პირობებს. ფაქტია, რომ 2018 წელს დასაქმებულთა 8% და მათი ოჯახები ექსტრემალურ სიღარიბეში ცხოვრობდნენ. სიღარიბე უმძიმეს გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებაზე. ყოველი მეხუთე ბავშვი ექსტრემალურ სიღარიბეში ცხოვრობს.

სიღარიბეს იწვევს უმუშევრობა, სოციალური დისტანცირება, ასევე მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მაღალი დაუცველობა სხვადასხვა ბუნებრივი კატასტროფისგან, დაავადებისგან და სხვა მიზეზები, რაც მათ ხელს უშლით იყვნენ პროდუქტიული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღარიბ რეგიონებსა და ღარიბ მოსახლეობაში ბუნებრივი მატების უფრო მაღალი მაჩვენებელია. ეს ეხება ტროპიკული აფრიკის, სამხრეთი აზიის ქვეყნებს, სადაც სიღარიბეს ამწვავებს ოჯახის დაუგეგმავი ზრდა. ასეთ ოჯახში დაბადებულ ბავშვებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, მიიღონ ხარისხიანი ჯანდაცვა, რაც მათ ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. მათ ასევე ეზღუდებათ განათლების უფლება, რაც მომავალში მათ უკარგავს მაღალშემოსავლიან სამუშაოზე დასაქმების შესაძლებლობას. იქმნება მოკადოებული წრე, რომლის გარღვევაც ღარიბი ოჯახის შვილებს უჭირთ. ბუნებრივი კატასტროფების წინაშე ყველაზე დაუცველი ღარიბები არიან, რადგან მათ არ აქვთ მკვიდრად ნაშენი უძრავი ქონება, სახლი, კარ-მიდამო, რომელიც მიწისძვრას, წყალმოვარდნას თუ წყალდიდობას გაუძლებს, შესაბამისად, მათ შეიძლება ის თავშესაფარიც დაკარგონ, რომელშიც ცხოვრობენ. გვალვა ანადგურებს მათ მოსავალს, რომელზეც სრულად არიან დამოკიდებული. მათ არ აქვთ საკმარისი ფინანსები, რომ გააკეთონ სარწყავი სისტემები და დაიცვან ნიადაგი დეგრადაციისგან, მოსავალი კი - გაჩანაგებისგან.

ამგვარი რყევები ზრდის უთანასწორობას. უთანასწორობა და სიღარიბე იწვევს პოლიტიკურ და სოციალურ დაძაბულობას, და ზოგიერთ შემთხვევაში წარმოშობს არასტაბილურობასა და კონფლიქტს.

## სიღარიბის შედეგები და დაძლევის გზები

სიღარიბის ბევრი მიზეზი არსებობს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ადამიანების კეთილდღეობა დიდწილად ერთმანეთის თანადგომას გულისხმობს. მზარდი უთანასწორობა საზიანოა ეკონომიკური ზრდისთვის და ძირს უთხრის სოციალურ ერთობას, ზრდის პოლიტიკურ და

სოციალურ დაძაბულობას და, ზოგ ვითარებაში, იწვევს არასტაბილურობასა და კონფლიქტებს. სახელმწიფოსთვის დამაზარალებელია მასობრივი სიღარიბე. ღარიბი ადამიანები შრომის ბაზარზე პროდუქტიული არ არიან, ვერ ქმნიან დოვლათს და არ იხდიან გადასახადებს. მათ ესაჭიროებათ სოციალური დაცვა, რაც ერთგვარი ფინანსური ტვირთია. ეს უთანასწორობა ზრდის კრიმინალის რისკს, რომლითაც ძირითადად საშუალო და მდიდარი ფენა ზარალდება. ამიტომ სახელმწიფო ინსტიტუცია და ადამიანები მოწოდებული უნდა იყვნენ, რომ დაძლიონ უკიდურესი სიღარიბე.

სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები, რომ ღარიბი მოსახლეობა არ იყოს მუდმივად სახელმწიფო დახმარების იმედად და თავად შეძლოს ღირსეული დასაქმება. ამისთვის საჭიროა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარება, მათი პროფესიული გადამზადება.

ხშირ შემთხვევაში ღარიბი და მოწყვლადი ჯგუფებისთვის განიხილება სოციალური დახმარებაც. სოციალურ დაცვაში არ იგულისხმება მხოლოდ ფინანსური დახმარებები. სოციალური დაცვა შეიძლება გულისხმობდეს ჯანმრთელობის დაზღვევას, რომელსაც სახელმწიფო დააფინანსებს. ასევე შეიძლება სხვა სახის მიზნობრივი დახმარებების გატარება, რაც ქვეყნების სოციალურ პოლიტიკაზე, მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკა იყოს ინკლუზიური და ორიენტირებული უთანასწორობის დაძლევაზე. პოლიტიკის შემუშავებაში თითოეული მოქალაქის აქტიური ჩართულობა დადებით გავლენას ახდენს სიღარიბის შემცირებაზე.

მნიშვნელოვანია მეცნიერების წვლილი სიღარიბის დაძლევაში, რადგან ის ქმნის ტექნოლოგიურ მიღწევებს, უფრო ხელმისაწვდომ იაფ ალტერნატივას უსაფრთხო ენერჯის მისაღებად, სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებზე წვდომის ხელშესაწყობად; ასევე - იაფიან ტექნოლოგიებს, პროდუქციას, სამედიცინო მომსახურებას, რათა ადამიანებმა გაიუმჯობესონ საცხოვრებელ პირობები.

## ბავშვთა შრომა

მსოფლიო 12 ივნისს ბავშვთა შრომის საწინააღმდეგო დღეს აღნიშნავს.

შრომის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, ბავშვთა შრომაში 168 მილიონი ბავშვია ჩართული, რაც ბავშვების 11%-ს შეადგენს. მათი ნახევარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საზიანო და სასიფათო შრომაშია ჩართული.

ბავშვთა შრომა გლობალური პრობლემაა, მას შეხვდებით ქვეყნების უმრავლესობაში, თუმცა რა გასაკვირია, რომ სასიფათო ან დამაზიანებელ შრომაში ჩართული ბავშვების უმეტესობა, ღარიბი ოჯახიდანაა. ხშირად მათ საკუთარი ნების გარეშე აიძულებენ, იმუშაონ, ნაცვლად იმისა, რომ მიიღონ განათლება, ითამაშონ და განვითარდნენ. ბავშვთა შრომას არ მოაქვს დადებითი შედეგი. ეს, როგორც წესი, არაკვალიფიციური შრომაა და ძალიან ხშირად ასეთი ბავშვები სწავლასაც თავს ანებებენ. ირღვევა მათი უფლებები, რადგან სწორედ განათლება უნდა იყოს მომავალში ღირსეული დასაქმებისკენ მიმავალი გზა. შესაბამისი კომპეტენციების გარეშე კი მოზარდი ვერ მოახერხებს, გაარღვიოს მოჯადოებული წრე და სიღარიბეში ცხოვრებისთვის იქნება განწირული.

აუცილებელია გაიმიჯნოს „მომუშავე ბავშვები“ და „ბავშვთა შრომა“. ტერმინი „ბავშვთა შრომა“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ხშირად განისაზღვრება, როგორც შრომა, რომელიც ართმევს ბავშვს ბავშვობას, ღირსებას, უზღუდავს პოტენციალს და არის მავნე მათი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის. ბავშვთა შრომა სახეზეა, როცა ბავშვის მიერ შესრულებული სამუშაოს ხასიათი, საათების ხანგრძლივობა და სხვა სამუშაო პირობები არ შეესაბამება ბავშვის ასაკს და სცდება ნორმის ზღვარს.

მომუშავე ბავშვები კი ის კატეგორიაა, რომელიც საკუთარი სურვილითა და მშობლის თანხმობით, არასასწავლო პერიოდში თავისთვის სასურველ საქმეს აკეთებს, რომელიც ანაზღაურებადია ან არ არის ანაზღაურებადი - შესაძლოა, ბავშვი ეხმარებოდეს საკუთარ ოჯახს.

საერთაშორისო კონვენცია ბავშვთა შრომაში ჩართვის მინიმალურ ასაკს აწესებს

	მუშაობის დაწყების მინიმალური ასაკი	შესაძლო გამონაკლისები განვითარებადი ქვეყნებისთვის
<b>სახიფათო სამუშაო</b> - ყველა საქმიანობა, რომელსაც შეუძლია ბავშვის ფიზიკური თუ მენტალური ჯანმრთელობის შელახვა თუ ზნეობრივი განვითარების შეზღუდვა, არღვევს მის უსაფრთხოებას.	18 (16 მკაცრი კონტროლის პირობებში)	18 (16 მკაცრი კონტროლის პირობებში)
<b>საბაზისო მინიმალური ასაკი</b> - მუშაობისთვის მინიმალური ასაკი შესაბამისობაში უნდა იყოს სავალდებულო განათლების მიღების დასრულების ასაკთან.	15	14
<b>მსუბუქი სამუშაო</b> - სამუშაო, რომელიც არ აზიანებს მოზარდის ჯანმრთელობას, არის უსაფრთხო და მსუბუქი შესასრულებელი, არ ლახავს მის უფლებას, მიიღოს განათლება ან პროფესიული ტრენინგი.	13-15	12-14

სახიფათოა შრომა, როცა ბავშვს უწევს მუშაობა არაჯანსაღ გარემოში, რომელიც მას ფიზიკური და სულიერი ძალადობის საფრთხეს უქმნის - მუდმივად უყვირიან, ფიზიკურ ზიანს ან შეურაცხყოფას აყენებენ. დაუშვებელია ბავშვის მუშაობა მავნე გარემოში (მტვერი, კვამლი, მაღალი ტემპერატურა, სიცივე და სხვ.). სახიფათოა, როცა ბავშვს უწევს მუშაობა საშიშ ნივთიერებებთან (ქიმიური ან ასაფეთქებელი ნივთიერებები) ან პროცესებთან, რომლებიც საზიანოა მისი ჯანმრთელობისთვის. ასევე დაუშვებელია მუშაობა საშიშ პირობებშიც (მიწის ქვეშ, სახიფათო სიმაღლეზე ან დახურულ სივრცეში, წყალში და სხვ.). ამ ჩამონათვალს ემატება საშიშ აპარატურასთან ან საშიში აღჭურვილობით მუშაობა, ანდა სამუშაო, რომელიც მძიმე ტვირთის ტარებას მოითხოვს; ასევე - ხანგრძლივი მუშაობა და მუშაობა ღამის საათებში.

ამასთანავე მძიმე დანაშაულია და მთავრობების მხრიდან სასწრაფო ზომებია მისაღები, როცა ბავშვები თანამედროვე მონობაში, ტრეფიკინგში ჰყავთ ჩართული. მოტყუებით ან საკუთარი ნების გარეშე აიძულებენ, გასწიონ სექსუალური მომსახურება; რთავენ ჰორნოინდუსტრიაში, შეიარაღებულ კონფლიქტებში, ნარკოვაჭრობასა და ძარცვაში, უშვებენ სამათხოვროდ.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების უმეტესობა - 59%, ანუ 98 მილიონზე მეტი მშრომელი ბავშვი დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სექტორში, რასაც მოჰყვება მომსახურების სექტორი - 55 მილიონი ბავშვით, რაც

მომუშავე ბავშვების 32%-ს შეადგენს, და მესამე ადგილზეა მრეწველობა, სადაც მომუშავე ბავშვების წილი 7,2%-ს, ანუ 12 მილიონს შეადგენს.

პასუხისმგებელი კომპანიები ხშირად ხვდებიან ბავშვთა შრომას იმ ქვეყნებში, რომლებშიც სიღარიბისა და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელია და არ არსებობს სახელმწიფოს ადეკვატური მხარდაჭერა (მაგ. სოციალური დახმარებები). რეგიონებში, სადაც ზრდასრულთა უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელია, შესაძლებელია ბავშვებს ოჯახის შემოსავლის შესავსებად სთხოვდნენ მუშაობას.

შრომის კანონების აღსრულება ყოველთვის ეფექტურად არ ხორციელდება, იმის გამო, რომ მთავრობებს არ აქვთ ადეკვატური რესურსები. მაგალითად, ვარაუდობენ, რომ ჩინეთში შეიძლება 10-დან 20 მილიონამდე ბავშვი მუშაობდეს. ბავშვთა შრომის შესახებ საერთაშორისო ანგარიშები გვეუბნება, რომ ჩინეთში შრომის ინსპექტორების ნაკლებობაა, კერძო ბიზნესსა და ადგილობრივ ოფიციალურ პირებს შორის შეთანხმება კი ამცირებს ამ ფაქტების აღმოჩენის შანსებს. ანალოგიური მდგომარეობაა ინდოეთში, პაკისტანსა და სხვა განვითარებად ქვეყნებში.

ამ ქვეყნებში ბავშვთა შრომა ბავშვის განვითარების ნორმალურ ფაზად არის მიჩნეული. ბევრ ქვეყანაში ბავშვები ეხმარებიან მშობლებს ბიზნესის წარმოებაში, რადგან ბიზნესი არ იძლევა იმდენ მოგებას, რომ ოჯახმა დამატებითი მუშახელი დაასაქმოს. განსაკუთრებით ეს ეხება სოფლის მეურნეობაში მოსავლის აღების პროცესს. ოჯახის უფროსი წევრები კი მიიჩნევენ, რომ ამით მოზარდის განვითარებას უწყობენ ხელს და მას მნიშვნელოვან შრომით უნარებს სძენენ სამომავლოდ.

ხშირად შინამეურნეობებში დახმარება მოზარდებისგან მსხვერპლს მოითხოვს, ისინი განათლების მიღმა რჩებიან. უფრო ხშირად სასკოლო განათლებაზე უარის თქმა გოგონებს უწევთ.

ადრეულ ასაკში შრომის დაწყების მიზეზი მხოლოდ სიღარიბე არ არის - ობლად დარჩენილ მოზარდებსაც ნაადრევად უწევთ შრომაში ჩაბმა და უმცროსი და-ძმის აღსაზრდელად მშობლის ფუნქციის შეთავსება. იმ ქვეყნებში, რომლებიც აივ/შიდსის გავრცელებისა და ამ მიზეზით სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელია, ასეთივე მაჩვენებლით გამოირჩევა ბავშვთა შრომა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ბურუნდში, მოზამბიკში, სამხრეთ აფრიკაში, ტანზანიაში, ზამბიასა და ზიმბაბვეში ბავშვები ხშირად მუშაობენ გადარჩენისთვის.

სახიფათო მაჩვენებელია საქართველოსთვის 16 ათასამდე ბავშვის შრომა, რაც შრომაში ჩაბმული ბავშვების 63.9%-ს შეადგენს.

ბავშვთა შრომის მიზეზებია ოჯახების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ქვეყანაში არსებული ზოგადი სოციალური ფონი. თავად ბავშვები მიზეზად ოჯახური საწარმოს/მეურნეობის დახმარებას ასახელებენ. შემდეგი ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზია ოჯახის შემოსავლის გაზრდა და მუშაობის სურვილი. მომუშავე ბავშვთა ყველაზე მცირე ნაწილის მიზანი სამუშაო უნარების განვითარებაა.

იმისთვის, რომ 16 წლამდე მოზარდებმა იმუშაონ, საჭიროა მეურვის თანხმობა. თან იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის სპეციფიკა და შრომითი ურთიერთობა არ ზღუდავს ბავშვის ინტერესებს, „ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ

უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას“.

კანონი ასევე აწესებს ბავშვებისთვის შრომის ხანგრძლივობასაც. 16-17 წლის არასრულწლოვანი კვირაში 36 საათზე მეტს არ უნდა მუშაობდეს, ხოლო 14-15 წლის მოზარდები - 24 საათზე მეტს. ასევე ბავშვებისთვის აკრძალულია ღამის საათებში მუშაობა.

14 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის შრომითი ხელშეკრულების დადება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ეს სპორტულ, კულტურულ ან სარეკლამო საქმიანობას ეხება.

აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.

საქართველოში 2020 წელს ჩატარებული კვლევის<sup>1</sup> შედეგად გამოიკვეთა, რომ:

- ✓ რეგიონებში განსაკუთრებით ხშირია არასრულწლოვანების შრომა შიდა მეურნეობებსა და სეზონურ სამუშაოებში;
- ✓ ხშირია არასრულწლოვანთა შრომითი მიგრაცია, მათ შორის საზღვარგარეთ, სადაც ისინი არასათანადო პირობებში, დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ მძიმე და დიდი დატვირთვის სამუშაოებს ასრულებენ;
- ✓ ხშირია შრომით საქმიანობაში ჩართული ბავშვების მიერ სკოლის მიტოვებისა და სისტემატური გაცდენის პრაქტიკა. რიგ შემთხვევებში, სკოლებში არ აღირიცხება მოსწავლის გამოუცხადებლობის ფაქტები და მიზეზები, რაც არსებითად აფერხებს ბავშვთა შრომის ყველა შემთხვევის იდენტიფიცირებასა და მათზე სათანადო რეაგირებას;
- ✓ დაბალია მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე ბავშვთა შრომითი უფლებებისა და შრომის საზიანო ფორმებისგან დაცვის საკითხებზე; საზოგადოება, რიგ შემთხვევებში, შემწყნარებელია მსგავსი ფაქტების მიმართ;
- ✓ ბავშვთა ქუჩაში შრომის აღმოფხვრაზე ორიენტირებული რესურსებისა და კადრების სიმცირის გამო ვერ ხერხდება შემთხვევათა დროული აღკვეთა და ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა საჭიროებების ჯეროვანი გამოვლენა.

## დილემა - ბავშვთა შრომა

**მე გურამი ვარ, ვცხოვრობ ხელვაჩაურში, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში. მაქვს მამისგან დატოვებული მცირე სამკერვალო ბიზნესი. ახლახან ჩემი პროდუქციით მსხვილი შემსყიდველები დაინტერესდნენ და პროდუქციის მეზობელ ქვეყნებში გატანა შემომთავაზეს. დავფიქრდი გაფართოებაზე, დამატებითი აპარატურის შესყიდვაზე, რომ გავზარდო წარმოება. თუმცა ამისთვის კაპიტალი დამჭირდება.**

<sup>1</sup> „ბავშვთა შრომა ახალი კორონა ვირუსის პანდემიის პირობებში და მის მიღმა“, UNICEF

ამ საფეიქრალს სხვა პრობლემაც დაემატა. სამკერვალოში დასაქმებულებთან მოვიდა პროფკავშირის წარმომადგენელი და დაარწმუნა მკერავები მასში გაწევრებულიყვნენ, რის შემდეგაც მათი მოთხოვნები გაიზარდა. უნდათ კეთილმოწყობილი სივრცეები, სადაც დღის შუქი შემოდის, ბევრი სინათლეა და მხედველობას არ აზიანებს. ადრე თუ მათ სამუშაო საათების შემდეგ დამატებით უპრობლემოდ ვამუშავებდი, როცა დიდი შეკვეთა გქონდა და პარტია უნდა გაგვეტანა, ახლა ამ საქმიანობაში გაზრდილ ტარიფებს ითხოვენ.

გვერდით დასახლებაში ჩემს მეგობარ მერაბს ანალოგიური სამკერვალო აქვს, მან ეს პრობლემა მარტივად მოაგვარა. ადგილობრივ ხელისუფლებას გაურიგდა და დაასაქმა ბავშვები, რომელთა ოჯახები მადლიერი არიან, რომ მათ შემოსავალი გაუჩნდათ. მას კი ნაკლები ხარჯი აქვს, მოზარდებს არ აქვთ მაღალი მოთხოვნები.

რას მიჩვენო, დავიქირაო თუ არა მოზარდები, რომლებისთვისაც ეს სამუშაო და მიღებული ანაზღაურება არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და მათ ოჯახებს მიმშვილობისგან თავის დაღწევაში დაეხმარება? ამასთანავე ბავშვების დაქირავებით უფრო სწრაფად გაიზრდება ჩემი ბიზნესის ბრუნვა და ღირებულება თანხებს ანაზღაურებაზე, რასაც ახალი სამკერვალო ხაზების შესყიდვას მოვალხმარ.

დაიყავით მცირე ჯგუფებად, გაეცანით ინფორმაციას ბავშვთა შრომაზე და დაეხმარეთ გურამს გადაჭრას პრობლემა.

- გააანალიზეთ პრობლემა. გაეცანით და გააანალიზეთ ინფორმაცია. რომელ პოზიციას აირჩევდით, თუკი გურამი რჩევისთვის მოგმართავდათ?
- რა არგუმენტებით დაასაბუთებდით თქვენს მოსაზრებას?
- რა კონტრარგუმენტებით გააქარწყლებდით საწინააღმდეგო მოსაზრებებს?
- რა ფაქტებით გაამყარებდით მოსაზრებებს?

## მდგრადი განვითარების მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა



როგორც ცნობილია, მსოფლიოში მოყვანილი და წარმოებული საკვების კალორიებით შესაძლებელია მსოფლიოს 7,8 მილიარდი მოსახლეობის დაპურება, მეტიც მათ საკმარისზე 1,5-ჯერ მეტი კალორია შეხვდებათ. თუმცა მოშიმშილეთა რაოდენობა მაინც თვალშისაცემია. რატომ ხდება ასე? პრობლემა საკვების გადანაწილებაა და ასევე მისი დიდი დანაკარგები, რომელთა წილი 30-40%-ია. პროდუქტის სწორად მოყვანის, გადანაწილებისა და მოხმარების შემთხვევაში,

ტყე და საბადურები ყველასთვის საკმარის ნოყიერ საკვებს მოგვცემდა და შესაძლებელი გახდებოდა ღირსეული შემოსავლის გამომუშავება.

ამჟამად ჩვენი ნიადაგი, სუფთა წყალი, ოკეანეები, ტყეები და ბიომრავალფეროვნება სწრაფად დეგრადირდება. კლიმატის ცვლილება კი უფრო მეტ გავლენას ახდენს იმ რესურსებზე, რომლებზეც ვართ დამოკიდებული; იზრდება ისეთი კატასტროფების რისკი, როგორცაა გვალვები და წყალდიდობები, რაც სხვა ზარალთან ერთად მოსავალსაც ანადგურებს. ბევრი ადამიანი ვეღარ ახერხებს საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთით საკმარისი ფინანსური რესურსის მოძიებას, რაც აიძულებს მათ ქალაქებში მიგრაციას, სადაც ახალ შესაძლებლობებს ეძებენ. არასაკმარისი საკვებისა და მისი უსაფრთხოების ნორმებთან შეუსაბამობის გამო მილიონობით ბავშვს ზრდასა და განვითარებაში შეფერხება აქვს.

სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების გაზრდა და მდგრადი საკვების სისტემის შექმნა არის გამოსავალი, რომელიც შეამცირებს შიმშილის საფრთხეს.

### ფაქტები და მონაცემები:

- ✓ ამჟამინდელი შეფასებით, თითქმის 690 მილიონი ადამიანი შიმშილობს, ანუ მსოფლიოს მოსახლეობის 8.9% - ეს მონაცემი ერთ წელიწადში 10 მილიონით, ხოლო ხუთ წელიწადში 60 მილიონით გაიზარდა.
- ✓ იმ ადამიანების, რომლებიც არასრულფასოვნად/არასაკმარისად იკვებებიან, რეგიონული განაწილების სურათი ასეთია - 381 მილიონი - ცხოვრობს აზიაში, ხოლო 250 მილიონზე მეტი ადამიანი - აფრიკაში, სადაც არასაკმარისი კვების პრობლემა ბევრად სწრაფად იზრდება, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ სხვა წერტილში. ამ 2 რეგიონში სიღარიბესა და შიმშილობას ემატება შობადობის მაღალი მაჩვენებელი.
- ✓ 2019 წელს 144 მილიონი 5 წლამდე ბავშვი, რომელთა სამი მეოთხედი ცხოვრობს სამხრეთ აზიასა და სუბ-საჰარულ აფრიკაში, შიმშილით დაზარალდა.
- ✓ 2019 წელს მსოფლიოში 750 მილიონზე მეტი ადამიანი - ანუ ათიდან ერთი - სასურსათო უსაფრთხოების დაუცველობით დაზარალდა.
- ✓ თუ ბოლოდროინდელი ტენდენციები გაგრძელდება, შიმშილით დაზარალებულთა რიცხვი 2030 წლისთვის 840 მილიონს, ანუ გლობალური მოსახლეობის 9.8 პროცენტს გადააჭარბებს.
- ✓ 2019 წელს 5 წლამდე ბავშვების 6,9%-ს (47 მილიონ ბავშვი) საკვების უკმარისობით/არასაკმარისი კვებით გამოწვეული სხვადასხვა დაავადება დაუდგინდა.
- ✓ სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა COVID-19-მა.

### შიმშილობასთან დაკავშირებული ტერმინები

**შიმშილი და საკვების უკმარისობა** – მოხმარებული საკვების სერიოზული ნაკლებობით გამოწვეული ფიზიკური მდგომარეობაა. საკვების ხანგრძლივმა დეფიციტმა შეიძლება გამოიწვიოს დისკომფორტი, სისუსტე ან ტკივილი. შიმშილი ხშირად სხვა, გარე ფაქტორის მოქმედების გარეშეც კი იწვევს სიკვდილს.

**არასრულფასოვანი/არასაკმარისი კვება** - სამედიცინო ნორმებით დადგენილია საკვების რაოდენობა, რომელზე ნაკლები ან მეტი კალორიის მიღების შედეგად ირღვევა ადამიანის ჯანმრთელობა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, ადამიანის (ზრდასრული ადამიანის) კვების საშუალო დღიურმა ნორმამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 2400-2500 კილოკალორიისა. მცირედი განსხვავებაა ქალისა და მამაკაცისთვის საჭირო კალორიებს შორის, ასევე მცირედ განსხვავდება ის ასაკის მიხედვითაც. თუ დღიურმა ნორმამ შეადგინა 1800 კილოკალორიაზე ნაკლები, ეს უკვე არასრულფასოვანი კვების მაჩვენებელია, ხოლო 1000 კილოკალორია კრიტიკული ზღვარია, რაც სრულ შიმშილს ნიშნავს. კალორიების ჯამური მაჩვენებლის გარდა, კვების სრულფასოვნებას განაპირობებს რაციონის ბალანსირებული (ცილები, ცხიმები და ნახშირწყლები) შემადგენლობა.

**სხეულის მასის ინდექსი** იანგარიშება სიმაღლე-წონის თანაფარდობით. მიიჩნევა, რომ 18,5-ზე ნაკლები ინდექსი ნორმაზე ნაკლებ წონას გულისხმობს და კვების დეფიციტზე მიუთითებს, 18,5-დან 25-მდე შუალედში სხეულის მასის ინდექსი ნორმალურია. 25-30 – ჭარბი წონა, ხოლო 30-ის ზევით უკვე სიმსუქნეა.

**სამართლიანი ვაჭრობა** (Fair trade) არის პროდუქტების ყიდვისა და გაყიდვის სამართლიანი ფორმა, რომელიც არის იმის გარანტია, რომ ადამიანები, რომლებიც განვითარებად ქვეყნებში აწარმოებენ პროდუქციას, იღებდნენ სამართლიან თანხას. თუკი პროდუქციას „სამართლიანი ვაჭრობის“ სერტიფიკატი აქვს, ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივი ფერმერებისთვის შექმნილია უსაფრთხო სამუშაო პირობები, უზრუნველყოფილია მათი საცხოვრისის მდგრადობა და ფერმერებსა და იქ მომუშავე ადამიანებს ხელი მიუწვდებათ სათემო განვითარების ფონდებზე, უზრუნველყოფილია გარემოს დაცვა და პროდუქცია არ შეიცავს საშიშ ქიმიკატებს.

### შემშილობის მიზეზები:

საინტერესოა, რა იწვევს საკვების დეფიციტს. ფაქტორებს შორის აღსანიშნავია ბუნებრივი, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული ფაქტორები.

- ენერგომომხმარებლებზე ფასების ზრდა პირდაპირ კავშირშია საკვებზე ფასების ზრდასთან.
- საკვებზე მოთხოვნის გაზრდა მოსახლეობის ზრდის პარალელურად მიმდინარეობს; ამავდროულად, სწრაფად მზარდი ეკონომიკის ქვეყნებში საგრძნობლად იმატა მოხმარებული საკვების მოცულობამ და გაიზარდა მოთხოვნა ისეთ საკვებზე (ხორცი, კვერცხი, რძის პროდუქტები), რომლებიც ტრადიციულად ამ ქვეყნებში ნაკლებად მოიხმარებოდა.
- გახშირებული გვალვები და შტორმული ხასიათის წვიმები ამცირებს პროდუქციის მოყვანის მასშტაბებს. იგივე შედეგი აქვს ბუნებრივ-კატასტროფულ მოვლენებს, რომელთა სიხშირემაც საგრძნობლად იმატა. საკვებზე ფასის ზრდას კი მოჰყვება ის, რომ მსოფლიო ბაზარზე ძვირ ფასებს განვითარებადი ქვეყნები ვერ იხდიან და პროდუქცია განვითარებულ ქვეყნებს რჩებათ, რაც ზრდის ქვეყნებს შორის უთანასწორობას.
- იზრდება ბიოსაწვავის მოხმარება, იზრდება ტექნიკური კულტურების მოშენების მასშტაბებიც. ამ ნედლეულის მოყვანა კი ადამიანების საკვებისთვის განკუთვნილი ფართობებიდან სასოფლო-სამეურნეო მიწების ამოღებას გულისხმობს.

- ბაზრის განვითარებაზე ორიენტირებული კომერციული პრაქტიკა - გაანადგურონ ზედმეტი პროდუქცია - განაპირობებს ფასების სტაბილურობას, თუმცა ვერ ჭრის შიმშილობის მწვავე პრობლემას.
- კონფლიქტებისა და ომში ჩართული ქვეყნების მოსახლეობა წარმოადგენს რისკგუფს. მათ პოლიტიკური არასტაბილურობის გამო არ აქვთ საშუალება, შექმნან დოვლათი, იძულებითი მიგრაციის საფრთხის ქვეშ არიან და ამავედროულად, უნადგურდებათ მოყვანილი პროდუქცია.
- განათლებას პირდაპირი კავშირი აქვს პიროვნების ცოდნასა და უნარებთან, რომელთა ფლობაც ბევრად ზრდის მისი დასაქმების შანსს. ეს კი სიღარიბისგან, შესაბამისად, შიმშილობისგან და არასაკმარისი კვებისგან თავის დაღწევის საშუალებაა.
- განვითარებად ქვეყნებში იშვიათია მონოკულტურები, მათ მრავალფეროვანი პროდუქცია მოჰყავთ, რაც კიდევ უფრო ართულებს კომერციული მიზნებისთვის ერთი რომელიმე პროდუქციის ჭარბად წარმოებას. ამ სახით კი გასაღების ბაზარზე გასვლა უზღუდებათ. გარდა ამისა, ისინი ვერ იკავებენ სპეციალურ ნიშას, ვერ სპეციალიზდებიან ერთი რომელიმე პროდუქციის წარმოებაში.
- ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო მეთოდების გამოყენება ვერ იძლევა საკმარის მოსავალს და შესაბამისად - მოგებას.
- ვინაიდან სურსათის შენახვას სპეციფიკური პირობები სჭირდება, რომელთა უზრუნველყოფის საშუალებაც ადგილობრივ ფერმერებს არ აქვთ, მოწეული პროდუქციის დიდ ნაწილს მწერები და მღრღნელები ანადგურებენ. ვარაუდობენ, რომ სუსტად განვითარებულ ქვეყნებში პროდუქციის 30%-იანი დანაკარგის მიზეზი სწორედ არასათანადო შენახვის პირობებია.
- ✓ ფერმერებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა, რათა დაიცვან თავიანთი ნიადაგი ეროზიისგან, რაც სულ უფრო ამცირებს მოსავლიანობას. ეროზირებულ ნიადაგს აღდგენა სჭირდება, ეს კი ძვირი ღირს.

## რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

კონფლიქტებთან, კლიმატურ შოკებთან და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, პანდემიები დამატებით საფრთხეს უქმნის კვების სისტემებს. სამოქალაქო დაუცველობამ და საკვების წარმოების შემცირებამ გაამძაფრა საკვების დეფიციტის პრობლემა და ხელი შეუწყო სურსათზე ფასების მატებას.

სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიცია გადამწყვეტია შიმშილისა და სიღარიბის შესამცირებლად, სურსათის უვნებლობის გასაუმჯობესებლად, სამუშაო ადგილების შესაქმნელად და კატასტროფებისა და შოკებისადმი გამძლეობის გამოსამუშავებლად.

ჩვენ ყველას გვსურს, რომ ჩვენს ოჯახებს ჰქონდეთ საკმარისი და ჯანსაღი საკვები. შიმშილის ნულოვანი მაჩვენებლის მქონე ქვეყანას შეუძლია წარმატებით განავითაროს ეკონომიკა, განათლების სისტემა, ჯანდაცვა, გამოირჩეოდეს თანასწორობითა და სოციალური სამართლიანობით.

განვითარებულ ქვეყნებში წამყვანია ინტენსიური სოფლის მეურნეობა, რაც ნაკლებ ფართობზე მეტი პროდუქციის მოყვანას გულისხმობს. სოფლის მეურნეობა აღარ მოითხოვს იმდენ ადამიანურ რესურსს, რამდენსაც ადრე მოითხოვდა. ტექნოლოგიები ეფექტურად ანაცვლებს ათობით ადამიანს, რაც ზოგავს დროსა და სახსრებს, თუმცა ამავე ტექნოლოგიების შექმნა ღარიბ ქვეყნებს არ შეუძლიათ.

ჭარბი წონაც კვების დარღვევით გამოწვეული პრობლემაა, რომლითაც მილიარდ-ნახევარი ადამიანი ავადობს და ეს მაჩვენებელი გამუდმებით იზრდება. მსუქანთა რიცხვი ნახევარ მილიარდს აღემატება.

ნავარაუდევია, რომ უკვე 2022 წლისთვის 2,3 მილიარდ ადამიანს ჭარბი წონის პრობლემა ექნება, 790 მილიონს კი – სიმსუქნის. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ სიმსუქნესა და ჭარბ წონასთან დაკავშირებულ პროგრამებზე აშშ-ში წლიურად 76 მილიარდი აშშ დოლარი იხარჯება.

შეიძლება ითქვას, რომ ჭარბი წონა უკანასკნელი 50 წლის პრობლემაა, რაც გამოიწვია განვითარებამ. ტექნოლოგიების განვითარების გამო ადამიანს შრომა შეუმსუბუქდა. ტრანსპორტის განვითარებამ და ხელმისაწვდომობამ კი მას გადაადგილებისთვის დახარჯული ენერჯიაც დაუზოგა. საკვების გამრავალფეროვნებამ, მისმა ექსპორტმა და სწრაფი კვების ობიექტების სიმრავლემ ასევე შეუწყო ხელი ჭარბი წონის პრობლემის მასშტაბის ზრდას. სხვათა შორის, კვლევები მოწმობს, რომ ჭარბწონიანთა რიცხვი სწრაფი კვების ობიექტების სიახლოვეს იზრდება, ხოლო მოშორებით მეტი გამხდარია. ეს გამოკვლევა ტეხასის უნივერსიტეტის სიმსივნური დაავადებების ცენტრმა ჩაატარა და დასკვნები მეცნიერულადაც დაადასტურა.

სიმსუქნის პრობლემაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიუხედავად, მას მაინც მზარდი ხასიათი აქვს. სიმსუქნე და ჭარბი წონა კი ისევე საშიშია ჯანმრთელობისთვის, როგორც შიმშილობა და არასაკმარისი კვება. ის სხვადასხვა ქრონიკულ დაავადებას, სისუსტეს, გულსა და სისხლძარღვებთან დაკავშირებულ პრობლემებს იწვევს, ზრდის II ტიპის დიაბეტის განვითარების რისკს. დიაბეტის ასოციაცია ვარაუდობს, რომ 2030 წლისთვის ამ ტიპის დიაბეტით დაავადებულთა რიცხვი გაორმაგდება.

## შიმშილობის შედეგები და დაძლევის გზები

საკვების უკმარისობა და შიმშილი იწვევს ორგანიზმის დასუსტებას. შეიძლება ითქვას, რომ სისუსტე შიმშილისა და საკვების უკმარისობის მხოლოდ პირდაპირი გამოვლინებაა. მას სხვა არანაკლებ სერიოზული შედეგები მოსდევს. ღარიბი ოჯახები შიმშილის დასაძლევად ხშირად იყენებენ ბავშვთა შრომას, რადგან მათ სარგებლის მისაღებად ან/და პროდუქციის მოსაწევად (ძირითადად, მიწაზე სამუშაოდ) სხვა გზა არ რჩებათ. ბავშვთა შრომა ბავშვს ართმევს განათლების უფლებას, რაც გზას უკეტავს მას სამომავლოდ მაღალანაზღაურებად სამუშაოზე დასასაქმებლად. ტრეფიკინგის მსხვერპლიც ყველაზე ხშირად სწორედ ღარიბები ხდებიან, მათ იძულებით აშრომებენ. ამით მათი ცხოვრების ხარისხი არ უმჯობესდება.

ასევე შიმშილობასა და რესურსების დეფიციტს ხშირად მოსდევს კონფლიქტი და ომი, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ვითარებას. გასაკვირი არ არის, რომ ხანგრძლივმა შიმშილობამ და საკვების უკმარისობამ შეიძლება ქრონიკული და სხვა დაავადებები გამოიწვიოს, რადგან ამ დროს ორგანიზმს აღარ რჩება რესურსი, გაუმკლავდეს დაავადებებს, დაავადებულს კი სიღარიბის გამო, მკურნალობის საშუალებაც არ აქვს, რაც ხშირად სიკვდილით მთავრდება. მოშიმშილის ორგანიზმი სუსტდება, რაც ნიშნავს, რომ მას არ აქვთ საკმარისი ძალა და ენერჯია, რომ გაუმკლავდეს პრობლემებს და თავი დააღწიოს სიღარიბეს.

აღნიშნული პრობლემის დაძლევა ხშირ შემთხვევაში ადგილზე ვერ ხერხდება, რადგან ის ძირითადად განვითარებადი ქვეყნების პრობლემაა, სადაც ფინანსური რესურსების სიმწირეა, ასევე ხშირია კორუფცია და ნაკლებია პრობლემის დაძლევის შესაბამისი მექანიზმები. ამდენად, მნიშვნელოვანია საერთაშორისო დახმარებები პროდუქციის მოყვანიდან სრული

სასიცოცხლო ციკლის რენოვაციამდე. ამ შემთხვევაში გაიზრდება პროდუქტიულობა და შემცირდება დანაკარგები.

შიმშილობის დასაძლევად მნიშვნელოვანია ასევე სოციალური დახმარებების გამჭვირვალე და ეფექტური მექანიზმების დანერგვა, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების შემოღება;

განათლების დონის ამაღლება და გადამზადება;

ჯანსაღი ცხოვრებისა და ჯანსაღი კვების მნიშვნელობის აღრეული ასაკიდანვე სწავლება, რაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომავალი პრობლემების ერთგვარი პრევენციაა;

სახლში, სამსახურსა და საზოგადოებაში ადგილობრივი ფერმერების ან ბაზრების მხარდაჭერა, მათ მოყვანილ პროდუქციაზე არჩევანის გაკეთება.

ამით მოხდება მცირე ფერმერების მხარდაჭერა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა.

## ქეისი - კამპანია ოთხი მავნებლის წინააღმდეგ

ჩინეთი აგრარული, ხალხმრავალი ქვეყანა იყო. სიღარიბე და შიმშილობა ამ ქვეყნის მთავარი მახასიათებელი გახლდათ. წყალდიდობები და მიწისძვრები ქვეყანას დამატებით პრობლემებს უქმნიდა, იწვევდა ნგრევას, მსხვერპლს და ალატაკებდა ასობით ათას ადამიანს.

ჩინეთის ლიდერმა მათ ძედუნმა შიმშილობის დასამარცხებლად ეკონომიკური რეფორმა წამოიწყო. ჩინეთის კომუნისტური პარტიის მეორე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც „დიდი ნახტომის“ სახელწოდებითაა ცნობილი, 1958 წელს გამოქვეყნდა. ამ რეფორმას ჩინეთი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ ქვეყნად უნდა ექცია.



მას შემდეგ, რაც 4 მავნებელი სხვადასხვა მძიმე პრობლემის მიზეზად დასახელდა (ნათესებს ვირთხები და ბელურები ანადგურებდნენ, სოფლის მეურნეობა ვერ აუდიოდა მოსახლეობის გამოკვებას, კოდოები იწვევდნენ მალარიას, ბუზები კი ანტისანიტარიის კერა იყო და მოსახლეობაში დაავადებების გავრცელებას უწყობდნენ ხელს), გამოიცა ვირთხების, ბუზების, კოდოებისა და ბელურების განადგურების ისტორიული ბრძანება. 1958 წლის თებერვალში მასშტაბური კამპანია სწორედ 4 მავნებლის წინააღმდეგ გამოცემულ ბრძანებას მოჰყვა. შიმშილობის დამარცხების იმედებს სწორედ ამ კამპანიაზე ამყარებდნენ, რადგან მოსავლის აღებად მათ სწორედ ვირთხები და ბელურები ანადგურებდნენ.

აღნიშნული ბრძანების აღსრულება მარტივი არ იქნებოდა, რადგან ჩინეთი 97 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე გადაშლილი. ამ გადაწყვეტილების წარმატებაში მთავარი როლი მოსახლეობას ენიჭებოდა. თუ თითო ჩინელი თითო

ბელურას მოკლავდა, უკვე გარანტირებული იქნებოდა 759 მილიონის განადგურება.

ამ ინიციატივას გლეხებიც დიდი ენთუზიაზმით აჰყვნენ, რადგან ყველაზე კარგად სწორედ მათ იცოდნენ, რა ზარალს აყენებდა ნათესებს ეს მავნებლები. დაჭერასა და მოწამვლას დიდი შედეგი რომ ვერ მოჰყვა, შეიძულებს მათი დაფრთხობის გეგმა. შეიძლება ითქვას, რომ ეს გეგმა არ იყო განხილული მეცნიერებთან, თუმცა საუჭრია, ვინმეს საკმარისი გამბედაობა გამოეჩინა კამპანიის გასაკრიტიკებლად.

მეცნიერების აზრით, ერთი ბელურა 4,5 კგ მარცვალს ჭამდა, შესაბამისად ყოველი 1 მილიონი განადგურებული ბელურით 60 000 ადამიანის გამოკვებად საჭირო საკვები გადარჩებოდა.

ფრინველებს არ აძლევდნენ დასასვენებლად დაჯდომის საშუალებას, ამინებდნენ და ჰაერში აფრენდნენ. მთელი დღის განმავლობაში ქუდზე კაცი გამოდიოდა გარეთ. დილიდან საღამომდე სტვენით, ხმაურით, ქვაბებზე ქვებისა და ჯოხების ბრახუნით, ხელების ქნევით ფრინველებს მოსვენების საშუალებას არ აძლევდნენ. ბელურები, როგორც ცნობილია, ჰაერში დიდხანს ვერ ძლებენ, ამიტომ 15 წუთის ფრენის შემდეგ ისინი უსულოდ ეცემოდნენ მიწაზე. ბელურების გარდა, ამ ეკოციდს სხვა პატარა ზომის ფრინველებიც შეეწირა.

სკოლები მუშაობას წყვეტდნენ, რომ უფროსებს შეერთებოდნენ ამ წამოწყებაში. მურდულებით შეიარაღებული ფრინველებს მუსრს ავლებდნენ, მათ ბუდეებს დაეძებდნენ და ანადგურებდნენ.

მხოლოდ პირველ დღეებში მილიონზე მეტი ფრინველი დახოცეს; მთლიანად კამპანიის ფარგლებში კი - 2 მილიარდზე მეტი. ამას გამარჯვებად მიიჩნევდნენ, სხვა მავნებლები უკვე აღარავის ახსოვდა. ადგილობრივ პრესაში იბეჭდებოდა „წარმატების“ ამსახველი ფოტოები - გაღიმებული ადამიანები თოკზე აცმული მკვდარი ფრინველების და მათი გორების ფონზე. სხვადასხვა პროვინციის წარმომადგენლები ტელეეკრანებიდანაც იწონებდნენ თავს.

შანხაის ერთ-ერთი გაზეთი წერდა:

„13 დეკემბერს დილით ყველგან ისმოდა საომარი შეძახილები ბელურების წინააღმდეგ. ყველა ძირითად გზაზე წითელი ალმები აღიმართა. ყველგან ჩაამწკრივეს საფრთხობელები. სკოლის მოსწავლეები, კოლეჯის სტუდენტები, სამთავრობო დაწესებულებებში დასაქმებული ჩინოვნიკები, ქარხნის მუშები, გლეხები, სახალხო არმია, ყველა გამოსულია და იბრძვის ომის მოსაგებად. ჯინსენგის რაიონში ერთი ღამის განმავლობაში 60 ათასი საფრთხობელა და მილიონობით წითელი ალამი აღიმართა“.

როგორც გაზეთი წერდა, მუშებმა თავად ითხოვეს ველზე გასვლა და პარტიის დახმარება. იქ, სადაც ხალხმრავლობა არ იყო, სპეციალური შამხანებით იწვევდნენ ხმაურს. დიასახლისებს გამოტანილი ჰქონდათ ქვაბები და ჯამები, რომელთაც დოლივით უბრაზუნებდნენ. არც ბუდეები და კვრცხები უნდა დაეტოვებინათ. მათი განადგურებაც ამ კამპანიის ნაწილი გახდა. მხოლოდ შანხაიში 194 ათასი ბელურა გაანადგურეს.

საინტერესოა, რომ იმ სეზონზე მართლაც საუკეთესო მოსავალი მოვიდა და ბრძანების ეფექტურობას ყველა ერთხმად აღიარებდა, თუმცა თავს არიდებდნენ მომრავლებულ მწერებს, მახრებსა და მუხლუხობებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებაში ყველაფერი ურთიერთდაკავშირებული და გადაჯაჭვულია. რომელიმე ერთი ელემენტის განადგურება უცილობლად არღვევს ბალანსს. თუ ეს დარღვევა ბუნების თვითაღდგენის უნარს აღემატება, ბუნებასა და ადამიანს ეს ძვირად დაუჯდება. ასე მოხდა

ჩინეთშიც. დიდი დრო არ დასჭირდა, რომ ყველამ ნათლად დაენახა შეცდომის მასშტაბები და ჩინეთს ახალი, კიდევ უფრო დიდი პრობლემა დასტყდომოდა თავს.

1960 წელს მწერების სიმრავლემ მოსავალს უფრო დიდი საფრთხე შეუქმნა. ფრინველები რომ მწერებით იკვებებოდნენ, ეს არავის გახსენებია 4 მავნებლის კამპანიის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე. ამჯერად სამსახურებიდან და სკოლებიდან ხალხი მწერების გასანადგურებლად გამოჰყავდათ. მაგრამ მწერების განადგურების მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა. ისინი მრავლდებოდნენ და უმოწყალოდ ანადგურებდნენ მოსავალს. რა თქმა უნდა, ამან შიმშილობა კვლავ წინა პლანზე წამოსწია. პარტია პანიკის ჩაწყნარებას ცდილობდა და მწერების მომრავლებას დროებით მოვლენად აფასებდა. ადამიანები კი შიმშილით იხოვებოდნენ, ისინი შიმშილისგან კანიბალიზმსაც კი მიმართავდნენ. ამ შიმშილობას 30 მილიონზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

მხოლოდ ამ დროს დაუკავშირეს ერთმანეთს შიმშილობის ახალი ტალღა და ფრინველების განადგურება. მიუხედავად პრობლემის სიმძაფრისა, ხმამაღლა მაინც ვერავინ ბედავდა ჩავარდნილი პროექტის კრიტიკულ შეფასებას. ჩინეთის მთავრობამ დახმარებისთვის საბჭოთა კავშირს მიმართა და მათი დახმარებით ქვეყანაში ვაგონებით შეიყვანეს ბეღურები. გარკვეული დროის შემდეგ ბუნებაში კვების ჯაჭვი ისევ შეივსო და ბალანსი აღდგა. მწერებს ბუნებრივი მტერი გამოუჩნდა.

<https://www.youtube.com/watch?v=ojOmUWLDG18>

დაიყავით ჯგუფებად, თითოეულმა ჯგუფმა ჩამოწერეთ 4 მავნებლის წინააღმდეგ კამპანიის დადებით და უარყოფითი მხარეები; ის ფაქტორები, რომლებმაც მოკლევადიან წარმატებას შეუწყო ხელი, და ფაქტორები - რომლებმაც გამოიწვია პროექტის საბოლოო ჩავარდნა.

- როგორ გგონიათ, წარმოიქმნებოდა თუ არა მსგავსი პრობლემა საქართველოში?
- შესაძლებელი იქნებოდა თუ არა აღნიშნული კამპანიის განხორციელება?
- რა იქნებოდა მსგავსი გადაწყვეტილების საპირწონე პოზიცია?
- შეუძლიდა თუ არა ხელს გადაწყვეტილების აღსრულებას ძლიერი სამეცნიერო სკოლა, სამოქალაქო საზოგადოება, მოსახლეობის ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღებისას, მთავრობის ანგარიშვალდებულება საზოგადოებისადმი, მმართველობის ფორმა?

მოიყვანეთ არგუმენტები თქვენი პოზიციის გასამყარებლად.

მდგრადი განვითარების მიზანი 3: ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველასთვის ყველა ასაკში



მდგრადი განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ყველა ასაკის ადამიანის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. თუმცა დღეს ადამიანების ჯანმრთელობის კუთხით მნიშვნელოვანი რეგიონული უთანასწორობა იკვეთება - სიცოცხლის ხანგრძლივობამ განვითარებულ ქვეყნებში 80 წელს გადააჭარბა, მაშინ, როცა განვითარებადი ქვეყნების ნაწილში ის მხოლოდ 60 წელია. ქალაქად და სოფლად განსხვავებულია ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი და მისი გამომწვევი მიზეზები. განსხვავებულია ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობაც, რაც საბოლოო ჯამში იწვევს სიკვდილიანობის მატებასა და ჯანმრთელობის შეზღუდვებს. ასევე თვალში საცემია კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის დეფიციტი, ქვეყნების 40%-ზე მეტს ყოველ 10 ათას ადამიანზე 10-მდე ექიმი ჰყავს.

გლობალური მასშტაბით მოზარდი გოგონები და ახალგაზრდა ქალები გენდერული უთანასწორობის, გარიყვის, დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლი არიან, რაც ზრდის რისკს, რომ ისინი ჯანმრთელობის თანმდევი პრობლემებით სიღარიბეში აღმოჩნდნენ.

თუმცა ყოფილა ასევე პროგრესიც - მალარიის 6,2 მილიონზე მეტი სიკვდილი 2000-დან 2015 წლამდე თავიდან იქნა აცილებული, განსაკუთრებით ეფექტურად ეს მოხერხდა ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში სუბ-საჰარის აფრიკაში. მალარიის შემთხვევები დაახლოებით 37%-ით, ხოლო სიკვდილიანობა 58%-ით შემცირდა. მიზეზი ათასწლეულის განვითარების მიზნებში მალარიის წინააღმდეგ გამოჩენილი გლობალური მასშტაბის ძალისხმევა იყო. პროგრესი მიღწეულია ჯანმრთელობის ბევრ სფეროში, როგორცაა - დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, იმუნიზაციის შესახებ ინფორმირება და სამედიცინო საკითხების სისტემატური გაშუქება. იმუნიზაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება კვლავ აქტუალური აღმოჩნდა პანდემიის გასამკლავებლად. ზოგიერთი ინფექციური დაავადების გავრცელების მაჩვენებელი მცირდება, თუმცა გაუმჯობესების მაჩვენებელი COVID-19-ის გამო შენედა.

პანდემიამ განსაკუთრებული ძალით წარმოაჩინა მესამე მიზნის აქტუალობა.

### ფაქტები და მონაცემები:

- ✓ მხოლოდ 2018 წელს 6,2 მილიონი ბავშვი და 15 წლამდე ასაკის მოზარდი, უმეტესად ისეთ მიზეზთა გამო დაიღუპა, რომელთა პრევენციაც შესაძლებელი იყო. 5.3 მილიონი 5 წლამდე ასაკის იყო. მათი თითქმის ნახევარი კი - ახალშობილი.
- ✓ ბავშვთა სიკვდილიანობა მზარდია სუბ-საჰარის აფრიკასა და სამხრეთ აზიაში. მსოფლიოში ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში აღრიცხული სიკვდილიანობიდან ხუთიდან ოთხი სწორედ ამ რეგიონებზე მოდის. აქ მათი სიკვდილიანობის მაჩვენებელი 15-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში.
- ✓ არასრულფასოვანი კვების გამო განვითარებად ქვეყნებში ბავშვებს უვითარდებათ დაავადებები (დიარეა, ტუბერკულოზი და სხვა), რაც სიკვდილიანობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს, 3,1 მილიონი ბავშვი სწორედ შიმშილობით გამოწვეული მიზეზით იღუპება.
- ✓ აღმოსავლეთ აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და სამხრეთ აზიაში დედათა სიკვდილიანობა დაახლოებით ორი მესამედით შემცირდა. მიუხედავად წინ წადგმული ნაბიჯებისა, 2017 წელს ყოველდღიურად დაახლოებით 810 ქალი იღუპებოდა ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული მიზეზებით, რომელთა პრევენციაც შესაძლებელი იყო.

- ✓ დედების სიკვდილიანობის 94% დაბალი და საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებზე მოდის. აქ მშობიარობის დროს სიკვდილიანობა 14-ჯერ აღემატება განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს.
- ✓ ორსულობის გართულებებისა და სიკვდილის რისკი უფრო მაღალია ნაადრევი ორსულობისას, ვიდრე ზრდასრულ ქალებში.
- ✓ 2019 წელს მსოფლიოში 38 მილიონი ადამიანი დაავადებული იყო აივ ინფექციით, მათგან 25.4 მილიონი ანტირეტროვირუსულ თერაპიას იღებდა.
- ✓ 2019 წელს აივ/შიდსით დაინფიცირდა 1,7 მილიონი და გარდაიცვალა 690 000 ადამიანი.
- ✓ ეპიდემიის დღიდან აივ ინფექციით დაინფიცირდა 75,7 მილიონი ადამიანი, ხოლო 32,7 მილიონი ადამიანი შიდსით გამოწვეული დაავადებებით დაიღუპა.
- ✓ მსოფლიოში რეპროდუქციული ასაკის ქალების სიკვდილის წამყვანი მიზეზია - აივ/შიდსი. იგივე დაავადება ითვლება აფრიკაში 10–19 წლის მოზარდების სიკვდილის ძირითად მიზეზად.

## ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებული ტერმინები

**შობადობა** - დაბადებულთა რიცხვი 1000 კაცზე;

**სიკვდილიანობა** - გარდაცვლილთა რიცხვი 1000 კაცზე;

**ბუნებრივი მატება** - მოსახლეობის ზრდა ან კლება, რომელიც გამოითვლება შობადობასა და სიკვდილიანობას შორის სხვაობით. თუ შედეგი დადებითია, ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის მატებას აქვს ადგილი, თუ უარყოფითი - კლებას;

**ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა** - 1 წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა შეფარდება ყოველ 1000 დაბადებულთან;

**ბავშვთა მოკვდაობა** - 5 წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა შეფარდება ყოველ 1000 დაბადებულთან;

**სიცოცხლის ხანგრძლივობა** - იმ წლების საშუალო რაოდენობა, რომლებიც მოსალოდნელია იცოცხლოს ადამიანმა. სიცოცხლის ხანგრძლივობა ქვეყნების მიხედვით ძალიან მერყეულია. განვითარებულ ქვეყნებში ადამიანები სიცოცხლის უფრო მეტი ხანგრძლივობით გამოირჩევიან.

**სიღარიბის დაავადებების** ძირითადი მიზეზებია ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის არარსებობა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების არქონა, ჰაერისა და წყლის დაბინძურება და სიღარიბე. ამ დაავადებებს შორისაა ტუბერკულოზი, მალარია, რესპირატორული დაავადებები, აივ/შიდსი, დიარეა, ინფექციური და პარაზიტული დაავადებები, საკვების უკმარისობა, ტროპიკული დაავადებები.

**სიმდიდრის დაავადებები** - ძირითადად არაჯანსაღი ცხოვრების წესისა და ხანგრძლივი სიცოცხლის შედეგია - მეორე ტიპის დიაბეტი, ასთმა, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, სიმსუქნე, სიმსივნე, ჰიპერტონია, ალერგია, დეპრესია, მენტალური დაავადებები, ალცჰაიმერი.

## რატომ არის მნიშვნელოვანი ამ მიზნის მიღწევა

ჯანსაღი ცხოვრების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია საზოგადოებების კეთილდღეობის შესაქმნელად. თუმცა, COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ გლობალურად დააზარალა ჯანდაცვის სისტემა და საფრთხე შეუქმნა უკვე მიღწეულ შედეგებს. პანდემიამ განსაკუთრებული

სიმძაფრით წარმოაჩინა ჯანდაცვის სისტემის სუსტი მხარეები. მნიშვნელოვანი აღმოჩნდა როგორც პირველადი ჯანდაცვის სისტემის, ისე ჰოსპიტალური სექტორის განვითარება.

ქვეყნების უმეტესობა, განსაკუთრებით ღარიბი ქვეყნები, განიცდიან ჯანდაცვის საშუალებების, სამედიცინო მარაგებისა და ჯანდაცვის მუშაკების უკმარისობას. ეს უკანასკნელნი ვერ აუდიან გაზრდილ მოთხოვნილებას. დაბალი შემოსავლის მქონე განვითარებად ქვეყნებში დამატებით 18 მილიონი ჯანდაცვის მუშაკია საჭირო უნივერსალური ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად.

საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა ჯანმრთელობის საყოველთაო დაფარვისა და მისი მდგრადი დაფინანსების მისაღწევად, რათა ის გაუმკლავდეს დაავადებების მზარდ ტვირთს, ანტიბაქტერიულ დაავადებებსა და რეზისტენტობას. პანდემიამ აჩვენა, რომ გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებებს ხალხი გაკოტრებამდე ან სიღარიბემდე მიყვანა შეუძლია.

სიცოცხლის ხანგრძლივობა ბოლო საუკუნეების განმავლობაში საგრძობლად გაიზარდა. მაგალითისათვის, თუ 1800 წელს განვითარებულ ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 30 - 35 წელი იყო, ამჟამად ის 80 წლამდეა გაზრდილი.

სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის მთავარი მიზეზი საბაზისო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დამკვიდრება, მედიცინის მიღწევები, ჯანდაცვაზე გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა შეიძლება დასახელდეს. იმუნიზაციამ მოიცილა მთელი მსოფლიო. ის განსაკუთრებით ხელმისაწვდომი საერთაშორისო ორგანიზაციების ჯანდაცვის პროგრამებმა გახადა. სწორედ ამ გზით შემცირდა მანამდე სასიკვდილო დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა და გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა.

უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში მსოფლიოში 1000-ზე მეტი ეპიდემია და პანდემია მძვინვარებდა. სწორედ ვაქცინაცია ითვლება ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ იარაღად. ვაქცინა იმუნურ სისტემას მომავალი საფრთხისთვის წვრთნის. ის ორგანიზმს „ატყუებს“ – აფიქრებინებს, რომ ინფექცია შეხვდა. იმუნური სისტემა თავს ესხმის მოჩვენებით მტერს. ამ გზით ადამიანი ინფექციის მიმართ გამოიმუშავებს იმუნიტეტს. მედიცინაში ასეთი გარღვევა 1796 წელს ედუარდ ჯენერმა მოახდინა.

საუკუნეებია კაცობრიობა იმუნიზაციის გზით ებრძვის ისეთ დაავადებებს, როგორცაა ყვავილი, პოლიომიელიტი, წითელა, ცოფი და სხვა. ასევე სხვა მიკროორგანიზმებით გამოწვეულ დაავადებებს, როგორებიცაა – შავი ჭირი, ქოლერა, ტუბერკულოზი, დიფთერია, ტეტანუსი, ჯილეხი თუ სხვა. სწორედ საყოველთაო ვაქცინაციის წყალობით ყოველწლიურად 3 მილიონი ბავშვის გადარჩენა ხერხდება. საგულისხმოა ისიც, რომ იმუნიზაცია, აცრილების გარდა, იცავს აუცრელებსაც, რადგან აცრილთა სიმრავლე აჩერებს დაავადების გავრცელებას. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი მასობრივი ვაქცინაციის უზრუნველყოფა.

ვაქცინაცია საზოგადოებრივ სიკეთეს განეკუთვნება, რადგან ის უკლებლივ ყველა მოქალაქეს, მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიისა, სქესისა, ასაკისა, შემოსავლისა, აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს საერთაშორისოდ დადგენილი აუცილებელი ვაქცინები. ამას განვითარებული ქვეყნები თავად უზრუნველყოფენ, ხოლო განვითარებადი ქვეყნების ნაწილს, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი თანხები, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია ან UNICEF ეხმარება.

## **აივ ინფექცია/შიდსი**

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ეპიდემიის დაწყებიდან მსოფლიოში 32 მილიონ ადამიანზე მეტი გარდაიცვალა შიდსის ვირუსით. შიდსის ვირუსით მსოფლიოში 37,9 მილიონი ადამიანი ინფიცირებული, აქედან 1,7 მილიონი ადამიანი 2018 წელს დაინფიცირდა.

**არსებობს აივ ინფექციის გადაცემის სამი გზა:**

1. სისხლის გადასხმის და სხვა ინვაზიური მანიპულაციებისას არასტერილური დაბინძურებული სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენება. ყველაზე ხშირად დაავადება გადადის ნარკოტიკების ინექციური მოხმარებისას აივ ინფიცირებული სისხლით დაბინძურებული შპრიცებისა და ნემსების გამოყენებით;
2. დაუცველი სქესობრივი კავშირი (პრეზერვატივის გარეშე) აივ ინფიცირებულ პირთან;
3. ინფიცირებული დედიდან ბავშვზე ორსულობის, მშობიარობის დროს ან ძუძუთი კვების შედეგად.

**ტუბერკულოზი**

ტუბერკულოზი სამიში ინფექციური დაავადებაა, რომელიც დაგვიანებული და არასწორი მკურნალობის შემთხვევაში სიკვდილის მიზეზი ხდება. ის ყველაზე ხშირად აზიანებს ფილტვებს, თუმცა შეიძლება დააზიანოს სხვა ორგანოებიც.

ტუბერკულოზი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. იგი აივ ინფექციის შემდეგ ინფექციური აგენტით გამოწვეული ყველაზე დიდი მკვლელია მსოფლიოში. ამ დაავადებით მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 9 მილიონი ადამიანი ავადდება და 2 მილიონამდე ადამიანი კვდება.

ტუბერკულოზის გამომწვევია, ე.წ., „კოხის ბაქტერია“, რომელიც 1882 წელს გერმანელმა რობერტ კოხმა აღმოაჩინა. შემთხვევათა უმეტესობაში ტუბერკულოზი ვრცელდება ჰაერწვეთოვანი გზით ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული პირისგან. ხველების, ცემინების ან საუბრის დროს ის ჰაერთან ერთად შეიძლება მოხვდეს ჯანმრთელი ადამიანის ფილტვებში, გამოიწვიოს მისი დაინფიცირება. ტუბერკულოზის მიკრობაქტერია იწვევს ფილტვის ქსოვილის რღვევას, რაც აუცილებლად საჭიროებს მკურნალობას. წინააღმდეგ შემთხვევაში მძიმე ავადმყოფობის ან სიკვდილის მიზეზი ხდება.

**ჯანმრთელობის პრობლემების დაძლევის გზები**

თუ ჯანდაცვის საყოველთაო დაფარვა 2030 წლისთვის რეალობად იქცევა, აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მიწოდებისა და გამოყენების ზრდა მნიშვნელოვნად უნდა დაჩქარდეს.

2030 წლისთვის ყველასთვის ჯანსაღი ცხოვრების უზრუნველყოფა მოითხოვს აღებულ ვალდებულებებისადმი ერთგულებას, რომლის მიღებული სარგებელი აჭარბებს ღირებულებას, რადგან ჯანმრთელი ხალხი ჯანსაღი ეკონომიკის საფუძველია. იმუნიზაცია არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ეკონომიკურად ეფექტური სამედიცინო ჩარევა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვილებში ვაქცინაციით დაფარვა ბოლო ათ წელიწადში 72%-დან 86%-მდე გაიზარდა, ფაქტობრივად, 2020 წლის მარტიდან ბავშვების იმუნიზაციის ყოველწლიური სერვისები იმ მასშტაბითაა ჩაშლილი, როგორც არ ყოფილა დაარსების დღიდან.

მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი სიცოცხლის განხგრძლივებისა და დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შესამცირებლად. იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც 2030 წლისთვის ყოველ 100 000 ცოცხლადშობილ ბავშვზე დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის 70-მდე დაწევას ითვალისწინებს, აუცილებელია მეანების პროფესიული უნარების გაუმჯობესება.

2030 წლისთვის არაინფექციური დაავადებებით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილიანობის მაჩვენებლის 1/3-ით შესამცირებლად საჭიროა გარემოს დასაცავად უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიების შემუშავება, საზოგადოების მეტად ინფორმირება ნიკოტინის, ალკოჰოლის, სწრაფი კვების მოხმარების მავნებლობისა და რისკების შესახებ.

სხვა ბევრი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რათა სრულად დაიძლიოს უამრავი დაავადება და აღმოიფხვრას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა ბევრი გადაუდებელი საკითხი. ჯანდაცვის სისტემების ეფექტიანმა დაფინანსებამ, სანიტარული მდგომარეობისა და ჰიგიენის გაუმჯობესებამ, მედპერსონალის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდამ და გარემოს დაბინძურების მაჩვენებლის შემცირებამ, შესაძლებელია, მილიონობით სიცოცხლე გადაარჩინოს.

## დილემა - გენმოდიფიცირებული ორგანიზმები - ჯანმრთელობის საფრთხე თუ შიმშილობის დაძლევა

გენეტიკურად მოდიფიცირებული (შემოკლებით, მათ გამო-ებსაც უწოდებენ) საკვები არის პროდუქცია, რომელიც წარმოებულია იმ მცენარეებისგან ან ცხოველებისგან, რომელთა დნმ-იც გენური ინჟინერიის გზით შეიცვალა. ადამიანების მიერ წლების განმავლობაში ხორციელდება მცენარეთა და ცხოველთა გენომების შეცვლა შეჯვარების ტრადიციული მეთოდების გამოყენებით. გენური ინჟინერია ორგანიზმის გენების პირდაპირ მანიპულაციას გულისხმობს. ბოლო დროს, თანამედროვე ბიოტექნოლოგიების მეშვეობით, შესაძლებელი გახდა ცოცხალი უჯრედებისა და ორგანიზმების გენების მოდიფიცირება. გენური მახასიათებლების მოდიფიცირება ხორციელდება ხელოვნურად, რათა მათ მიეცეთ ახალი შესაძლებლობები, მაგალითად, სხვა ორგანიზმის დნმ-ის გადანერგვის გზით. ამგვარად ხდება ჯიშების შერჩევა და პროდუქტებისთვის საჭირო თვისებების შეყვანა. პირდაპირ, მოლეკულურ დონეზე მცენარის გენში ჩარევით მცენარეს შეიძლება დაემატოს, მაგალითად, ყინვაგამძლეობა; ან დაუმოკლდეს და გაუმყარდეს ღერო, რათა შტორმული ხასიათის ქარებისთვის გახდეს მედეგი; ან სწრაფად დამწიფდეს, რაც ცივი სარტყელებისთვის არის მნიშვნელოვანი. ახალი ჯიშები გამძლეა მწერების, მავნებლების, პარაზიტებისადმი, რაც ზრდის მოსავალს. ამგვარად ძლიერდება მცენარეების უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს დაავადებებს, კლიმატს ან მწერებს, იზრდება მისი პროდუქტიულობა.

ტრადიციულად თუ მცენარეთა და ცხოველთა შეჯვარება ხდებოდა მათი თვისებების გაუმჯობესების მიზნით, ბიოტექნოლოგიამ ადამიანს მოლეკულების დონეზე მანიპულირების საშუალება მისცა და სოფლის მეურნეობა ბევრად უფრო პროდუქტიული და მომგებიანი გახადა.

გენური ინჟინერია 1970-იან წლებში დაინერგა. ჯიშის გამოყვანისგან განსხვავებით, ის პირდაპირ ახდენს დნმ-ის მანიპულირებას. პირველი კომერციული გენმოდიფიცირებული საკვები, პომიდორი კი აშშ-ში ბაზარზე 1994 წელს გამოიტანეს. როგორც წესი, არსებობს ორი

განსხვავებული მეთოდი: 1) ცისგენოზი, რომელიც გულისხმობს ორგანიზმების გენების „გაცვლას“ სახეობებს შიგნით, მაგალითად, ერთი ხორბლის მეორე ხორბალთან; და 2) ტრანსგენოზი, რომლის დროსაც სასურველი თვისებების მისაღებად კარგად გამოკვეთილი გენები ერთი სახეობიდან მეორე სახეობაში გადააქვთ.

საბოლოოდ, გენური ინჟინერია იმავე მიზნის მიღწევას ცდილობს, რასაც ჯიშის ტრადიციული გამოყვანა — შექმნას სასურველი თვისებების მქონე მცენარეები და ცხოველები. მაგრამ გენური ინჟინერია უფრო სწრაფია, ვიდრე ტრადიციულად გამოყვანა და ისეთი სახეობები ცვლიან ერთმანეთში გენებს, რომლებიც სხვა შემთხვევაში თავსებადი არ იქნებოდნენ.

სიმინდი, სოია, ხორბალი, ბრინჯი - ის კულტურული მცენარეებია, რომლებიც ადამიანის რაციონის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. მეცნიერებმა მათი ახალი ჯიშების გამოყვანით გაზარდეს მოსავლიანობა და შეამცირეს მოსავლის განადგურებასთან დაკავშირებული რისკები და ხარჯები.

ხშირად გენური ინჟინერიის შედეგად მცენარე ისეთ პირობებში ახერხებს ზრდას, სადაც ის ბუნებრივად ვერ გაიხარებდა. ცხოველების შემთხვევაში ქვეითდება დაავადებებისადმი მგრძობიანობა და იზრდება სარგებლიანობა. მაგალითად: ორაგული უფრო დიდი ზომის იზრდება და უფრო მალე აღწევს მომწიფების ასაკს; საქონელს უძლიერდება იმუნიტეტი და ა.შ. ასევე გმო-ებს იყენებენ კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად, მაგალითად: როგორც იყო ფილიპინებზე ვიტამინების ნაკლებობა. აღნიშნულის დასაძლევად გამოიყვანეს, ე.წ. ოქროს ბრინჯი და ხელოვნურად გაამდიდრეს ბეტა-კაროტინით.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა მოკლებულია შესაძლებლობას, მეცნიერულად შეაფასოს გენმოდირებული მოსავლის ბიოუსაფრთხოება, ჩაატაროს ეკონომიკური ექსპერტიზა, თავად გამოიყვანოს ახალი ჯიშები. ამდენად, მათი უსაფრთხოების სტანდარტები განვითარებული ქვეყნების კვლევებს ეფუძნება და მათ გამოცდილებას იზიარებს.

გენური ინჟინერიის დანერგვა აგრეთვე შეიცავს მოსალოდნელ რისკებს. ორგანიზმში საკვების მიღებისას შეიძლება მოხდეს ალერგენები, ან ის ტრანსგენები, რომლებიც ველური მონათესავე მცენარეებისგან გადმოვიდა. გარდა ამისა, იმის ალბათობა, რომ მავნებლები შეიძენენ უნარს, წინააღმდეგობა გაუწიონ გენმოდირებული მოსავლის ტოქსინებს, არის რეალური, რის გამოც იზრდება პესტიციდებისა და სხვა ქიმიკატების გამოყენება, რაც ბუნებას აბინძურებს და ადამიანის ჯანმრთელობასაც აზიანებს. ასევე ერთ-ერთმა ექსპერიმენტმა აჩვენა, როგორ გადაიქცევა სოიაში გადანერგილი გენეტიკური მასალა ბაქტერიად, რომელიც აგრძელებს სიცოცხლეს ადამიანის ნაწლავებში მაშინაც კი, როცა ადამიანი წყვეტს გენმოდირებული საკვების მიღებას. ანტიბიოტიკის გენმა, რომლის გადანერგვაც მოხდება გენმოდირებულ კულტურებში, შესაძლოა, წარმოქმნას დაავადებები, რომლებიც ანტიბიოტიკებს მიმართ გამძლეობის უნარს შეიძენენ, რაც მის განკურნებას გაართულებს. იმისათვის, რომ თანამედროვე ბიოტექნოლოგიები სრულიად უსაფრთხოდ განვითარდეს, ევროკავშირმა შეიმუშავა საკანონმდებლო „დირექტივა გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვების შესახებ (EC) 1829/2003“, რაც წარმოადგენს საერთო საკანონმდებლო ჩარჩოს ევროკავშირში გენმოდირებული საკვების რეგულირებისათვის. ეს ჩარჩო ითვალისწინებს გლობალურ მიზანს, რაც გულისხმობს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, გარემოსა და მომხმარებლის ინტერესების დაცვას. შიდა ბაზრის ეფექტურად მუშაობისთვის ბაზარზე განთავსებისას ის უზრუნველყოფს გმო-ის შემცველი პროდუქციის მარკირებას.

ევროკავშირში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცედურაა გენმოდელირებული ორგანიზმების ავტორიზაცია, რომლის ფარგლებშიც სპეციალური კომისია მართავს საჯარო კონსულტაციებს და რისკების აწონის შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს.

ევროკავშირის ქვეყნებში გენმოდელირებულ საკვებს უნდა ჰქონდეს თანდართული ეტიკეტი, რომელიც მიუთითებს მასში გენმოდელირებული ორგანიზმების არსებობაზე. ეს ეტიკეტი მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას და აძლევს მას არჩევანის საშუალებას. აგრეთვე სავალდებულოა, ამ პროდუქტებს დართული ჰქონდეს მიკვლევადობის დოკუმენტაცია, რაც გულისხმობს სრული ისტორიის წარმოდგენას საქონლის საწარმოო ჯაჭვის შესახებ.

ზოგიერთი წევრი ქვეყანა იყენებს, ე.წ. „დაცვით დათქმას“, რაც გულისხმობს გმო-ის საკუთარ ტერიტორიაზე გამოყენების/გაყიდვის აკრძალვას. ასეთი წევრი ქვეყნებია: ავსტრია, საფრანგეთი, უნგრეთი, გერმანია და ლუქსემბურგი.

რაც შეეხება საქართველოს, ინფორმაცია გენმოდელირებული ორგანიზმების შესახებ ძალიან მწირია. 2014 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი „ცოცხალი გენმოდელირებული ორგანიზმების შესახებ“. კანონის მოქმედების სფერო ვრცელდება მხოლოდ ცოცხალ გენმოდელირებულ ორგანიზმებზე, იგი არ მოიცავს გენმოდელირებულ პროდუქტებს და იმ სამკურნალო (ფარმაცევტულ) საშუალებებს, რომლებიც შეიძლება თავად წარმოადგენდნენ ან შეიცავდნენ გენმოდელირებულ ორგანიზმებს ან ინგრედიენტებს.

საქართველოში გენმოდელირებული პროდუქტის კონტროლი ვრცელდება სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი პროდუქტების იმპორტზე, რომლებიც შესაძლებელია წარმოადგენდეს გენმოდელირებულს (ინფორმაცია ალებულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდიდან).

სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდელირებული პროდუქტი ეტიკეტირებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

- გენმოდელირებული ორგანიზმის ეტიკეტის მარცხენა ზედა კუთხეში, წრიულ ფორმაში განთავსებული უნდა იყოს წარწერა – „გმო“, ხოლო გენმოდელირებული პროდუქტის ეტიკეტის მარცხენა ზედა კუთხეში, წრიულ ფორმაში წარწერა – „გმ“.
- აღნიშნული წარწერები იმდენად თვალსაჩინო, ადვილად აღქმადი და მკვეთრად გამოსახული უნდა იყოს, რომ მომხმარებელმა ადვილად შეძლოს მათი იდენტიფიცირება.
- თუ სურსათი/ცხოველის საკვები შედგება ერთი ან მეტი ინგრედიენტისგან, სიტყვები „გენეტიკურად მოდიფიცირებული“ ან „წარმოებულია გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმისგან“ მითითებული უნდა იქნეს ინგრედიენტების ჩამონათვალში ინგრედიენტის გასწვრივ;
- შეუფუთავ საკვებს თან უნდა ახლდეს საინფორმაციო ფურცელ-ჩანართი.

### შემთხვევის ანალიზი, დისკუსია

კობერიძეების ოჯახს იმერეთში მიტოვებული მიწა აქვს. ოჯახს უნდა, რომ გააშენოს კულტურული მცენარეები. მიწა არ არის გამოფიტული და იძლევა როგორც გმო-ის, ისე ორგანულად სუფთა პროდუქციის მოყვანის შესაძლებლობას. პირველ შემთხვევაში, ისინი მალევე მიიღებენ დიდ მოსავალს და მოგებას, მეორე შემთხვევაში კი მოსავალი და შესაბამისად, მოგებაც იქნება ნაკლები. თუმცა პროდუქცია იქნება ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და უფრო მაღალი ღირებულების.

ოჯახის წევრების აზრი ორად იყოფა გენმოდირიცირებულ ორგანიზმებთან დაკავშირებით. ახალგაზრდებისთვის უფრო მნიშვნელოვანია ორგანული პროდუქციის მოყვანა, ხოლო უფროსი თაობისთვის გენური ინჟინერიის მიღწევების გამოყენება. ოჯახში აზრთა სხვადასხვაობაა.

გამართეთ დისკუსია თემაზე

- უნდა გამოიყენებოდეს თუ არა საკვებად გენმოდირიცირებული საკვები. თუ მისი გამოყენება შეწყდება, რამდენად გაიზრდება ფასები პროდუქციაზე და როგორ აისახება ეს გლობალურად მიმშილსა და სიღარიბეზე?
- რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კობერიძეების ოჯახმა?
- შეაფასეთ ოჯახის შესაძლებლობები ორივე შემთხვევაში. რომელ პოზიციას იზიარებთ?
- მოიძიეთ არგუმენტები თქვენი პოზიციის გასამყარებლად, ასევე მოიძიეთ ინფორმაცია თქვენ საწინააღმდეგო მოსაზრებებზე.

## მდგრადი განვითარების მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის ხელშეწყობა ყველასათვის



განათლება უნდა იყოს სოციალურად სამართლიანი, ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი და გარემოსადმი ლოიალური და მასზე მზრუნველი. განათლება ზრდის სოციო-ეკონომიკურ მობილობას და არის სიღარიბის დაძლევის გასაღები; ხელს უწყობს უთანასწორობის შემცირებასა და გენდერული თანასწორობის მიღწევას; გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტოლერანტობისა და უფრო მშვიდობიანი საზოგადოებების განვითარებასა და ზოგადად, საზოგადოებისა და ქვეყნების პროგრესში.

განათლება საზოგადოებრივი სიკეთეა და ემსახურება ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებას. ის ასევე, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მისი სოციალიზაციის პროცესში, ეხმარება მას თვითრეალიზაციაში; ასწავლის დომინანტურ ღირებულებებს. რადგან ეს ღირებულებებიც ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, შესაბამისად, განათლების სისტემებიც განსხვავდება ერთმანეთისგან.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული განათლების ხელმისაწვდომობისა და სკოლაში ჩარიცხვის მაჩვენებლის ზრდის მიმართულებით ყველა დონეზე, განსაკუთრებით გოგონებისთვის. მიუხედავად ამისა, 2018 წელს დაახლოებით 258 მილიონი ბავშვი და ახალგაზრდა ჯერ კიდევ სასწავლებლის მიღმა რჩებოდა - რაც გლობალური მოსახლეობის სასკოლო ასაკობრივი ჯგუფის თითქმის მეხუთედია.

COVID-19-ის პანდემიის გამო მთელ მსოფლიოში ქვეყნებმა სკოლები დროებით დახურეს, რამაც გავლენა მოახდინა მოსწავლეთა 91 პროცენტზე. 2020 წლის აპრილისთვის 1,6 მილიარდი მოსწავლე არ სწავლობდა, ან სწავლების დისტანციურ ფორმატზე იყო გადასული. ქვეყნების

ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან და არსებული რეგულაციებიდან გამომდინარე სკოლები სხვადასხვა ხანგრძლივობით დაიხურა (3-დან 29 კვირამდე). სწავლების დისტანციურ ფორმებზე გადასვლა ყველამ ერთნაირად წარმატებით ვერ შეძლო. ასევე ყველა მოსწავლეს არ ჰქონია სასწავლო პროცესში მონაწილეობის საშუალება, რამაც კიდევ უფრო გაზარდა უთანასწორობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ასეთ სხვაობას „ციფრული გაყოფა“ ეწოდება.

## ფაქტები და მონაცემები

- ✓ კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის დაწყებამდე პროგნოზებმა აჩვენა, რომ 2030 წელს 200 მილიონზე მეტი ბავშვი სკოლაში არ ივლის, ხოლო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურს ახალგაზრდების მხოლოდ 60% დაამთავრებს.
- ✓ კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის დაწყებამდე დაწყებითი და საშუალო სკოლის ბავშვებისა და მოზარდების წილი, რომლებიც ვერ იღებდნენ განათლებას, 2000-2018 წლებში 26-დან 17%-მდე შემცირდა. სასკოლო განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების ნახევარზე მეტი სუბ-საჰარის აფრიკაში ცხოვრობს. ამ რეგიონის ბავშვების 85%-ზე მეტი ვერ სწავლობს აუცილებელ მინიმუმსაც კი.
- ✓ 617 მილიონ ახალგაზრდას მსოფლიოში აკლია მათემატიკური წიგნიერებისა და ზოგადად წიგნიერების საბაზისო უნარები.
- ✓ მხოლოდ 2016 წელს დაახლოებით 750 მილიონმა ზრდასრულმა, რომელთაგანაც ორი მესამედი ქალია, ვერ მიიღო განათლება, შესაბამისად, წერა-კითხვის უცოდინარი დარჩა.
- ✓ 2018 წელს იმ დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვებს შორის, რომლებიც სკოლაში არ დადიოდნენ, გოგონები 5,5 მილიონით სჭარბობდნენ ბიჭებს.
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 200 მილიონი ბავშვი 2030 წლისთვისაც სკოლის გარეთ დარჩება.
- ✓ 2017 წელს 4 მილიონ ლტოლვილ ბავშვს არ ჰქონდა პირობები, რომ სკოლაში ევლო.
- ✓ დაწყებითი საფეხურის სკოლების მხოლოდ 65%-ს აქვს სკოლაში წყალმომარაგება, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ხელების დაბანა, რაც კოვიდის პირობებში საბაზისო რეკომენდაციაა.
- ✓ კოვიდპანდემიის გამო გაიზარდა უთანასწორობა განათლებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, თუ განვითარებადი ქვეყნების მდიდარი ოჯახებიდან ბავშვების 79% ამთავრებს სკოლას, ღარიბი ოჯახებისთვის ეს მონაცემი მხოლოდ 34%-ს უტოლდება.
- ✓ მოშორებული (დისტანციური) სწავლება შემაფერხებელი აღმოჩნდა მრავალი ოჯახისთვის, გამოთვლებით 500 მილიონამდე ბავშვსა და მოზარდს არ ჰქონია წვდომა ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე, რის გამოც ვერ ერთვებოდნენ სასწავლო პროცესში.

## ძირითადი ტერმინების განმარტებები:

**ადრეული განათლება** - ადრეული განათლება და განვითარება მოიცავს მეცნიერულ ცოდნასა და პროფესიულ პრაქტიკას 0-დან 8 წლამდე ასაკის ბავშვის განათლებისა და განვითარების შესახებ. ის ადამიანის ცხოვრების ყველაზე სენსიტიურ და კრიტიკულ პერიოდს უკავშირდება. ეს არის ინტენსიური ზრდისა და განვითარების ეტაპი, სადაც ხარისხიანი ადრეული განათლებისა და განვითარების კონტექსტი, როგორც სოციალური თანასწორობის პირობა, განსაკუთრებით ღირებულია, ერთი მხრივ, ბავშვის აწმყოსა და მომავლის, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის.

**დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლება** - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სწავლების საფეხურებია. საფეხურების სახელწოდებები და ხანგრძლივობა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. დაწყებითი ქვედა საფეხურია და ძირითადად სწავლების პირველ 6 წელს მოიცავს; საბაზო, უმეტესად 3 ან 4 წელი გრძელდება, ჩვენთან - 3 წელი და მოიცავს მე-7-9 კლასებს; და საშუალო საფეხური, რომელიც ძირითადად დამამთავრებელ 2-3 კლასს მოიცავს. ჩვენთან 3 წელი გრძელდება და მოიცავს მე-10 - მე-12 კლასებს.

**ინჩონის დეკლარაცია** - ეს არის განათლება 2030-ის სამოქმედო ჩარჩო; 2015 წლის 4 ნოემბერს პარიზში, იუნესკოს შტაბბინაში, 38-ე გენერალურ კონფერენციაზე დამტკიცებული დოკუმენტი. მოქმედების ჩარჩო ქვეყნებისთვის წარმოადგენს გზამკვლევს, თუ როგორ განახორციელონ 2030-ის პროგრამა. ის მიზნად ისახავს ყველა დაინტერესებული მხარის მობილიზებას განათლებასთან დაკავშირებული ამბიციური მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და გვთავაზობს პროგრამის განხორციელების, კოორდინირების, დაფინანსებისა და გადახედვის გზებს როგორც ადგილობრივ და ეროვნულ, ასევე გლობალურ დონეზე - იმისთვის, რომ უზრუნველყოს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა ყველასათვის.

**იუნესკო (UNESCO)** - გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია - გაეროს სპეციალიზებული სააგენტო. მისი მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის განათლებისა და კულტურის, მეცნიერების, ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის ხელშეწყობა - რასის, სქესის, ენისა და რელიგიის მიუხედავად.

**საბაზისო უნარები** - ზოგადად წერა-კითხვასა და ანგარიშს შეეხება. ლისაბონის საბჭოს მოწოდებით კი მათ დაემატა ახალი უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისათვის, კერძოდ: საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები და მეწარმეობა.

**ციფრული გაყოფა** - პროცესი, რომელიც ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის არარსებობის გამო ზრდის უთანაბრობას მდიდრებსა და ღარიბებს შორის განათლების მიღების თვალსაზრისით.

**წიგნიერება** - ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობაა, რომლებიც შესაძლებელს ხდის ენის ეფექტურ გამოყენებას სწავლისა და კომუნიკაციის მიზნით როგორც სასკოლო, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში. მოიცავს კითხვის, მოსმენის, ზეპირი მეტყველებისა და წერის უნარებს; აგრეთვე - ენის სიმბოლოების ამოცნობა-გამოყენების უნარს, ისევე, როგორც ზეპირი, ვიზუალური, ნაბეჭდი თუ ციფრული ტექსტების გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევებს.

## განათლებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის მიზეზები და სისტემის გამორწვევები

ხარისხიანი განათლება არის მდგრადი განვითარების აუცილებელი წინაპირობა. იმ მიზეზებს შორის, რომლებიც აფერხებს განათლების მიღების შესაძლებლობას, არის ქვეყნების სიღარიბე, გენდერული უთანასწორობა, კვალიფიციური კადრების დეფიციტი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიურ განათლებაზე წვდომა ადგილობრივ მოსახლეობას მისცემს ყველა იმ მექანიზმს, რომლებიც საჭიროა მსოფლიოს წინაშე არსებული უდიდესი გამოწვევების ინოვაციური გადაწყვეტისათვის.

2018 წელს დაწყებითი სკოლის დამთავრების მაჩვენებელი 84%-ს გაუტოლდა, რაც 2000 წლის მაჩვენებელს 14%-ით აღემატებოდა, მიმდინარე ტენდენციებით კი 2030 წლისთვის 89%-ს მიაღწევს.

მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ყველა საფეხურის განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, გაიზარდა გოგონების სკოლაში ჩარიცხვის მაჩვენებელიც. თუმცა სკოლაში სიარული არ ნიშნავს მაღალ აკადემიურ მიღწევებს. განსაკუთრებით მოწყვლადია მარგინალიზებული ჯგუფები - მიგრანტები, ეთნიკური, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები, რომელთა შორის სჭარბობენ გოგონები. ბავშვების 52% დაწყებით საფეხურს დაგეგმილი აკადემიური შედეგით ასრულებს, 10% ახლოსაა ამ მონაცემებთან, ხოლო 38% ვერ აღწევს წიგნიერების შესაბამის დონეს.

ხარისხიანი განათლების ნაკლებობის მიზეზია სკოლებში არსებული პირობები, სათანადოდ მომზადებული მასწავლებლების ნაკლებობა. იმისათვის, რათა სიღარიბეში მცხოვრებმა ბავშვებმა მიიღონ ხარისხიანი განათლება, საჭიროა მასწავლებლების გადამზადება, რომ მათ შეძლონ ახალი გამოწვევების საპასუხოდ მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემა.

მიუხედავად იმისა, რომ წლებთან ერთად სკოლებში ჩარიცხვის მაჩვენებელი სტაბილურად იზრდება, კვლავ პრობლემად რჩება დაბალი აკადემიური მიღწევები და განათლების ხარისხი. 2011-2019 წლებში შეიკრიბა 74 ქვეყნის მონაცემები სამი და ოთხი წლის ასაკის ბავშვების შესახებ. ათიდან შვიდი ბავშვი სწორად ვითარდებოდა წიგნიერების, ფიზიკური და სოციალურ-ემოციური განვითარების თვალსაზრისით. 2018 წელს ზრდასრულთა (15 წლის და უფროსი ასაკი) 86%-ის, ხოლო ახალგაზრდების (15 -დან 24 წლამდე) - 92%-ის წიგნიერების დონე დამაკმაყოფილებელი იყო.

2018 წელს, დაახლოებით 773 მილიონმა ზრდასრულმა - რომელთაგან ორი მესამედი ქალი იყო - ვერ მიიღო განათლება და ვერ განივითარა წიგნიერების საბაზისო უნარები. COVID-19-ის გამო სკოლების მასობრივი დახურვა შეაფერხებს განათლების პროგრესს.

ყველაზე მეტად განათლების მიღებაში ბარიერები აქვთ სუბ-საჰარის აფრიკის მოსახლეობას, რომელიც გამოხატულია - არასაკმარისი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურით, რესურსით, მასწავლებლების დეფიციტით. ამ რეგიონში სკოლების ნახევარზე ნაკლებს არ აქვს სასმელი წყალი, ელექტროენერგია, კომპიუტერი და ინტერნეტი.

ქალები და გოგონები ის დიდი ჯგუფია, რომელსაც ეზღუდება განათლების მიღების უფლება. განვითარებადი ქვეყნების დაახლოებით მესამედმა ვერ მიაღწია გენდერულ პარიტეტს თუნდაც დაწყებით განათლებაში. განათლების სისტემის ამ ნაკლოვანებების გამო ახალგაზრდა ქალები შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ვერ ხდებიან.

მიგრანტებს, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს ხშირ შემთხვევაში არასათანადო დონის საგანმანათლებლო მომსახურება მიეწოდება. ამ ჯგუფებში მაღალია სკოლის მიტოვების მაჩვენებელიც, რასაც შედეგად მოჰყვება ადრეული ქორწინებები და გაზრდილი კრიმინალი. გარდა ამისა, არასრული განათლება მხოლოდ დაბალშემოსავლიან სამსახურში დასაქმების შესაძლებლობას თუ იძლევა.

დაწყებით განათლებაზე პროგრესის მიუხედავად, პრობლემად რჩება განათლების მომდევნო, ზედა საფეხურები. აქ პროგრესი დასაჩქარებელია.

## განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზები

განათლება უნდა იყოს ყველა მთავრობის პრიორიტეტი. მან ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას ყველასთვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, მასწავლებლების მოსამზადებლად.

ინჩეონის დეკლარაციის ხელმომწერები იმ ქვეყნების ლიდერები არიან, რომლებშიც არსებობს ჩამოყალიბებული ხედვა, დასაბუთებები და პრინციპები, როგორ უნდა ტრანსფორმირდეს განათლების სისტემა:

განათლებას ცენტრალური ადგილი უკავია მდგრადი განვითარების 2030-ის დღის წესრიგში და მდგრადი განვითარების მიზნების წარმატებით განხორციელების განუყოფელი ნაწილია. მის გარეშე ვერ მიიღწევა ჯანმრთელობის, ეკონომიკური ზრდის, დასაქმების მიზნები, ვერ დაიძლევა სიღარიბე და შიმშილობა, ვერ გაჯანსაღდება გარემო.

განათლება ეფექტურად უნდა პასუხობდეს მიმდინარე და მომავალ გამოწვევებს გლობალურ და ეროვნულ დონეზე. იგი უნდა ეყრდნობოდეს ადამიანის უფლებებისა და ღირსების პრინციპებს, სოციალურ სამართლიანობას, მშვიდობას, ინკლუზიასა და დაცულობას, ასევე - კულტურულ, ლინგვისტურ და ეთნიკურ მრავალფეროვნებას, გაზიარებულ პასუხისმგებლობებსა და ანგარიშვალდებულებას.

განათლება 2030-თან დაკავშირებულ სიახლეს წარმოადგენს:

ფოკუსირება განათლების ხელმისაწვდომობაზე, ინკლუზიაზე, თანასწორობაზე, ხარისხსა და სწავლების შედეგებზე ყველა დონეზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში; ყველას უნდა მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა და არავინ უნდა დარჩეს ამ შესაძლებლობის მიღმა. საჭიროა ძალისხმევის გაორმაგება, რომელიც მიმართული იქნება იმისკენ, რომ მოვიცვათ ისინი, ვინც მარგინალიზებულნი არიან ან იმყოფებიან მოწყვლად მდგომარეობაში. ყველა ადამიანს, განურჩევლად სქესისა, ასაკისა, რასისა, ფერისა, ეთნიკური კუთვნილებისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებისა, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობისა, ქონებრივი მდგომარეობისა თუ დაბადების ადგილისა, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მიგრანტებს, აბორიგენებს, ბავშვებსა და ახალგაზრდებს, განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში მყოფთ ან სხვა სტატუსის მქონეებს - უნდა ჰქონდეთ წვდომა ინკლუზიურ, თანასწორ ხარისხიან განათლებასა და სწავლის შესაძლებლობებზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ფოკუსირება უნდა მოვახდინოთ განათლების ხარისხზე. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რას და როგორ სწავლობენ მოსწავლეები.

განათლების სისტემები უნდა შეესაბამებოდნენ და პასუხობდნენ დასაქმების სწრაფად ცვლადად ბაზარს, ტექნოლოგიურ წინსვლას, ურბანიზაციას, მიგრაციას, პოლიტიკურ არასტაბილურობას, გარემოს დეგრადაციას, სტიქიურ საფრთხეებსა და კატასტროფებს, კონკურენციას ბუნებრივი რესურსებისთვის, დემოგრაფიულ გამოწვევებს, მზარდ უმუშევრობას გლობალური მასშტაბით, მუდმივ სიღატაკს, გაზრდილ უთანასწორობასა და მომატებულ საფრთხეებს, რომლებიც ემუქრება მშვიდობასა და უსაფრთხოებას. განათლებას მთავარი როლი ენიჭება სიღარიბის აღმოფხვრაში: იგი ეხმარება ადამიანებს, მიიღონ ღირსეული

სამსახური; ზრდის მათ შემოსავლებსა და პროდუქტიულობას, რაც ასაზრდოებს ეკონომიკურ განვითარებას. განათლება წარმოადგენს ყველაზე ძლიერ საშუალებას გენდერული თანასწორობის მისაღწევად, აძლევს რა გოგონებსა და ქალებს სრულ შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში და ანიჭებს მათ ეკონომიკურ ძალაუფლებას.

კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ადრეულ ასაკში ბავშვების მოვლისა და განათლების სერვისების მიწოდება ბავშვების გრძელვადიანი განვითარების, სწავლისა და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია: განათლების სისტემების მიერ იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა ბავშვი, ახალგაზრდა თუ ზრდასრული სწავლობდეს და ეუფლებოდეს შესაბამის უნარებს; ბავშვებმა, ახალგაზრდებმა და ზრდასრულებმა განივითარონ მოქნილი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც მათ სჭირდებათ უფრო დაცულ, მდგრად, ურთიერთდამოკიდებულ, ცოდნაზე დაფუძნებულ და ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ მსოფლიოში საცხოვრებლად და სამუშაოდ.

საჭიროა, ყველა ადამიანს ჰქონდეს ცოდნის მყარი საფუძველი, განვითაროს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, ერთობლივი უნარები და ცნობისმოყვარეობა, გამბედაობა და შეუპოვრობა; ყურადღება გაამახვილოს მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე განათლებასა და ადამიანის განვითარებასა და ეკონომიკას, სოციალურ და ეკოლოგიურ მდგრადობას შორის. განათლება განიხილება, როგორც განუყოფელი და გადამწყვეტი ასპექტი, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და გლობალური მოქალაქეობის გაძლიერებას, ტოლერანტობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას და ასევე, მდგრად განვითარებას. ის ფასილიტაციას უწევს კულტურებს შორის დიალოგს და ავითარებს პატივისცემას კულტურული, რელიგიური და ლინგვისტური მრავალფეროვნების მიმართ, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია სოციალური ერთსულოვნებისა და სამართლიანობის მისაღწევად.

განათლება, ასევე, ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საშუალებაა ადამიანების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. იგი სიცოცხლეს უნარჩუნებს მილიონობით დედასა და ბავშვს, ხელს უწყობს ავადმყოფობის პრევენციასა და შეჩერებას. ის წარმოადგენს არასაკმარისი კვების პრობლემის გადაჭრისკენ მიმართულ ძლიერ იარაღს. გარდა ამისა, განათლება ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას. ის არის დაცვის საიმედო საშუალება იმ ბავშვების, ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისთვის, რომელთა ცხოვრებას განადგურებას უქადის კრიზისები და კონფლიქტები. ის მათ აღჭურავს იმ ინსტრუმენტებით, რომლებიც საჭიროა უწინდელი, მშვიდობიანი ცხოვრების აღსადგენად.

განათლების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები გვხვდება იქ, სადაც კონფლიქტი და საგანგებო მდგომარეობაა. ამიტომ სისტემები უნდა იყოს მეტად გამძლე და ოპერატიული კონფლიქტის, სოციალური არეულობისა და ბუნებრივი საფრთხეების პირობებში. მან უნდა უზრუნველყოს განათლების პროცესის შენარჩუნება საგანგებო სიტუაციის, კონფლიქტისა და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში. განათლებას ასევე ცენტრალური ადგილი უკავია კონფლიქტებისა და კრიზისების პრევენციაში, მათ შერბილებასა და მშვიდობის ხელშეწყობაში.

## ქეისი - განათლების სისტემის ციფრული გაყოფა - განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემები თუ შესაძლებლობები

„ციფრული გაყოფა“ - არის ტერმინი, რომლითაც აღინიშნება ინტერნეტზე, ციფრულ ტექნოლოგიებსა და მოწყობილობებზე წვდომის განსხვავებული შესაძლებლობები, რომლებიც გამოწვეულია სოციალურ-ეკონომიკური დონის, ასაკის, ქალაქისა და სოფლის, ქვეყნებს შორის, გენდერული თუ ეთნიკური სხვაობებით. ამავდროულად, ციფრული გაყოფა გულისხმობს კომპეტენციებს შორის სხვაობებს, რომლის ფარგლებშიც მათ, ვისაც მეტი ისტ კომპეტენცია აქვთ, უკეთ ახერხებენ მიღწევებისა და საზოგადოებრივი სიკეთეების გამოყენებას.

თუკი პანდემიამდე ამ კომპეტენციების ქონა და ტექნოლოგიებზე წვდომა აუცილებლობას გარკვეული პროფესიის ადამიანებისთვის წარმოადგენდა, ახლა ის ყველასთვის აუცილებელი გახდა. მოსწავლეს, სტუდენტს, დასაქმებულს - გარკვეული დოზით ყველას სჭირდება ონლაინკომუნიკაცია.

ციფრულ გაყოფაზე, როგორც პრობლემაზე საუბარი თავდაპირველად განვითარებულ ქვეყნებში XX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, როცა ინტერნეტმა და კომპიუტერებმა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა. პანდემიამ ეს პრობლემა ჩვენთანაც ფართო მასშტაბით გამოავლინა. ეს საკითხი მრავალმხრივად გასაანალიზებელია განათლების სისტემაშიც.

2020 წელი მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის გამოწვევებით სავსე აღმოჩნდა. პანდემიამ არა მხოლოდ ჯანდაცვის სისტემები დააყენა დიდი გამოწვევის წინაშე, არამედ ყველა სხვა სფეროსაც თავისი კვალი დაატყო. ის გზები, რომლებიც ქვეყნებს განვითარებისთვის ჰქონდათ დასახული, აღარ აღმოჩნდა ახალი მოცემულობის ადეკვატური, სწრაფად გადაწყობილი დარგების უმრავლესობა კი დაზარალდა. განათლების სისტემაც არ აღმოჩნდა გამონაკლისი და აქაც საჭირო გახდა სწრაფი ცვლილებები. მიუხედავად სახელმწიფოების მხრიდან გაღებული უზარმაზარი ძალისხმევისა, 1,6 მილიარდ ბავშვსა და მოზარდს მაინც შეექმნა პრობლემა ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით. გლობალური პანდემიის შედეგად სკოლების დახურვამ მილიარდი მოსწავლე სკოლის მიღმა დატოვა. ქვეყნები და ოჯახები მძიმე ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდნენ, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა უთანასწორობა განათლების მიღების თვალსაზრისით.

UNESCO-ს ვებგვერდზე პანდემიის დაწყებიდან ინტერაქციულ რეჟიმში ქვეყნდება მონაცემები (2021 აპრილი) სკოლების დახურვის შესახებ. მათი ცნობით, სკოლების დახურვამ საშუალოდ 3,5 თვე გასტანა. ევროპის ქვეყნებმა მოახერხეს, ეს შეზღუდვები 10 კვირამდე დაეყვანათ, ხოლო კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებმა და ლათინურმა ამერიკამ კი 20 კვირაზე მეტი ხნით ჩაკეტეს სკოლები. საქართველოში სკოლები 29 კვირით დაიკეტა.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში უთანასწორობის საკითხი აქტუალურობას არ კარგავს. ხარისხიან განათლებაზე განსხვავებული ხელმისაწვდომობა აქვთ მოსწავლეებს, იმის მიხედვით - სად ცხოვრობენ, რომელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა თუ სქესის არიან. COVID19-ის საგანმანათლებლო სისტემაზე გავლენის შესასწავლად ჩატარებულმა არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ სასწავლო დანაკარგები უთანასწოროდ არის განაწილებული. კერძოდ, მოწყვლადი ჯგუფებისათვის ის მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მოსწავლეთა მენისტრიმული უმრავლესობისათვის (UNESCO, UNICEF and the World Bank, 2020). პანდემიამ საგანმანათლებლო სივრცეში უკვე არსებული უთანასწორობა

კიდევ უფრო გაამწვავა. დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის შედეგად, სასწავლო პროცესი მეტად გახდა დამოკიდებული საშინაო გარემოზე და შესაბამისად, მოსწავლისა თუ მასწავლებლის სოციალურმა, ეკონომიკურმა, დემოგრაფიულმა მდგომარეობამ მეტი გავლენა იქონია განათლების ხარისხზე.

მკვლევრების, ჰანუშეკისა და ვოესმანის აზრით, კორონავირუსის დროს განათლებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მომავალში ეკონომიკურ შედეგზე აისახება. მათი შემოსავლები, ვისაც ამ პერიოდში განათლებაზე ხელმისაწვდომობა თუნდაც მცირედით შეეზღუდა, მომავალში მინიმუმ 3%-ით შემცირდება. დანაკარგი მეტი იქნება იმ შემთხვევაში, თუ განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემები გახანგრძლივდება. ეკონომიკურ დანაკარგები მატულობს, როცა მოსწავლეთა კოგნიტური უნარების განვითარების შეზღუდვის გარდა, სახეზეა მოსწავლეების სოციო-ემოციური განვითარების შეფერხებაც.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა 47% ციფრული სწავლების პირობებში სასწავლო პროცესების მიღმა აღმოჩნდა. რეგიონული განაწილების სურათი ხაზს უსვამს ციფრული გაყოფის მასშტაბებს. ასე, მაგალითად, თუ განვითარებულ ქვეყნებში და კერძოდ, დასავლეთ ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში მოსწავლეთა 14%-ს არ აქვს ინტერნეტზე წვდომა, ეს მაჩვენებელი არაბულ ქვეყნებში 34%-ამდე იზრდება, აზიასა და ოკეანეთში უკვე 49%-ია, ხოლო ტროპიკული აფრიკის ქვეყნებში 80%-ს შეადგენს. ნათელია, რომ ქვეყნის ეკონომიკა პირდაპირ კავშირშია განათლების ხელმისაწვდომობასთან.

აღნიშნული გამოწვევების დაძლევის მიზნით, მთავრობებმა დაიწყეს სასწავლო დანაკარგების შეფასება რემედიალური ინიციატივების განსახორციელებლად, რაც რიგი მკვლევრებისა და ორგანიზაციების მიერ სკოლების დახურვის ეფექტის შემცირების უალტერნატივო გზად მიიჩნევა. გლობალური პანდემიის შედეგები აისახა საქართველოს განათლების სისტემაზეც. თუმცა, მოსალოდნელი სასწავლო დანაკარგების მონიტორინგი და კვლევა ახალი სასწავლო წლისთვის არ განხორციელებულა. შესაბამისად, სკოლების დახურვის პირველი ტალღის შემდგომ სისტემამ მუშაობა რემედიაციის სტრატეგიის გარეშე დაიწყო.

მოსწავლეთა მოტივაცია დაეცა დისტანციური/ჰიბრიდული სწავლების დროს. სწავლის მოტივაციის დაცემა, რესპონდენტების შეფასებით, ძირითადად უკავშირდება: თანატოლებთან კომუნიკაციის შემცირებას; სასწავლო პროცესის ხშირი ცვლილებითა და დაბალი ხარისხის ტექნიკის/ინტერნეტის გამოყენებით გამოწვეულ სტრესს. ასევე, მოტივაციასთან მიმართებით აუცილებელია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება. გარდატეხის ასაკში მოზარდები განსაკუთრებით საჭიროებენ ემოციურ, სოციალურ მხარდაჭერას, თვითგამორკვევასა და სოციალურ გარემოში თვითდამკვიდრებას. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების შეფასებით, მოსწავლეების მოტივაცია დისტანციური სწავლების საწყის ეტაპზე იყო უფრო მაღალი, ვინაიდან მათთვის ამ ტიპის სწავლება იყო სიახლე და ცნობისმოყვარეობით უკიდებოდნენ ახალ გამოწვევას. თუმცა, დროთა განმავლობაში ინტერესი განელდა.

დისტანციურმა სწავლებამ წაშალა სხვაობა სკოლასა და სახლს შორის. მოსწავლეებისთვის სკოლის, როგორც ძირითადი საგანმანათლებლო ინსტიტუციისა და სოციალიზაციის ადგილის როლი შეითავსა სახლმა, რამაც გავლენა იქონია მათ რუტინაზე, სასწავლო პროცესზე და სკოლის მიმართ მათ დამოკიდებულებაზე. ინტერაქციისა და სოციალიზაციის დეფიციტი განსაკუთრებით გამოიკვეთა იმ სკოლებსა და რეგიონებში, რომლებშიც სწავლა დიდი ხნის განმავლობაში იყო შეწყვეტილი (აჭარის რეგიონი, თბილისი და სხვა დიდი ქალაქები) და -

დაწყებით საფეხურზე, როდესაც მოსწავლეები არ იცნობდნენ ერთმანეთს, და თანაკლასელებსა და მასწავლებლებს ონლაინგაკვეთილებზე ეცნობოდნენ. პროცესში მოსწავლეების პასიური მონაწილეობა განპირობებული იყო ასევე არასათანადო სასწავლო გარემოთი გამოწვეული სტრესით, ვინაიდან რიგ შემთხვევაში, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე და ასევე მრავალშვილიანი ოჯახების მოსწავლეებს არ ჰქონდათ საკუთარი სივრცე და დამოუკიდებლად მუშაობის ან/და გაკვეთილში მონაწილეობის საშუალება.

კრიზისის დროს გაჩენილ პერსპექტივებზე ყურადღებას ამახვილებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის სტატია (The COVID-19 pandemic has changed education forever. This is how. April 2020). გამოითქვა მოსაზრება, რომ ონლაინსწავლებაზე დაუგეგმავი და სწრაფი გადასვლა მომავალში შექმნის ახალ, ჰიბრიდულ მოდელს. საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრაცია განათლებაში კიდევ უფრო დაჩქარდება და ონლაინსწავლება სასკოლო განათლების შემადგენელი ნაწილი გახდება. ონლაინსწავლების ტექნოლოგია საკუთარ პოტენციალს გამოამჟღავნებს.

მის დადებით მხარეებზე არაერთი ავტორი საუბრობს. ზაფხულში ბევრი თავისუფალი დრო ბავშვებს მეტი კრეატიულობის გამოამჟღავნების საშუალებას აძლევდა. მათი თქმით, ბავშვებს თავისუფალი დრო ასაზრდოებს. მიმდინარე კრიზისმა საშუალება მისცა მათ, განვითარებულიყვნენ ბევრი სხვადასხვა მიმართულებით, რის საშუალებაც „ნორმალურ“ დროს არ მიეცემოდათ. ბავშვებმა დაიწყეს ოჯახური პასუხისმგებლობების აღება, ასევე, გამოცდილებით ისწავლეს, როგორ გაერთონ თავი და როგორ დაგეგმონ/მართონ სწავლა.

გაეცანით ქეისს. სვოტ-ანალიზის მეთოდით გაანალიზეთ, რა შედეგები მოიტანა განათლების სისტემის ციფრულმა გაყოფამ.

დილემა: სკოლა, რომლის მოსწავლეების 19%-ს არ აქვს ლეპტოპი, ან თუნდაც ჭკვიანი ტელეფონები, რომელთა ჩართვაც შეიძლება ინტერნეტში და შესაბამისად, გაკვეთილებზე დასწრება, დილემის წინაშე დგას. ერთი მხრივ, გაზრდილია კოვიდის შემთხვევები და სკოლას დასწრებულ ფორმატში უჭირს სწავლების გაგრძელება, მეორე მხრივ, მოსწავლეების 19% ვერ ახერხებს ონლაინგაკვეთილებზე დასწრებას და სწავლის გაგრძელებას.

- რა გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სკოლამ არსებულ სიტუაციაში - რა არის უპირატესი - მოსწავლეებისა და მასწავლებლების ჯანმრთელობის გაფრთხილება, თუ განათლებაზე ხელმისაწვდომობა?
- რა გამოცდილება არსებობს საერთაშორისო დონეზე?
- რა პრობლემები წარმოქმნა პანდემიამ, ონლაინსწავლებამ?
- როგორ გადაიჭრას პრობლემა?

## მდგრადი განვითარების მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას გაძლიერება



გენდერული თანასწორობა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებაა. ქალებს უფლება აქვთ, იცხოვრონ ღირსეულად, სიღარიბისა და შიმშის გარეშე. ქალთა გაძლიერებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მდგრადი განვითარების მისაღწევად და სიღარიბის აღმოსაფხვრელად. ის არის საფუძველი მშვიდობიანი, სამართლიანი, წარმატებული და მდგრადი მსოფლიოსთვის. ძლიერი ქალები ხელს უწყობენ ოჯახებისა და თემების კეთილდღეობასა და პროდუქტიულობას, და მომავალი თაობის სამომავლო პერსპექტივების გაუმჯობესებას.

მაშინ, როდესაც ათასწლეულის განვითარების მიზნების ფარგლებში მსოფლიომ მიაღწია გოგონათა გაძლიერებას, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ქალები ჯერ კიდევ დისკრიმინაციის მსხვერპლი არიან.

სამწუხაროდ, დღეისათვის, ყოველწლიურად საშუალოდ 15-49 წლამდე ასაკის ქალებიდან ყოველი მეხუთე პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის ან სექსუალური შევიწროების მსხვერპლია. ამასთან მსოფლიოს მასშტაბით 49 ქვეყნის ფარგლებში ჯერ კიდევ არ არის მიღებული კანონმდებლობა ქალების ოჯახური ძალადობისგან დასაცავად.

გენდერული თანასწორობის მიმართულებით პროგრესი სახეზეა, თუმცა ჯერ კიდევ ვხვდებით ნაადრევ ქორწინებებსა და ქალთა გენიტალიების დასახიჩრებას, რაც გასული ათწლეულის განმავლობაში 30%-ით იქნა შემცირებული, თუმცა, ამ ზიანის მომტანი პრაქტიკის სრულად აღმოსაფხვრელად გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ქალთათვის განათლებაზე, ჯანდაცვაზე, ღირსეულ სამუშაოებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ასევე, მათი წარმომადგენლობა პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხელს შეუწყობს მდგრად ეკონომიკას, დიდ სარგებელს მოუტანს საზოგადოებას და ზოგადად, კაცობრიობას. სამუშაო ადგილზე ქალთა თანასწორობისათვის ახალი სამართლებრივი ჩარჩოების დანერგვა და ქალთა მიმართ ძალადობრივი პრაქტიკის აღმოფხვრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა დასრულდეს ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული გენდერული დისკრიმინაცია.

### ფაქტები და მონაცემები:

- ✓ მსოფლიოს მასშტაბით 750 მილიონი ქალი დაქორწინებულია 18 წლამდე ასაკში. სულ მცირე 200 მილიონი ქალი გამხდარა გენიტალიების დასახიჩრების მსხვერპლი მსოფლიოს 30 ქვეყანაში. 2000 წელთან შედარებით, როცა ეს მაჩვენებელი გოგონების ნახევარს გულისხმობდა, 2017 წელს მესამედამდე შემცირდა.
- ✓ მსოფლიოს 18 ქვეყანაში ქმარს სამართლებრივად აქვს უფლება, მეუღლეს აუკრძალოს მუშაობა; მსოფლიოს 39 ქვეყანაში გოგონებს და ბიჭებს არ აქვთ თანაბარი მემკვიდრეობითი უფლებები, ხოლო მსოფლიოს 49 ქვეყანას ჯერ კიდევ არ აქვს სათანადო კანონმდებლობა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა ქალების დაცვა ოჯახური ძალადობისგან.

- ✓ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ყოველი მეხუთე ქალი (რომელთა 19% 15-49 წლამდე ასაკისაა) გამხდარა ფიზიკური ან/და სექსუალური შევიწროების მსხვერპლი საკუთარი პარტნიორის მხრიდან. თუმცა, 49 ქვეყანას ჯერ კიდევ არ აქვს სათანადო კანონმდებლობა იმისათვის, რათა ქალები მსგავსი ძალადობისგან დაიცვას.
- ✓ მაშინ, როდესაც მსოფლიოს მასშტაბით ქალებმა მნიშვნელოვნად გაიკვალეს გზა პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათი წარმომადგენლობა ეროვნულ პარლამენტში 23.7%-ს შეადგენს, რაც ჯერ კიდევ შორს არის პარიტეტულობისგან.
- ✓ ქალების მხოლოდ 52%-მა მიიღო დამოუკიდებელი ქორწინების, სქესობრივი კავშირის, კონტრაცეპტივების გამოყენების ან ჯანმრთელობაზე ზრუნვის გადაწყვეტილება.
- ✓ მსოფლიოს მასშტაბით ქალების მხოლოდ 13%-ია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელი.
- ✓ 100-ზე მეტმა ქვეყანამ მიიღო ზომები და გამოყო ბიუჯეტი გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად.
- ✓ სამხრეთ აზიაში გოგონების ადრეული ქორწინების რაოდენობა 40%-ით შემცირდა.
- ✓ მეტი ქალი იკავებს მენეჯერულ პოზიციას. პარლამენტში საშუალოდ 25%-მდე, ადგილობრივ თვითმმართველობებში კი - 36%-მდე ქალია.

### **პანდემიის დროს**

- ✓ მიუხედავად იმისა, რომ კოვიდთან ბრძოლის წინა ხაზზე სოციალური მუშაკებისა და მედპერსონალის 70% ქალი იყო, ისინი ნაკლებად მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიმღებ საბჭოებში, რაც მათი პრობლემების ასახვას უშლიდა ხელს.
- ✓ ქვეყნებში კარანტინისა და ჩაკეტვის შედეგად ოჯახური ძალადობის (ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური) რიცხვი სულ მცირე 30%-ით გაიზარდა.
- ✓ არაპროპორციულად გაიზარდა ქალების დატვირთვა, მათ არაანაზღაურებად საოჯახო საქმეებში მეტი დროის დახარჯვა მოუწიათ.

### **ტერმინები**

**გენდერი** - ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებული როლებია, რომლებიც მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით მიეწერებათ. ამდენად გენდერული როლი დამოკიდებულია კონკრეტულ სოციო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტუროლოგიურ კონტექსტზე და განიცდის სხვადასხვა ფაქტორის გავლენას რასის, ეთნიკურობის, კლასის, სექსუალური ორიენტაციისა და ასაკის მიხედვით. გენდერული როლები მკვეთრად განსხვავებულია ცალკეული კულტურის ფარგლებში და კულტურებს შორის. თანამედროვე კვლევებში ყველა ავტორი ეყრდნობა გენდერის, როგორც სოციალური სქესის გაგებას.

### **გენდერული უთანასწორობის მიზეზები**

ქალები და გოგონები წარმოადგენენ მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარს და შესაბამისად, მისი პოტენციალის ნახევარსაც. მაგრამ დღეს გენდერული უთანასწორობა სოციალური პროგრესის სტაგნაციის გამომწვევი მიზეზია.

გოგონების წინაშე არსებული უთანასწორობა შეიძლება დაიწყოს დაბადებიდან და გაგრძელდეს მთელი ცხოვრება. ზოგიერთ ქვეყანაში გოგონას არ აქვს საშუალება, მიიღოს სასურველი

განათლება, ჯანდაცვა ან თუნდაც სრულფასოვანი კვება, რაც ქალთა სიკვდილიანობის უფრო მაღალი მაჩვენებლის მიზეზია.

გენდერული უთანასწორობის უმთავრეს მიზეზებს შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

**განათლებაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა** - მთელ მსოფლიოში ქალებს მამაკაცებთან შედარებით ჯერ კიდევ ნაკლებად მიუწვდებათ ხელი განათლებაზე. სწორედ ახალგაზრდა ქალების ჯგუფი შეადგენს იმ ადამიანების 58%-ს, რომლებსაც არ აქვთ წიგნიერების საბაზისო უნარები. როდესაც გოგონებს არ აქვთ ბიჭების დონის განათლება, ეს ღიდ გავლენას ახდენს მათ მომავალზე, არ ხდის მათ კონკურენტუნარიანს შრომის ბაზარზე და შესაბამისად, ვერ ხდის მათ ეკონომიკურად დამოუკიდებელს.

**დასაქმებისას თანასწორობის ნაკლებობა** - ქვეყნების მხოლოდ მცირე რაოდენობა აძლევს ქალს იმავე ლეგალურ სამუშაო უფლებას, რომელსაც მამაკაცს. სინამდვილეში, ეკონომიკის უმეტეს სექტორში ქალი მხოლოდ იმ უფლებების 1/3-ით სარგებლობს, რომლებიც აქვთ მამაკაცებს. იგივე ეხება ანაზღაურებასაც, ქალები მამაკაცებზე ნაკლებს გამოიმუშავენ, ხშირად ერთსა და იმავე პოზიციაზეც. ასევე აღსანიშნავია, რომ ქალს ბევრად მეტი სამუშაოს შესრულება უხდება სახლში, რომელიც არ არის ანაზღაურებადი, დამატებითი ტვირთია მისთვის და არ აძლევს მას საშუალებას, მეტად კონცენტრირდეს კარიერაზე, პროფესიულ განვითარებასა თუ დასვენებაზე.

**სამართლებრივი დაცვის ნაკლებობა** - მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, მილიარდზე მეტი ქალი სამართლებრივად ვერ იცავს თავს ოჯახში სექსუალური, ფიზიკური და ეკონომიკური ძალადობისგან. ბევრ ქვეყანაში ასევე არ არსებობს სამართლებრივი დაცვის საშუალება სამუშაო ადგილზე, სკოლასა და საზოგადოებაში, როდესაც ქალი შევიწროებულია. სამართლებრივი დაცვის გარეშე, ქალს გადაწყვეტილების მიღებისას ხშირად უწევს კომპრომისზე წასვლა და ძალადობასთან შეგუება. ასევე ხშირია, როცა ქალს არ აქვს უფლება საკუთრებაზე. ეს მანკიერი პრაქტიკა მას დაუცველს ტოვებს.

**საკუთარ სხეულზე და ცხოვრებაზე კონტროლის ნაკლებობა** - ბევრი ქალი მოკლებულია არჩევანს, როდის გათხოვდეს, როდის გახდეს მშობელი. არ მიუწვდება ხელი ოჯახის დაგეგმვის სერვისზე ან ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე როგორც ფიზიკურად, ისე ეკონომიკურად, ასევე კულტურული/რელიგიური მოსაზრებით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ეს პრობლემა 200 მილიონზე მეტ ქალს ეხება. ასეთი ქალები ხშირად ფინანსურად დამოკიდებულნი ხდებიან სხვა პირზე ან სახელმწიფოზე, შედეგად, კარგავენ თავისუფლებას.

**უხარისხო სამედიცინო მომსახურება** - კონტრაცეფციაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის გარდა, ქალები ზოგადად იღებენ უფრო დაბალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას, ვიდრე მამაკაცები. ეს დაკავშირებულია გენდერული უთანასწორობის სხვა მიზეზებთან, როგორცაა - განათლების ნაკლებობა ეკონომიკური შესაძლებლობები, რაც ქალებს სიღარიბეში აგდებს და შესაბამისად, მიღებული სამედიცინო მომსახურებაც არაა მაღალი ხარისხის, ან საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ბევრი ქალი ცხოვრობს სხვადასხვა ავტოიმუნური დარღვევებითა და ქრონიკული ტკივილით, რაც აქვეითებს მის პროდუქტიულობასა და შესაძლებლობებს.

**რელიგიური თავისუფლების ნაკლებობა** - რელიგიისგან თავისუფლების შეზღუდვა ყველაზე მეტად ქალებზე აისახება. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის თანახმად, როდესაც

საზოგადოებაში ვრცელდება ექსტრემისტული იდეოლოგიები, ძლიერდება გენდერული უთანასწორობა. მათ ეკრძალებათ საზოგადოებრივ და ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა, მათი ვალდებულებები ოჯახის მოვლით შემოიფარგლება. რელიგიური თავისუფლება პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკურ პროგრესზე.

**კულტურული საფუძვლები** - არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რა გენდერულ როლს აკისრებს საზოგადოება თითოეული სქესის წარმომადგენელს. ეს როლები შესაძლოა ზღუდავდეს ადამიანის ქცევას. ხშირად ტრადიციული კულტურაც ქალის როლს მხოლოდ ოჯახთან მიმართებაში განიხილავს. მათ ეკრძალებათ საზოგადოებრივ და ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა, მათი ვალდებულებები ოჯახის მოვლით შემოიფარგლება. ხშირად გოგონასა და ბიჭს ოჯახში სხვადასხვანაირად ზრდიან. გახშირდა შერჩევითი აბორტიც, რასაც გოგონაზე ორსულობისას მიმართავენ. კულტურულ კონტექსტში გენდერული როლები ცვალებადია; იცვლება პასუხისმგებლობები, მოლოდინი, უფლებები.

**პოლიტიკური წარმომადგენლობის ნაკლებობა** - 2019 წელს მსოფლიოს მასშტაბით პარლამენტში ქალთა რაოდენობა 24.3% იყო. ამავე წლის მონაცემებით, მხოლოდ 11 სახელმწიფოს მეთაური იყო ქალი. წლების განმავლობაში ამ სფეროში პროგრესის მიუხედავად, ქალები მაინც ნაკლებად არიან წარმოდგენილი მთავრობასა და პოლიტიკურ პროცესებში. ეს ნიშნავს, რომ გარკვეულ საკითხებს, რომლებიც ქალებისთვისაა მნიშვნელოვანი (დეკრეტული შვებულება და ბავშვზე ზრუნვა, დახმარებები, გენდერული თანასწორობის კანონები, კვოტირება), ნაკლები მხარდამჭერი ჰყავს და ხშირად უგულებელყოფილია.

**საზოგადოებრივი აზროვნება** - ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზის აღმოფხვრას საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, ტრადიციული ქალი/კაცის როლების შესახებ ცნობიერების ამაღლება, გენდერული თანასწორობის აღიარება და ძალისხმევის ამ მიმართულებით წარმართვა სჭირდება. ამისთვის კი სასკოლო პროგრამებში, საკანონმდებლო დონეზე საჭიროა გენდერული მეინსტრიმინგი.

## როგორ იზომება გენდერული თანასწორობა

გენდერული თანასწორობის დადგენა აუცილებელია იმისთვის, რომ გავიგოთ უთანასწორობის მასშტაბები, შეგვეძლოს მონაცემებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღება. დღეისთვის ამის არაერთი საზომი გამოიყენება, შევჩერდეთ მათგან რამდენიმეზე.

**გენდერისა და განვითარების ინდექსი** წარმოადგენს ადამიანის განვითარების ინდექსს (Human Development Index, HDI), რომელიც ქალებისა და კაცების მონაცემების სეგრეგაციით გამოითვლება. ის სამი თანაბრად შეწონილი კომპონენტისგან შედგება:

**ჯანმრთელობა** - იზომება სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით;

**განათლება** - წერა-კითხვის დონითა და მოსწავლეთა კომბინირებული ჩარიცხვის პროცენტული ოდენობით სწავლების პირველ, მეორე და მესამე საფეხურებზე;

**შემოსავალი** - ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული შემოსავლით აშშ დოლარში, მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით.

ინდექსის სკალა 0-დან 1-მდე მერყეობს, სადაც 0.8 - 1 ასახავს ადამიანის მაღალი განვითარების დონეს, 0.5 - 0.79 - საშუალოს, ხოლო 5-ზე ნაკლები - დაბალს.

**გენდერული გაძლიერების საზომი** აჩვენებს, შეუძლიათ თუ არა ქალებს, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური, ეკონომიკური გადაწყვეტილების პროცესებში. გენდერული გაძლიერების საზომი ასახავს იმ უთანასწორობას, რომელიც არსებობს ქალსა და მამაკაცს შორის სამი მიმართულებით:

**პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღების საშუალება**, რომელიც გამოითვლება ქალი და მამაკაცი პარლამენტარების პროცენტული შეფარდების მიხედვით;

**ეკონომიკაში ჩართულობა და გადაწყვეტილებების მიღების საშუალება**, რომელიც გამოითვლება ორი პარამეტრის - ქალი და მამაკაცი კანონმდებლების, მაღალი თანამდებობის პირებისა და მენეჯერების პროცენტული შეფარდებებისა და ტექნიკურ/კვალიფიცირებულ მუშახელს შორის ქალისა და მამაკაცის რაოდენობის პროცენტული შეფარდების მიხედვით.

**ეკონომიკური რესურსების ფლობა**, რომელიც გამოითვლება ქალების და მამაკაცების მიერ გამოთქმავებული ანაზღაურების მიხედვით (შემოსავალი იზომება აშშ დოლარში მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით).

თითოეული კომპონენტისთვის გამოითვლება პროცენტი. საბოლოო გენდერული გაძლიერების მაჩვენებლები მიიღება ზემოაღნიშნული სამი კომპონენტის თანაბრად განაწილებული ეკვივალენტის საშუალო პროცენტის გამოთვლით. მაჩვენებლები განაწილებულია 0-დან 1-მდე სკალაზე, სადაც მიღებული ქულა ასახავს სამივე კომპონენტის მიხედვით თანაბრად განაწილებული ეკვივალენტის პროცენტს, ანუ აღნიშნული კომპონენტების მიხედვით განსხვავებას ქალებისა და მამაკაცების მიერ დაკავებულ პოზიციებში. შესაბამისად, ქულა 1 არის იდეალური თანასწორობა, სადაც თანაბრად განაწილებული ეკვივალენტი მიღებულ ქულას ემთხვევა.

**გენდერული უთანასწორობის ინდექსი** აფასებს ქალების არახელსაყრელ პირობებს სამი მიმართულებით - რეპროდუქციული ჯანმრთელობა, გაძლიერება და ჩართულობა შრომით ბაზარზე. ინდექსი აჩვენებს, აღნიშნული მიმართულებების მიხედვით, ადამიანების განვითარების დანაკარგს, რომელიც ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული უთანასწორობითაა გამოწვეული. მაჩვენებლები განაწილებულია 0-დან 1-მდე სკალაზე, სადაც 0 ქალებისა და მამაკაცებისთვის არსებულ თანაბარ პირობებზე მიუთითებს, ხოლო 1 აჩვენებს, რომ ქალები სამივე მიმართულების მიხედვით სრულიად არახელსაყრელ პირობებში ცხოვრობენ. ინდექსი გამოითვლება ორივე სქესის მონაცემების საშუალოს გამოთვლით. რაც უფრო დიდია განსხვავება ქალისა და მამაკაცის მაჩვენებლებს შორის, მით უფრო ნაკლებია ინდექსის საბოლოო ქულა. მიმართულებების გამოთვლისას გამოიყენება შემდეგი ინდიკატორები:

**ჯანმრთელობა** - დედების სიკვდილიანობის მაჩვენებელი, მოზარდთა შობადობის მაჩვენებლები;

**გაძლიერება** - პარლამენტში ორივე სქესის წარმომადგენელთა თანაფარდობა, მიღწევები განათლების მეორე და მესამე საფეხურზე.

**შრომით ბაზარზე ჩართულობა.**

**გენდერული სხვაობის ინდექსი (Gender Gap Index - GGI)** ზომავს, არსებობს თუ არა განსხვავება ქალებისა და მამაკაცების მიერ დაკავებულ პოზიციებს შორის, გამოყოფილ კრიტერიუმთან მიმართებაში. გენდერული სხვაობის ინდექსის მიზანია, გამოავლინოს, რამდენად ახლოს არის ქვეყანა გენდერულ თანასწორობასთან. ამ მიზნის მისაღწევად, თითოეული კრიტერიუმი მოიცავს რამდენიმე ინდიკატორს. ქულები და რეიტინგები გამოთვლილია ყველა კრიტერიუმისა და ინდიკატორისთვის. ასევე, გენდერული სხვაობის ინდექსი გამოითვლება როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მონაცემებზე დაყრდნობით. ინდექსის შემადგენელი კრიტერიუმებია:

**ეკონომიკაში მონაწილეობა და შესაძლებლობები** - შემადგენელი ინდიკატორებია ქალისა და მამაკაცის შეფარდების გამოთვლა შრომით ბაზარზე ჩართულობის, შემოსავლის, ერთსა და იმავე სამუშაოზე ხელფასის ოდენობის, კანონმდებლების, ხელმძღვანელი პირების, მენეჯერებისა და პროფესიული/ტექნიკური მუშაკების რაოდენობის მიხედვით;

**ხელმისაწვდომობა განათლებაზე** - შემადგენელი ინდიკატორებია წერა-კითხვის ცოდნის, განათლების პირველ, მეორე და მესამე საფეხურზე ჩარიცხვის შეფარდება ქალისა და მამაკაცის რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით;

**ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა** - შემადგენელი ინდიკატორებია სქესთა თანაფარდობა დაბადებისას და ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობის შეფარდება ქალისა და მამაკაცის რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით;

**პოლიტიკური ჩართულობა** - შემადგენელი ინდიკატორებია ქალი და მამაკაცი პარლამენტარებისა და მინისტრების რაოდენობრივი მაჩვენებლის შეფარდება, და ქალის, როგორც ქვეყნის პირველი პირის მმართველობის წლების ხანგრძლივობა.

უთანასწორობის გამოსათვლელად გამოიყენება შემადგენელი ინდიკატორების თანაფარდობა და ქვეყანას ამის მიხედვით ენიჭება ქულა. მაგალითად, თუ ქალი მინისტრების რაოდენობა შეადგენს 20%, მაშინ  $20/80=0.25$  - ანუ, მაჩვენებლებს შორის შეფარდება აღნიშნავს თითოეული ინდიკატორის ქულას. შესაბამისად, ინდექსის კრიტერიუმებისა და ინდიკატორებისთვის 1 ქულა აღნიშნავს თანასწორობას (შეფარდებაა 50/50), ხოლო 0 ქულა - უთანასწორობას. 1 არის მაქსიმალური ქულა, რომელიც შეიძლება მიენიჭოს თითოეულ ინდიკატორს. ინდექსის გამოსათვლელად უკანასკნელი 6 წლის მონაცემებიდან გამოიყენება უახლესი და ხელმისაწვდომი მონაცემი.

## გამოწვევები და დაძლევის გზები

საერთაშორისო ვალდებულებების თანახმად, ქვეყნებს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა დაეკისრა. ზოგიერთ სფეროში მდგომარეობა გაუმჯობესებულია:

- ✓ დაწყებით განათლებაში ბიჭები და გოგონები თითქმის თანაბრადაა წარმოდგენილი;
- ✓ კანონმდებლობით ადრეულ ასაკში ქორწინებების შესაზღუდად გაიზარდა ქორწინების ლეგალური ასაკი;
- ✓ ბოლო წლებში შემცირდა ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება, თუმცა არალეგალურად მსგავსი პრაქტიკა კვლავ გრძელდება. ამ პროცედურის ჩატარებისას

ხშირია სისხლდენა ან ორგანიზმში ინფექციის შეტანა, რის შედეგადაც გოგონები იღუპებიან;

- ✓ ქალების წარმომადგენლობა პოლიტიკურ ასპარეზზე უფრო მაღალია, ვიდრე ოდესმე. ბევრგან ეს კვოტირების შედეგად გახდა შესაძლებელი.

დაპირება სამართლიანი და თანასწორი მსოფლიოს შესახებ, სადაც ყველა ქალი და გოგო სრული გენდერული თანასწორობით ისარგებლებს და მათი უფლებამოსილებისთვის ყველა სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ბარიერი მოიხსნება, შეუსრულებელი რჩება. ამ მიზნის შესრულება COVID-19 პანდემიამ კიდევ უფრო შორი მომავლისთვის გადასწია. გარკვეულწილად შეიზღუდა მრავალი გოგონასა და ქალის შესაძლებლობები - ესწავლათ და ემუშავათ.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად:

- ✓ საკანონმდებლო ბაზის, განათლების, ჯანდაცვის დოკუმენტების გენდერული თვალსაზრისით გადახედვა და მათი ცვლილება;
- ✓ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. გოგონებთან და ქალებთან ერთად ბიჭებისა და მამაკაცების ცნობიერებაზე მუშაობა;
- ✓ გოგონათა და ქალთა გაძლიერება კარიერის დაგეგმვასა და განვითარებაში, უფლებების დაცვაში;
- ✓ სქესობრივი განათლება;
- ✓ წამახალისებელი ღონისძიებები საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გოგონების სტიპენდიებით უზრუნველყოფა, სწავლისთვის თავის დანებების საპრევენციოდ.

## დილემა - ვის ეკუთვნის მემკვიდრეობა

დილემა: ირმა დიდი ხანია რთული გადაწყვეტილების წინაშე დგას. ის ოჯახში ქმრისა და მისი ოჯახის მხრიდან ძალადობის მსხვერპლია. დიდხანს ცდილობდა ეს ამბავი არ გაემჟღავნებინა, თუმცა დროთა განმავლობაში სიტყვიერი თავდასხმები ფიზიკურ ძალადობაში გადაიზარდა. ამის მოწმე მისი პატარა შვილიც ხშირად გამხდარა. ირმას ეშინია, რომ ეს მის შვილზე ცუდად აისახება და დიდ ტრავმას მიიღებს, ან სულაც შეიძლება, რომ მამის ძალადობის მსხვერპლიც გახდეს. მას ჯვარი აქვს დაწერილი, თუმცა ხელი კი არ მოუწერია, ამიტომ ქმრის ოჯახიდან არაფრის მიღების იმედი არ აქვს. მისი მზითვებიც უკვე გაუფასურდა და ვერანაირად ვერ გადაუჭრის მატერიალურ პრობლემას. ირმას მამაპაპისეულ სახლში ერთად ცხოვრობენ მოხუცი მშობლები და უფროსი ძმის ოჯახი. იქ დაბრუნება პრობლემაა, რადგან გამორებული ქალიშვილი სოფელში მითქმა-მოთქმის საფუძველი გახდება. დედ-მამაც მას ძალიან მკაცრად და ტრადიციულად ზრდიდა, ამიტომ ზუსტად იცის, რომ მის დაბრუნებას მშობლების დიდი გულისტკივილი მოჰყვება. ძმას ყოველთვის ამ სახლ-კარის მემკვიდრედ მიიჩნევდნენ, რაც ირმას არ უტოვებს არჩევანს.

დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით *საქართველოში მემკვიდრეობის განაწილებისას დამკვიდრებულ ნორმებს „ვის ეკუთვნის მემკვიდრეობა“*.

- ✓ გენდერული თანასწორობისა და ოჯახური ძალადობის პრობლემა 21-ე საუკუნეში ჯერ კიდევ აქტუალური საკვლევი საკითხია, განსაკუთრებით კი, ე.წ. განვითარებად ქვეყნებში, სადაც კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში გაწერილი გენდერული თანასწორობის პრინციპები ხშირ შემთხვევაში საზოგადოების მიერ გაზიარებული არ არის.
- ✓ საქართველოში კანონმდებლობა ძირითადად მისადაგებულია საერთაშორისო კონვენციებს, საკმაოდ ლიბერალურია და ფორმალურად გენდერული თანასწორობის გარანტიის როლს ასრულებს. მაგრამ ჩვენს სინამდვილეში საკანონმდებლო რეგულაცია და დამკვიდრებული პრაქტიკა ხშირად ერთმანეთს აცდენილია, რასაც საზოგადოების კულტურული ღირებულებები განაპირობებს. ამდენად, რთული ხდება მათი დანერგვა და შესაბამისად, ოჯახებში არაერთი პრობლემა წარმოიქმნება.
- ✓ ხშირად ტრადიციები თაობიდან თაობას ისე გადაეცემა, რომ მოქალაქეები გაუცნობიერებლად ხდებიან მოძალადეები. მიღებული ნორმები ფესვადგმულია და მას ოჯახები ინერციით მიჰყვებიან. კაცის მემკვიდრეობად უმეტეს შემთხვევაში სახლ-კარი და მიწა ითვლება, ქალის მემკვიდრეობა კი მზითვით შემოიფარგლება, რადგან ითვლება, რომ ისინი ზრდასრულობის ასაკის მიღწევასთან ერთად გათხოვდებიან და ქმრის ოჯახში გადავლენ საცხოვრებლად, ქმარს კი, როგორც ოჯახის გვარის გამაგრძელებელს, თავისი, მემკვიდრეობით მიღებული სახლ-კარი ექნება. ტრადიციულად, მზითვის გატანების არაფორმალური პრაქტიკა ქალს ახალ ოჯახში გარკვეულ უფლებებს ანიჭებდა და ერთგვარად ოჯახური ძალადობისგანაც იცავდა, მზითვი მისი ქონება იყო და მის კუთვნილებაში რჩებოდა განსაკარგად.
- ✓ ქალები იღებდნენ მზითვს, როგორც მშობლების ქონების წილს, თუმცა ამავდროულად მშობლები მათ დაოჯახებასა და სიძის შერჩევაში გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ. მე-19 საუკუნემდე გლეხის ქალის მზითვი ტანსაცმლის, თეთრეულის, ძროხისა თუ ფულისგან შედგებოდა; ქალაქში მცხოვრები ქალის კი - ფული, ძვირფასი ტანსაცმელი და სამკაულები იყო; ხოლო არისტოკრატის ოჯახიდან ქალს მშობლები ძვირფას ტანსაცმელთან ერთად ავეჯს, ჭურჭლეულს, ოქროს ხატებს, სამკაულს, ზოგჯერ მიწასა და ყმებს ატანდნენ ხოლმე. გარდა ამისა, მზითვი განსხვავდებოდა იმის მიხედვით, თუ ვინ იყო ქალი წარმომავლობით, რომელი რელიგიის, ეთნიკური კუთვნილების თუ კუთხის წარმომადგენელი იყო. დროთა განმავლობაში მზითვი კარგავს თავის ფუნქციას, რადგან ქალი უკვე დასაქმებული ხდება და ის თავად წყვეტს, რა იყიდოს და ვის მისთხოვდეს.
- ✓ საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს პარლამენტმა 2014 წელს მიიღო. მასში მკაფიო ჩანაწერია იმის შესახებ, ვის ეკუთვნის მემკვიდრეობა, როცა ის ანდერძით არ ნაწილდება. მემკვიდრეობად ითვლებიან გარდაცვლილის შვილები, მეუღლე, მშობლები, შვილიშვილები.
- ✓ ქალი ბავშვობიდანვე, სოციალიზაციის შედეგად ითვისებს იმ სოციალურ ნორმებს, რომლებიც ოჯახში ქალთან შედარებით ვაჟის უპირატესობას ამკვიდრებს. თავისთავად იგულისხმება, რომ მემკვიდრე მხოლოდ ვაჟი შეიძლება იყოს. ამ ტიპის აშკარა ეკონომიკური ძალადობა ქალზე, როგორ წესი, საზოგადოების, ოჯახისა და მსხვერპლის მიერ დისკრიმინაციად არ აღიქმება. შესაბამისად, ქალებიც ხშირ შემთხვევაში აცხადებენ, რომ „ძმის“ ქონებაზე პრეტენზია არ აქვთ, რადგან პატრიარქალური საზოგადოება ამას ნეგატიურად აფასებს და კიცხავს დას, თუ მან მემკვიდრეობიდან თავისი კანონიერი წილი მოითხოვა. ამასთან, ოჯახთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად ქალი მზად არის, მოირგოს „კარგი დის“ სახელი, დაკმაყოფილდეს გათხოვებისას ოჯახის მიერ გაკეთებული საჩუქრით და ნებით თუ იძულებით უარი თქვას

ქონებაზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში მისი სამომავლო ცხოვრებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მემკვიდრეობის განაწილების მიღებული პრაქტიკა ეკონომიკურ ძალადობად არ აღიქმება. თუმცა ეს ქალის მხრიდანაც შესაძლოა არც ისე მტკივნეულად აღიქმებოდეს, რადგან ასეთ გარემოში ყოველდღიური ცხოვრების რუტინა გრძელდება და პრობლემა თითქოს არ არსებობს.

- ✓ 2013 წელს საქართველოში UNDP-ის დაკვეთით ჩატარებული კვლევა - „საზოგადოებრივი დამოკიდებულებების კვლევა გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“ - აჩვენებს, რომ რესპონდენტების დიდი ნაწილი თანასწორობის მომხრეა, და ფიქრობს, მშობლების ქონება თანასწორად უნდა გაიყოს ვაჟსა და ქალიშვილს შორის. არ დაფიქსირებულა დიდი განსხვავება მშობლების ქონების შემადგენელ სხვადასხვა კომპონენტს შორის. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს სამკაული. უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივი მონაცემების ანალიზისას რესპონდენტები უფრო გენდერული თანასწორობის მომხრე პასუხებს სცემენ, თუმცა თვისებრივ მონაცემებს თუ შევხვდავთ, შვილებს შორის მემკვიდრეობის თანაბარი გაყოფა ხშირად არასწორად ესმით და მაინც ძირითადი ქონების (განსაკუთრებით კი უძრავი ქონების) ბიჭისთვის გადაცემის მომხრენი არიან.
- ✓ საინტერესოა, რომ საჯარო რეესტრში მემკვიდრეობასა და საკუთრებაზე ინფორმაცია გენდერული თვალსაზრისით დამუშავებული არ არის, რაც ართულებს პრობლემის მასშტაბების გააზრებას.
- ✓ გენდერის მკვლევრების აზრით, მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილება ქალიშვილსა და ვაჟიშვილს შორის ეკონომიკურ ძალადობად უნდა მივიჩნიოთ. ძალადობაზე მოსახლეობა ბევრად უფრო მგრძობიარეა. ძალადობის ფაქტებზე ბევრად ოპერატიულად რეაგირებენ სახელმწიფო სტრუქტურებიც. ამან შეიძლება პრობლემის დასმას, მასზე ცნობიერების ამაღლებასა და საკითხის მოგვარებას შეუწყოს ხელი. ინფორმაციაც ბევრად უფრო აქცენტირებულად მივა ოჯახებამდე და დააფიქრებს მათ წევრებს ტრადიციების მანკიერ ასპექტებზე. ვაჟიშვილები აღნიშნული პრივილეგიით სინდისის ქენჯნის გარეშე სარგებლობენ, რაც მათი აღზრდისას დაშვებულ შეცდომებზე მიუთითებს და ასევე ქალისა და კაცის სოციალური როლების დამკვიდრებულ მანკიერ განაწილებაზე.
- ✓ ასევე მიჩნეულია, რომ ეს ტრადიცია ეკონომიკურ სიღუბეში უფრო მეტად უკავშირდება, რადგან მდიდარი ოჯახი თავის შვილებს, ქალს თუ ვაჟს ორივეს უზრუნველყოფს სახლით, როგორც მემკვიდრეობით. შესაძლოა მეტი ქონება ერგოს ვაჟიშვილს, ან მამა-პაპისეული კარ-მიდამო მას დარჩეს, მაგრამ ქალიშვილსაც არ დატოვებენ მემკვიდრეობის გარეშე. ხოლო შეზღუდული რესურსების პირობებში არჩევანს ტრადიციულად ვაჟიშვილზე, როგორც გვარის გამგრძელებელზე აკეთებენ. სწორედ ეს წარმოქმნის არაერთ პრობლემას იმ შემთხვევაში, თუ ქალი არ თხოვდება და აგრძელებს მამაპაპისეულ სახლში ცხოვრებას, ან განქორწინების შემდეგ ბრუნდება სახლში. ასეთ დროს ითვლება, რომ ის ძმის ოჯახში ცხოვრობს და მისი მხრიდან ქონების გაყოფის მოთხოვნა საზოგადოების თვალში ამორალურადაც ჩაითვლება. შესაბამისად, ოჯახში არაერთ კონფლიქტს ეყრება საფუძველი. ხშირად, ქალი ვერ ბედავს დამკვიდრებული ნორმების წინააღმდეგ წასვლას და ამჯობინებს დარჩეს „კარგი დის“, „მზრუნველი მამიდის“ როლში. რაც ასევე მნიშვნელოვანია, ქალი უფრო ხშირად დავობს ყოფილი ქმრის (გარდაცვლილის, ან გაშორებულის) ქონებაზე და მემკვიდრეობაზე, ვიდრე საკუთარი ძმისაზე.

✓ მხოლოდ იმიტომ, რომ შეინარჩუნოს ძმასთან, მშობლებთან და ახლო ნათესავებთან კარგი ურთიერთობა, ქალი ცნობიერად თუ არაცნობიერად უარს ამბობს მემკვიდრეობის უფლებაზე. ეს შედარებით უმტკივნეულოა, როცა ის წარმატებით არის დაოჯახებული და არ ხდება ქმრის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. აღზრდიდან გამომდინარე, ქალი შეგუებულია თავის ბედს და ემორჩილება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმებს. სამართლიანობისა და თანასწორობისთვის ბრძოლა კი მარტივი გზა არ არის. მისი ძალაც ბევრს არ შესწევს. ამდენად ის პრობლემას თავს არიდებს და უმოქმედობაში რჩება.

• დაიყავით ჯგუფებად, გაეცანით ქეისს და დამატებით ინფორმაციას საქართველოში მემკვიდრეობის განაწილების დამკვიდრებულ ნორმებზე და შეიმუშავეთ რეკომენდაციები, რომლებიც აღნიშნული პრობლემის მოკლევადიან პერსპექტივაში მოგვარებას შეუწყობს ხელს.

უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ მოიქცეს ირმა - აირჩიოს სამართლებრივი გზა და მოითხოვოს წილი მამა-პაპის სახლიდან, მეუღლის სახლიდან, თუ აირიდოს კონფლიქტური სიტუაციები და მადლიერი დარჩეს, თუ ძმა მის შეფარებას დასთანხმდება.
- რა რჩევას მისცემდით ირმას, ის რომ თქვენი ახლო მეგობარი იყოს?
- აწონ-დაწონეთ ორივე პოზიცია სამართლებრივი და ეთიკური გადაწყვეტილების მისაღებად.

## მდგრადი განვითარების მიზანი 6: წყლის რესურსების მდგრადი მართვისა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის საყოველთაო უზრუნველყოფა



დედამიწის 70% წყლით არის დაფარული. ამ წყლის 97% ოკეანეებსა და ზღვებშია თავმოყრილი, მარილიანი და, შესაბამისად, სასმელად უვარგისია; 3% მტკნარია, თუმცა აქედანაც მხოლოდ 0,3% მოდის მდინარეებსა და ტბებზე, დანარჩენი კი მყინვარებშია ლოკალიზებული.

თუ დღეისთვის მოსახლეობის 40% განიცდის წყლის დეფიციტს, 2025 წლისთვის უკვე მისი 2/3 დადგება ამ პრობლემის წინაშე. ეს მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ წყალი ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია.

ყველასთვის ხელმისაწვდომი სუფთა წყალი ჯანსაღი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მიუხედავად აღნიშნულისა, ჩამორჩენილი ეკონომიკის ან ინფრასტრუქტურის გამო, ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი, მათ შორის, ბავშვები წყლის ნაკლებობით გამოწვეული დაავადებებით, ანტისანიტარიისა და ჰიგიენური ნორმების დაუცველობით იღუპებიან.

წყლის სიმცირე, მისი დაბალი ხარისხი და სანიტარული ნორმების არასაკმარისად დაცვა მსოფლიოს მასშტაბით უარყოფითად მოქმედებს სურსათის უვნებლობაზე, საარსებო წყაროებსა და საგანმანათლებლო საშუალებებზე. ამჟამად 2 მილიარდზე მეტ ადამიანს მტკნარ წყალზე ძნელად მიუწვდება ხელი, ხოლო 2050 წლისთვის ოთხიდან ერთი ადამიანი მტკნარი წყლის დეფიციტით დაზარალებულ ქვეყანაში იცხოვრებს.

გვალვით ზარალდება მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნები, რაც კიდევ უფრო სავალალოს ხდის შიმშილის მაჩვენებლებს. სანიტარული მდგომარეობისა და სასმელი წყლის გასაუმჯობესებლად საჭიროა, რომ განვითარებად ქვეყნებში, სუბ-საჰარის, ცენტრალური აზიის, სამხრეთ აზიის, აღმოსავლეთ აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რამდენიმე რეგიონში ადგილობრივ დონეზე მოხდეს ინვესტიციების გაზრდა მტკნარი წყლის ეკოსისტემებისა და სანიტარული ობიექტების მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად.

წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებაა. წყალზე მოთხოვნილების ზრდამ გაუსწრო მოსახლეობის რაოდენობის ზრდას და მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი წელიწადში მინიმუმ ერთი თვის განმავლობაში უკვე განიცდის წყლის მწვავე დეფიციტს. წყალი აუცილებელია არა მხოლოდ ჯანმრთელობისთვის, არამედ სიღარიბის დაძლევის, სურსათის უვნებლობის, მშვიდობისა და ადამიანის უფლებების, ეკოსისტემების ფუნქციონირებისთვის. წყლის სიმცირის პრობლემას ამწვავებს მისი ხარისხის გაუარესება. ქვეყნები მზარდი გამოწვევების წინაშე დგანან, რომელთა უმრავლესობაც წყლის დაბინძურებას უკავშირდება, რის შედეგადაც ვიღებთ დეგრადირებულ ეკოსისტემებს.

## ფაქტები და მონაცემები:

- ✓ 2.2 მილიარდ ადამიანს მსოფლიოში ჯერ კიდევ არ აქვს წვდომა სუფთა სასმელ წყალზე, მათგან 785 მილიონისთვის ეს დეფიციტი მწვავეა.
- ✓ 80 ქვეყანა, სადაც მსოფლიოს მოსახლეობის 40% ცხოვრობს, წყლის დეფიციტს განიცდის.
- ✓ წყალზე მოთხოვნა ყოველ 20 წელიწადში ორმაგდება. სადაც წყლის დეფიციტი არ არის, პრობლემას წარმოადგენს წყლის დაბინძურება. მე-20 საუკუნეში წყალზე მოთხოვნა 6-ჯერ გაიზარდა, მოსახლეობის რაოდენობა კი – 2-ჯერ.
- ✓ ოთხიდან ჯანდაცვის ერთ დაწესებულებას არ აქვს წყალმომარაგება.
- ✓ 10-დან 3 ადამიანს არ აქვს წვდომა წყალმომარაგებაზე, ხოლო 2.4 მილიარდ ადამიანს არ აქვს საპირფარეო და აბაზანა. სულ მცირე 892 მილიონი ადამიანი საპირფარეოდ ღია სივრცეებს იყენებს. მობილური ტელეფონი უფრო მეტ ადამიანს აქვს, ვიდრე საპირფარეო.
- ✓ განვითარებად ქვეყნებში წყლის მოსატანად უმეტესად ქალები და გოგონები დადიან, რაც მათ განათლების მიღების შესაძლებლობას უზღუდავს. განათლების გარეშე დარჩენილ გოგონებს კი, დიდი ალბათობით, თავადაც არ ექნებათ უკეთესი შემოსავალი.
- ✓ 1990 წლიდან 2015 წლამდე, მსოფლიოს მოსახლეობის წილი, რომელიც სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროს იყენებს, 76 პროცენტიდან 90 პროცენტამდე გაიზარდა.

- ✓ ქალაქების მოსახლეობა დიდი სისწრაფით იზრდება. ყოველწლიურად 6 მლნ კაცი ემატება ფაველებს (ჯურდმულებს) – ქალაქის ისეთ უბნებს, სადაც არ არის ელემენტარული სანიტარული პირობები.
- ✓ ადამიანის საქმიანობის შედეგად ჩამდინარე წყლების 80%-ზე მეტი ყოველგვარი გაფილტვრის გარეშე ჩაედინება მდინარეებში ან ზღვაში.
- ✓ ყოველდღიურად თითქმის 1000 ბავშვი იღუპება სანიტარიული პირობების უქონლობითა და უწყლობით გამოწვეული დაავადებებით, რომელთა შორისაა დიარეა. ამ დაავადებების თავიდან აცილება წყალმომარაგებითაა შესაძლებელი.
- ✓ ნებისმიერ დროს საავადმყოფოთა საწოლების ნახევარი უკავიათ ადამიანებს, რომელთა დაავადებებიც გამოწვეულია წყალთან დაკავშირებული პრობლემით. განვითარებად ქვეყნებში დაავადებების 80% სწორედ წყლის, უფრო სწორად, მისი უქონლობის, ასევე – სანიტარული პირობების უქონლობის ბრალია.
- ✓ მდინარეებიდან, ტბებიდან და წყალსაცავებიდან ამოღებული წყლის დაახლოებით 70% გამოიყენება სარწყავად.
- ✓ ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული სიკვდილიანობის 70%-ს წყალდიდობები და წყალთან დაკავშირებული სხვა კატასტროფები იწვევს.

## ტერმინები

**სასმელი წყალი** არის წყალი, რომელიც გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნით, მათ შორის – სასმელად, საჭმლის მოსამზადებლად და პირადი ჰიგიენისთვის.

**სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა** გულისხმობს, რომ სასმელი წყალი, არანაკლებ 20 ლიტრისა ერთ სულ მოსახლეზე, ხელმისაწვდომია საცხოვრებელიდან არა უმორეს 1 კილომეტრზე.

**ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სასმელი წყალი** არის წყალი, რომელიც ფიზიკური, ქიმიური და ბაქტერიული მახასიათებლებით აკმაყოფილებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ან ეროვნულ სტანდარტებს.

**წყლის ფიზიკური დეფიციტი (Physical water scarcity)** გულისხმობს ხელმისაწვდომი წყლის ფიზიკურ ნაკლებობას.

**წყლის ეკონომიკური დეფიციტი (Economic water scarcity)** გულისხმობს მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობის ნაკლებობას, შეისყიდოს მოთხოვნილების შესაბამისი მოცულობის წყალი.

**ვირტუალური წყალი** (არაპირდაპირი მოხმარება) ეს არის წარმოების ადგილას გაანგარიშებული წყლის ის რაოდენობა, რომელიც დაინარჯა ნებისმიერი სახის პროდუქტის წარმოებაზე, იქნება ეს საკვები, ტანსაცმელი თუ სხვა.

## წყალმომარაგებისა და სანიტარიის დეფიციტის მიზეზები

წყლის დეფიციტის ზოგად მიზეზებს შორის არის:

- მაღალი ბუნებრივი მატება განვითარებად ქვეყნებში, სადაც წყალზე მოთხოვნილება აჭარბებს მის მიწოდებას;
- წყლის დაბინძურება, როდესაც წყალი თვისებრივად გამოუსადეგარი ხდება ყოფაცხოვრებაში;

- ომი, კონფლიქტები და მოსახლეობის მიგრაცია, როდესაც მოსახლეობას უწევს საკუთარი კარ-მიდამოს დატოვება და მას უზღუდება წვდომა ელემენტარულ საარსებო წყაროებზე.
- წყლის ფიზიკური და ეკონომიკური დეფიციტი.

**წყლის ფიზიკური დეფიციტი** (Physical water scarcity) ხელმისაწვდომი წყლის ფიზიკურ ნაკლებობას გულისხმობს. ეს ის მდგომარეობაა, როცა რეგიონის/ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნა აღემატება რეგიონის/ქვეყნის შესაძლებლობას, მიაწოდოს მას საჭირო მოცულობის წყალი. არიდული რეგიონები სწორედ წყლის ფიზიკურ დეფიციტს განიცდიან. აქ მაღალი ტემპერატურა ზრდის აორთქლებას და შესაბამისად - ნალექების რაოდენობასაც. ნალექი უმთავრესად სეზონურია, წვიმიან სეზონებზე კი შესაძლოა წლიური ნალექის 90%-იც კი მოვიდეს, მაგალითად, მუსონური წვიმები.

წყლის ფიზიკური დეფიციტი კიდევ უფრო მწვავედ ადამიანის ზემოქმედების შედეგად. მაგალითად, როდესაც მდინარეებს სოფლის მეურნეობაში ირიგაციისთვის იყენებენ, მდინარის ქვედა წელში წყლის ბალანსი იცვლება. იმავდროულად, იმატებს დაბინძურება სოფლის მეურნეობაში გამოყენებული სასუქებით, რაც საგრძნობლად ამწვავებს წყლის დეფიციტს. ამის ცნობილი მაგალითებია მდინარე კოლორადოს, სირდარიისა და ამურდარიის გამოყენება.

**წყლის ეკონომიკური დეფიციტი** (Economic water scarcity) გულისხმობს მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობის ნაკლებობას, შეისყიდოს მოთხოვნილების შესაბამისი მოცულობის წყალი. სწორედ ამგვარი დეფიციტი წარმოაჩენს ქვეყნებს შორის უთანასწორობას. მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს. სიღარიბეს ემატება პოლიტიკური და ეთნიკური მიზეზებიც. წყლის ეკონომიკური დეფიციტი, მოსახლეობის სიღარიბესთან ერთად, ბუნებრივი მატებითაც არის განპირობებული, რაც წყალზე მოთხოვნას თავისთავად ზრდის. გარდა ამისა, იზრდება მოთხოვნა საკვებსა და ბიოსაწვავზე, ამის შედეგად კი ირიგაციისთვის სულ უფრო მეტი წყალი მოიხმარება.

გლობალური კლიმატცვლილება ზრდის სიმშრალეს არიდულ რეგიონებში, რაც კიდევ უფრო ამწვავებს წყლის დეფიციტს.

სტოკჰოლმის წყლის ინსტიტუტის მონაცემებით, ადამიანს საარსებოდ წელიწადში 1000 კუბურ მეტრზე ნაკლები სასმელი წყალი სჭირდება, თუმცა ეს რაოდენობა არათანაბრადაა განაწილებული. წყლის დღიური მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე ძალიან განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. შეიძლება ითქვას, რომ იკვეთება ტენდენცია, რომლის ფარგლებშიც განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები მეტისმეტად შორიშორს არიან ერთმანეთისგან. განვითარებულ ქვეყნებს შორისაც კი დიდი სხვაობაა. წყალმოხმარებით გამოირჩევიან ავსტრალია და აშშ, აქ დღიური მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე 500 ლიტრს აჭარბებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სხვა განვითარებულ ქვეყნებსაც არ აქვთ პრობლემები წყალმომარაგების მხრივ, თუმცა ისინი აშშ-სთან შედარებით თითქმის ორჯერ ნაკლებ წყალს მოიხმარენ, შეიძლება ითქვას, რომ ის ქვეყნები (ავსტრალია და აშშ) წყალს უყაირათოდ ხარჯავენ.

რაც შეეხება უკიდურესად დარიბ ქვეყნებს, მათი წყალმოხმარება ერთ სულ მოსახლეზე ჩამოუვარდება აუცილებელ მინიმუმს, რაც დღიურ 20 ლიტრს შეადგენს.

წყლის სისუფთავე ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი ელემენტია. იქ, სადაც წყალი დაბინძურებულია, დაავადების რისკი მაღალია. წყალთან დაკავშირებულ დაავადებებად არის მიჩნეული დიარეა, ქოლერა, ჰეპატიტი და სხვა. მილიონობით ადამიანი სწორედ ამ მიზეზებით იღუპება. ამ დაავადებებთან გამკლავება შესაძლებელია სწორი მკურნალობით, თუმცა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ამ ქვეყნებს ამის შესაძლებლობას არ უტოვებს.

## პრობლემები უსაფრთხო წყალზე წვდომისა და სათანადო სანიტარული პირობების არქონის კუთხით; მათი დაძლევის გზები

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში წყალი თითქოსდა საკმარისია, მასზე მოთხოვნა 2025 წლისთვის გაორმაგდება. და მაინც, თუ წყლის მიწოდება ყველასთვის თანაბარი გახდება, ის ეყოფა მოსახლეობას ყველა საქმიანობისთვის. საფრთხეს ქმნის არასწორი მოხმარება და განაწილება. მოსახლეობის სხვადასხვა აქტივობა რეზერვუარების დაბინძურებას იწვევს და წყალი სასმელად უვარგისი ხდება. წყლის დეფიციტის გამო იძულებით ადგილნაცვალ პირების რაოდენობა შესაძლოა 700 მილიონით გაიზარდოს, რაც დამატებითი კონფლიქტების წყაროდ შეიძლება იქცეს.

წყალმომარაგება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად, თუმცა სანიტარული პირობებზე ხელმისაწვდომობა, სამედიცინო მომსახურების დაწესებულებებშიც კი, ყოველთვის შესაძლებელი არ არის: 2016 წელს, მსოფლიოს ყოველი მეოთხე დაწესებულება არ მარაგდებოდა წყლით, ყოველ მეხუთეს არ ჰქონდა სანიტარული პირობები, ხოლო ხუთიდან ორს - ისეთი ელემენტარული ჰიგიენის საშუალებებიც კი, როგორებიცაა - საპონი და წყალი ან დეზინფექციის სხვა საშუალებები.

წყლის მდგრადი მართვით ჩვენ შეგვიძლია უკეთ ვაკონტროლოთ საკვების უსაფრთხო წარმოება და წვლილი შევიტანოთ ადამიანებისთვის ღირსეული საცხოვრებელი და სამუშაო პირობების შექმნაში. ამასთან, შეგვიძლია შევინარჩუნოთ წყლის ეკოსისტემები, მათი ბიომრავალფეროვნება და ვიმოქმედოთ კლიმატის ცვლილებაზე.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, წყალს დაზოგვა და ეფექტური მენეჯმენტი სჭირდება. წყლის მენეჯმენტი მოიცავს მის მიწოდებას როგორც ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო საჭიროებებისთვის, ისე შინამეურნეობებისთვის. წყალი არის სატრანსპორტო არტერია, რომელიც ადამიანებისა და ტვირთის მოძრაობა-გადაადგილებას უწყობს ხელს.

წყალთან დაკავშირებული პრობლემები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია წარსულში მასზე არსებული დაბალი სამომხმარებლო ფასით – ამის გამო მომხმარებელი ვერ აცნობიერებდა წყლის დაზოგვის აუცილებლობას. წყლის სიძვირე აიძულებს ინდივიდებსა და ორგანიზაციებს საჯარო თუ კერძო სტრუქტურებში, მეტად იზრუნონ მის დაზოგვაზე, ინვესტირება მოახდინონ წყლის მენეჯმენტის სისტემის გამართვაში. ამით წახალისდება წყლის მეორეული გამოყენება და შემცირდება მისი დანაკარგი.

პრობლემას წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნებისა და ღარიბი მოსახლეობის უუნარობაც, გადაიხადონ შესაბამისი ღირებულება, მაშინ, როდესაც წყლის დეფიციტი მრავალი დაავადებისა და ხშირად სიკვდილიანობის მიზეზიც ხდება.

საირიგაციო სისტემების უმეტესობა არაეფექტურია. წყლის მხოლოდ 10-50% გამოიყენება დანიშნულებისამებრ, დანარჩენი ღია წყალსადენებიდან ორთქლდება ან ნიადაგში იჟონება. თანამედროვე დახურული და წვეთოვანი სარწყავი სისტემები კი ეფექტურობას 95%-ით ამაღლებს, თუმცა ამის განხორციელება მსხვილი ინვესტიციების გარეშე შეუძლებელია.

უკანასკნელ წლებში საწარმოები მეტად არიან ორიენტირებული წყლის დაზოგვაზე, თუმცა აქაც გაცილებით მეტის გაკეთებაა შესაძლებელი. 1 კგ ალუმინის საწარმოებლად 1500 ლიტრი წყალია

საჭირო. ბევრ წყალს მოითხოვს ქაღალდის წარმოებაც. მრავალი ქვეყანა ცდილობს, დაზოგოს წყალი და ამ მიმართულებით წაახადისოს ახალი სამეცნიერო კვლევები. მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ გერმანიასა და იაპონიას. იაპონიაში წყლის 75% ინდუსტრიაში რამდენჯერმე გამოიყენება. ამასთან მნიშვნელოვანი ხდება მიღებული პროდუქციის გადამუშავება და მრავალჯერადი გამოყენება.

განვითარებული ქვეყნები იძულებული არიან, წყალმომხარების ახალ, ეფექტურ სისტემებზე გადავიდნენ. ეს ეხება ახალ ინდუსტრიულ და განვითარებად ქვეყნებსაც, ვინაიდან მზარდ მოსახლეობას და, აქედან გამომდინარე – სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას, სულ უფრო მეტი წყალი დასჭირდება.

წყლის დანახარჯი მისი მხოლოდ პირდაპირი მოხმარებით არ იზომება. არსებობს ცნება „ვირტუალური წყალი“. ვირტუალური წყლის (არაპირდაპირი მოხმარება) მოხმარებას ადამიანები არ აკვირდებიან. ვირტუალური წყალი, ეს იმ წყლის ჯამური მოცულობაა, რომელიც გამოიყენება საკვების ან ნებისმიერი სხვა პროდუქციის საწარმოებლად. მაგალითად, 1 კგ ხორბლის მოსაყვანად 100 ლიტრი წყალია საჭირო. ხორბლის იმპორტი არიდულ ქვეყნებში ზოგავს ადგილობრივ დეფიციტურ წყალს.

როდესაც ყავას მივირთმევთ, ვფიქრობთ, რომ მის დასამზადებლად მხოლოდ ერთი ჭიქა წყალი იხარჯება, თუმცა რეალური გაანგარიშებით ერთ ფინჯან ყავას 208 ლიტრი წყალი სჭირდება. დაანგარიშების დროს უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ წყლის ის რაოდენობა, რომელსაც უკვე მზა ყავას ვასხამთ, არამედ ყავის მისაღებად დახარჯული წყლის რაოდენობა (მისი მოყვანიდან მოხმარებამდე - მორწყვა, დამუშავება, შეფუთვა), ასევე ფინჯნის, მისი შეფუთვის, შაქრის დასამზადებლად დახარჯული წყლის რაოდენობა და სხვა.

ვირტუალური წყალი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ქვეყანაში წყლის მოხმარების რეალური რაოდენობის დასადგენად. ერთი ადამიანის, თემისა თუ მთელი ქვეყნის მიერ მოხმარებული პროდუქტებისა და სერვისების წარმოებისათვის გამოყენებული წყლის მთლიან მოცულობას წყლის ანაბეჭდი ეწოდება. ქვეყნის წყლის ანაბეჭდის გამოანგარიშებისას წყლის რესურსების საშინაო მოხმარებას აკლდება ექსპორტირებული ვირტუალური წყალი და ემატება იმპორტირებული ვირტუალური წყალი. საიდანაც წყლის რესურსების საშინაო მოხმარება გულისხმობს იმ წყლის მოცულობას ლიტრებში, რომელსაც ქვეყანა პირდაპირი თუ ვირტუალური წყლის სახით მოიხმარს. ექსპორტირებული ვირტუალური წყალი გულისხმობს ქვეყნიდან გასული პროდუქციის დასამზადებლად დახარჯული წყლის რაოდენობას ლიტრებში; იმპორტირებული ვირტუალური წყალი კი წყლის იმ რაოდენობას, რომელიც დაიხარჯა ქვეყანაში შემოსული პროდუქციის წარმოებაზე. წყალტევად საკვებს შორის გამოირჩევა შოკოლადი (1კგ-ს საწარმოებლად საჭიროა 17 ათასი ლიტრი), ხორცი (1 კგ-ს წარმოებას სჭირდება 15 ათასი ლიტრი), ყველი (5 ათასი ლიტრი).

ქვეყნები, რომლებმაც ეს იციან, ზოგავენ წყლის საკუთარ რესურსებს. თუ სავაჭრო ბრუნვას ვირტუალურ წყალში გამოვსახავთ, ის 800 მლრდ მ<sup>3</sup>-ს გაუტოლდება, რაც 10 ნილოსის ეკვივალენტურია.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა იმუშაონ მთავრობებთან, რათა ინვესტიციები ჩაიდოს წყლის კვლევებში, მართვასა და მდგრად მომარაგებაში, გაიზარდოს მოსახლეობის ცნობიერება წყლის გონივრულ მართვასა და დაზოგვაზე.

წყლის ხელმისაწვდომობა ბევრგან ნაკლებად პროგნოზირებადი ხდება. კლიმატის ცვლილება იწვევს განშირებულ და მწვავე მეტეოროლოგიურ მოვლენებს, როგორებიცაა თავსხმა წვიმები,

ტროპიკული შტორმები, გვალვები. ეს მთელ მსოფლიოში საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, მის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობას, მათ მდგრად განვითარებას, დასახლებებს, ნარგავებსა და ბიომრავალფეროვნებას.

იმისთვის, რომ წყალსა და სანიტარულ მომსახურებაზე ყველას ჰქონდეს წვდომა, მომდევნო წლების განმავლობაში საჭიროა კლიმატის ცვლილების შემარბილებელი სტრატეგიის შემუშავება. ეს დაიცავს ინფრასტრუქტურას, მილიონობით ადამიანს, ბიომრავალფეროვნებას, სოფლის მეურნეობას.

## ქეისი - არალის ზღვის პრობლემები

1980 წელს ყაზახეთში, ყიზილ-ორდას ოლქში, ქალაქ არალსკში ფინანსურად ძლიერ ოჯახში დაიბადა ბერიკი. მის ოჯახს თევზის რეწვის მცირე მეურნეობა ჰქონდა. მართალია, საბჭოთა კავშირის პერიოდში კერძო საკუთრება აკრძალული იყო, მაგრამ ოჯახის უფროსები ყოველთვის ახერხებდნენ თევზისა და ხიზილალის რეწვასა და შავ ბაზარზე გატანას, რაც ფინანსურად ძალიან მომგებიანი იყო. იმ დროისათვის, როდესაც ბერიკი წამოიზარდა, საბჭოთა კავშირი დაიშალა, შესაძლებელი გახდა ჩრდილიდან გამოსვლა, აღარ იყო საჭირო მალვა. თუმცა პრობლემამ სახე იცვალა.

*დილემა: ოჯახი დადგა არჩევანის წინაშე - დარჩენილიყვნენ თუ წასულიყვნენ. ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი და ადგილზე შექმნილი პრობლემები გადაწყვეტილების მიღებას ართულებდა.*


დამატებით გაეცანით ინფორმაციას არალის ზღვის პრობლემების შესახებ.

### არალის ზღვა

არალის ზღვა შიდა კონტინენტური ზღვაა, უფრო სწორად ჩამდინარე ტბა ყაზახეთისა და უზბეკეთის საზღვარზე. 1991 წლამდე ორივე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა. არალის ზღვას ასაზრდოებს ორი მსხვილი მენაკადი, სირდარია და ამუდარია. ორივე მდინარე ტიანშანზე იღებს სათავეს, მათგან სირდარია სათავიდან დასავლეთით უზბეკეთს გაივლის, შემდეგ ყაზახეთს და ისე უერთდება არალს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან; ხოლო ამუდარია ჩრდილო დასავლეთით თურქმენეთსა და უზბეკეთს კვეთს და სამხრეთიდან უერთდება არალის ზღვას. ჯამურად ეს ორი მდინარე 111 კუბური კმ წყლით ასაზრდოებდა არალის ზღვას. ორთქლდება დიდი რაოდენობით წყალი. არალის ზღვის გარშემო გვხვდება ნახევარუდაბნოები და უდაბნოები. შუა აზიის ქვეყნები, საბჭოთა კავშირში ბამბის მთავარი მიმწოდებლები იყვნენ, ამდენად ისინი მოსავალს ექსტენსიურად ზრდიდნენ, რაშიც საირიგაციოდ სირდარიისა და ამუდარიის წყლები გამოიყენებოდა.

შედეგები

წყლების არარაციონალურმა გამოყენებამ, ძირითადად სარწყავი მიზნით, არალის ზღვა დაშრობამდე მიიყვანა. 111 კუბური კმ წყლის ყოველწლიური ჩანადენი 2 კუბურ კილომეტრამდე შემცირდა.



სულ უფრო მეტი სასუქი ჩაედინებოდა ზღვაში, რადგან მას ჭარბად იყენებდნენ მოსავლის გასაზრდელად. დაბინძურებული ნიადაგიდან კი წყლების საშუალებით სასუქები საბოლოოდ არალის ზღვაში ჩაედინებოდა. აორთქლების შედეგად დარჩენილი ტერიტორია სრულიად უსარგებლო, გამოუყენებელი, დამლაშებული და ქიმიკატებით გაჯერებული ქვიშის ზედაპირით დაიფარა. გახშირდა ქვიშიანი ქარბუქები, რაც ადამიანის სასუნთქ გზებში მავნე ქიმიკატების მოხვედრას უწყობს ხელს და სხვადასხვა დაავადებას იწვევს. შენაკადებში წყლის შემცირებით შეიცვალა არალის მარილიანობა, რაც უარყოფითად აისახა სარეწაო ჯიშებზეც. შესაბამისად, 1960 წლიდან ზღვის მარილიანობა 10 პრომილედან 2007 წელს 100 პრომილემდე გაიზარდა.

წელი	სიღრმე (მეტრებში)	ფართობი (კვ/კმ)	მოცულობა (კმ <sup>3</sup> )	მარილიანობა (%)
1960	53,41	66,900	1090	10
1976	48,28	55,700	763	14
1987	40,5	41,000	374	27
1993		33,642	300	
დიდი ტბა	36,89	30,953	279	37
პატარა ტბა	39,91	2,689	21	30
2000		24,154	175	
დიდი ტბა	32,38	21,003	159	65
პატარა ტბა	40,97	3,152	24	25
2004 (3 ტბა)	მონაცემი არაა	17,160	მონაცემი არაა	მონაცემი არაა
2007 (3 ტბა)	მონაცემი არაა	6,700	მონაცემი არაა	100

არალის ზღვისპირა დასახლებული პუნქტები, რომელთა მცხოვრებნიც ერთ დროს თევზის რეწვით იყვნენ დაკავებული, დღეს ფუნქციადაკარგულია. მაგალითისთვის, მოინაქი, რომლის მოსახლეობაც 60 ათასი იყო, დღეს 100 კილომეტრითაა მოშორებული სანაპიროს. ქალაქის ეკონომიკა აღარ არსებობს, მოსახლეობა ადგილს ტოვებს, რადგან ნიადაგი დაბინძურებულია. კლიმატი აქ მშრალია, სხვა საქმიანობით ისინი ვერ დაკავდებიან.

კლიმატის ცვლილებამ დამატებითი გამოწვევები გააჩინა - იზრდება ტემპერატურა და შესაბამისად ორთქლდება წყალი, თუმცა სოფლის მეურნეობაში ხდება სარწყავი სისტემების

მოდერნიზება, შემუშავებულია არალის ზღვის გაჯანსაღების პროექტი, რამაც მომავალში შეიძლება არალს წყალი დაუბრუნოს.

*იმსჯელეთ, როგორი შეიძლება იყოს ბერიკის ოჯახის საქმიანობა? აქვთ თუ არა მას პერსპექტივა დარჩენის შემთხვევაში?*

*რამდენად რეალურია არალის ზღვის პრობლემის მოგვარება ახლო მომავალში?*

*რა საქმიანობას შეიძლება მიჰყონ ხელი, სანამ წყალი კალაპოტს დაუბრუნდება?*

*რა რისკის მატარებელია დარჩენა ჯანმრთელობისთვის და ოჯახის შემოსავლისთვის?*

*რა რისკია, თუკი ადგილს დატოვებენ და დედაქალაქში გადასახლდებიან, სადაც უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელია?*

## მდგრადი განვითარების მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, მდგრადი და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა



ენერგეტიკული რესურსები შეიძლება ორ კატეგორიად დავყოთ - განახლებადი და არაგანახლებადი. პირველს მიეკუთვნება წყალი, მზე, ქარი, ხოლო მეორეს - ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი. გამოყენების მიხედვით არსებობს, ე.წ. ტრადიციული და არატრადიციული (ალტერნატიული) ენერგეტიკა. ტრადიციულს მიეკუთვნება: ჰიდრო, თბო და ატომური ენერგეტიკა, არატრადიციულს - ჰელიო (მზის), ეოლო (ქარის), გეოთერმული წყლების, ბიომასის ენერგეტიკა.

ენერჯის ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რომლის წინაშეც დღეს მსოფლიო დგას. ენერჯიაზე წვდომა, ენერგოგენერაცია ხომ ყველა სფეროსთვის მნიშვნელოვანია, იქნება ეს სამუშაო ადგილები, უსაფრთხოება, კლიმატის ცვლილება, საკვების წარმოება, ადამიანის კეთილდღეობა თუ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. აღნიშნული მიზნის მიღწევა სულ უფრო მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი მჭიდროდაა დაკავშირებული მდგრადი განვითარების სხვა მიზნებთან. ენერჯიაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის, ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის გასაზრდელად უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რათა საზოგადოება გახდეს უფრო ინკლუზიური ისეთი საკითხის მიმართ, როგორცაა კლიმატის ცვლილება.

ამჟამად, დაახლოებით 3 მილიარდ ადამიანს საკვების მოსამზადებლად არ აქვს წვდომა უსაფრთხო ენერჯის წყაროზე და იმყოფება შენობების შიდა ჰაერის დაბინძურების საფრთხის ქვეშ. გარდა აღნიშნულისა, 1 მილიარდამდე ადამიანს ხელი არ მიუწვდება

ელექტროენერჯიაზე. მათი 50% სუბ-საჰარის აფრიკის ტერიტორიაზე სახლობს, რაც ამძაფრებს მსოფლიო უთანასწორობის პრობლემას.

გასული ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული, რომელიც უკავშირდება განახლებადი ენერჯიის წყაროების - წყლის, მზისა და ქარის გამოყენებას. ამასთანავე, ენერგოეფექტურობის ხარჯზე შემცირდა ენერჯიის დანახარჯი. მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, ხსენებული გამოწვევის გადასაჭრელად ჯერ კიდევ ბევრი ძალისხმევაა საჭირო. მნიშვნელოვანია სუფთა საწვავსა და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ამასთანავე, მეტი პროგრესია საჭირო განახლებადი ენერჯიის გავრცელებისა და გამოყენების თვალსაზრისით შენობებში, ტრანსპორტსა თუ ინდუსტრიაში.

### ფაქტები და მონაცემები

- ✓ მსოფლიოს მოსახლეობის 13 პროცენტს, 789 მილიონ ადამიანს ჯერ კიდევ არ აქვს ელექტროენერჯიაზე წვდომა.
- ✓ 3 მილიარდი ადამიანი გასათბობად და საკვების მოსამზადებელ საშუალებად ჯერ კიდევ შეშას, ნახშირს ან ცხოველურ ნაკელს იყენებს. ხოლო განვითარებად ქვეყნებში ყოველი 4-დან ერთი სახლი არაა ელექტრიფიცირებული. 2012 წელს შენობებში საყოფაცხოვრებო საწვავის გამოყენების გამო ჰაერის შიდა დაბინძურება 4,3 მილიონი ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდა, მათგან 10-დან 6 ქალი და გოგონა იყო, რადგან ისინი მეტ დროს ატარებენ სახლში ოჯახურ საქმიანობაში.
- ✓ ენერგოგენერაცია არის კლიმატის ცვლილების მთავარი კონტრიბუტორი, მისი წილი მთლიან გლობალურ ემისიებში სათბური აირების დაახლოებით 60%-ს შეადგენს.
- ✓ გლობალურად იზრდება ალტერნატიული ენერჯიის წყაროების წილი, რასაც ხელი შეუწყო კიოტოს პროტოკოლმა და პარიზის ხელშეკრულებამ. 2016 წელს განახლებადი წყაროების წილი ყველაზე სწრაფად გაიზარდა და თითქმის 17.5%-ს მიაღწია, რის მიზეზიც იყო ჰიდროენერჯეტიკის, ქარისა და მზის ენერჯიის ათვისების მაჩვენებლის სწრაფი ზრდა.
- ✓ სუფთა ენერჯიის ბაზარი მხოლოდ ბოლო 10 წლის განმავლობაში 55 მილიარდიდან 126 მილიარდამდე გაიზარდა.
- ✓ მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად 12 ტრილიონის დახარჯვაა ნავარაუდევია, რაც 380 მილიონ ახალ მწვანე სამუშაოს შექმნის.
- ✓ იზრდება განვითარებადი ქვეყნების ენერგოსექტორის პირდაპირი ინვესტიციები განახლებად რესურსებში. 2017 წელს ინვესტიციებმა 2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

### ტერმინები

**ენერჯია** არის სიდიდე, რომელიც ახასიათებს ნებისმიერ ნაწილაკს, სხეულს ან სხეულების ერთობლიობას. ის წარმოადგენს მოძრაობისა და ურთიერთქმედების რაოდენობრივ ზომას. ენერჯიის სხვადასხვა ფორმა გულისხმობს კინეტიკურ, პოტენციურ, სითბურ, გრავიტაციულ, დრეკადობისა და სხვა ენერჯიებს.

ენერგეტიკული რესურსები შეიძლება ორ კატეგორიად დავყოთ - **განახლებადი და არაგანახლებადი**.

**განახლებადი რესურსებია** წყალი, მზე, ქარი, ხოლო არაგანახლებადი - ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი.

გამოყენების მიხედვით არსებობს, ე.წ. **ტრადიციული და არატრადიციული (ალტერნატიული) ენერგეტიკა**. ტრადიციულს მიეკუთვნება: ჰიდრო, თბო და ატომური ენერგეტიკა, არატრადიციულს - ჰელიო (მზის), ეოლო (ქარის), გეოთერმული წყლების, ბიომასის ენერგეტიკა.

**ენერგოეფექტურობა** - ენერგოეფექტურობა ნიშნავს ენერჯის, როგორც რესურსის ოპტიმალურ გამოყენებას, ასევე მისი გამოყენების მაქსიმალურ შეზღუდვას სამრეწველო თუ საყოფაცხოვრებო პროცესებში ისე, რომ ამით დაიზოგოს ენერჯის მნიშვნელოვანი წილი მიღებული სარგებელი კი იგივე დარჩეს. ენერგოეფექტურობის გაზრდა, რომელსაც ორი ძირითადი მიდგომა აქვს - ენერგოდაზოგვა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიები - ენერჯის მოხმარების შემცირების პირველადი წყაროებია.

## განახლებადი ენერჯის წყაროები

მეცნიერები დიდხანს ფიქრობდნენ მზის, ტალღებისა და ქარის ენერჯის გამოყენებაზე, განათების, გათბობის, გაგრილების, ტრანსპორტირებისა თუ სხვა მიზნით.

**ბიომასა** - კაცობრიობამ პირველად სწორედ ბიომასის ენერჯის გამოყენება დაიწყო გასათბობად, საკვების მოსამზადებლად თუ ცხოველების შესაშინებლად. ბიომასას განეკუთვნება ყველა ის ენერჯია, რომელიც ბიოლოგიური ორგანიზმების, მცენარეებისა და ცხოველებისაგან მიიღება. ბიოენერჯის სახეობებიც მრავალფეროვანია და მოიცავს მყარ თუ თხევად ბიოსაწვავს.

ბიოგაზი წარმოიქმნება უჟანგბადო გარემოში სხვადასხვა ორგანული ნივთიერების დაშლით. ეს შეიძლება იყოს ნაგავსაყრელებზე განთავსებული ნარჩენები ან დაჭაობებული ტერიტორიები. აღნიშნულ ადგილებში ორგანული ნივთიერებების დაშლით გამოიყოფა ბუნებრივი აირი მეთანი და ნახშირორჟანგი, რომელიც ჩვეულებრივ გაზს წარმოადგენს.

ბიოგაზის<sup>2</sup> მისაღებად შეიძლება გამოვიყენოთ მცენარეული და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ასევე ცხოველური ნარჩენები, ჩამდინარე წყლები და ა.შ. ბიოგაზი სპეციალურ მოწყობილობებში, ბიორეაქტორებში გადამუშავების შედეგად მიიღება და გამოიყენება ელექტროენერჯის მისაღებად, გათბობის სისტემებსა და ტრანსპორტში საწვავად.

ბიომასა უკვე მსოფლიოს პირველადი ენერჯის მოხმარების 14%-ს უზრუნველყოფს.

**ჰიდრო ენერჯია** - 2000-2500 წლის წინ ბერძნები და რომაელები წყლის ენერჯიას (ჰიდროენერჯია) დოლაბების ასამოძრავებლად და მარცვლეულის დასაფქვავად იყენებდნენ.

---

<sup>2</sup> ჩვ.წ.ად.-მდე მე-2 ათასწლეულში მდინარე ელბას აუზში ი თანამედროვე გერმანიის ტერიტორიაზე მცხოვრებმა მომთაბარე ტომებმა ჭაობის ზედაპირი ტყავით და ფა რე ს და ტყავისავე მილებით თავიანთ საცხოვრისამდე ჭაობის ზედაპირიდან ამომავალი აალებადი გაზი მიიყვანეს, რომელსაც საჭმლის მოსამზადებლად იყენებდნენ.

ინდუსტრიულ რევოლუციამდე წყალი სხვადასხვა დანადგარის ამოძრავების უმთავრესი წყარო იყო.

დაახლოებით 100 წლის წინ კი წყლისგან ელექტროენერჯის წარმოება დაიწყო. პირველად წყლისგან ელექტროენერჯია 1878 წელს ინგლისში, ნორსამბერლენდში, უილიამ არმსტრონგის მიერ შექმნილი ჰიდროელექტროსადგურის საშუალებით მიიღეს. მისი საშუალებით ხელოვნების მუზეუმში ერთი ნათურა ინთებოდა. 1881 წელს ნიაგარას ჩანჩქერზე აიგო ჰიდროელექტროსადგური, მას შემდეგ კი დასაბამი მიეცა ჰიდროელექტროსადგურების მასობრივ მშენებლობას.

ჰიდროენერჯის მიღების მექანიზმი შემდეგ პრინციპს ემყარება: წყალი ამოძრავებს ტურბინებს, რომლებიც მექანიკურ ენერჯიას ელექტროენერჯიად გარდაქმნიან. დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები იყენებენ წყალსაცავებს, სადაც დიდი რაოდენობით წყალია დაგროვილი. ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნოლოგია მარტივი და ცნობილია, თუმცა ტექნოლოგიური გამოწვევები არ არის ჰიდროენერჯიასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემა.

**ზღვის მიქცევა-მოქცევის ენერჯია** - წყლის ენერჯიის გამოყენების მაგალითია, ზღვისა და ოკეანის მოქცევისა და ტალღების ენერჯიისგან ელექტროენერჯის მიღება. მერვე საუკუნის მიწურულიდან ტალღების მოქცევის ენერჯია აქტიურად გამოიყენებოდა საფრანგეთში, ინგლისსა თუ ესპანეთში ნაოსნობასა და გემების გადაადგილებაში. ბოლო პერიოდში კი მისი საშუალებით ელექტროენერჯის წარმოება დაიწყო.

ტალღების მოქცევისაგან ელექტროენერჯის მიღება იმავე პრინციპს ემყარება, რაც წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურების შემთხვევაში. ზღვისა და ოკეანის მიქცევისა და მოქცევის ენერჯია ამოძრავებს ტურბინებს, გენერატორებს და მიიღება ელექტროენერჯია, თუმცა ამ შემთხვევაში ტექნოლოგია შედარებით მრავალფეროვანი და ძვირია. აღსანიშნავია, რომ ზღვის ტალღების ენერჯია არ არის დამოკიდებული ამინდზე.

ტალღების მოქცევით ენერჯიის წარმოების კარგი პოტენციალი აქვს საფრანგეთს, ინგლისს, კანადასა და რუსეთს. ენერჯიის მიღების აღნიშნული საშუალება ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა.

**მზის ენერჯია** - ყოველ საათში დედამიწაზე მზის იმდენი ენერჯია აღწევს, რამდენიც საკმარისი იქნებოდა ერთი წლის განმავლობაში მთელი მსოფლიოს ენერჯეტიკული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მზის 30-დღიანი ნათების შედეგად იმდენი ენერჯია მიიღება, რამდენიც მიუღია და გამოუყენებია კაცობრიობას წიაღისეული რესურსების წვით.

მზის ენერჯიის კომერციული მიზნებით გამოყენება 1447 წელს ლეონარდო და ვინჩიმ იწინასწარმეტყველა. 1515 წელს მან 4 მეტრი სიგრძის პარაბოლური სარკის კონსტრუქციის აგება დაიწყო, რომელსაც წყალი უნდა გაცხელებინა. ტექნოლოგიები იხვეწებოდა და 1921 წელს ფოტოელექტრონული ეფექტის თეორიული შესწავლისათვის ალბერტ აინშტაინს ნობელის პრემია მიენიჭა.

არსებობს მზის ენერჯიის გამოყენების პასიური და აქტიური მეთოდები. პასიური გამოყენება არ საჭიროებს სპეციალური ტექნოლოგიების გამოყენებას. მაგ. ასეთია - სითბოს შენარჩუნების მიზნით საცხოვრებელი სახლის სამხრეთისკენ მიმართული ფანჯრები.

მზის ენერგია წარმატებით გამოიყენება ელექტროენერჯის მისაღებად, გათბობის სისტემების მოსაწყობად და ტრანსპორტირებისთვისაც კი. ეს კი მისი აქტიური გამოყენების მაგალითია.

**ქარის ენერჯის** გამოყენების ადრეული ფორმები ნაოსნობას უკავშირდება. მეზღვაურები ქარის ენერჯის სწრაფი გადაადგილებისთვის იყენებდნენ. ეს ენერგია გამოიყენებოდა წყლის ამოსატუმბადაც. კუნძულ კრეტაზე ასობით დანადგარის საშუალებით მდინარეებიდან სასმელი წყალი ამოჰქონდათ. ქარის ენერჯის გამოყენების შემდგომი სტადია ქარის წისქვილები იყო. ჩვ.წ.ად.-მდე 500-900 წლისთვის სპარსეთში წისქვილების ასამუშავებლად ქარის ენერჯის გამოყენება დაიწყო.

მე-19 საუკუნის მიწურულიდან კი ქარის ენერჯისგან ელექტროენერჯის წარმოება დაიწყო. პირველი სადგური 1888 წელს ოჰაიოში, აშშ- ში გაიხსნა. ელექტროენერჯის წარმოებას ჩვეულებრივ 14 კმ/სთ სიჩქარის ქარის ენერგია სჭირდებოდა. ერთი ტურბინა კი 300 სახლის ელექტრომომარაგებისთვის იყო საკმარისი.

ქარის ენერჯისგან ელექტროენერჯის წარმოება ევროპაში განსაკუთრებით პოპულარული გახდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც წიაღისეულ საწვავზე ფასები მკვეთრად გაიზარდა. 1970-იან წლებში იგივე მდგომარეობა იყო ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. ცნობილი „არაბული ნავთობის კრიზისის“ პირობებში ქარის ენერგია ელექტროენერჯის მიღების მნიშვნელოვანი წყარო იყო.

**გეოთერმული ენერგია** - ძველ რომში საზოგადოებრივი თავშეყრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი აბანო იყო. როდესაც სენატორი დაბალების დღეს იხდიდა და დაწინაურების სურვილით შეპყრობილს, სახელმწიფო მოხელეების გულის მოგება სურდა, მათ აბანოში ეპატიჟებოდა. აბანოები დედამიწიდან მომდინარე ცხელი წყაროების ადგილებში შენდებოდა. ასეთი ადგილი რომში მრავლად იყო.

აბანოში სიარულის ტრადიცია ცნობილია საქართველოშიც. ცხელი გოგირდის წყლით მოხარშული ხოხბის შესახებაც ყველას გვსმენია. ეს ცხელი წყლები გეოთერმული ენერჯის გამოვლინებაა.

გეოთერმული ენერგია დედამიწის გულში არსებული ენერჯიაა. დედამიწის გული გავარვარებული მასაა, მისი სიმხურვალე მზის სიმხურვალესაც კი აჭარბებს. მისი ეს სიმხურვალე და ენერგია დედამიწის ზედაპირზეც ვულკანებისა და გეიზერების სახით ამოიფრქვევა ხოლმე.

აბანოების მოწყობის გარდა, ამ ენერჯის გამოყენება სხვა დანიშნულებითაც გახდა შესაძლებელი. მსოფლიოში ენერჯის 10% გეოთერმული ენერჯისგან მიიღება, გეოთერმული ენერგია, ჩვეულებრივ, გათბობისა და ელექტროენერჯის მისაღებად გამოიყენება. განსაკუთრებით აქტიურად იყენებენ მას ისლანდიაში.

## ენერჯიაზე ხელმისაწვდომობის გამოწვევები და გადაჭრის გზები

კარგად ჩამოყალიბებული ენერგეტიკული სისტემა ყველა სექტორის განვითარებას უწყობს ხელს. ეს იქნება - ბიზნესი, მედიცინა, განათლება და კვლევები, სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები, ტურიზმი, მრეწველობა, ტრანსპორტი თუ სხვა. განვითარებად ქვეყნებში დაჩქარდა ელექტროფიკაცია, უმჯობესდება ენერგოეფექტურობა და განახლებად ენერჯიაზე წვდომა სულ უფრო მზარდი და შთამბეჭდავი ხდება. მიუხედავად ამისა, საჭიროა მეტი მიზანმიმართული მუშაობა, იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სუფთა და უსაფრთხო

ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა შინამეურნეობებში, რადგან საკვების დასამზადებლად 2.8 მილიარდი ადამიანი ჯერ კიდევ შეშასა და ცხოველურ ნაკვალს იყენებს.

მრავალი ათწლეულის განმავლობაში წიაღისეული საწვავი, როგორცაა - ქვანახშირი, ნავთობი თუ გაზი ელექტროენერჯის წარმოების მთავარი წყარო იყო. მათმა მოხმარებამ დიდი რაოდენობით სათბური აირები წარმოქმნა, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია ტემპერატურულ რეჟიმზე და გამოიწვია კლიმატის ცვლილება. კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების შესახებ ხშირად ვისმენთ ახალ ამბებში და თვალნათლივ ვხედავთ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც (წყალდიდობები და წყალმოვარდნები, ექსტრემალური ტემპერატურები, გვალვები, ხანძრები). აღნიშნული შედეგები უარყოფითად აისახება ადამიანების კეთილდღეობასა და გარემოზე. მისი მასშტაბები არ არის შემოსაზღვრული, არამედ გლობალურია. უფრო მეტიც, ელექტროენერჯის გლობალური მოხმარება სწრაფად იზრდება, რადგან იზრდება მოსახლეობის რაოდენობა. ტექნოლოგიური სიახლეები და მათი ხელმისაწვდომობა ზრდის ენერჯიაზე ხელმისაწვდომობასაც. იზრდება ელექტროენერჯის მოთხოვნილება ერთ სულ მოსახლეზე. სტაბილური ელექტროენერჯის გარეშე, ქვეყნები ვერ შეძლებენ ეკონომიკის გაძლიერებას.

გლობალური კლიმატის ცვლილების პირობებში ენერჯეტიკის სექტორს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება. მზის, ქარისა და წყლის ენერჯის გამოყენების ზრდა საშუალებას იძლევა, შემცირდეს სათბურის აირების ემისია და წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებული ეკონომიკა სუფთა წყაროებზე გადაერთოს. ევროკავშირის მიზნები - ტრადიციული ენერჯია განახლებადებით ჩაანაცვლოს - ყოველ ჯერზე უფრო და უფრო ამბიციური ხდება. გლობალური მწვანე შეთანხმება, რომელიც ევროკავშირის ეკონომიკური ხედვის საფუძველი უნდა იყოს, დამატებით სტიმულს იძლევა ამისთვის.

როცა შინამეურნეობას არ აქვს ენერჯიაზე წვდომა, ქალებსა და გოგონებს ბევრად მძიმე ფიზიკური საქმიანობის გაწევა და საკვების მოსამზადებლად სამზარეულოში მეტი დროის გატარება უწევთ, რაც ტრადიციულად მათ ფუნქციებში შედის. შესაბამისად, გოგონები ჩამოშორებული არიან სკოლას, რადგან ოჯახურ საქმეებში დედას ეხმარებიან.

ელექტროენერჯის გარეშე კლინიკები ვერ ინახავენ ბავშვებისთვის ვაქცინებს თუ სხვა პრეპარატებს, რომლებსაც შენახვის პირობების დასაცავად მაცივარი სჭირდება. ასევე ვერ ამუშავებენ სამედიცინო ტექნიკას.

სკოლის ბევრი მოსწავლე ვერ ასრულებს საშინაო დავალებას დამით, ასევე სკოლები ვერ ასწავლიან ტექნოლოგიების გამოყენებას. ხალხი ვერ აწარმოებს კონკურენტუნარიან ბიზნესს.

თუ 2030 წლისთვის ჩვენ ვერ მივალწევთ მიზანს, მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის მესამედის - ძირითადად ქალებისა და ბავშვების - ჯანმრთელობა შენობებში ჰაერის მავნე დაბინძურების გამო კვლავ საფრთხის ქვეშ დარჩება.

COVID-19-ის პანდემიამ მსოფლიოს და ანახა ენერჯით უზრუნველყოფის გადამწყვეტი მნიშვნელობა დაავადების სამართავად, ასევე ვაქცინების ადმინისტრირებისთვის ცივი ჯაჭვის შესანახ რჩუნებლად, რაც სპეციალური სამაცივრე დანადგარების ქონასაც გულისხმობს. ასევე საჭიროა ინფორმაციის მართვა კომუნიკაციებისა და IT სერვისების ჩასართავად, რომლებიც, მიუხედავად სოციალური დისტანციისა, ადამიანებს აკავშირებს.

თუ ქვეყნები ინვესტიციას განახლებადი ენერჯის რესურსებში ჩადებენ, პრიორიტეტს ენერჯოეფექტურ პრაქტიკას, სუფთა ენერჯის ტექნოლოგიებსა და ინფრასტრუქტურას მიანიჭებენ, შეძლებენ, დააჩქარონ ხელმისაწვდომ, საიმედო და მდგრად ენერჯეტიკულ

სისტემაზე გადასვლა. განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერჯის მიღებით ბიზნესს ეკოსისტემის შენარჩუნება და დაცვა შეუძლია. ინვესტორებს შეუძლიათ, მეტი ინვესტიცია ჩადონ მდგრად ენერგეტიკულ მომსახურებაში, რაც ახალი ტექნოლოგიების სწრაფად შემოტანის საწინდარი გახდება.

მნიშვნელოვანია **ენერგოეფექტურობის** გაზრდა, რომელსაც ორი ძირითადი მიდგომა აქვს - ენერგოდაზოგვა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც ენერჯის მოხმარების შემცირების პირველადი წყაროებია.

ენერგოდაზოგვა გულისხმობს ნაკლები ენერჯისა და ენერგეტიკული მომსახურების გამოყენებას, რაც ძირითადად ადამიანის შეგნებაზე გადის და მის ჩვევებზე აისახება. მარტივად, ეს შეიძლება ნიშნავდეს სინათლის ან გათბობის გამორთვას იქ, სადაც ის საჭიროებას არ წარმოადგენს.

ენერგოეფექტური ტექნოლოგიები მალაეფექტური მოწყობილობებია, რომლებიც მომსახურების/პროდუქტის საწარმოებლად ნაკლებ ენერჯიას მოიხმარს. ეს შეიძლება იყოს ფლუორესცენციული ნათურა, რომელიც ჩვეულებრივ ვარჯარა ნათურასთან შედარებით იმავე ნათების პირობებში 5-ჯერ ნაკლებ ენერჯიას მოიხმარს და 10-ჯერ მეტ ხანს ძლებს.

აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის ცნობით, მხოლოდ შენობებში წლიურად დაახლოებით 90 მილიარდი კვტ.სთ. ენერჯის დაზოგვაა შესაძლებელი, ხოლო სხვადასხვა სექტორში, ენერგოეფექტურ ღონისძიებებში, 520 მილიარდი დოლარის ინვესტიციის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება 1.2 ტრილიონი დოლარის ღირებულების ენერჯის დაზოგვა.

## ჰესი - სუფთა ენერჯის წყარო თუ საფრთხე

საქართველოს ბუნებრივი გაზის, ნავთობისა და ქვანახშირის მცირე მარაგი აქვს, თუმცა ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა მზარდია. საქართველოს ენერგეტიკა 80%-ით ჰიდრორესურსებზეა დამოკიდებული, ზამთრის თვეებში კი, როცა მდინარეები საკმარის ენერჯიას ვერ გამოიმუშავენ, მისი იმპორტით შევსება ხდება.

განვითარებული ქვეყნები გადადიან ენერჯის განახლებად წყაროებზე, რაც ამოუწურავ რესურსებს მიეკუთვნება (მზე, ქარი, მდინარე, ოკეანე), რათა შეამცირონ ნახშირბადის ემისია ატმოსფეროში. ეს ტენდენცია მზარდია და ქვეყნებს „პარიზის ხელშეკრულების“ ფარგლებში ვალდებულებები დაეკისრათ. ემისიების ნულოვან ნიშნულამდე დასაყვანად არაერთი თამამი ინიციატივა გაცხადდა ქალაქებისა და ქვეყნების მხრიდან. მსოფლიო გზაგასაყარზე დგას. შემოიტანს თუ არა ეს ვალდებულებები გარდატეხას, რაც ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების შერბილებას. აქ გადამწყვეტი სწორედ ენერგეტიკის როლი და მისი ტრანსფორმაცია ხდება. განახლებადი რესურსების უპირატესობად მისი დაბალი და სტაბილური ფასი, ეკოლოგიური სისუფთავე, უწყვეტობა და განახლებადობა მიიჩნევა. გარდა ამისა, ამბობენ, რომ ვინაიდან მზე ყველგან არის და ქარიც ყველგან უბერავს, ამ ტიპის ენერჯის წარმოება თითქმის ყველა ქვეყანას შეუძლია. თუმცა განახლებადი ენერჯის საწარმოებლად სადგურების აშენება საკმაოდ ძვირ სიამოვნებად ითვლება და ამისთვის დიდი ტერიტორიებია საჭირო. მნიშვნელოვანია, რამდენად სწრაფად მოხდება ტექნოლოგიების განვითარება და რამდენად მასობრივი გახდება ის. ეს კი შეამცირებს ფასებს და შესაძლებელს გახდის ტრადიციული საწვავით მიღებული ენერჯის

ჩანაცვლებას. ჰიდროელექტროსადგურებმა მსოფლიოში წარმოებული ელექტროენერჯის თითქმის 17% აწარმოვა, ანუ განახლებადი წყაროების მიერ წარმოებული ელექტროენერჯის 70%.

ამ ფონზე, უკანასკნელი წლების განმავლობაში სულ უფრო აქტიურად მსჯელობენ, რამდენად საჭიროა საქართველოში დიდი ჰესების აშენება, როგორც, მაგალითად, ხუდონი და ნენსკრაა, და თუ არ არის საჭირო, მაშინ, შეიძლება თუ არა ამავე რაოდენობის ენერჯის გამომუშავება, რამდენსაც აღნიშნული ჰესებით გამოვიმუშავებთ, განახლებადი ენერჯის სხვა წყაროების მეშვეობით.

საქართველოს მტკნარი წყლის საერთო მარაგი 96,5 კმ<sup>3</sup>-ია (მყინვარები, ტბები და წყალსაცავები). მისი ჰიდროგრაფიული ქსელი საკმაოდ ხშირია და მდინარეთა რაოდენობა 26 ათასს აღემატება, თუმცა მათი სიგრძე მხოლოდ 60 ათასს კილომეტრს შეადგენს. მდინარეებს ახასიათებს მკვეთრი სეზონურობა, რაც ართულებს მათ ათვისებას, ვინაიდან საჭირო ხდება მარეგულირებელი წყალსაცავის მშენებლობა. ქვეყნის მდინარეების 10 მგვტ-მდე სიმძლავრის მქონე უბნებზე შესაძლებელია ჰესების ამოქმედება. მდინარეებიდან ენერჯია მიიღება 300-მდე მდინარისგან, წლიური ჯამური პოტენციური სიმძლავრით 15 ათ. მეგავატი, ხოლო მათი საშუალო წლიური ენერჯია 50 მლრდ კვტ.სთ-ის ეკვივალენტურია.

საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას დიდი ტრადიცია აქვს. 1887 წელს თბილისში ქართული დრამატული თეატრის გასანათებლად თბური ძრავების დააყენეს, ხოლო პირველი ჰესი - ბორჯომში 1898 წელს აშენდა. ის 103 კილოვატი სიმძლავრის ელექტროენერჯიას გამოიმუშავებდა. ელექტრიფიკაციას მოჰყვა მოთხოვნის ზრდა. 1961 წელს ამიერკავკასიაში საფუძველი ჩაეყარა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის უდიდესი ჰესის მშენებლობას. ის 1978 წელს დასრულდა. ენგურჰესი არის უნიკალური პროექტი, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულია სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოში პოტენციური ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურების სია და გაწერილია წესები და პროცედურები მათი მშენებლობისათვის.

მდინარეების ტექნიკური პოტენციალი გამოითვლება არაპირდაპირი გზით, „პოტენციალური რესურსების გამოყენების K-კოეფიციენტით“, რომელიც წარმოადგენს შესწავლილი მდინარის ტექნიკური პოტენციალის შეფარდებას ამავე მდინარის პოტენციურ ენერჯიასთან. საქართველოს მდინარეებისათვის K-კოეფიციენტი 0,3-0,9 ფარგლებში მერყეობს, და საშუალოდ 0,503-ია.

არსებულ 65 მდინარეზე გაშენებული კაშხალი სრული დატვირთვით ვერ მუშაობს. მათი წყლის რეზერვუარები ნატანით არის ამოვსებული, რაც წყალსაცავს შეგუბების უნარს უკარგავს და არ აძლევს სრულფასოვნად მუშაობის საშუალებას. რეაბილიტაციის გარეშე არსებული ჰესების პოტენციალის გამოყენება შეუძლებელია.

როდესაც ჰიდროელექტროსადგურებზე ვსაუბრობთ, ძირითადი პრობლემა არის ამ ჰესების საჭიროების დასაბუთება - გვჭირდება თუ არა ეს სადგურები; რა სარგებელს ველოდებით გარემოზე, საზოგადოებაზე, ეკონომიკაზე, ბუნებაზე ზიანის საპირწონედ. ამაზე სრულყოფილი პასუხის გასაცემად საჭიროა, ყველა რისკი იყოს შესწავლილი და ეს ხდებოდეს გამართული ინსტრუმენტით. საქართველოში არსებული გზშ (გარემოზე ზემოქმედების შეფასება) ნაკლებად

იძლევა ამის საშუალებას და საჭიროებს დახვეწას. ეს დასტურდება ნებართვაგაცემულ ჰესებზე მომხდარი კატასტროფებითაც (მაგ., დარიალჰესი), რაც შემდეგ ბუნებას ბრალდება ხოლმე.

საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რეგიონებში უმუშევრობა ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემაა. ჰესების მშენებლობას შეუძლია გაზარდოს ადგილზე დასაქმება, რაც ხელს შეუწყობს სოციალური პრობლემების მოგვარებასა და ადამიანების კეთილდღეობას. თუმცა დასაქმება სპეციფიკურ ცოდნას მოითხოვს, რაც ადგილობრივ მოსახლეობას არ აქვს. ამიტომ, ინვესტორებს მომსახურე პერსონალიც შემოჰყავთ. დარჩენილი სამუშაოები კი არაკვალიფიციური და შესაბამისად, დაბალანაზღაურებადია, რაც არსებულ პრობლემებს ვერ აგვარებს.

ეკოლოგიურ საფრთხეებს შორისაა დიდი ფართობების - სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ტყეების, დასახლებების დატბორვა, რაც ნეგატიურად ზემოქმედებს მიკროკლიმატზე, ზრდის ტენიანობას, ცვლის ლანდშაფტს, აფერხებს მდინარის ნატანის გადაადგილებას, რაც ხელს უწყობს სანაპიროს აბრაზიას და მრავალი სხვა. ასევე იზრდება მეწყრული პროცესების გააქტიურების საშიშროებაც.

მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობა ნაკლებ რისკს შეიცავს, ხოლო მსხვილი ჰესების მშენებლობაზე ბევრი ქვეყანა უარს ამბობს. თუმცა მცირე ჰესის მშენებლობისას არასწორი გათვლებისა და დაპროექტების შემთხვევაშიც შესაძლებელია ადგილზე ბევრი პრობლემა შეიქმნას და ზარალი მეტი მივიღოთ, ვიდრე სარგებელი.

აქცენტი არ უნდა კეთდებოდეს მხოლოდ ენერჯის გამომუშავებაზე, საჭიროა ენერგოეფექტურობისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა, რაც ენერგოსაფრთხოების ერთ-ერთი არსებითი საკითხია. ენერგოეფექტურობით ხდება არსებული ენერგომომხმარების შემცირება, ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით. ამის მაგალითია ენერგოეფექტური ნათურები, გათბობის სისტემები, სამშენებლო მასალები, რომლებიც გამოიყენება ენერჯის დასაზოგად.

ზამთრის თვეებში ჰესების მიერ გამოსამუშავებელი ენერჯის კომპენსირება შეიძლება მოხდეს ქარის ენერჯის ათვისების ხარჯზე, რაც ურთიერთშემავსებელი აღმოჩნდება. ქარისგან მიღებული ელექტროენერჯია მაქსიმუმს მაშინ აღწევს, როცა ელექტროენერჯიაზე მოთხოვნილება იზრდება.

დამატებით გაეცანით სტატიას „დიდი ჰესების მშენებლობის დილემა საქართველოში“ <https://1tv.ge/analytics/didi-hesebis-msheneblobis-dilema-sagartveloshi/> და იმსჯელეთ, საჭიროა თუ არა ჰესების მშენებლობა და როგორ შეიძლება რისკების მინიმიზაცია.

## მდგრადი განვითარების მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის



დღეს მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევრის შემოსავალი დღეში 2 აშშ დოლარის ეკვივალენტს შეადგენს. გლობალური უმუშევრობის მაჩვენებელი 5.7%-ია და მოსახლეობის ნაწილისათვის სამუშაოს ქონა ჯერ კიდევ არ არის სიღარიბისგან თავის დაღწევის გარანტია. არსებული ნელი და არათანაბარი პროგრესი მოითხოვს იმ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გადაფასებას, რომელიც სიღარიბის აღმოფხვრისკენ არის მიმართული.

ღირსეული სამუშაოს ნაკლებობა და არასაკმარისი ინვესტიციები წინ უძღვის დემოკრატიული საზოგადოების იმ ფუძემდებლური ძირითადი პრინციპის მოშლას, რომელიც გულისხმობს, რომ პროგრესი ყველას უნდა შეეხოს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მასშტაბით ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის საშუალო ზრდა ყოველწლიურად ფიქსირდება, ჯერ კიდევ არსებობენ განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც 2030 წლისთვის დაგეგმილ 7%-იანი ზრდის მაჩვენებელს ვერ მიაღწევენ. შრომის ნაყოფიერების შემცირებასთან ერთად იზრდება უმუშევრობის მაჩვენებელი და ამასთანავე, ხელფასების შემცირება აუარესებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს. უმუშევრობის პრობლემები კიდევ უფრო გაამძაფრა კორონავირუსმა.

მდგრადი ეკონომიკური ზრდა გულისხმობს საზოგადოებისთვის ისეთი პირობების შექმნას, რომ ხალხს ჰქონდეს ღირსეული სამუშაო, რომელიც იქნება ეკონომიკის მასტიმულირებელი და ზიანს არ მიაყენებს გარემოს. სამუშაო ადგილების შექმნა საჭიროა ყველა ასაკის ადამიანისათვის. ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოხდეს შემოსავლების სათანადოდ მართვა, აქტივების დაგროვება და პროდუქტიული ინვესტიციების განხორციელება.

### ფაქტები და მონაცემები:

- ✓ 2017 წელს მსოფლიოში უმუშევრობის დონე 5.6% იყო. 2000 წელთან შედარებით, როცა ეს მაჩვენებელი 6.4%-ს უტოლდებოდა, მან იკლო.
- ✓ 2016 წელს მსოფლიოში დასაქმებულების 61%-ს არაფორმალური სამუშაო ჰქონდა. მისი დიდი წილი სოფლის მეურნეობაზე მოდის, სადაც ეს მაჩვენებელი 51%-ს უტოლდება.
- ✓ 45 ქვეყნიდან 40-ში მამაკაცები ქალებზე 12.5%-ით მეტ ანაზღაურებას იღებენ. არ გვაქვს ქვეყნების ნაწილის მონაცემები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მდგომარეობა ქალებთან მიმართებაში აქაც დისკრიმინაციულია.
- ✓ გენდერულ ჭრილში ხელფასების სხვაობა გლობალური მასშტაბით 23%-ს შეადგენს და თუ რადიკალურ ზომებს არ მივიღებთ, კიდევ 68 წელი დასჭირდება იმას, რომ ანაზღაურება გათანაბრდეს. ქალთა დასაქმების მაჩვენებელი 63%-ს, მამაკაცების კი - 94%-ს შეადგენს.
- ✓ მიუხედავად შრომის ბაზარზე ქალთა მზარდი ჩართულობისა და ზოგადად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი მეტად წარმოჩენისა, ქალები მამაკაცებთან შედარებით 2,6-ჯერ მეტ აუნაზღაურებელ სამინაო საქმეს აკეთებენ.
- ✓ 2019 წელს დაუსაქმებელი იყო ახალგაზრდების 22%. ისინი არც ფორმალურ განათლებაში ყოფილან ჩართული.

- ✓ ეკონომიკური ზრდის ტემპი შენელებული იყო კოვიდპანდემიამდე და 2010-2018 წლებში მშპ-ის 2%-ს შეადგენდა. ეს ზრდა კიდევ უფრო შენედა და 2019 წელს 1,5% შეადგინა.
- ✓ პანდემიამ გამოიწვია ყველაზე დიდი ეკონომიკური რეცესია, როგორცაც დიდი ღებრესიის შემდეგ ადგილი არ ჰქონია. მშპ ერთ სულ მოსახლეზე გათვლით 2020 წელს უკვე 4,2%-ით შემცირდა.
- ✓ 1,6 მილიარდმა არაფორმალურად დასაქმებულმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო, რამაც ისინი სახლ-კარის დაკარგვის რისკის ქვეშ დააყენა.
- ✓ ტურიზმის ინდუსტრია, რომელიც პანდემიამდე ყველაზე მზარდი იყო, სხვა სექტორებთან შედარებით, არათანაზომადი გამოწვევების წინაშე დადგა. ქვეყნების კოვიდრეგულაციებმა და მოსახლეობის მობილობის შემცირებამ საერთაშორისო ტურისტების რიცხვი 1 მილიარდით შეამცირა, ეს კი 74%-იანი კლება იყო.
- ✓ სანამ ეკონომიკა აღდგენას არ დაიწყებს, სამუშაო ადგილების რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდება.

## ტერმინები

**არაფორმალური ეკონომიკა** წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობებსა და მათგან მიღებულ შემოსავალს, რომელიც გვერდს უვლის სამთავრობო რეგულაციებს, გადასახადებსა და ზედამხედველობას.

**არაფორმალური დასაქმება** გულისხმობს შრომითი ურთიერთობის სახეობებს, რომლებიც გვერდს უვლის ლეგალურ ჩარჩოს და შესაბამისად, ვერ ხდება პასუხისმგებელი მის აღსრულებაზე, დაუცველს ტოვებს დასაქმებულებს დამსაქმებლის წინაშე.

**ეკონომიკური ზრდა** - მაკროეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ცნება, რომელსაც იყენებენ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის პოზიტიური ცვლილებების გამოსახატავად. ეკონომიკურ ზრდაში იგულისხმება ეკონომიკის რაოდენობრივი ზრდა, ქვეყნის დოვლათის (მთლიანი შიდა პროდუქტის – მშპ) მოცულობისა და საწარმოო პოტენციალის ზრდა. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლად გამოიყენება რეალური მშპ-ის ზრდის წლიური ტემპი.

**ეკონომიკური განვითარება** - არის საზოგადოების განვითარების სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას, ისარგებლონ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებით.

**მთლიანი შიდა პროდუქტი** - მოცემული ქვეყნის საზღვრებში ერთი წლის განმავლობაში წარმოებული საბოლოო პროდუქტის (მომსახურების, სამუშაოს) ერთობლიობა გამოხატული მიმდინარე საბაზრო ფასით. თუ ამ მონაცემს გავყოფთ მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე, გავიგებთ, რამდენი მოდის საშუალოდ ერთი ადამიანის წილად.

**ტრეფიკინგი** - არის არაფორმალური დასაქმების არალეგალური, დანაშაულებრივი ფორმა. ტრეფიკინგის მსხვერპლად ითვლება ადამიანი, რომელიც ქვეყნის შიგნით ან ქვეყნის გარეთ ექსპლუატაციის მიზნით იქნა დაქირავებული, ტრანსპორტირებული, გადაცემული, დამალული მუქარის, იძულების, მოტყუების, დაშინების ან სხვა უკანონო საშუალებებით. ის არის არაფორმალური დასაქმების დამნაშავეობითი ფორმა.

## გამოწვევები და გადაჭრის გზები

მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა შეიძლება გახდეს წინსვლის საწინდარი, შექმნას ღირსეული სამუშაო ადგილები ყველასთვის და გააუმჯობესოს ცხოვრების დონე. COVID-19 პანდემიამდე უამრავი პრობლემა იყო შემოსავლებისა და დასაქმების კუთხით, უკვე 2020 წელს ყოველ მეხუთე ქვეყანაში, სადაც მილიარდობით ადამიანი სიღარიბეში ცხოვრობს, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი შემცირდა. პანდემიასთან დაკავშირებული ეკონომიკური და ფინანსური შოკები, როგორცაა, მრეწველობის შეფერხება, ფინანსური ბაზრის არასტაბილურობა და მზარდი დაუცველობა - აფერხებს ისედაც ნელ ეკონომიკურ ზრდას და აძლიერებს სხვა ფაქტორებისგან გამოწვეულ რისკებს.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ქვეყნის კეთილდღეობის საყოველთაოდ აღიარებული საზომია. როდესაც ვმსჯელობთ, რა მდგომარეობაშია ქვეყნის ეკონომიკა, ჩვენ ვინტერესდებით მთლიანი შემოსავლით, რომელსაც ეკონომიკა ჯამურად გამოიმუშავებს. ქვეყნების ცხოვრების დონეს შორის განსხვავებაც მათ მთლიან შიდა პროდუქტზეა დამოკიდებული. მაშასადამე, რაც უფრო მაღალია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, მით უფრო მაღალია ამ ქვეყნის მოსახლეობის შემოსავალი და მოხმარება. ამიტომ ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის რაოდენობა შეიძლება საშუალო ინდივიდის კეთილდღეობის საზომად ჩაითვალოს.

მაგრამ ზოგად მშპ-ს შეუძლია შეცდომაში შეგვიყვანოს. მაგალითად, ჩინეთის მშპ ბევრად აღემატება განვითარებული ქვეყნებისას, თუმცა, როდესაც ერთ სულ მოსახლეზე ვანგარიშობთ, ამ უკანასკნელთა საგრძნობი უპირატესობა იკვეთება.

მშპ-ს აქვს ნაკლოვანებები:

- ✓ ისინი გვიჩვენებენ საერთო დოვლათს, მაგრამ არაფერს გვეუბნებიან იმის თაობაზე, როგორ არის განაწილებული იგი, როგორია უთანასწორობა ქვეყნის ფარგლებში.
- ✓ მშპ-ში მხოლოდ ფორმალურად/ოფიციალურად განხორციელებული ტრანზაქციები აისახება, თუმცა მრავალ ქვეყანაში არცთუ მცირეა არაანაზღაურებადი თუ „ხელიდან ხელში“ ან ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი.
- ✓ ყველა ქვეყნის სტატისტიკა სანდო არ არის – ხშირად ის მთავრობის სურვილებსა და მოლოდინს უფრო ასახავს. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია არადემოკრატიულ ქვეყნებში. დაბრკოლებას ქმნის არა მხოლოდ მონაცემების დამალვა, არამედ მათი შეგროვების სირთულე და სიძვირეც. აკურატულობა და სანდოობა ყოველთვის მაღალი არ არის. ასევე განსხვავებულია მასალის შეგროვების მეთოდოლოგია, რაც ართულებს მათ შედარებას.
- ✓ ხშირად მშპ აშშ დოლარებში გამოითვლება, თუმცა დოლარის გაცვლითი კურსი თუ მსყიდველობითუნარიანობა ყველა ქვეყნისთვის ერთნაირი არ არის. მაგალითად, ერთი ლიტრი ბენზინი ან ერთი პური ყველა ქვეყანაში ერთნაირად არ ფასობს. ამიტომ უფრო მეტი სიზუსტისთვის ხშირად მსყიდველობითუნარიანობას, PPP-საც (Purchasing Power Parity) ითვლიან. ეს მონაცემი გულისხმობს, რამდენი პროდუქტისა და მომსახურების შეძენა შეიძლება სხვადასხვა ადგილას ერთი და იმავე ფულის ერთეულით.
- ✓ დაბოლოს, მშპ არავითარ წარმოდგენას არ გვიქმნის იმის თაობაზე, რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა, როგორია მათი კეთილდღეობა.

ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდვები გასათვალისწინებელია, როდესაც ვსაუბრობთ ქვეყნების განვითარებაზე. ეკონომიკური განვითარება შეიძლება ქვეყანაში არ მიმდინარეობდეს, მიუხედავად ეკონომიკის ზრდისა, რომელიც მშპ-ის ზრდაშია ასახული, რადგან ეკონომიკური ზრდა შესაძლოა მიმართული იყოს მხოლოდ გარკვეული სოციალური ჯგუფებისკენ და არ აისახებოდეს ქალებზე, გოგონებზე, უმცირესობებზე.

ღირსეული შრომა ნიშნავს ყველას შესაძლებლობას, ნაყოფიერი მუშაობის პირობებში უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი შემოსავლით, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ნორმებისა და ოჯახის სოციალური დაცვით; ეძლეოდეს სოციალური ინტეგრაციისა და პიროვნული განვითარების უკეთესი პერსპექტივები. ღირსეული სამუშაო შესაძლებლობების მუდმივი ნაკლებობა, არასაკმარისი ინვესტიციები და არასაკმარისი მოხმარება არყევს დემოკრატიული საზოგადოებების სოციალურ საფუძველს, რომ ყველას ჰქონდეს პროგრესის გაზიარების საშუალება.

პრობლემას წარმადგენს არაფორმალური დასაქმება, რაც არაფორმალურ სექტორთან ერთად არაფორმალური ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. არაფორმალური სექტორი აერთიანებს ეკონომიკურად აქტიურ საწარმოებსა და ინდივიდუალურ მეწარმეებს, რომლებიც არ არიან ოფიციალურად რეგისტრირებული. არაფორმალური დასაქმება გულისხმობს შრომითი ურთიერთობის სახეობებს, რომლებიც გვერდს უვლის ლეგალურ ჩარჩოს და შესაბამისად, ვერ ხდება პასუხისმგებელი მის აღსრულებაზე. არაფორმალურ დასაქმებაში მოიაზრება როგორც არაფორმალურ სექტორში დასაქმება, ასევე ნებისმიერი ტიპის შრომითი ურთიერთობა, რომელშიც იგულისხმება:

- არაფორმალურ თანამდებობაზე დასაქმება (ფორმალურ თუ არაფორმალურ სექტორში), ან დაქირავება შინამეურნეობის მიერ;
- ამ დროს შრომითი ურთიერთობა არ განისაზღვრება ეროვნული შრომითი კანონმდებლობით;
- არ ხდება საშემოსავლო გადასახადის გადახდა;
- არ არსებობს სოციალური დაცვის სისტემები და შრომითი უფლებები;
- დამსაქმებლის მხრიდან არ ხდება გათავისუფლების შესახებ წინასწარი გაფრთხილება, კომპენსაცია სამსახურიდან გათავისუფლების დროს, ანაზღაურებადი შვებულება, ასევე ავადმყოფობის მიზეზით სამუშაოზე არგამოცხადების უფლების უზრუნველყოფა.

არაფორმალური დასაქმება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დასაქმებულებისთვის, რომლებიც ყოველგვარი უსაფრთხოებისა თუ სოციალური გარანტიების მიღმა რჩებიან. ასევე ეს სახელმწიფოს პრობლემაა, რადგან გულისხმობს გადასახადებისათვის თავის არიდებას. ეს უკანასკნეული კი ნიშნავს საბიუჯეტო დანაკარგს. იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია არაფორმალური სამუშაო ადგილების რაოდენობა, სახელმწიფო კარგავს მნიშვნელოვან შემოსავლებს გადასახადების სახით და ძირითადად, დაბალშემოსავლიან ქვეყნად რჩება. გარდა ამისა, არაფორმალური სექტორის მაღალი წილი გულისხმობს, რომ სახელმწიფო ვერ ახორციელებს ეფექტურად საკუთარ ეკონომიკურ თუ სოციალურ პოლიტიკას. ეს ართულებს დაგეგმვას, ეკონომიკური პოლიტიკის ფუნდამენტური რეფორმების განხორციელებას, ეფექტური საპენსიო თუ სოციალური დაცვის სისტემების ჩამოყალიბებას და სხვა.

არაფორმალური დასაქმება უმეტესწილად განვითარებადი ქვეყნებისთვისაა პრობლემური, რომლებიც შესაძლოა ახერხებენ ეკონომიკურ ზრდას, თუმცა არ გააჩნიათ ძლიერი და ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკა: ვერ ქმნიან სამუშაო ადგილებს ფორმალურ სექტორში ან ფორმალური სექტორის იმ დარგებში, რომლებიც ნაკლებად მოწყვლადია არაფორმალური დასაქმებისათვის; არ გააჩნიათ საკმარისი რეგულაციები და/ან არსებული რეგულაციების აღსრულების მექანიზმები, რაც წაახალისებს კერძო სექტორის უპასუხისმგებლობას, ლეგალური სტანდარტებისა და სახელმწიფო ნორმატივებისათვის გვერდის ავლის სხვადასხვა პრაქტიკას.

ეს სამუშაო ადგილები არ ამცირებს უმუშევრობის დონეს და თვითდასაქმებულთა რაოდენობას, რადგან ძირითადად მოიცავს არასტაბილურ, მოკლევადიან, ხშირად არაფორმალურ და დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს და ხასიათდება შრომითი კანონმდებლობის უხეში დარღვევებით.

**ტრეფიკინგი** არის არაფორმალური დასაქმების არალეგალური, დანაშაულებრივი ფორმა, რომელიც ისჯება კანონით. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის მონობის თანამედროვე ფორმა, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა. ეს მსოფლიოში სიდიდით მეორე დანაშაულებრივი ინდუსტრიაა, რომელიც გულისხმობს მუქარისა და ძალის გამოყენებით ან იძულების სხვა საშუალებებით (მოტაცება, თაღლითობა) სხვისი უმწეო მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას; ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა გადაბირებას, გადაყვანას, გადაცემას; კონტროლის განხორციელებას სხვა ადამიანზე, სქესობრივ ექსპლუატაციას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას და ორგანოთა ვაჭრობას.

ხსენებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის, მისი პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და ეფექტური გამოძიების მიზნით მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების გატარება და ტრეფიკინგის თემაზე ცნობიერების ამაღლება.

სავარაუდოდ, პანდემია დამანგრეველ გავლენას მოახდენს გლობალურ უმუშევრობაზე. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) შეფასებით, მსოფლიოში სამუშაო საათები შეიძლება საშუალოდ 14%-ით შემცირდეს, რაც საფრთხეს შეუქმნის სრულ განაკვეთზე (48-საათიანი სამუშაო კვირა) მომუშავე დაახლოებით 400 მილიონი ადამიანის დასაქმებას. პანდემიისას გლობალური უმუშევრობის საბოლოო ზრდა დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად ეფექტურად შეინარჩუნებს ქვეყანა მიღებული პოლიტიკური ზომებით არსებულ სამუშაოებს და რამდენად სწრაფად და შეუფერხებლად დაიწყებს სამუშაო ადგილების აღდგენის ეტაპს.

ტურიზმი არის ეკონომიკური სექტორი, რომელიც COVID19-ის პანდემიის პირობებში ყველაზე მეტად დაზარალდა, რადგან ქვეყნებმა ინფექციის გავრცელების შესაჩერებლად ჩაკეტეს საზღვრები, აკრძალეს ან გაართულეს მისი გადაკვეთა, დააწესეს მკაცრი რეგულაციები. დაზარალდნენ უშუალოდ ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული ადამიანები (სასტუმროები, გიდები, ტურისტული ორგანიზაციები); და ისინი, ვინც ტურიზმის ინდუსტრიას სხვადასხვა ტიპის მომსახურებას სთავაზობდნენ - ამარაგებდნენ საკვებით, სთავაზობდნენ გართობას, სუვენირებს და სხვა.

ახალგაზრდებისათვის ღირსეული სამუშაოს შესაქმნელად საჭიროა: ხარისხიანი განათლებისა და ტრენინგების უზრუნველყოფა, ინვესტიციების ჩადება მათ სწავლასა და იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, რომლებზეც შრომის ბაზარზე არის მოთხოვნა; სოციალური დაცვისა და ძირითადი სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხელშეკრულების ტიპის მიუხედავად; ზრუნვა როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურში სექტორში დასაქმებულებზე, მათი უფლებების გათანაბრება, რომ ყველა ახალგაზრდას შეეძლოს ღირსეული დასაქმება, სქესის, ეროვნების ან სოციალურ-ეკონომიკური წარმომავლობის მიუხედავად.

მთავრობებს შეუძლიათ - დინამიკური, მდგრადი, ინოვაციური და ადამიანზე ორიენტირებული ეკონომიკის შექმნაზე მუშაობა, ახალგაზრდების დასაქმებისა და ქალების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით; ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ადეკვატური ზომების განხორციელება, ვინაიდან დასაქმებულთა უსაფრთხოების დასაცავად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის დაზღვევა. მხოლოდ ამ გზით გახდება შესაძლებელი, რომ ღირსეული სამუშაო ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის.

## ქეისი - რა უზრუნველყოფს ღირსეულ სამუშაოს ყველასთვის?

ყველა დასაქმებული ისწრაფვის სოციალური სამართლიანობისკენ, რაც მათ თანასწორი შესაძლებლობებითა და ღირსეული სამუშაო პირობებით უზრუნველყოფს.

აღნიშნული საკითხები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ყველა დასაქმებულს სჭირდება ღირსეული სამუშაო ადგილი და შრომის ანაზღაურება, იმისთვის, რომ უზრუნველყოს პირადი და ოჯახის კეთილდღეობა. საერთაშორისო რეგულაციების დაწესება კიდევ უფრო აქტუალური გახდა მსოფლიო გლობალიზაციის ფონზე, როცა ეკონომიკის ზრდა და ტექნოლოგიური განვითარება უპრეცედენტო მასშტაბებზე გავიდა; როცა გაადვილდა და დაჩქარდა ადამიანების, კაპიტალისა და საქონლის მოძრაობა ქვეყნებს შორის; შეიცვალა ბიზნესის გავლენებიც. დღეს ტრანსნაციონალური კორპორაციები არაერთ ქვეყანაში ოპერირებს. ამ ქვეყნებში ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის, ეკონომიკური განვითარებისა და დასაქმების კანონმდებლობის მიუხედავად, ისინი იცავენ გარკვეულ სტანდარტებს და სამუშაო გარემოს უკეთესობისკენ ცვლიან. აუმჯობესებენ ადგილობრივ დაუხვეწავ და მოუქნელ პრაქტიკას და ცდილობენ, იგი საერთაშორისო გამოცდილებასთან შესაბამისობაში მოიყვანონ.

გლობალიზაცია ქმნის ახალ შესაძლებლობებს. დღემდე მან მილიონობით ახალი სამუშაო ადგილი შექმნა. ის ამავედროულად იწვევს კაპიტალის გადინებას, შესაბამისად - ფინანსურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ კრიზისს. შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციამ ვერ უზრუნველყო საყოველთაო კეთილდღეობა. გაზარდა უთანაბრობა შემოსავლების კუთხით. ქვეყნების დაახლოებით ორ მესამედში უფრო თვალსაჩინო გახდა უთანაბრობა. ყოველივე ამის გამო, ბოლოდროინდელი ეკონომიკური ზრდის სასიკეთო შედეგებით არ უსარგებლია მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, რაც ასაზრდოებს სიღარიბეს, იწვევს სოციალურ არასტაბილურობასა და აღვივებს კონფლიქტებს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია „კერსალის ხელშეკრულების“ ხელმომწერმა ქვეყნებმა 1919 წელს დააარსეს. მისი საქმიანობა გულისხმობს დასაქმებულების უფლებრივი საფუძვლების საერთაშორისო ნორმების შექმნა-ადვოკატირებას. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, ახლად დაფუძნებულმა ორგანიზაციამ შექმნა შრომის საერთაშორისო ნორმების სისტემა - საერთაშორისო კონვენციები და რეკომენდაციები, რომლებიც ეხება შრომასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. მათ შემუშავებაში კი მონაწილეობენ მთავრობები, დამსაქმებლები და დასაქმებულთა წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნიდან. საერთაშორისო საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ აუცილებელია საბაზისო წესების შემოღება, რათა გლობალიზაციამ ყველას მისცეს წარმატების სამართლიანი შანსი. 2008 წელს შსო-მ მიიღო დეკლარაცია „სამართლიანი გლობალიზაციის მიზნებისათვის სოციალური სამართლიანობის შესახებ“, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სამართლიანობასა და შრომის საერთაშორისო ნორმების დამკვიდრებას.

შრომის საერთაშორისო ნორმები, უწინარეს ყოვლისა, ემსახურება ხალხს. მისი როლი არსებითია პიროვნების ღირსებისა და კეთილდღეობის საქმეში. ეკონომიკური განვითარება უნდა მოიცავდეს სამუშაო ადგილებისა და ისეთი სამუშაო პირობების შექმნას, რომლებიც საშუალებას მისცემს ადამიანს, იმუშაოს თავისუფლად, უსაფრთხოდ და საკუთარი ღირსების განცდით შეძლოს ცხოვრების გაუმჯობესება.

ღირსეული შრომის მიზანი მხოლოდ საერთაშორისო ძალისხმევით მიიღწევა. ამ გამოწვევას მსოფლიო საზოგადოებრიობა ნაწილობრივ იმით პასუხობს, რომ შეიმუშავებს საერთაშორისო

სამართლებრივ დოკუმენტებს ვაჭრობის, ფინანსების, გარემოს დაცვის, ადამიანის უფლებებისა და შრომის სფეროებში. მსო-ს საკუთარი წვლილი შეაქვს საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის ფორმირებაში. მის მიერ შემუშავებული ნორმები კი უნიკალურია იმით, რომ მათ შემუშავებაში სამივე მხარე თანაბარმნიშვნელოვანია - მთავრობა, დამსაქმებელი და დასაქმებული. იგი ეხმარება მთავრობებსა და დამსაქმებლებს, თავიდან აირიდონ ცდუნება, მეტი სარგებლის მიღების მიზნით გვერდი აუარონ შრომის ნორმების დაცვას. შრომის ნორმების დაუცველობას მრეწველობის მხოლოდ იმ დარგების წახალისება შეუძლია, რომლებიც დაბალანაზღაურებადია და არ მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას, თუმცა ვერ უზრუნველყოფს შედარებით სტაბილური, მაღალკვალიფიციური დასაქმების შესაძლებლობების განვითარებას, რადგან აქ კონკურენცია მაღალია და ნორმებიც უკეთესადაა დაცული.

ქვეყნების მთავრობები და მათი სოციალური პარტნიორები თანხმდებიან მინიმალური ნორმატივების დაცვაზე. არსებობს მოსაზრებები, რომ შრომის საერთაშორისო ნორმების აღსრულება ბიზნესს მნიშვნელოვან ტვირთად აწევბა, მაღალ დანახარჯებს საჭიროებს და უკარგავს გაფართოებისა და მეტი სამუშაო ადგილის შექმნის მოტივაციას. ამას კი შედეგად მოჰყვება ეკონომიკური განვითარების შეფერხება. კვლევები კი საწინააღმდეგოს აჩვენებს - შრომის საერთაშორისო ნორმების დაცვის ფონზე უმჯობესდება პროდუქტიულობა და ეკონომიკური მაჩვენებლები. შრომის ღირსეული ანაზღაურება, სამუშაო დროის უფრო მაღალი სტანდარტებით დაწესება და თანასწორუფლებიანობის პატივისცემა შესაძლებელს ხდის, მივიღოთ უკეთესი კვალიფიკაციისა და საკუთარი სამუშაოთი უფრო მეტად კმაყოფილი მუშახელი, შედეგად კი - კადრების ნაკლები გადინება.

შრომითი ნორმების დადებითი ეფექტები არ რჩება შეუმჩნეველი უცხოელი ინვესტორებისათვის. კვლევები აჩვენებს, რომ უცხოელი ინვესტორები კაპიტალდაბანდების ქვეყნების შერჩევას უფრო მეტ მნიშვნელობას სამუშაო ძალის ხარისხსა და პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობას ანიჭებენ, ვიდრე შრომაზე დაბალ დანახარჯებს. არ არსებობს ფაქტობრივი მტკიცებულებები იმისა, რომ ქვეყნები, რომლებშიც არ ხდება შრომის ნორმების დაცვა, მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბით უფრო კონკურენტუნარიანი არიან.

პროფესიულ განათლებაში ინვესტირებით შესაძლებელია მაღალი კომპეტენციის სამუშაო ძალის მიღება, რომელიც უკეთ დაიცავს უსაფრთხოების ნორმებს, შეამცირებს უბედური შემთხვევების რაოდენობას, სამედიცინო მომსახურებისა და ძვირადღირებული შრომითი ღირებულების ხარჯებს, გაზრდის პროდუქტიულობას.

სიღარიბის შემცირებასა და ეკონომიკურ განვითარებას განაპირობებს წესების საყოველთაო დაცვა. შრომის სამართლიანი წესები, რომლებიც მოცემული შრომის საერთაშორისო ნორმებით არის დადგენილი და რომელთა განხორციელებას ადგილობრივი სისტემები უზრუნველყოფს, დასაქმებულებისა და დამსაქმებლების სტაბილურობის გარანტია.

რა თქმა უნდა, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში დიდია არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებულთა წილი, რაც მათ სოციალური სამართლიანობის მიღმა ტოვებს. ასევე ქვეყნებს ყოველთვის არ შესწევთ უნარი და ძალა, დასაქმებულებისთვის შექმნან ღირსეული შრომის პირობები, დანერგონ სოციალური დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის, პროფესიული მომზადებისა და შრომის საერთაშორისო სხვა ნორმები. ამიტომ საერთაშორისო ნორმების მიხედვით, უნდა შეიქმნას ისეთი ინსტიტუტები და მექანიზმები, რომლებიც შეძლებენ შრომითი უფლებების დამკვიდრებას, ამ ინსტიტუტების გაძლიერება კი ადგილზე ნორმების დანერგვის გარანტია იქნება.

მთავრობებისთვის, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებისთვის, საერთაშორისო ინსტიტუტებისთვის, ტრანს და მულტინაციონალურ კომპანიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის სარგებლის მომტანი იქნება საერთაშორისო დონეზე დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.

შრომის საერთაშორისო ნორმების თემატური საკითხები:

- ✓ გაერთიანების თავისუფლება
- ✓ კოლექტიური მოლაპარაკებები
- ✓ იძულებითი შრომა
- ✓ ბავშვის შრომა
- ✓ თანასწორობა მოპყრობასა და შესაძლებლობებში
- ✓ სამმხრივი კონსულტაციები
- ✓ შრომის საკითხთა რეგულირება
- ✓ შრომის ინსპექტირება
- ✓ დასაქმების პოლიტიკა
- ✓ დასაქმების ხელშეწყობა

- ✓ პროფესიული ორიენტაცია და მომზადება
- ✓ დასაქმების გარანტია
- ✓ სოციალური პოლიტიკა
- ✓ შრომის ანაზღაურება
- ✓ სამუშაო დრო
- ✓ დედობის დაცვა
- ✓ მიგრანტი მუშები
- ✓ შრომის უსაფრთხოება და ჰიგიენა
- ✓ **სოციალური უსაფრთხოება**

მსო აწესებს მინიმალურ სტანდარტს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თემის ფარგლებში. განვიხილოთ, როგორ ხდება ერთ-ერთი თემის რეგულირება<sup>3</sup>.

„სოციალური უსაფრთხოების“ რეგულირება შრომის კანონმდებლობის ერთ-ერთი ნაწილია. პენსიაზე გასვლის, დაინვალიდების, საოჯახო მოვალეობების წარმოშობის (მაგ. ორსულობასა და ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებული) და ოჯახის მარჩენლის დაკარგვის გამო დანიშნული შემწეობების არსებობა მნიშვნელოვანია ყოველი დასაქმებულისთვის. სამედიცინო მომსახურება, შემოსავალთა დაცვა და სოციალური სერვისებით უზრუნველყოფა - ეს ის მომსახურებებია, რომლითაც უმჯობესდება სოციალური უსაფრთხოების პროდუქტიულობა. მათ მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ პიროვნების ღირსეული ყოფის უზრუნველყოფასა და მისი შესაძლებლობების სრული რეალიზების საქმეში.

სოციალური უსაფრთხოების სისტემები აგრეთვე ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას, რომ ახალგაზრდა დედებს, ბავშვიან ქალებს ჰქონდეთ თანაბარი სასტარტო შესაძლებლობები შრომის ბაზარზე.

მსგავსი სისტემები ეკონომიკური კრიზისის დროს ასრულებს უსაფრთხოების ფუნქციას, ხელს უწყობს სოციალურ სიმშვიდეს, გლობალიზაციისა და ეკონომიკური განვითარების პროცესში კეთილგანწყობილ ჩართულობას.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური უსაფრთხოების სათანადო სერვისით მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 20% სარგებლობს, ნახევარს ხელი მასზე საერთოდ არ მიუწვდება.

ეროვნულ დონეზე მისი დანერგვის საწყისი ეტაპისთვის კონვენციები სოციალური უსაფრთხოების შესახებ მოქნილია, აქვს პირობების ფართო არჩევანი, რაც ხელს უწყობს ნორმების უნივერსალურობას.

სოციალური უსაფრთხოების შესაბამისი აქტები სოციალური უსაფრთხოების ცხრა ძირითად მიმართულებას ეხება. ესენია: სამედიცინო დახმარება, ავადმყოფობის გამო დახმარება, უმუშევრების დახმარება, ხანდაზმულობის ასაკს მიღწეულთა დახმარება, დახმარება საწარმოო ტრავმის დროს, საოჯახო დახმარება, ორსულთა, მშობიარეთა და ბავშვის მოსავლელად განკუთვნილი დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა და მარჩენალდაკარგულთა დახმარება.

.....  
*გაეცანით ქეისში მოცემულ ინფორმაციას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაწესებულ რეგულაციებზე, ღირსეულ შრომასა და მის უზრუნველყოფაზე. აირჩეთ დასაქმების სფერო ინტერესის მიხედვით და მოიძიეთ ინფორმაცია, ჩატარეთ ინტერვიუ სფეროში დასაქმებულთან და გაგვიზიარეთ, რამდენად იზიარებენ საერთაშორისო გამოცდილებას ადგილობრივ შრომის ბაზარზე. სავარაუდო პროფესია (მშენებელი, მადაროელი, მასწავლებელი, სანიტარი, მეცნიერი, გიდი და სხვა).*

<sup>3</sup> დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გაეცანით პუბლიკაციას „თამაშის წესები, მოკლე შესავალი შრომის საერთაშორისო ნორმებში“, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2009.

# მდგრადი განვითარების მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა



არავინ დავობს, რომ ყველაზე ნაკლებად ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და სწავლაზე ხელი დაბალშემოსავლიან ოჯახებს მიუწვდება. ამდენად, ტექნოლოგიების წინსვლამ პირველ რიგში ეკონომიკური განსხვავებები და უთანასწორობა გაამძაფრა. ეს სხვაობები თვალსაჩინოა ქვეყნებს შორის, სოფელსა და ქალაქს შორის, ქალებსა და მამაკაცებს შორის, ეთნიკურ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის. ამ პრობლემის მიზეზი შეიძლება იყოს გეოგრაფიული ფაქტორიც - მცირე კუნძულოვან ქვეყნებსა და მაღალმთიან რეგიონებში რთულდება ინტერნეტიზაცია. ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნების დემოკრატია. ინფორმაციაზე მუზღუდული ხელმისაწვდომობა სწორედ პროცესების არადემოკრატიულად წარმართვას უწყობს ხელს. რიგი ავტორიტარული ქვეყნები მოსახლეობას ინტერნეტზე წვდომას უზღუდავს. ამ ქვეყნებს შორისაა - ჩრდილოეთი კორეა, თურქმენეთი, ირანი, მიანმა, ჩინეთი, სადაც სხვადასხვა საიტზე გარკვეული მუზღუდვებია დაწესებული.

COVID-19 პანდემიამ გამოიწვია წარმოების შემცირება, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა გლობალურ ეკონომიკას. აეროპორტების ინდუსტრიაში, რომელიც ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი მამოძრავებელია, არსებობის ისტორიაში ყველაზე მკვეთრი ვარდნა აღინიშნა. 2020 წლის პირველ ხუთ თვეში, მსოფლიოს ქვეყნებში მკაცრი ჩაკეტვების გამო ავიაკომპანიის მგზავრთა ნაკადი 51%-ით შემცირდა. ძირითადი ინფრასტრუქტურა, როგორცაა გზები, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სანიტარული სისტემა, ელექტროენერჯია და წყალი ბევრ განვითარებად ქვეყანაში სუსტად არის განვითარებული.

გლობალური მასშტაბით გაიზარდა კვლევისა და განვითარებაში ჩადებული ინვესტიციები. იზრდება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ინფრასტრუქტურის დაფინანსებაც. პროგრესი იქნა მიღწეული მობილური კავშირებით მსოფლიოს დაფარვასა და ინტერნეტიზაციის პროცესში, რაც ერთ-ერთი საფუძველია იმისა, რომ ადამიანს ხელი მიუწვდებოდეს ინფორმაციაზე.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მუზღუდვა ციფრული სწავლების პირობებში სპეციალური ტერმინით - „ციფრული გაყოფა“ - აღინიშნა. სხვადასხვა ქვეყანაში, რეგიონში ტექნოლოგიებსა თუ ინტერნეტზე წვდომის მუზღუდვის გამო საშუალოდ მოსწავლეთა 47% ციფრული სწავლების პროცესების მიღმა დარჩა. თუ განვითარებულ ქვეყნებში და კერძოდ, დასავლეთ ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში მოსწავლეთა 14%-ს არ აქვს ინტერნეტზე წვდომა, ეს მაჩვენებელი არაბულ ქვეყნებში 34%-მდე იზრდება, აზიასა და ოკეანეთში უკვე 49%-ია, ხოლო ტროპიკული აფრიკის ქვეყნებში 80%-ს შეადგენს. ნათელია, რომ ქვეყნის ეკონომიკა პირდაპირ კავშირშია განათლების ხელმისაწვდომობასთან.

ასევე პრობლემაა ისტოკომპეტენციები, რომლებიც საჭიროა ტექნოლოგიებთან და ინფორმაციასთან სამუშაოდ. დღეს ეს უკვე აღარ არის შრომატევადი, მუუძღებელი, მიუღწეველი. ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა არა მხოლოდ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მკვიდრთათვის, არამედ ტექნოლოგიების გაიაფების წყალობით ამ სიკეთეებით სხვა,

ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიც სარგებლობენ. თანამედროვე მსოფლიოში ჟურნალები და გაზეთები უკვე ვებზე განთავსებული, რაც ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ 4,6 მილიარდი აქტიური ინტერნეტმომხმარებელიდან, 4,3 მილიარდი ინტერნეტს მობილური ტელეფონის მეშვეობით უკავშირდება, რაც გარკვეულად ზღუდავს ადამიანების შესაძლებლობებს, სრულფასოვნად მიუწვდებოდეთ ხელი ინფორმაციაზე და შექმნან რაღაც ღირებული.

## ფაქტები და მონაცემები:

- ✓ 2018 წელს მსოფლიოს მოსახლეობის 96%-ს მობილური ტელეფონებით სარგებლობა შეეძლო, რადგან ცხოვრობდა ადგილებში, რომლებიც დაფარული იყო ფიჭური სიგნალით, ხოლო 90% - ადგილებში, სადაც ინტერნეტის დაფარვა მესამე თაობის (3G) ან უფრო მაღალი ხარისხის ქსელის საშუალებით იყო შესაძლებელი.
- ✓ გლობალური მოსახლეობის 66,8%-ს, ანუ 5,27 მილიარდ ადამიანს აქვს მობილური ტელეფონი, მათგან 48%-ს, ანუ 3,8 მილიარდ ადამიანს - ჭკვიანი ტელეფონები.
- ✓ აღსანიშნავია, რომ მონაცემები სწრაფად ცვალებადია. 2017 წელს მობილურები მოსახლეობის მხოლოდ 53%-ს ჰქონდა. 2023 წლისთვის კი ვარაუდობენ, რომ მობილურის მომხმარებელთა რაოდენობა 7,3 მილიარდამდე გაიზრდება.
- ✓ განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის 73,4%-ს აქვს ჭკვიანი მობილურები, ხოლო განვითარებადში - 25%-ს.
- ✓ 2021 წელს მსოფლიოში 4,6 მილიარდი აქტიური ინტერნეტმომხმარებელი იყო, რაც მოსახლეობის 60%-ს შეადგენს. მომხმარებლების 92% (4,3 მილიარდი) ინტერნეტს მობილური ტელეფონის მეშვეობით უკავშირდება.
- ✓ მშპ-ში წარმოების წილის ზრდა ძირითადად აზიის ქვეყნებზე მოდის.
- ✓ განვითარებად ქვეყნებს აქვთ უზარმაზარი პოტენციალი, სოფლის აგროინდუსტრიის განვითარებით გაზარდონ საკვებისა და სასმელების წარმოება, ასევე გააფართოონ ქსოვილებისა და ტანსაცმლის წარმოება, რაც პერსპექტიულია დასაქმებისთვის.
- ✓ 2019 წელს კაცობრიობის ისტორიაში განახლებადი ენერჯის სიმძლავრეების მატების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 184 გიგავატი - დაფიქსირდა, რაც მოიცავდა 118 გიგავატ ახალ მზის პანელებსა და 61 გიგავატ ქარის ტურბინებს.
- ✓ 2019 წელს ქარის ენერჯის გამოყენებაში ინვესტირებამ 6%-ით მოიმატა და 138,2 მილიარდ აშშ დოლარი შეადგინა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქარის ენერჯიაში ინვესტიციებმა მზის ენერჯიაში ჩადებულ ინვესტიციებს გადააჭარბა.
- ✓ 2019 წელს განვითარებადმა ქვეყნებმა განახლებად ენერჯიებში 152,2 მილიარდი დოლარი დააბანდეს, ხოლო განვითარებულმა ქვეყნებმა - 130 მილიარდი.
- ✓ კოვიდთან დაკავშირებით დიდი ზიანი მიაღწა ტრანსპორტის ინდუსტრიას, რაც უკავშირდებოდა მოსახლეობის მობილობის მუზღუდას, რამაც საჭაერო გადაყვანები 51%-ით შეამცირა.
- ✓ საჭირო გახდა სახელმწიფო მხარდაჭერა წვრილი და საშუალო საწარმოებისთვის, განვითარებად ქვეყნებში საკრედიტო ხაზებზე ხელი მხოლოდ მათ 35%-ს მიუწვდებოდა.
- ✓ 2010 წელთან შედარებით გაორმაგებულია ინვესტიციები კვლევებში. აღსანიშნავია, რომ პანდემიასთან ერთად იმატა სამედიცინო კვლევების რაოდენობამ.

## ტერმინები

**ინოვაცია** - ახალი, ეფექტიანი პროდუქტის (მომსახურების) მიღების, მათი წარმოების წესისა და შემდგომში შიდა და საგარეო ბაზარზე რეალიზაციის პროცესის შედეგია. იგი არის შემოქმედებითი პროცესის, სამეცნიერო-საწარმოო ციკლის საბოლოო შედეგი.

**მეცნიერება** - ადამიანის საქმიანობის სფერო, რომლის მიზანია გარემომცველი სამყაროს შესახებ ობიექტური ცოდნის მიღება, დამუშავება და სისტემატიზაცია. მეცნიერული ცოდნის დაგროვება ხდება ბუნების, საზოგადოების ან სხვა ობიექტის სამეცნიერო მეთოდით შესწავლის შედეგად.

**ციფრული გაყოფა** - მოსახლეობის გაყოფა ინფორმაციასა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე განსხვავებული წვდომის მიხედვით.

**ინდუსტრიული/სამრეწველო რევოლუცია** - ეხება მასობრივ ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ ცვლილებებს, რომლებიც ემსახურება განვითარებას.

**ხელოვნური ინტელექტი** - მიეკუთვნება ადამიანის ინტელექტის ავტომატიზებულ სიმულაციას, რომლებიც დაპროგრამებულია, იფიქრონ ადამიანების მსგავსად და მიბაძონ მათ ქმედებებს. ტერმინი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერ ტექნოლოგიაზე, რომელიც აჩვენებს ადამიანის გონებასთან დაკავშირებულ თვისებებს, როგორცაა სწავლა და პრობლემის გადაჭრა უმოკლესი ალგორითმით.

## რატომ არის მნიშვნელოვანი მიზნის „მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა“ აღსრულება?

ინფრასტრუქტურაში ჩადებულ ინვესტიციებს, ტრანსპორტის, ირიგაციის, ენერჯის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მდგრადი განვითარებისა და ძლიერი საზოგადოების შექმნის საქმეში. უკვე დიდი ხანია აღიარებულია, რომ შემოსავლების ზრდა, ჯანმრთელობაზე ზრუნვა და საგანმანათლებლო მიღწევების გაუმჯობესება ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებს საჭიროებს.

წარმოება ეკონომიკური განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა. ამჟამად, ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე წარმოების დამატებითი ღირებულება შეადგენს მხოლოდ 100 აშშ დოლარს, მაშინ, როდესაც ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ეს მაჩვენებელი 4500 აშშ დოლარს უტოლდება.

ტექნოლოგიური პროგრესის მთავარი საფუძველია გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს ენერგოეფექტურობის გაზრდას. ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გარეშე შეუძლებელია ინდუსტრიალიზაცია, ხოლო ინდუსტრიალიზაციის გარეშე შეუძლებელია განვითარება. ტექნოლოგიური პროგრესი არის წინსვლის საფუძველი. საჭიროა ინვესტიციები ჩაიდოს მაღალტექნოლოგიურ პროდუქტებში, რომლებიც გამოყენებული იქნება პროდუქციის წარმოებაში და ფოკუსირებული იქნება ინოვაციებზე.

ეკონომიკური ზრდა, სოციალური განვითარება და კლიმატის ცვლილების შეწყობაზე მუშაობა დიდწილად დამოკიდებულია ინფრასტრუქტურაში ჩადებულ ინვესტიციებზე, მდგრად

ინდუსტრიულ განვითარებასა და ტექნოლოგიურ პროგრესზე, სწრაფად ცვალებადი გლობალური ეკონომიკური ლანდშაფტისა და მზარდი უთანასწორობის ფონზე.

ინდუსტრიული/სამრეწველო რევოლუცია ეხება მასობრივ ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ ცვლილებებს, რომლებიც ემსახურება განვითარებას.

ჩვენ ვდგავართ ტექნოლოგიური რევოლუციის ზღვარზე, რომელიც ძირეულად შეცვლის ჩვენს ცხოვრებას, მუშაობასა და ურთიერთობას. ტრანსფორმაცია თავისი მასშტაბითა და მოცულობით იქნება განუზომლად სწრაფი და მასშტაბური.

პირველმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ ენერჯის წარმოების მექანიზაციისთვის წყალი და ორთქლი გამოიყენა. მეორე ინდუსტრიულმა რევოლუციამ - ელექტროენერჯია მასობრივი წარმოების შესაქმნელად, რასაც მოჰყვა ახალი შესაძლებლობების, სამუშაო ადგილების გაჩენა ქალაქად და დაიწყო სოფლიდან ქალაქებში მიგრაციის პროცესები. წარმოების მექანიზაციამ შექმნა შესაძლებლობა, წარმოება მასობრივი გაეხადა და შეემცირებინა პროდუქციის ღირებულება. მესამე რევოლუციამ წარმოების ავტომატიზაციისათვის გამოიყენა ელექტრონიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები. ფაქტობრივად მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარება, მათი გამოყენების მნიშვნელობის ზრდა. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია ემყარება მესამე, ციფრულ რევოლუციას. მას ახასიათებს ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, მათი შედრწევა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში და მათი მოხმარების მასობრიობა, რაც გლობალიზაციის დასაბამიც გახდა. მონაცემთა ანალიზი, ხელოვნური ინტელექტი, მართვის პროცესებისა და წარმოების ავტომატიზაცია/გაციფრულება, კვლევები - ეს არასრული ჩამონათვალია ამ პერიოდის მთავარი მიღწევებისა.

მიმდინარე გარდევების სიჩქარეს არ აქვს ისტორიული პრეცედენტი. წინა ინდუსტრიულ რევოლუციებთან შედარებით, მეოთხე რევოლუცია უმოკლეს პერიოდში შეიჭრა ყველა ქვეყანაში, საქმიანობის ყველა სფეროში; გამოიწვია ცვლილებები არა მხოლოდ წარმოებაში, არამედ მმართველობასა და შინამეურნეობაშიც.

ხელოვნური ინტელექტი უკვე შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, თვითმავალი მანქანებიდან და თვითმფრინავებიდან დაწყებული ვირტუალური ასისტენტებითა და პროგრამული უზრუნველყოფით დამთავრებული. მიღწეულია შთამბეჭდავი პროგრესი, რომლის დროსაც ხელმისაწვდომია უზარმაზარი მონაცემები, რომლებიც გამოიყენება ჩვენი კულტურული სოციალური, ეკონომიკური ცხოვრების გასაუმჯობესებლად; ახალი გამოგონებები ქმნის ახალ შესაძლებლობებს ინჟინერიის, ტექნოლოგიების განსავითარებლად, რესურსების დასაზოგად, ახალი რესურსების ასათვისებლად, გენური ინჟინერიის განსავითარებლად, რაც აუმჯობესებს ჩვენს გარემოს.

ტექნოლოგიამ შესაძლებელი გახადა ახალი პროდუქტებისა და მომსახურების ბევრად უფრო სწრაფად და კომფორტულად მიღება, ყოფით დონეზე ადამიანებს გაუადვილა საქმიანობა, მომსახურების მიღება, რამაც ასევე გამოათავისუფლა მათი დრო სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმეების საკეთებლად თუ გასართობად და დასასვენებლად.

მომავალში, ტექნოლოგიური ინოვაციები მრავალ ახალ შესაძლებლობას მოგვცემს. ის, რაც ფანტასტიკის სფერო გვეგონა, დღეს ადამიანისთვის ხდება ხელმისაწვდომი ინტერნეტისა და სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით. გამარტივდა ლოჯისტიკა, მომსახურებისა და

პროდუქტების მიწოდების ჯაჭვი, რაც ამავდროულად გახდა უფრო იაფი და უსაფრთხო. ყოველივე ეს გახსნის ახალ ბაზრებს და ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას.

ამავდროულად, როგორც ეკონომისტები აღნიშნავენ ტექნოლოგიურმა რევოლუციამ შეიძლება გამოიწვიოს კიდევ უფრო მეტი უთანასწორობა. ამიტომ მნიშვნელოვანი ხდება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ამ ინოვაციებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის არსებობა.

უმოქმედობამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს არაერთი სხვა მიზნის მიღწევაზე. სიღარიბის დასრულება უფრო რთული იქნება, თუ გავითვალისწინებთ ინდუსტრიის, როგორც მთავარი მამოძრავებელი ძალის როლს გლობალური განვითარების პროცესში. გარდა ამისა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ტექნოლოგიური ინოვაციის ხელშეწყობა გაუმჯობესებს ჯანდაცვას, განათლებას. ტექნოლოგიები სამეცნიერო მიღწევების ფონზე გარემოსადმი ბევრად ლოიალური გახდება და მეტ გავრცელებასაც პოვებს.

## პრობლემის მოგვარების გზები

ინდუსტრიულ განვითარებას შეუძლია გაზარდოს დოვლათი და გააუმჯობესოს ცხოვრების პირობები. ტექნოლოგიების დახმარებით შეიქმნა ახალი პროდუქტები, რომლებმაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება უფრო კომფორტული გახადა. ავიაბილეთის დაჯავშნა, პროდუქტის ყიდვა, გადასახადის გადახდა, მუსიკის მოსმენა, ფილმის ნახვა, თამაში - ამ ყველაფრის გაკეთება ახლა სახლიდან გაუსვლელად შეგვიძლია. ამ მიმართულებით განვითარება ბევრ სიახლეს გვპირდება.

სოციალური უთანასწორობა ერთ-ერთი მთავარი საკითხია, რომელიც ტექნოლოგიების განვითარებას შეიძლება მოჰყვეს. იმისთვის, რომ ადამიანებმა ტექნოლოგიური კომპეტენციის მუშახელზე გაზრდილი მოთხოვნის გამო არ დაკარგონ შემოსავლები, მნიშვნელოვანი ხდება, ადამიანები აღიჭურვონ ახალი, თანამედროვე ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით. ეს მათ საშუალებას მისცემს, ადვილად ადაპტირდნენ სწრაფად ცვალებად სამყაროში და ტექნოლოგიური წინსვლით მეტი სარგებელი მიიღონ.

2030 წლისთვის ახალგაზრდების ნახევარზე მეტს არ ექნება შრომის ცვალებადი ბაზრისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. საუბარია 1,6 მილიარდიდან 800 მილიონ ბავშვზე. ამიტომ განათლებისა და ტრენინგების სისტემა უნდა იძლეოდეს 21-ე საუკუნის უნარების განვითარების შესაძლებლობას, რაც ინფორმაციის ანალიზსა და მართვას, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, პრობლემის გადაჭრას, კომუნიკაციასა და თანამშრომლობას გულისხმობს.

## ქეისი - უქმნის თუ არა საფრთხეს ინოვაციები ტრადიციულ სამუშაო ადგილებს

ჩვენი გარემო მე-20 საუკუნის ადამიანისთვისაც ფანტასტიკის ჟანრის ფილმს ჰგავს, სწრაფად შეიცვალა ტრანსპორტი, მომსახურება, კომუნიკაციები, ეკონომიკა, მეცნიერება, რაც გამოწვეულია ტექნოლოგიების განვითარების სწრაფი ტემპით. ჩვენ ყველამ უკვე მეოთხე

ინდუსტრიულ რევოლუციაში შევხვებით. საზოგადოების განვითარების ყოველი ახალი ეტაპი უამრავ კითხვას ბადებდა და ადამიანებისთვის შფოთვის (ხშირად საფუძვლიანი) მიზეზი ხდებოდა. ახლაც ბევრი კითხვაა ჩვენს საერთო მომავალთან დაკავშირებით, თუ როგორ შეცვლის ახალი ტექნოლოგიური მიღწევები დამკვიდრებულ ურთიერთობებს, ჩვენს სამუშაო ადგილებს. ამაზე უამრავს წერენ, განსაკუთრებით საინტერესოა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშები, რომლებიც ქვეყნების მთავრობებს, ბიზნესს აძლევს რჩევებს, როგორ მოერგონ სწრაფ ტექნოლოგიურ ცვლილებებს, ისე, რომ მათი ეკონომიკა და ადამიანები ნაკლებად დაზარალდნენ.

ტექნოლოგიური პროგრესის გავლენა სამუშაო ადგილებზე ორი სცენარით შეიძლება წარმართოს:

### **სცენარი პირველი: რობოტიზაცია გამოიწვევს უმუშევრობის მაღალ დონეს**

ყველას აქვს მოლოდინი, რომ ტექნოლოგიური განვითარება გამოიწვევს ფართომასშტაბიან ცვლილებებს ჩვენს სამუშაო ადგილებზე. უკვე ჩვენს თვალწინ იკარგება სამუშაო ადგილები და მექანიკური სამუშაოების შემსრულებელ მუშახელს უკვე სრულფასოვნად ანაცვლებს ავტომატიკა. თუმცა მაინც არ არსებობს მეტ-ნაკლებად ზუსტი გათვლები, როდის მოხდება ეს, როგორი იქნება ცვლილებების მასშტაბები, რამდენი სამუშაო შეიძლება შეიქმნას ან დაიკარგოს ავტომატიზაციის გამო.

ამ ცვლილებების ერთ მხარეს არის შიში, რომ ტექნოლოგიით გამოწვეული განვითარება, ხელოვნური ინტელექტი დაარღვევს დამკვიდრებულ სტაბილურობასა და ბალანსს შრომის ბაზარზე; ჩაანაცვლებს ადამიანურ შრომას; ეკონომიკის მთელი დარგები დაიცლება ადამიანებისგან, რომლებიც ფიზიკურად შრომობდნენ და მათ ადგილას გაჩნდება მაღალკვალიფიციური თანამშრომლების საჭიროება, რომლებიც ავტომატიზებული პროცესების მართვით დაკავდებიან. ეს ცვლილება კი მრავალ ადამიანს უფუნქციოდ დატოვებს.

ამშ-ში ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ ინდუსტრიული მოდელები სულ მცირე 7-ჯერ ამცირებს სამუშაო ძალის გამოყენების საჭიროებას. როდესაც ტექნოლოგიებს შეუძლიათ ადამიანის ჩანაცვლება, ანაზღაურება მცირდება სამუშაოზე დარჩენილთათვის. დასაქმებულის უფლებების დაცვა აღარ არის ადვილი, რადგან მათი უმუშევრად დატოვება დროის ამბავია.

თანამედროვე რობოტიზაცია მექანიზაციისგან და ავტომატიზაციისგან, რასაც ადგილი ჰქონდა მეოცე საუკუნეში, იმით განსხვავდება, რომ რობოტები მხოლოდ მექანიკური მარტივი ოპერაციების შესრულებით აღარ შემოიფარგლებიან. ახალმა ალგორითმებმა და მონაცემების ახლებურად დამუშავებამ განავითარა ხელოვნური ინტელექტი, რაც სამომავლოდ შექმნის ინტელექტუალური ამოცანების შესრულების შესაძლებლობას.

ფრეისა და ოსბორნის აზრით, რომლებიც ტექნოლოგიურ პროგრესს შეისწავლიან, ახლო მომავალში ამშ-ის ყველა სამუშაოს 47% იქნება ინტელექტუალური მანქანებისა და ხელოვნური ინტელექტის ხელში და ეს მოხდება მომდევნო 10-20 წლის განმავლობაში. შვედეთში ჩატარებულმა მსგავსმა კვლევამ აჩვენა, რომ სამუშაოების 53% შეიძლება რობოტებით ჩანაცვლდეს, ხოლო გერმანიისთვის ეს მაჩვენებელი 42%-ს შეადგენდა.

ამ გარდაქმნების შესაძლებლობები უკვე არსებობს. ახლა ჯერი კომპანიებზე და მთავრობებზეა, რამდენად სწრაფად განხორციელდება ეს ცვლილებები.

## სცენარი მეორე: რობოტიზაცია შეცვლის სამუშაო ადგილებს, მაგრამ მისი გავლენა შრომის ბაზარზე შეზღუდული იქნება

OECD-ის ბოლო ანგარიში არ ეთანხმება ფრეისა და ოსბორნის დასკვნებს. სამუშაო ადგილები, რომლებიც კვალიფიკაციას არ მოითხოვს, ცოტაა. ასეთი სამუშაო ადგილები, რომლებიც შეიძლება დაიკარგოს, მხოლოდ 9% შეიძლება იყოს. როგორც კვლევის ანგარიშში წერია, გერმანიისა და ავსტრიისთვის სამუშაოს დაკარგვა შეიძლება დასაქმებულთა 12%-ს შეეხოს. მაღალტექნოლოგიურ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო ნაკლები იქნება, ესტონეთსა და სამხრეთ კორეაში - 6%. რიგ ქვეყნებში, სადაც ჭარბობს შესაბამისი დარგები, რომლებიც დარტყმის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს, მეტად დაზარალებიან. ეს მოსაზრებები ექსპერტებთან, დარგის სპეციალისტებთან ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბდა, როდესაც შეფასდა ავტომატიზაციის პოტენციალი. თუმცა აქაც გამოიკვეთა, რომ ზოგი გადაჭარბებით აფასებს ხელოვნური ინტელექტის ამჟამინდელ შესაძლებლობებს. ნაწილი კი გადაჭარბებით აფასებს ადამიანის შესაძლებლობებს. ხშირ შემთხვევაში მანქანებს დასჭირდება მონიტორინგი, რაც დასაქმებულთა საქმიანობის არა დაკარგვას, არამედ ცვლილებებს გამოიწვევს.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მძიმე ფიზიკურ სამუშაოზე ადამიანის დასაქმების საჭიროება ნაკლებად იქნება, რაც დადებით გავლენას იქონიებს სამუშაოს პროდუქტიულობაზე, შემოსავლების ზრდაზე და შეამცირებს დასაქმებულების ჯანმრთელობის რისკებს. გაჩნდება ბევრი ახალი სამუშაო და გაჩნდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ მუშახელზე. ასეთი თანამშრომლების შრომის პირობები და ხელფასი გაცილებით მაღალია, შესაბამისად, გაიზრდება ადამიანების კეთილდღეობა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშის ძირითადი მიგნებები მოიცავს:

- ✓ ტექნოლოგიის გაუმჯობესებასა და ახლის შექმნას კვლავაც სწრაფი ტემპები ექნება. დრუბლოვან პლატფორმებზე გადასვლა, ელექტრონული კომერცია, ონლაინსერვისები ჯავშნები, გაყიდვები, დიდი მონაცემების მართვა, კიბერუსაფრთხოება, სუფთა და რესურსების დამზოგავი ტექნოლოგიური სიახლეების შექმნა - ეს ყველაფერი სწრაფად განვითარებადი მიმართულებებია.
- ✓ COVID-19-ის რეცესიასთან ერთად, შეიქმნა ახალი სამუშაო კულტურა, გამოჩნდა სისტემების ოპტიმიზაციის ახალი შესაძლებლობები. გამოკითხული ბიზნესის 43% მიუთითებს, რომ ისინი ხედავენ კადრების შემცირების საჭიროებას. ნაწილი შეძლებს დისტანციურად მუშაობას, რაც შეამცირებს საოფისე და ადგილზე მომსახურების საჭიროების ხარჯებს.
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ სამომავლოდ გაცილებით მეტი სამუშაო ადგილი გაქრება და ის გადააჭარბებს საჭირო სამუშაო ადგილების რაოდენობას, იმედოვნებენ, რომ უმუშევრად დარჩენილები შეძლებენ ახალი როლების მორგებას, ახალ მოთხოვნებთან დამსაქმებლების ან სახელმწიფოს ხელშეწყობით ადაპტირდებიან.
- ✓ ადამიანებს არ აქვს ის უნარები, როლებზეც ბაზარზეა მოთხოვნა და რომლებსაც დასაქმებულებისგან დამსაქმებელი მოითხოვს. კვლავ აქტუალური იქნება მაღალი სააზროვნო ოპერაციები, ე.წ. 21-ე საუკუნის უნარები, როგორებიცაა - შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, თვითმართვა, სწავლის უნარი, მოქნილობა და სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი, შემწყნარებლობა და სხვა. საშუალოდ, კომპანიების შეფასებით, დასაქმებულთა

დაახლოებით 40%-ს ესაჭიროება ექვს- ან ნაკლებთვიანი კვალიფიკაციის ამაღლება, ხოლო ბიზნესის ლიდერების 94%-ის განცხადებით, ისინი ელოდებიან, რომ თანამშრომლები თავად აითვისებენ ახალ უნარებს უშუალოდ სამუშაო გარემოში.

- ✓ სამუშაო (შინაარსი, პოზიცია) ადგილები უკვე იცვლება, ეს პანდემიამაც დააჩქარა, გამოიწვია რა მრავალი სფეროს დიგიტალიზაცია. დამსაქმებელთა 84% ფიქრობს, რომ პანდემიით გამოწვეული ტრანსფარმაცია დადებით ასპექტებსაც მოიცავდა და ნაწილი ცვლილებების შენარჩუნებას გეგმავს. მათ აღმოაჩინეს დისტანციურად მუშაობის პოტენციალი, პროდუქტიულობა, ასევე დანაზოგები, რასაც ფიქრობენ, რომ არ შეეღვევიან.
- ✓ უნდა აღინიშნოს, რომ რეცესია მეტად მეხო დაბალი კვალიფიკაციის მქონე დასაქმებულებს, დაბალი ხელფასის მქონე ქალებსა და ახალგაზრდებს, რამაც გაამწვავა უთანასწორობა.
- ✓ ონლაინსწავლება და ტრენინგი შეიძლება ბევრად გახშირდეს. ცხრაჯერ გაიზარდა მოთხოვნა ონლაინტრენინგებსა და კურსებზე, ბევრი ამას სამთავრობო პროგრამებით ახერხებს, ნაწილი - დამსაქმებლის მოთხოვნით, ნაწილი კი - თვითონ ხედავს ახალი ცოდნის მიღების აუცილებლობას. გაიზარდა შესაძლებლობებიც და მეტი მრავალფეროვნება არსებობს მათთვის, ვისაც აქვს ელემენტარული ციფრული უნარები და იცის ენა; მაგალითად, ონლაინსწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის არსებობს ღია და უფასო პლატფორმები, სადაც განთავსებულია ღია კურსები (Massive Open Online Course (MOOC)). დასაქმებულები უფრო დიდ აქცენტს აკეთებენ პიროვნული განვითარების კურსებზე, სამუშაოს მაძიებლები უფრო მეტად ეტანებიან ციფრული უნარების შესწავლას, როგორცაა - მონაცემთა ანალიზი, კომპიუტერული მეცნიერება და საინფორმაციო ტექნოლოგიები.
- ✓ მიუხედავად მიმდინარე ეკონომიკური ვარდნისა, დამსაქმებელთა უმრავლესობა ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების ჩადების უპირატესობას აღიარებს. თუმცა კვალიფიკაციის ამაღლებისგან არ ელიან მყისიერ ამონაგებს. დამსაქმებელთა აზრით, თანამშრომლების 70% საჭიროებს კვალიფიკაციის ამაღლებას, ხოლო შესაბამის სერვისს მხოლოდ 42% იღებს.
- ✓ საჯარო სექტორმა უნდა უზრუნველყოს უფრო ძლიერი მხარდაჭერა - რისკის ქვეშ მყოფი, მარგინალიზებული ჯგუფების კვალიფიკაციის ამაღლება. ამჟამად, ბიზნესის მხოლოდ 21% აცხადებს, რომ თანამშრომლების მხარდასაჭერად სახელმწიფო სახსრების გამოყენება შეუძლია. სახელმწიფოებს მოუწევთ, ხელი შეუწყონ წამახალისებელი სტიმულის შექმნას, რომ მოხდეს განათლებისა და ტრენინგის სისტემების გარდაქმნა, სამუშაო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიხედვით მომავალი რამდენიმე წლის პროფესიები შემდეგნაირად შეიცვლება:

გაიზრდება მოთხოვნა	შემცირდება მოთხოვნა
მონაცემთა ანალიზი და მეცნიერება	მონაცემთა შეყვანის კლერკები
ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების სპეციალისტი	დაარქივების, ბიბლიოთეკარის კლერკები
ზოგადი და ოპერაციული მენეჯერები	ადმინისტრაციული და აღმასრულებელი თანამშემწეები
აპლიკაციების განვითარება და ანალიზი	ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები

მარკეტინგის პროფესიონალები	საინფორმაციო სამსახურებსა და მომსახურების სერვისში დასაქმებულები
დიდი მონაცემების სპეციალისტი	ბიზნესის სერვისებისა და ადმინისტრაციული მენეჯერის პოზიციები
დიגיტალური ტრანსფორმაციის სპეციალისტი	ბუღალტრები და აუდიტები
ახალი ტექნოლოგიების სპეციალისტი	მასალების ჩამწერი და საწყობის კლერკები
ორგანიზაციული განვითარების სპეციალისტი	ზოგადი და ოპერაციული მენეჯერები
საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურება	საფოსტო მომსახურების კლერკები, ფოსტალიონები

წაიკითხეთ ქეისი „უქმნის თუ არა საფრთხეს ინოვაციები ტრადიციულ სამუშაო ადგილებს“. იმსჯელეთ თქვენს პროფესიაზე? იცით თუ არა, როგორ შეიცვლება ის მომდევნო 2-5 წელიწადში და როგორ შეიცვლება ის 5-10 წელიწადში. რა გაძლევთ ვარაუდების გამოთქმის საფუძველს. გაქვთ თუ არა საჭირო კომპეტენციები, რომ შეცვლილ გარემოში წარმატებულად რეალიზებული იყოთ. რისი გაკეთებაა საჭირო იმისთვის, რომ ამ ცვლილებებმა უმტკივნეულოდ ჩაიაროს?

## მდგრადი განვითარების მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის



საერთაშორისო საზოგადოებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ადამიანების სიღარიბისგან დასახსნელად. ეკონომიკურად ყველაზე სუსტი სახელმწიფოები – ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნები, რომლებსაც შიდა კონტინენტური მდებარეობა აქვთ, ასევე მცირე კუნძულოვანი ქვეყნები - გზას იკვალავენ სიღარიბის დაძლევისკენ. ამასთან, ქვეყნებს შორის არის უთანასწორობა და შესაბამისად - განსხვავებული ხელმისაწვდომობა ჯანდაცვისა და განათლების სერვისებზე, რაც საბაზისო მოთხოვნაა და მისი არასათანადო მოწოდება ან არქონა ყველა დანარჩენი უთანასწორობის განმაპირობებელია.

თანდათანობით ყველა თანხმდება, რომ ეკონომიკური ზრდა საკმარისი არაა სიღარიბის შესამცირებლად, როცა იგი არაინკლუზიურია და არ მოიცავს მდგრადი განვითარების შემდეგ სამ განზომილებას: ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებს. საბედნიეროდ, შემოსავლების უთანასწორობა შემცირდა როგორც ქვეყნებს შორის, ისე ქვეყნის შიგნით. ამჟამინდელი მონაცემებით, მიღწეულ იქნა პროგრესი განვითარებადი ქვეყნებიდან ექსპორტის ხელშესაწყობად.

იმისათვის, რათა შემცირდეს უთანასწორობა, პოლიტიკა უნდა იყოს უნივერსალური. ამგვარად ყურადღება გამახვილდება ღარიბი და მარგინალიზებული მოსახლეობის საჭიროებებზე. იმისათვის, რომ გაიზარდოს განვითარებადი ქვეყნების წილი საერთაშორისო სავალუტო

ფონდში, საჭიროა, ყურადღება მიექცეს დაუბეგრავი საქონლის მიმოქცევის ზრდას და განვითარებადი ქვეყნებიდან ექსპორტის გაძლიერების მხარდაჭერას. ამასთან, ტექნოლოგიების განვითარებას მიგრანტი დასაქმებულებისათვის ფულის გადარიცხვის ღირებულების შემცირება შეუძლია.

შემოსავლების უთანასწორობამ ეკონომისტთა ყურადღება გასული საუკუნის 60-იან წლებში მიიპყრო და მას შემდეგ ის არ კარგავს აქტუალობას. შემოსავლების უთანასწორობას მიყვაროთ სიღარიბის დონის მატებასთან, რაც თავისი არსით უკვე ცუდის მომასწავებელია. სიღარიბის მასშტაბების ზრდა კომპლექსურ ხასიათს იღებს და საზოგადოების თითქმის ყველა სფეროს მომცველი ხდება.

შემოსავლების უთანაბრობის მასშტაბურობა გავლენას ახდენს განათლების დონეზე, ჯანმრთელობის დონეზე, კრიმინალსა და ქვეყნის განვითარებაზე. მოგეხსენებათ, დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახი ნაკლებად ორიენტირებულია განათლებაზე, რაც მომავალში დიდ ზიანს აყენებს ქვეყნის ადამიანურ კაპიტალს.

ანალოგიურად შეგვიძლია ვიმსჯელოთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უთანასწორობაზე - დაბალი შემოსავლების გამო ადამიანები ნაკლებად ორიენტირებულნი არიან, დაიცვან ჰიგიენური ნორმები და გაუფრთხილდნენ ჯანმრთელობას. ეს კი თავის მხრივ სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მიზეზია, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნისა და შემდგომ მსოფლიო ჯანდაცვას.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან კარგად ჩანს, რამდენად მნიშვნელოვანია შემოსავლების უთანაბრობის შესამცირებლად მიზანმიმართული პოლიტიკის წარმოება, რაც მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის.

## ფაქტები და მონაცემები:

- ✓ განვითარებადი ქვეყნების მონაცემები აჩვენებს, რომ უღარიბესი მოსახლეობის 20%-ის ბავშვებში, ხუთ წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ჯერ ისევ სამჯერ მაღალია სიკვდილიანობა, ვიდრე ბავშვებში, რომლებიც უმდიდრეს კვინტილს მიეკუთვნებიან.
- ✓ აღსანიშნავია, რომ გლობალურ დონეზე მნიშვნელოვნად განვითარდა და გაფართოვდა სოციალური დაცვის სისტემები, თუმცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებში ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა საშუალოზე ხუთჯერ უფრო ხშირად ფიქსირდება.
- ✓ დედათა სიკვდილიანობის შემცირების მიუხედავად, განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში, სოფლად მცხოვრებ ქალებში მაინც სამჯერ უფრო ხშირია მშობიარობისას სიკვდილი, ვიდრე ურბანულ ცენტრებში მცხოვრებ ქალებში.
- ✓ ერთი მილიარდი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთაგან 80% განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს.
- ✓ ათიდან ერთი ბავშვს სხვადასხვა სიმძიმის შეზღუდული შესაძლებლობა აქვს.
- ✓ მსოფლიოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხოლოდ 28%-ს აქვს წვდომა სოციალურ დახმარებაზე. აქედან მათი მხოლოდ ერთი პროცენტი დაბალი შემოსავლის ქვეყნებიდან.
- ✓ 2010-2017 წლებში პანდემიამდე 84 ქვეყნიდან 38-ში შემოსავლებზე უთანაბრობის მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა და იკლო ჯინის ინდექსმა.

- ✓ გლობალურმა ეკონომიკურმა რეცესიამ შეამცირა განვითარებული ქვეყნების დახმარებები, რომლებიც განვითარებადი ქვეყნებისთვის იყო განკუთვნილი. თუ 2017 წელს დახმარების მოცულობა შეადგენდა 420 მილიარდს, უკვე 2018 წელს 271 მილიარდ აშშ დოლარამდე შემცირდა.
- ✓ პანდემიამ ყველაზე მძიმე გავლენა იქონია მოწყვლად ჯგუფებზე - ხანდაზმულებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, ბავშვებზე, ქალებზე, მიგრანტებზე, ლტოლვილებსა და იძულებით ადგილნაცვალ პირებზე.
- ✓ ქვეყნების 54%-ს შემუშავებული აქვს მიგრანტების დახმარებაზე ორიენტირებული სპეციალური პოლიტიკა.
- ✓ ყოველი 10-დან 2 აცხადებს, რომ საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი დისკრიმინაცია სულ მცირე ერთი მიმართულებით, რასაც აწესებს საერთაშორისო სამართალი, კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.
- ✓ 1960 წელს მსოფლიო მოსახლეობის ყველაზე მდიდარ 20%-ს 30-ჯერ მეტი შემოსავალი ჰქონდა, ვიდრე სხვა ფენებს.
- ✓ უმდიდრეს 1%-ს აქვს ორჯერ მეტი სიმდიდრე, ვიდრე 6,9 მილიარდ ადამიანს მსოფლიოში.
- ✓ მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტს დღეში 5,5\$-ზე ნაკლები შემოსავალი აქვს.
- ✓ მდიდრების შემოსავლის ყოველი დოლარი მხოლოდ 4 ცენტით იბეგრება, ისინი თავიდან ირიდებენ გადასახადების 30%-ს.
- ✓ პანდემიამდე ყოველდღიურად 258 მილიონი ბავშვი სიღარიბის გამო სკოლაში ვერ დადიოდა, რომელთა უმეტესობა გოგონა იყო.
- ✓ ყოველდღე 10000 ადამიანი იღუპება იმის გამო, რომ ხელი არ მიუწვდება ჯანდაცვაზე, ხოლო 100 მლნ. ყოველწლიურად ჯანდაცვის ხარჯების გამო უკიდურეს სიღარიბეში ვარდება.
- ✓ ქალები მსოფლიოს სიმდიდრის 50%-ით ნაკლებს ფლობენ, ხოლო ქალთა აუნაზღაურებელი შრომა 10 ტრილიონ აშშ დოლარად არის შეფასებული.

## ტერმინები

**ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია** - საერთაშორისო აქტი, მიღებული 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ. დეკლარაციაში გამოცხადებულია პიროვნების ძირითადი უფლებები.

**ჯინის ინდექსი** მსოფლიო ბანკის მიერ დაწესებული შემოსავლების უთანაბრობის დონის საზომია. ის 0-სა და 1-ს შორის მერყეობს. კოეფიციენტი 0 აღნიშნავს, რომ უთანაბრობა არ არსებობს, 1 კი მაქსიმალურ მნიშვნელობას ასახავს. თუ ჯინის კოეფიციენტს 100-ზე გავამრავლებთ, მივიღებთ ჯინის ინდექსს.

**მინიმალური სასურსათო კალათა**<sup>4</sup> არის კვების პროდუქტების განსაზღვრული ნორმატიული კალათა, რომელიც შეიცავს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისათვის ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების, მისი შემადგენელი

<sup>4</sup> საქართველოსთვის სასურსათო კალათა რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტით <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/55534?publication=0>

ელემენტებისა (ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების) და კალორიების მინიმალურ რაოდენობას.

**საარსებო მინიმუმი** დგინდება მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე. საარსებო მინიმუმი<sup>5</sup> მხოლოდ და მხოლოდ სურსათის ღირებულების გამომხატველი მაჩვენებელია. მასში არ შედის კომუნალური ტარიფების, ტრანსპორტის ღირებულება და სხვა მრავალი ხარჯი, რომელთა გაღებაც ყველა ადამიანს უწევს.

**რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ შესრულდეს მიზანი - „უთანასწორობის შემცირება“?**

ჯერ ისევ მთელი მსოფლიოს პრობლემაა შემოსავლის, სქესის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, რასის, სოციალური, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიისა და შესაძლებლობების საფუძველზე უთანასწორობის არსებობა. უთანასწორობა საფრთხეს უქმნის გრძელვადიან სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, აფერხებს სიღარიბის მასშტაბების შემცირებას და ანადგურებს ადამიანების ღირსებისა და თვითშეფასების გრძნობას. უთანასწორობამ, თავის მხრივ, შეიძლება გაზარდოს კრიმინალი, რადგან ასეთ ღროს ადამიანებს არ აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ რეალიზებული და მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დანაშაულებრივი გზის გამოყენებას ცდილობენ. დაავადებების ზრდა პირდაპირ უკავშირდება ჯანდაცვის მომსახურებაზე წვდომის ნაკლებობასა და სიღარიბით გამოწვეული საბაზისო პირობების უქონლობას. არასაკმარისი კვების გამო იზრდება დაავადებათა რიცხვი, რაც ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას არ აძლევს საშუალებას, გაუმჯობესოს ცხოვრების დონე. ხშირად რესურსებზე წვდომის ნაკლებობის შედეგია გარემოს უგულბელებოფა, ჭარბი და არასწორი მოხმარება, რაც გარემოს დეგრადაციის საფუძველია.

ჩვენ ვერ მივაღწევთ მდგრად განვითარებას და ვერ გავხდით გარემოს უკეთესს, თუ ადამიანებს არ ექნებათ რეალიზაციის, მიზნებისა და მისწრაფებების მიღწევის, ცხოვრების დონის გაუმჯობესების საშუალება. COVID-19-მა ყველაზე მეტად დაუცველი ადამიანების ცხოვრებაზე მოახდინა უარყოფითი, დამანგრეველი ზემოქმედება. ეს ჯგუფები ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას.

ქალები და ბავშვები, რომლებსაც არ აქვთ ჯანდაცვაზე წვდომა, ყოველდღიურად იღუპებიან ისეთი დაავადებებისგან, როგორცაა წითელა და ტუბერკულოზი; ქალები კი მშობიარობისას ვერ იღებენ სათანადო სამედიცინო დახმარებას, რაც სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის მიზეზია. ხანდაზმული ადამიანები, მიგრანტები და ლტოლვილები ხშირად ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერპლი, იქნება ეს სამუშაოს დაწყებისას, განათლების თუ ჯანდაცვის მომსახურების მიღებისას.

---

<sup>5</sup> საქართველოში მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულება იყოფა 0.7-ზე (საარსებო მინიმუმის ღირებულებაში სასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 70%-ით, შესაბამისად, არასასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 30%-ით). მიღებული რიცხვი წარმოადგენს მოცემულ თვეში საარსებო მინიმუმის ღირებულებას შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის.

ყოველი 10-დან 2 აცხადებს, რომ საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი დისკრიმინაცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის<sup>6</sup> სულ მცირე ერთი მუხლის დარღვევა - სიცოცხლის, თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობის, მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და თავშესაფრის, დემოკრატიული არჩევნების მეშვეობით სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის, შრომის, თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების მიღების, დასვენების, განათლების, კულტურული ცხოვრებისა თუ მეცნიერულ პროგრესში მონაწილეობის და ა. შ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთაგან ათიდან სამს პირადად განუცდია დისკრიმინაცია. დისკრიმინაციის უფრო მაღალი მაჩვენებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებში, ასევე რელიგიური, ეთნიკური და სქესობრივი უმცირესობების ჯგუფებში, რაც მიუთითებს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების აუცილებლობაზე, რადგან ამ საკითხს თან სდევს სხვა დანარჩენი პრობლემები.

ქვეყნებს შემუშავებული აქვთ საარსებო მინიმუმი, რომელსაც განსხვავებული მეთოდოლოგია უდევს საფუძვლად, და რომლის საფუძველზე დგინდება სოციალური დახმარებების პაკეტის მოცულობა. მინიმალური სასურსათო კალათა არის კვების პროდუქტების განსაზღვრული ნორმატიული კალათა, რომელიც შეიცავს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისათვის ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების, მისი შემადგენელი ელემენტებისა (ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების) და კალორიების მინიმალურ რაოდენობას. ეს მაჩვენებელი უდევს საფუძვლად სოციალური დახმარებების პაკეტებს, ამდენად, მნიშვნელოვანია მეთოდოლოგია და აღრიცხვა იყოს გამართული.

### **როგორ გავზომოთ უთანასწორობა?**

არსებობს უთანასწორობის გაზომვის მრავალი გზა და მეთოდოლოგია, რომლებიც მას სხვადასხვა კუთხით ზომავენ. შემოსავლების უთანასწორობის გაზომვის ხერხებიდან კი ყველაზე აპრობირებული და ხშირად გამოყენებადია: ჯინის, ტეილისა და ატკინსონის ინდექსები.

***ჯინის ინდექსი** - უთანასწორობის გაზომვის ერთ-ერთი ყველაზე აპრობირებული მეთოდია, რომელსაც ეკონომისტები მიმართავენ. ჯინის კოეფიციენტი ასახავს ქვეყანაში დოვლათის განაწილების უთანაბრობას. ის ხმარებაში 1912 წელს იტალიელმა სტატისტიკოსმა და დემოგრაფმა კორადო ჯინიმ შემოიტანა. საზოგადოდ, ჯინის კოეფიციენტი არის მაკროეკონომიკური და სტატისტიკური საზომი, რომელიც გვიჩვენებს რაიმე გამოსაკვლევ თვისების მიმართ საზოგადოების ფენებად დაშლის ხარისხს. ის წარმოადგენს ამ თვისების ფაქტობრივი განაწილების შეფარდებას აბსოლუტურად თანაბარ განაწილებასთან.*

*ჯინის კოეფიციენტი გვიჩვენებს, რამდენად გადაიხარა თანაბარი განაწილების ხაზი. ის 0-დან 1-მდე მერყეობს. კოეფიციენტის მნიშვნელობა 0 ნიშნავს, რომ უთანაბრობა არ არსებობს, ხოლო 1 - უთანაბრობა მაქსიმალურია. თუ ჯინის კოეფიციენტს 100-ზე გავამრავლებთ, მივიღებთ ჯინის ინდექსს.*

<sup>6</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას გაეცანით მითითებულ ბმულზე: <http://myrights.gov.ge/uploads/file-manager/Conventions/UDHRgeo.pdf>

*მაგალითად, თუ ქვეყანაში, თეორიულად, ცხოვრობს 1.000 ადამიანი და ყველას ერთნაირი შემოსავალი აქვს, ჯინის კოეფიციენტი იქნება ნული, ხოლო, როცა შემოსავალი მხოლოდ ერთს აქვს, კოეფიციენტი ერთი, ანუ 100%-ია.*

კრიმინალი დიდწილად არათანაბარი შემოსავლების შედეგია. მას შეუძლია, გაზარდოს კრიმინალის დონე. ეს არის შედეგი იმედგაცრუების, როდესაც დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანი, თავის ყოფით ცხოვრებას მაღალი შემოსავლის მქონეებისას ადარებს. რაც უფრო არათანაბრად ნაწილდება შემოსავლები, მით უფრო მძაფრია უსამართლობის განცდა და შესაბამისად, მოწყვლადი ჯგუფი მიდრეკილი ხდება კრიმინალური საქმიანობებისკენ.

განათლების ხარისხის ზრდასთან ერთად შემოსავლების თვალსაზრისით უთანასწორობა მცირდება. 1980-დან 1990 წლამდე პერიოდში მსოფლიოს 105 ქვეყნიდან 73 ქვეყანაში ადგილი ჰქონდა სოციალური უთანასწორობის ზრდას. ამ პერიოდში სამუშაო ადგილებზე გაჩნდა ტექნოლოგიური უნარების საჭიროება. ასევე გლობალიზაციის მასშტაბების ზრდასთან ერთად გახშირდა საერთაშორისო კავშირები, შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ მუშახელზე. თუმცა არ გაზრდილა მიწოდება, რადგან განათლების სექტორში სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი თანხა დაიხარჯა იმისთვის, რომ ღარიბ მოსახლეობას ახალი მოთხოვნების შესაბამისი განათლება მიეღო. აღნიშნულმა პროცესმა განაპირობა მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის ხელფასის ზრდა, მაშინ, როდესაც დაბალკვალიფიციურისთვის იგი შემცირდა.

გარი ბექერის (Becker. 1964) ადამიანური კაპიტალის თეორია გვიჩვენებს, რომ განათლებასთან ერთად იზრდება და უმჯობესდება ადამიანის უნარები და შესაძლებლობები, რომლებიც ორიენტირებულია ინდივიდის პროდუქტიულობის ზრდაზე. განათლების მაღალი დონე ინდივიდის პროდუქტიულობა და ხელფასი ერთმანეთთან შესაბამისობაშია. განათლება არის განვითარების გასაღები.

ცალსახად იკვეთება პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება შემოსავლებსა და განათლების ხარისხს შორის, შესაბამისად, მაღალი შემოსავლების პირობებში, ბავშვი უკეთ სწავლობს. საერთაშორისო კვლევის PISA-ის ფარგლებში სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის შეფასება ეფუძნება შემდეგი ცვლადების ერთობლიობას: მოსწავლის მშობლების განათლების დონე, დასაქმება, ოჯახში პირველადი საჭიროების ნივთების არსებობა და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. თუ მოსწავლე სოციო-ეკონომიკური ინდექსის განაწილების ქვედა მეოთხედშია, ის ფასდება როგორც დაბალი სოციო-ეკონომიკური ჯგუფის წარმომადგენელი. ამ მოსწავლეებს სხვებზე გაცილებით დაბალი შედეგი აქვთ. უთანასწორობა შესაძლებელია ჩაითვალოს, როგორც ინფორმაცია მომავალი პერსპექტივების შესახებ.

ასევე ტარდება კვლევები, რათა დადგინდეს შესაბამისობა ჯანმრთელობის სტატუსსა და შემოსავლებს შორის. შემოსავლის შედარებით დაბალი დონე ზრდის ინდივიდის ქრონიკულ სტრესს და შესაბამისად, აუარესებს ჯანმრთელობას, რაც გამოწვეულია იმ შეგრძნების გამწვავებით, რომ ადამიანი კარგავს მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ სტატუსებს, და შესაბამის სარგებლიანობას.

ეკონომიკურ უთანასწორობას შეუძლია შეამციროს ღარიბი მოქალაქეების პოლიტიკური აქტივობა. ამ ჰიპოთეზის საფუძველია იდეა - რომ სიმდიდრე და ძალაუფლება ერთმანეთის განმაპირობებელი არიან. მდიდარ ინდივიდებს მეტი ძალაუფლება აქვთ პოლიტიკურ სცენაზე, ვიდრე ღარიბებს. შესაბამისად, დღის წესრიგში იშვიათად ხვდება იმ საკითხების პოლიტიკური

განხილვა და მოგვარება, რომლებიც უფრო მეტად მოსახლეობის ღარიბ ფენებს ადარდებს. ეს კი გულისხმობს იმას, რომ ამ ჯგუფებისათვის არჩევნებში ხმის მიცემით მიღებული სარგებლიანობა შედარებით მცირეა, ვიდრე მდიდარი მოსახლეობის.

ქალის წილი სამუშაო ძალაში მნიშვნელოვნად ზრდის ოჯახის შემოსავლების საშუალო დონეს. თუმცა პრობლემას წარმოადგენს იმის შეფასება, თუ რა სახის გავლენა აქვს ამ უკანასკნელს საზოგადოების საერთო შემოსავლების უთანასწორობის ცვლილებაზე. მაგალითად, როდესაც დიასახლისი იწყებს მუშაობას და ოჯახში შემოსავლის დამატებითი წყარო ჩნდება, ამან შესაძლოა დამატებითი შემოსავლების მოპოვების კუთხით შეამციროს ოჯახის სხვა წევრების აქტიურობა. თუმცა მომუშავე მარტოხელა დედების სამუშაო ბაზარზე გამოჩენამ შემოსავლების უთანასწორობის შემცირება გამოიწვია.

პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა უნდა იყოს უნივერსალური, ყველა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი და განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დაუცველი და მარგინალიზებული თემების საჭიროებებს.

უთანასწორობის შემცირება მოითხოვს ტრანსფორმაციულ ცვლილებებს. მეტი ძალისხმევაა საჭირო უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოსაფხვრელად და მეტი ინვესტიციაა ჩასადები ჯანდაცვაში, განათლებაში, სოციალურ დაცვაში და ღირსეულ სამუშაოებში, განსაკუთრებით ახალგაზრდების, მიგრანტების, ლტოლვილებისა და სხვა დაუცველი თემებისთვის. ქვეყნების შიგნით მნიშვნელოვანია ინკლუზიური სოციალური და ეკონომიკური ზრდის გაძლიერება და ხელშეწყობა.

ჩვენ შეგვიძლია უზრუნველვყოთ თანაბარი შესაძლებლობები და შევამციროთ შემოსავლების განაწილების უთანასწორობა, თუ პოლიტიკასა და პრაქტიკაში აღმოვფხვრით დისკრიმინაციული კანონებს. უნდა უზრუნველვყოთ, რომ განვითარებადი ქვეყნები უფრო აქტიურად იყვნენ წარმოდგენილნი გლობალურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა გადაწყვეტილებები იყოს უფრო ეფექტური, ინკლუზიური და გაიზარდოს მთავრობის ანგარიშვალდებულება მოქალაქეების წინაშე.

მთავრობებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს დაგეგმილი და კარგად მართული პოლიტიკით, შეუძლიათ ხელი შეუწყონ უსაფრთხო, რეგულარული და სასიკეთო ცვლილებების განხორციელებას, იმ მილიონობით ადამიანისთვის, რომლებსაც ომის, დისკრიმინაციის, სიღარიბის, შესაძლებლობების ნაკლებობისა და სხვა მიზეზთა გამო სახლების მიტოვება და უკეთესი ცხოვრების ძიება მოუხდათ.

## ქეისი - დამაბინძურებელი ინდუსტრიების გადატანა განვითარებად ქვეყნებში

ტრანს და მულტინაციონალური კორპორაციები ხშირად ხდებიან მოსახლეობის, სამოქალაქო აქტივისტების, ეკოლოგების, ადამიანის უფლებათა დამცველებისა და ანტიგლობალისტების თავდასხმის ობიექტები. გარემოს დამცველები მათ განვითარებული ქვეყნიდან განვითარებად ქვეყნებში დამაბინძურებელი ინდუსტრიების გატანას ედავებიან, სადაც ნაკლები რეგულაციები და უსაფრთხოების ნორმებია.

თუმცა ეს არ არის მხოლოდ ამ კომპანიების სურვილი. ამ რელოკაციით დაინტერესებული არიან განვითარებადი ქვეყნების მთავრობები, რადგან ეს მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მათთვის სოფლის მეურნეობა წამყვანია და მსგავსი ინვესტიციებით აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად შეიძლება გადაიქცნენ. ამავდროულად, ეს ადგილობრივების დასაქმების შესაძლებლობაცაა, რითაც სიღარიბეს და შიმშილობას დააღწევენ თავს. ისინი კორპორაციებს სთავაზობენ იაფ მომსახურებას, ოპერირებისთვის გადასახადებიდან თავისუფალ გარემოს, ინფრასტრუქტურას და ყველა სხვა ხელშეწყობას შემოსავლის სანაცვლოდ.

აღნიშნულ თეორიას „დაბინძურების თავშესაფარსაც“ უწოდებენ. ის პირველად აშშ-ში ბარი კასტელმანმა ჩამოაყალიბა. მან თეორია განავითარა მაშინ, როდესაც შტატებს მექსიკაში გაჰქონდა ასბესტის, პესტიციდების, ზინკის და სხვა ქიმიური საწარმოები.

ამ გადატანისას გარემო მნიშვნელოვნად ბინძურდება, რადგან ხშირად განვითარებად ქვეყნებს სუსტი საკანონმდებლო რეგულაციები აქვთ და არ ითხოვენ ძვირადღირებულ გამწმენდ ნაგებობებს, რომლებიც ატმოსფერულ ჰაერს და წყლებს დაიცავს. არავინ ითხოვს დამსაქმებლისგან ზედმეტ გარანტიებს და სამუშაო ადგილის კეთილმოწყობას, სოციალურ უსაფრთხოებას, რადგან მოსახლეობის დასაქმება უკვე საკმარისად კარგი შეთავაზებაა, როგორც მთავრობებისთვის, ისე ხალხისთვის.

80-იან წლებში უფრო დეტალურად იქნა შესწავლილი გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომლითაც კორპორაცია წყვეტდა, გადაიტანდა თუ არა საწარმოს განვითარებად ქვეყანაში. ამისთვის მას რამდენიმე სხვადასხვა საკითხზე დასმული შეკითხვისთვის უნდა გაეცა პასუხი.

#### ნედლეული

- ✓ სად მოიპოვება ნედლეული წარმოებისთვის და რამდენად ძვირი იქნება მისი ტრანსპორტირება?
- ✓ რამდენად სწრაფად ამოიწურება ნედლეული? უზრუნველყოფს თუ არა ის დიდხნიან მოწოდებას?
- ✓ ამოწურვის შემთხვევაში სხვა რომელი ადგილიდან არის შესაძლებელი ნედლეულის ჩანაცვლება, რამდენად გააძვირებს ეს ხარჯებს, ხომ არ აჯობებს საწარმოს გადატანა?

#### ენერჯია

- ✓ რამდენად ენერგოტევადია წარმოება?
- ✓ რომელი წყაროა შესაფერისი ენერჯიის მისაღებად?
- ✓ რა სხვაობებია ადგილობრივ ბაზარზე საწვავი რესურსების ფასებში?
- ✓ ხომ არ არის ხელმისაწვდომი განახლებადი წყაროები და არსებობს თუ არა შეღავათები მათ გამოყენებაზე?

#### მუშახელი

- ✓ შრომატევადია თუ არა წარმოება?
- ✓ როგორი კადრების საჭიროებაა - დაბალი, საშუალო თუ მაღალკვალიფიციური?
- ✓ საჭიროა თუ არა სიახლოვეს კვლევითი ინსტიტუტის არსებობა?
- ✓ რომელ ქალაქებში გვხვდება შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მუშახელი?
- ✓ რომელი სხვა ინდუსტრია იქნება ჩემი კონკურენტი?
- ✓ რამდენად სტაბილურია მუშახელი?

- ✓ იქნება თუ არა მათთვის საინტერესო შეთავაზებული საქმე და პირობები?
- ✓ რამდენად ხშირია გარემოზე დისპუტები, რამდენად აქტიურია სამოქალაქო საზოგადოება?

### ბაზარი

- ✓ რა მოცულობის პროდუქცია შეიძლება გაიყიდოს ადგილობრივ და მიმდებარე ბაზარზე?
- ✓ რამდენად მდიდარია ადგილობრივი მოსახლეობა?
- ✓ არის თუ არა ახლომახლო დიდი ქალაქები?
- ✓ სად არიან განთავსებული კონკურენტები?
- ✓ სად არიან განთავსებული მომწოდებლები?
- ✓ რამდენად დიდი მოცულობა და წონა აქვს პროდუქციას შემდგომი ტრანსპორტირებისთვის?

### ტრანსპორტი და კომუნიკაცია

- ✓ რა ტიპის ტრანსპორტია განვითარებული?
- ✓ რა ტიპის ტრანსპორტი მჭირდება ნედლეულისთვის ან საბოლოო პროდუქტისთვის?
- ✓ რა კავშირები არსებობს ნედლეულის ადგილს, საზღვაო პორტსა და გასაღების ბაზრებს შორის?
- ✓ რამდენად უზრუნველყოფილია სატელეფონო და ინტერნეტკავშირი?
- ✓ არის თუ არა შეღავათები სატვირთო გადაზიდვებზე?

### პოლიტიკა

- ✓ რამდენად სტაბილურია პოლიტიკური გარემო?
- ✓ როგორია სახელმწიფო პოლიტიკა უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში?
- ✓ განვითარებულია თუ არა ინფრასტრუქტურა ადგილზე?
- ✓ რამდენად ხელშემწყობი ან ხელის შემშლელია ადგილობრივი განაშენიანების რეგულაციები?
- ✓ არის თუ არა საგადასახადო შეღავათები?
- ✓ შეიმჩნევა თუ არა ტერორისტული აქტივობა?

### კლიმატი

- ✓ არის თუ არა ხშირი ბუნებრივი კატასტროფები - გვალვა, წყალდიდობა, მიწისძვრა?
- ✓ საჭიროებს თუ არა ინდუსტრია განსაკუთრებულ კლიმატურ პირობებს?
- ✓ საჭიროა თუ არა შესაბამისი მოწყობილობები კლიმატის მოდიფიკაციისთვის და რამდენად ზრდის ის უძრავი ქონების ღირებულებას?

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებამ საინტერესო ტენდენციები გამოკვეთა. თუ თავდაპირველად ქვეყნებს არ ჰქონდათ გარემოსდაცვითი მკაცრი რეგულაციები, დროთა განმავლობაში ხდებოდა მათი შემუშავება და შემოღება, რაც საწარმოს დამატებით ხარჯებს უჩენდა ფილტრებისა და სხვა მოწყობილობების დასამონტაჟებლად. ამის მიზეზი კი ძირითადად იყო - ადგილობრივი აქტივისტების აქტიური ქმედებები; საერთაშორისო ძალისხმევა და ქვეყნებისთვის პასუხისმგებლობების დაკისრება; და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

ხშირად გარემოსდამცველები დამაბინძურებელი წარმოებების გადატანას არაეთიკურ საკითხებად განიხილავდნენ, რაც მხოლოდ მეტი მოგებისთვის კეთდებოდა და არა ღარიბი ქვეყნების დასახმარებლად.

გაეცანით ქეისს და განიხილეთ ჯეფ ბენოზის მოსაზრება, რომელიც დამაბინძურებელი წარმოებების დედამიწიდან კოსმოსში გადატანას გვთავაზობს. ეს აზრი მას მას შემდეგ დაებადა, რაც კოსმოსში გაფრინდა და *MSNBC*-თან<sup>7</sup> ინტერვიუში ამ შესაძლებლობაზე ილაპარაკა. მან აღნიშნა, რამდენად უკეთესი საცხოვრებელი ადგილი გახდებოდა დედამიწა, თუ მისი წინადადება განხორციელდებოდა.

- გადაწყვეტს თუ არა გარემოს დაბინძურების პრობლემას კოსმოსში დამაბინძურებელი წარმოებების გატანა?
- რამდენად შესრულებადია აღნიშნული წინადადება? რა დადებით და უარყოფით შედეგებს გამოიწვევს მისი აღსრულება?

## მდგრადი განვითარების მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო, მოქნილი და მდგრადი განვითარება



ქალაქები არის იდეების, კომერციის, კულტურის, მეცნიერებისა და სოციალური განვითარების საკვანძო ადგილი. ქალაქებმა ხალხს სოციალური და ეკონომიკური წინსვლის საშუალება უნდა მისცეს. 2030 წლისთვის ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა 5 მილიარდამდე გაიზრდება. იმისათვის, რათა გადაჭრილი იქნას ურბანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ეფექტური ურბანული დაგეგმარება და მენეჯმენტი.

ბუნებრივი რესურსების გადამეტებულად გამოყენების გარეშე ქალაქებში სამუშაო ადგილების შექმნა და ეკონომიკური განვითარების გაგრძელება მნიშვნელოვან გამოწვევებთან არის დაკავშირებული. ქალაქებთან დაკავშირებული გავრცელებული პრობლემებია: სიმჭიდროვე, გადატვირთულობა, ძირითადი სერვისების უზრუნველყოფისათვის საჭირო რესურსების არარსებობა, ადეკვატური საცხოვრებლის დეფიციტი, მოძველებული ინფრასტრუქტურა და ჰაერის დაბინძურების გაზრდილი მაჩვენებლები.

სწრაფად მზარდი ურბანული გამოწვევები, როგორცაა, მაგალითად, ქალაქებში არსებული მყარი ნარჩენების უსაფრთხო მენეჯმენტი, შესაძლოა, დაძლეულ იქნას იმგვარად, რომ რესურსების გამოყენების გაუმჯობესების, დაბინძურების შემცირებისა და სიღარიბის დაძლევის პარალელურად ქალაქებს გაზრდისა და მეტად განვითარების საშუალება მიეცეს. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ზრდა. ქალაქმა უნდა შეძლოს

<sup>7</sup> ინტერვიუს ბმული <https://www.msnbc.com/stephanie-ruhle/watch/jeff-bezos-and-brother-mark-speak-to-msnbc-after-successful-blue-origin-flight-117068357904>

ძირითადი სერვისებით, ენერჯით, საცხოვრებელი ადგილით, ტრანსპორტითა და ა.შ ყველას უზრუნველყოფა.

COVID19–ის შემთხვევების თითქმის 90% ქალაქებზე მოდის, რადგან ეს ტერიტორიები ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული. ყველაზე მძიმე დარტყმა მიიღეს ღარიბი უბნების მილიარდამდე მცხოვრებლებმა, რადგან აქ რისკი ყველაზე მაღალი იყო სიმჭიდროვისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების არარსებობის გამო. აღსანიშნავია, რომ სწრაფმა ურბანიზაციამ განაპირობა ის, რომ 4 მილიარდი ადამიანისთვის, რაც მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტია, მსოფლიოს ქალაქების ჰაერი კიდე უფრო დაბინძურდა. არაადეკვატური ინფრასტრუქტურა და სოციალური მომსახურება ფაქტებს კიდე უფრო მძიმე საარსებო პირობებს უქმნიდა. ქალაქში მრავლად იყო COVID-19–ის შეკავების წარმატებული მაგალითებიც, რამაც აჩვენა, რომ ამ ახალი გამოწვევის საპასუხოდ შესაძლებელია ქალაქების მედეგობისა და ადაპტირების ნორმების დაკორექტირება.

### ფაქტები და მონაცემები:

- ✓ კაცობრიობის ნახევარი - 3,5 მილიარდი ადამიანი - დღეს ქალაქებში ცხოვრობს. 2030 წლისთვის ეს მაჩვენებელი 5 მილიარდამდე გაიზრდება. მომდევნო ათწლეულების განმავლობაში ურბანული გაფართოების 95% განვითარებად ქვეყნებზე მოვა, რადგან განვითარებულ ქვეყნებში ურბანიზაციის ტემპი უკვე დავარდა. აქ ქალაქის მცხოვრებთა წილი 70-80%-ს აღწევს. 2050 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის 70% ურბანულ დასახლებებში იცხოვრებს.
- ✓ ურბანიზაციის სწრაფი ტემპის გამო განვითარებადი ქვეყნების გარეუბნები, სადაც ახლად ჩამოსულები სახლდებიან, არასათანადოდაა განვითარებული, და ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოებისა და სანიტარიის ელემენტარულ ნორმებსაც კი. ასეთი უბნები ფაქტები/ბიდონვინები/ჯურღმულები 828 მილიონი ადამიანის საცხოვრებელს წარმოადგენს. მათი უმეტესობა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გვხვდება.
- ✓ მსოფლიოს ქალაქებს დედამიწის ხმელეთის მხოლოდ 3% უჭირავს, თუმცა ენერჯის მოხმარების 60-80% და ნახშირბადის გამონაბოლქვის 75% მათზე მოდის.
- ✓ სწრაფი ურბანიზაცია რესურსებზე ზეწოლის მიზეზი ხდება, განსაკუთრებით, მტკნარი წყლის მარაგზე. წყალმომარაგება, სანიტარული გამართვა, ინფრასტრუქტურის მოწყობა - ძვირია, თუმცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ქალაქებში სრულადაა ტრანსფორმირებული ბუნებრივი გარემო, მწვანე სივრცეები ქალაქების პრიორიტეტი უნდა გახდეს, რასაც დიდი გავლენა ექნება საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე.
- ✓ წლიურად 4,2 მლნ ბავშვთა სიკვდილიანობა სწორედ ჰაერის დაბინძურებით იყო გამოწვეული.
- ✓ ქალაქში მცხოვრები 10-დან 9 ადამიანი ატმოსფერული ჰაერის ისეთი დაბინძურების პირობებში ცხოვრობს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტებს.
- ✓ ქალაქები მოიხმარს ენერჯის 60-80 პროცენტს და გამოიმუშავებს სათბურის აირების ადამიანის მიერ გამოწვეული ემისიების 70 პროცენტს, რაც გლობალური კლიმატის ცვლილების მთავარი საფრთხეა.

- ✓ ქალაქის მცხოვრებლების მხოლოდ ნახევარს მიუწვდება ხელი საზოგადოებრივ ტრანსპორტზე სახლიდან 500-1000 მეტრის დაშორებით, ხოლო მწვანე სივრცეებით 400 მეტრის დისტანციაზე მოსახლეობის მხოლოდ 47% სარგებლობს.

## ტერმინები

**მდგრადი ქალაქის** კონცეფცია, ასევე „ინკლუზიურ ქალაქს“ გულისხმობს, როდესაც ყველა მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს ყველა საქალაქო რესურსით, მონაწილეობა მიიღოს ქალაქის დაგეგმარებასა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებში. წინ გამოდის „მწვანე ქალაქისა“ და „ჭკვიანი ქალაქის“ იდეები, რომლებიც ორიენტირებულია ენერგორესურსების დაზოგვაზე, გამწვანებული და ბუნებრივად/ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შექმნაზე, მოსახლეობის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, მათ შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის ხელშეწყობაზე.

**ურბანიზაცია** - ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების რთული შერწყმაა, რაც გამოწვეულია ქალაქების მზარდი როლით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ურბანიზაციის პროცესისათვის დამახასიათებელია - ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა უპირატესად მიგრაციის ხარჯზე, მოსახლეობის კონცენტრაცია ქალაქად, რეგლამენტირებული ცხოვრების წესი, ფორმალური კავშირ-ურთიერთობები, შრომის რთული საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე საქონლის წარმოების, მოხმარებისა და მომსახურების ინტენსიური ზრდა, ცხოვრების ქალაქური წესის სტანდარტების დაჩქარებული გადატანა სოფლად.

## ქალაქების წინაშე მდგომი ყველაზე მწვავე გამოწვევები და მათი მოგვარების გზები

უთანასწორობა ქალაქებსა და სოფლებს შორის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. ქალაქები გამოირჩევა უკეთესი ინფრასტრუქტურით, განათლებაზე, ჯანდაცვაზე, გასართობ ადგილებზე, საბანკო, კულტურულ და რეკრეაციულ მომსახურებაზე მეტი ხელმისაწვდომობით. ასევე აქ უკეთაა განვითარებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ადამიანების მობილობა, რაც ამ საუკუნის მნიშვნელოვანი კომპონენტია. უთანასწორობა ასევე შეინიშნება ქალაქებს შიგნითაც, ქალაქის ცენტრალურ, ისტორიულ და ბიზნესუბნებში მიწის, უძრავი ქონების ღირებულება ბევრად მაღალია. შესაბამისად, აქ მეტი შესაძლებლობა, უსაფრთხოება და მრავალფეროვანი მომსახურებაა. ამ ადგილებში ჭარბობს მწვანე სივრცეები, საგანმანათლებლო დაწესებულებები. უკეთაა განვითარებული სატრანსპორტო ქსელი. აქ უკეთესი შენობები და სკოლებია. ამის საპირისპირო მდგომარეობაა დანარჩენ უბნებში. აღსანიშნავია, რომ განვითარებად ქვეყნებში ქალაქების ცენტრალურ ნაწილთან სიახლოვეს გვხვდება მაღალი კლასის სახლები, ე.წ. მდიდრული უბნები, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში მდიდრების დასახლებები ქალაქის გარეუბანშია, სადაც უკეთესი ბუნებრივი პირობებია და ადვილია ქალაქის ბიზნესცენტრთან (CBD) წვდომა.

ურბანული ტერიტორიის სხვადასხვა მიზნისთვის გამოყენება:

- დასვენება და რეკრეაცია - შეიძლება მოიცავდეს ღია ტერიტორიას, მაგ. პარკებს ან სპორტულ ცენტრებს;

- საცხოვრებელი - სახლები და აპარტამენტები;
- ტრანსპორტი - საგზაო და სარკინიგზო ქსელები, სადგურები და აეროპორტები;
- სავაჭრო ცენტრები და საფენმაკლო უბნები კულტურული/ისტორიული შენობები, მუზეუმები;
- ბიზნესი და კომერცია - ოფისები, მაღაზიები და ბანკები, ადმინისტრაციული შენობები;
- მრეწველობა - ქარხნები, საწყობები და მცირე საწარმოო ცენტრები;
- ავტობუსის და რკინიგზის სადგურები (სატრანსპორტო ცენტრები);
- მრავალსართულიანი ავტოსადგომები.

ქალაქი მეტ ენერჯიას მოიხმარს, რადგან აქ განსხვავებულია ცხოვრების რიტმი. დიდ ქალაქებში დღისით და ღამით ყველა გასართობი დაწესებულება მუშაობს. ქალაქის სიმჭიდროვე მაღალია, რაც მცირე ფართზე მეტი ენერჯიის მოხმარებას განაპირობებს. მეტია საოჯახო ელექტრომოწყობილობების სინშირეც. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ქალაქში ტემპერატურა მის გარეუბნებთან შედარებით მაღალია, რაც აჩენს მისი გაგრილების აუცილებლობას. საზოგადოებრივი და კერძო ავტოტრანსპორტი ენერჯიის დიდი მომხმარებელია. ქალაქებს უკავია დედამიწის ზედაპირის მხოლოდ 3%, თუმცა ნახშირორჟანგი, რომელიც აქედან ატმოსფეროში გაიტყორცნება, საერთო მოცულობის 70%-ზე მეტს შეადგენს. გაუმართავი საზოგადოებრივი ტრანსპორტი განვითარებადი ქვეყნების მოსაგვარებელი ამოცანაა, რაც გამონაბოლქვის გარდა, ქალაქების ქუჩების მანქანებით გადატვირთვასაც უკავშირდება. ქალაქების უმეტესობა დაუცველია კლიმატის ცვლილებისგან.

ადამიანების სიმრავლის გამო ქალაქის მოსახლეობისთვის მეტ საფრთხეს შეიცავს სტიქიური უბედურებები, ტექნოგენური კატასტროფები და პანდემიები. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქალაქები ყოველთვის მყარად არ არის განაშენიანებული. აქ გვხვდება ფაველები/ბიდონვილები, რომელთა წარმოშობა უკავშირდება ცრუ ურბანიზაციას, ანუ დაუგეგმავ, სწრაფ ზრდას, როდესაც ინფრასტრუქტურა ვერ ეწევა განვითარებას. სწორედ ეს ნაჩქარევად შეკონსტრუქციონირებული სახელდახელო ქოხები ყველაზე მეტად ზარალდება მიწისძვრის თუ წყალდიდობის დროს.

ქალაქებს დიდ პრობლემას უქმნის მწვანე სივრცეების ნაკლებობა, ხშირად ისინი განაშენიანებას, ინფრასტრუქტურასა და მშენებლობას ეწირებიან. ეს უარყოფითად აისახება ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ატმოსფერულ ჰაერზე. ადამიანი ქალაქში შორდება ბუნებას, რაც ზრდის სტრესს. მწვანე სივრცეებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა დანიშნულება - სამეზობლო, უბნის, ქალაქისა და ქვეყნის. მნიშვნელოვანი თემატური პარკებია, მაგალითად, დისნეილენდი ან ზოოპარკები.

ქალაქები კრიმინალის კერაცაა. კრიმინალები, ქურდები, მძარცველები ხალხმრავალ ქალაქებს ეტანებიან, რადგან პატარა დასახლებებში ყველაფერი ხელის გულზეა, ადამიანები ერთმანეთს იცნობენ და არაფერი გამოეპარებათ მხედველობიდან. ქალაქებში კი ცხოვრების რიტმი მაღალია, ადამიანები ერთმანეთს ნაკლებად იცნობენ. ასევე მეტია ბანკები, ადამიანს მეტი ფული აქვს. გარდა ამისა, თუ მოუწყობელია ქალაქის ინფრასტრუქტურა, ნაკლებია ქუჩის განათებები, მეტია უმუშევრობა და ეკონომიკური სხვაობები, შესაბამისად მატულობს კრიმინალის დონეც.

მსოფლიო ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტ ნარჩენს აწარმოებს, რომლის დიდი წილი ქალაქებზე მოდის. რაც უფრო მეტია ადამიანების კონცენტრაცია, მით მეტია ნარჩენების

მოცულობა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მხოლოდ 2016 წელს ქალაქებში ადამიანებმა აწარმოვეს 2 მილიარდი ტონა მყარი ნარჩენი, რაც ერთ ადამიანზე გასაშუალოებულად დღიური 0,74 კილო მყარი ნარჩენია. თუ არ გატარდა შესაბამისი ღონისძიებები, 2050 წლისთვის ურბანიზაციის მასშტაბების სწრაფი ზრდა ნარჩენების მოცულობას 70%-ით გაზრდის, რაც 3,4 მილიარდ ტონას შეადგენს. ნარჩენები ნაგავსაყრელზე აბინძურებს ნიადაგს, გრუნტის წყლებს. ორგანული ნარჩენების ლპობის შედეგად ატმოსფეროში გამოიტყორცნება მეთანი, რაც ასევე სათბურის აირია და მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალური კლიმატის ცვლილების დაჩქარებაში.

## ქვეყნის შიდა უთანასწორობები

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ განვითარების მიხედვით მხოლოდ ქვეყნები არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ეს განსხვავება შეიძლება არსებობდეს ერთი ქვეყნის შიგნითაც - სხვაობაა ქალაქებსა და სოფლებს შორის, რეგიონებს შორის და ქალაქის შიგნითაც.

ეს სხვაობა ყველაზე ნაკლებადაა თვალშისაცემი, თუ ქვეყანა ინდუსტრიამდელი განვითარების სტადიაში იმყოფება; ასევე, როდესაც ქვეყანა მაღალი განვითარების ნიშნულს მიაღწევს და კეთილდღეობა მთელი ქვეყნის მოსახლეობის მახასიათებელი ხდება და ინფრასტრუქტურულად ყველა საჭირო მომსახურება ხელმისაწვდომია სოფლებშიც - განვითარებულია სატრანსპორტო ქსელი, კომუნიკაციები, წყალგაყვანილობა, გაზმომარაგება, ელექტრიფიკაცია და ინტერნეტდაფარვა. ადგილზე შეიძლება ჯანდაცვის სერვისების მიღება, ხელმისაწვდომია სკოლამდელი და სასკოლო განათლება, გვხვდება გასართობი დანიშნულების ობიექტებიც (ბიბლიოთეკა, კლუბი, პარკი, სოციალური თავშეყრის ადგილები და სხვა.).

ქვეყნის შიდა უთანასწორობა ყველაზე თვალსაჩინო სწრაფი ინდუსტრიალიზაციის სტადიაზე ხდება, როდესაც ეკონომიკა უსისტემოდ ვითარდება. ამ დროს ქვეყნის შიგნით გამოირჩევა მდიდარი და ღარიბი რეგიონები. ხშირად ამ კონტრასტის თვალსაჩინო მაგალითად მოჰყავთ ბრაზილია. აქ რეგიონული სხვაობები ყველაზე მაღალია. ქვეყანა მესხეთე ადგილზეა ტერიტორიითა და მოსახლეობის რაოდენობით. მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ყველაზე მდიდარია. განვითარებულია პირველადი (მოპოვება, სოფლის მეურნეობა), მეორეული (გადამუშავება), მესამეული (მომსახურება - განათლება, ჯანდაცვა, ბანკები, ვაჭრობა, ტურიზმი), მეოთხეული (მეცნიერება, ინოვაციები, ტექნოლოგიები) დარგები და მათი საშუალებით ქვეყანა დიდ შემოსავლებზე გადის. აქ თბილი კლიმატური პირობების გამო გაშენებულია პლანტაციები, ზღვისპირა მდებარეობის გამო კი განაშენიანებულია საუკეთესო კურორტები. გვხვდება მსხვილი აეროპორტები და პორტები. ხდება ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. მაშინ, როცა დანარჩენ რეგიონებში ძალიან მაღალია სიღარიბის მაჩვენებელი.

სხვაობები გვაქვს ერთი ქალაქის ფარგლებშიც. მსოფლიოში ქალაქის მოსახლეობის 32%, 1 მილიარდზე მეტი ადამიანი სახლობს ფაველებში/ბიდონვილებში. ამ ტიპის დასახლებები დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც ურბანიზაციის პროცესი დაჩქარებულად მიმდინარეობს, მოსახლეობა სოფლებიდან ქალაქებში გადმოდის საცხოვრებლად, სამუშაოდ, ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ისინი სოფლის მძიმე პირობებს გაურბიან, სადაც საკარმიდამო მიწა თავის გამოსაკვებად აღარ ჰყოფნით; ან აქვთ უკეთესი მომავლის იმედი, რომ შვილებმა მაინც იცხოვრონ კომფორტულ გარემოში, სადაც ექნებათ გაუმჯობესებული განათლება თუ ჯანდაცვა. სწორედ ასეთი ქაოსურად აღმოცენებული დასახლებების გამო, ქალაქებში სიღარიბე მატულობს. ფაველები სიღარიბის, უთანასწორობის

გამოვლინებაა, როცა ღარიბები უნებართვოდ იკავებენ მიწას და ყოველგვარი განაშენიანების სტანდარტების გვერდის ავლით სახლდებიან. ეს სამოსახლოები ვერ აკმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს, აქ არაა გაყვანილი წყალი, კანალიზაცია, ელექტროსადენები. არ არის სკოლები და ბაღები, არც სამედიცინო დაწესებულებები. არ არსებობს ქალაქის სხვა უბნებთან დამაკავშირებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტი. დაბალია დასახლებულების განათლების ცენზი და მაღალია უმუშევრობის მაჩვენებელი, რაც ასევე ზრდის კრიმინალურ გავლენებს და ამცირებს უსაფრთხოებას. მაღალია ნარკოტიკების მოხმარებისა და უკანონო ვაჭრობის ფაქტები, პროსტიტუცია და სხვა არალეგალური საქმიანობების მაჩვენებელი.

მდგრად განვითარებაზე აქცენტის გაკეთებით ჩვენ ვირჩევთ, ისეთი ქალაქების აშენებას, სადაც ყველა მოქალაქე იცხოვრებს ღირსეული ცხოვრებით, ცხოვრების ხარისხი იქნება მაღალი, შევქმნით საერთო კეთილდღეობასა და სოციალურ სტაბილურობას ისე, რომ ნაკლებ ზიანს მივაყენებთ გარემოს. ყველა ქალაქს 2020 წლისთვის უნდა გადაეხედა ურბანული პოლიტიკისთვის, რათა ქალაქი ისე დააგეგმაროს, რომ თავიდან აიცილოს პანდემიის გავრცელების მასშტაბები.

ხარჯი მინიმალურია იმ სარგებელთან შედარებით, რომელიც დასახლებებში მდგრადი პრაქტიკის დანერგვით მიიღება. მაგალითად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციონალური ქსელის შექმნას საკმაოდ დიდი ფასი აქვს, საჭიროა გზების გაყვანა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ტრანსპორტის შესყიდვა, თუმცა სარგებელი უზარმაზარია - ეკონომიკური აქტივობის ადამიანის მობილობის გაზრდა, ცხოვრების ხარისხის, გარემოს პირობების გაუმჯობესება, რაც დადებითად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზეც.

## ქეისი - ეკომეგობრული და მდგრადი ქალაქი

**ეკომეგობრულ და მდგრად ქალაქს 10 მახასიათებელი აქვს, რაც მას სხვა დასახლებებისგან გამოარჩევს:**

**1. საზოგადოებრივი ტრანსპორტი** - ქალაქები, რომლებიც მდგრადობაზე არიან ორიენტირებული, უნდა განავითარონ საზოგადოებრივი სატრანსპორტო მომსახურება, რადგან დღეს ავტომობილები პასუხისმგებელი არიან ნახშირორქანით დაბინძურების 75%-ზე. საზოგადოებრივი მდგრადი ტრანსპორტი ალტერნატიულ ენერგეტიკულ რესურსებზე უნდა მუშაობდეს. ხარჯთაღქმური და ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტი მანქანების საჭიროებას ამცირებს, რაც იწვევს მავნე გამონაბოლქვის შემცირებას.

ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილებისთვის გამოყოფილი უნდა იყოს ზოლები, რაც შეამცირებს გამონაბოლქვს. ტრანსპორტირების მომავალი უნდა იყოს ახალი მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა.

**2. ფეხსავალი და ველოსიპედსავალი სამეზობლოები** - ნახშირბადის ემისიის შესამცირებლად ერთ-ერთი საუკეთესო გზაა, რომ მოქალაქეებმა საერთოდ უარი თქვან ავტოტრანსპორტზე. შესანიშნავი ალტერნატივაა ფეხით გასეირნება და ველოსიპედები. წახალისებისთვის მნიშვნელოვანია - მუნიციპალურმა მთავრობამ ინვესტიციები საფეხმავლო და ველოსიპედის ბილიკების გაკეთებაში ჩადოს; დაიცვას ფეხით მოსიარულეები და ველოსიპედისტები კანონის ძალით; ქალაქის მესვეურებმა წახალისონ ავტოტრანსპორტიდან საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ან ველოსიპედებზე გადაჯდომა საკუთარი მაგალითით.

კოპენჰაგენში ველოსიპედების რაოდენობა ხუთჯერ აღემატება მანქანების რაოდენობას. აქ მოსახლეობის 42% სამუშაოდ ველოსიპედით დადის. ველოსიპედის ეს კულტურა ქალაქის მენეჯმენტის გზით იქნა მიღწეული: ქალაქის მასშტაბით შეიქმნა ველოსიპედის მაგისტრალები, მთელი რიგი ბილიკები და ხიდეები, რომლებიც სპეციალურად ველოსიპედისტებისთვის აშენდა.

**3. სატრანსპორტო საშუალების დამუხტვის/დატენის სადგურები** - ელექტრომანქანას ნულოვანი გამონაბოლქვი აქვს. იმ ქალაქებისთვის, რომლებიც იმედოვნებენ, რომ ნახშირბადნიტრალური გახდებიან, ელექტროენერჯის ან სხვა ალტერნატივების დამუხტვის სადგურები ქალაქისთვის ჩვეულებრივ ინფრასტრუქტურად უნდა იქცეს. ქალაქებს შეუძლიათ, ამ სადგურების მშენებლობა დააკისრონ კერძო სექტორის ინვესტორებს, დეველოპერებს, რომლებიც ურბანულ პროექტებში მონაწილეობენ. უნდა შემუშავდეს სადგურების ქსელის გეგმა და გაითვალისწინოს სინშირე, რათა დადგინდეს დატენის სადგურის ადგილები.

**4. მზის და განახლებადი ენერჯის წყაროები** - სუფთა ენერჯიაზე გადასვლა აუცილებელია, რომ ქალაქები გახდეს მდგრადი. მზის პანელებს შეუძლიათ, გააუმჯობესონ ჰაერის ხარისხი ქალაქში და ასევე განახლებადი ენერჯით უზრუნველყონ მოქალაქეები და მუნიციპალური ობიექტები. მზის ენერჯია ასევე ქმნის კარგად ანაზღაურებად სამუშაო ადგილებს და სტიმულს აძლევს ეკონომიკურ ზრდას. ქალაქის მიერ გაცემული მწვანე სუბსიდიები დახმარებას გაუწევს ნაკლები ფინანსური სტაბილურობის მქონე მცხოვრებლებს, რომლებსაც არ შეუძლიათ მზის ენერჯის გამოყენება და ესაჭიროებათ თანადაფინანსება.

უამრავი ქალაქი 2030 წლისთვის გეგმავს, რომ სამთავრობო შენობების 100% სუფთა ენერჯით მოამარაგოს.

**5. მწვანე შენობები** - მსოფლიოში სათბური აირების ემისიების 30% შენობებზე მოდის. მწვანე შენობები გამოსავალია, რომლითაც CO<sub>2</sub>-ის ემისია 32%-ით მცირდება. მათ ნაკლები მოვლა სჭირდებათ და აქვთ წყლისა და ელექტროენერჯის მცირე გადასახადები. ამ ხარჯების შეღავათებმა, დამატებით საგადასახადო წახალისებებმა გაზარდა მწვანე შენობების მშენებლობების რაოდენობა.

იმისათვის, რომ ქალაქის ინფრასტრუქტურა მართლაც გამწვანდეს, ეს უნდა დაიწყოს მუნიციპალიტეტის ყველა შენობით. არსებობს სპეციალური სერტიფიკატებიც, რომლებიც გადაეცემა შენობებს, რომლებიც ზოგავენ ენერჯიას, წყალს, ამცირებენ CO<sub>2</sub>-ის ემისიებს.

შენობების გამწვანებას ხელს უწყობს: გათბობისა და გაგრილების ჭკვიანი სისტემები, ბუნებრივი სამშენებლო მასალები, გაძლიერებული ვენტილაცია და იზოლაცია, მზის პანელები, მწვანე სახურავები.

**6. საკვების წარმოება** - მსოფლიო კვლევითი ინსტიტუტის შეფასებით, 2050 წლისთვის მსოფლიოს 50%-ით მეტი საკვების წარმოება დასჭირდება, სათბური აირების გამონაბოლქვი კი 2/3-ით უნდა შემცირდეს. ეს გამოწვევა მოითხოვს მეტი ადამიანის გამოკვებას უფრო ეკოლოგიური პროდუქტით. ურბანული მეურნეობა ქალაქებში ნახშირბადის ემისიების შესამცირებელი ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც საკვების წარმოებას უკავშირდება. საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ხელს შეუწყობს მოსახლეობის განათლებას კვების შესახებ და მათი მხრიდან უფრო ჯანმრთელი, მდგრადი არჩევანის გაკეთებას. კონსერვაცია კიდევ ერთი სფეროა, რომელშიც მთავრობებს ინვესტიციის

ჩადება შეუძლიათ, მაგრამ დღეს მას სოფლის მეურნეობის სუბსიდირების მხოლოდ 5% ხმარდება.

**7. ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი რესურსები** - მდგრადი ქალაქები ასევე ეხმარება მოსახლეობას, მიაღწიონ მდგრადობას რესურსებზე ხელმისაწვდომობის საშუალებით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შენობები, ეკონომიკური განვითარების ცენტრები, ტექნოლოგიური ცენტრები, მუზეუმები და ა.შ. - ეს არის რესურსცენტრების მაგალითები, რომლებსაც შეუძლიათ საზოგადოების ჯანმრთელობისა და ეკონომიკის სტიმულირება.

საზოგადოებრივ რესურსებში ასევე შედის რეკრეაციული საშუალებები და პროგრამები, რომლებშიც თემის წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა. ზოგიერთ ობიექტს, როგორცაა, მუზეუმები და კულტურული ცენტრები, შეუძლია მოახდინოს ურბანული სივრცის ჰუმანიზაცია და დაეხმაროს ქალაქს საკუთარი იდენტობის განსაზღვრაში. კულტურული კეთილმოწყობისა და ღონისძიებებისთვის საზოგადოებრივი სახსრების გამოყოფა შესანიშნავი გზაა მრავალფეროვნებისა და მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

**8. წყლის კონსერვაცია** - მდგრადი ქალაქებისთვის მახასიათებელია ურბანული წყლის მართვა. მსოფლიოს ურბანული ცენტრების 90%-ზე მეტი სანაპირო ზოლებთან მდებარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი კატასტროფებისა და კლიმატის ცვლილების გამო, ამ ქალაქების სტაბილურობას საფრთხე ექმნება, ქალაქის ასეთი მდებარეობა ძველი დროიდან მოყოლებული ნიშნავდა სატრანსპორტო არტერიაზე და წყლის მარაგზე უფრო მოხერხებული წვდომის შესაძლებლობას.

ქვემოთ მოცემულია წყლის კონსერვაციისა და დაზოგვის რამდენიმე პრაქტიკა, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ ქალაქებს: წვიმის წყლის შეგროვება, მწვანე ინფრასტრუქტურა, წყლის დამზოგავი ტექნოლოგიები.

**9. საზოგადოებრივი მწვანე სივრცეები** - ურბანული მწვანე სივრცეები მდგრადი ქალაქების პრიორიტეტი უნდა იყოს, რადგან ეს ადგილები ერთდროულად რამდენიმე გამოწვევას აგვარებს. ქალაქებს შეუძლიათ, მიაღწიონ გამონაბოლქვის კონტროლს, საზოგადოების ფიზიკურ გაჯანსაღებასა და ბიომრავალფეროვნების შექმნას, რაც ზრდის უძრავი ქონების ღირებულებას. პარკები, სკვერები, მწვანე ბილიკები, ქუჩების გამწვანებები და გაზონები და დაცული ტერიტორიები, საზოგადოებრივი მწვანე სივრცეების მაგალითებია. სათემო ბაღებისა და ურბანული მეურნეობების მშენებლობას ასევე შეუძლია გადაჭრას საკვებზე მოთხოვნილების გამოწვევები. გარდა იმისა, რომ მოსახლეობას ექნება უფასო ან ხელმისაწვდომი მებაღეობა, საკვები ლანდშაფტის კეთილმოწყობა შეიძლება შეიქმნას იმისთვის, რომ ურბანული მცენარეები ორ მიზანს ემსახურებოდეს: დეკორაციულს და ფუნქციურს.

**10. ნარჩენების მართვა** - იმის ნაცვლად, რომ ნარჩენები გადაიყაროს ნაგავსაყრელზე, საჭიროა წარმოების პროცესი იყოს ციკლური და უკვე წარმოებისას იყოს გათვალისწინებული შესაფუთი მასალის, თუ უშუალოდ ნივთის საბოლოო უტილიზაცია, ან გადამუშავება. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქების უმრავლესობამ მიიღო გადამუშავების პროგრამები, ურბანულ ცენტრებში დადებითი შედეგი უფრო მკაცრმა პოლიტიკამ გამოიღო. სან-ფრანცისკოში გადამუშავება და კომპოსტირება ქალაქს 77%-ზე მეტი ნარჩენების გადამუშავებაში დაეხმარა.

ბიონარჩენებისგან, ფოთლების, ტოტების, საკვების ნარჩენებისგან ენერჯის გამომუშავება შესანიშნავი გამოსავალია ელექტროენერჯის მისაღებად. ამ დროს ნაგავსაყრელებზე დამწვარი

ბიომასის ენერჯიად გადაქცევა ხდება. უქალაქლო ღონისძიებები, ტექნოლოგიების შემოტანა ოფისებში, საქმის წარმოებაში, სასწავლო პროცესში ასევე ამცირებს ნარჩენების პრობლემებს. ეს ოფისებს ნაკლებიც უჯდებათ, კორესპონდენციაც სწრაფად ტრიალებს და გარემოსთვისაც სასარგებლოა. ასევე ყურადღება ექცევა პლასტიკის, ლითონის, შუშის გადამუშავებას, რასაც უზრუნველყოფს სეპარაცია და რეციკლირება.

გაეცანით მდგრადი ქალაქის მახასიათებლებს, ასევე ესტუმრეთ თბილისის მერიის ვებგვერდს და გაეცანით თბილისის განვითარების გეგმას<sup>8</sup>. გააანალიზეთ, რამდენად ადგას თბილისი მდგრადი განვითარების გზას.

რა კომპონენტებია გათვალისწინებული თბილისის გეგმაში და რა კომპონენტებია დარჩენილი მის მიღმა?

მოაწყვეთ დისკუსია თბილისის განვითარების შესაძლებლობებზე

## მდგრადი განვითარების მიზანი 12: მდგრადი მოხმარებისა და წარმოების უზრუნველყოფა



მდგრადი მოხმარება და წარმოება არის რესურსების რაციონალური გამოყენების, ენერგოეფექტურობის, მდგრადი ინფრასტრუქტურის, ძირითად სერვისებზე ხელმისაწვდომობის, ღირსეული სამუშაო ადგილებისა და უბრალოდ, ყველასთვის უკეთესი ცხოვრების წინაპირობა. მისი განხორციელება ხელს უწყობს განვითარების საერთო გეგმების მიღწევას, სამომავლო ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური ხარჯების შემცირებას, ეკონომიკური კონკურენციის გაძლიერებასა და სიღარიბის შემცირებას.

ამჟამად, იზრდება ბუნებრივი რესურსების მოხმარება, განსაკუთრებით აღმოსავლეთ აზიაში. თუმცა ამავდროულად ქვეყნები აგრძელებენ ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას.

მდგრადი მოხმარება და წარმოება მიზნად ისახავს „ნაკლებით მეტის და უკეთესად კეთებას“, ცხოვრების ღონის ამადლება შესაძლებელია რესურსების გამოყენების, დეგრადაციისა და

<sup>8</sup> თბილისის განვითარების გეგმა

<https://tbilisi.gov.ge/img/original/2020/2/27/%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%98-%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf>

დაბინძურების შემცირებით. ამასთანავე, ყურადღება უნდა მიექცეს მიწოდების მთელ ჯაჭვს წარმოებიდან საბოლოო მომხმარებამდე.

გასული საუკუნის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს თან ახლდა გარემოს დეგრადაცია, რამაც საფრთხე შეუქმნა იმ ბუნებრივ სისტემებს, რომლებზეც დამოკიდებულია ჩვენი განვითარება და გადარჩენა. სწორედ მაღალი მოხმარების გამო ბუნებრივი რესურსები არარაციონალურად გამოიყენებოდა, უგულებელყოფილი იყო გარემოსდაცვითი სტანდარტები. მეტი მოხმარება გაიგივებული იყო ქვეყნების სიძლიერესთან და პროგრესთან. დღეს გარემოსდაცვითი ცნობიერება ჩვენი ცხოვრების ნაწილი ხდება, აისახება ქვეყნების პოლიტიკაზე, იჭრება განათლებაში, წარმოებაში, სახელმწიფო შესყიდვებში, რამაც უნდა შეამციროს რესურსდამოკიდებულება და დაზოგოს ბუნებრივი რესურსები.

COVID-19-ის პირობებში სახელმწიფოების მიერ განსაზღვრული გეგმები დასაკორექტირებელი გახდა. შესამუშავებელი გახდა აღდგენის გეგმები, რომლებმაც უნდა შეცვალოს მიმდინარე ტენდენციები და ჩვენი მოხმარებისა და წარმოების პრაქტიკა უფრო მდგრად კურსზე გადაიყვანოს. წარმატებული გადასვლა ნიშნავს რესურსების ეფექტურობის გაუმჯობესებას, ეკონომიკური საქმიანობის მთელი სასიცოცხლო ციკლის გათვალისწინებას (ეკონომიკის ამგვარ მოდელს ციკლური ეკონომიკა უწოდეს) და მრავალმხრივ გარემოსდაცვით შეთანხმებებში აქტიურ ჩართულობას.

## ფაქტები და მონაცემები:

- ✓ უახლესი პროგნოზების თანახმად, 2030 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა შეიძლება დაახლოებით 8.5 მილიარდამდე გაიზარდოს, უკვე 2050 წლისთვის კი 9.7 მილიარდს მიაღწიოს. თუკი მოხმარების ახლანდელი დონე შენარჩუნდება, ამდენი ადამიანისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსების მოსაპოვებლად სამი პლანეტა გახდება საჭირო.
- ✓ მდგრადობის პრინციპების დაცვა აღარ არის შეუსრულებელი მისია, მსოფლიოს 250 უმსხვილესი კომპანიის 93 პროცენტმა თავის პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებები უკვე შეიტანა და გარემოზე ზრუნვა სავალდებულო გახადა, თუმცა პოზიტიური შედეგების მისაღებად მასშტაბები ჯერ კიდევ დასაჩქარებელია.
- ✓ 2017-2019 წლებში ევროკავშირის ქვეყნების ანგარიშებში გამოიკვეთა, რომ მათ პოლიტიკის ერთი დოკუმენტი მაინც აქვთ მიღებული, რაც მოხმარებისა და წარმოების ცვლილების განმაპირობებელი უნდა გამხდარიყო.

## წყალი

- ✓ მსოფლიოში არსებული წყლის რესურსების 3%-ზე ნაკლებია მტკნარი სახით. აქედან 2,5% ანტარქტიდაზე, არქტიკასა და მთის მყინვარებზეა. კაცობრიობას რჩება 0,5% სასმელად და საყოფაცხოვრებო საქმიანობაში გამოსაყენებლად
- ✓ ადამიანის მიერ წყლის რესურსების, მდინარეების, მიწისქვეშა წყლებისა და ტბების დაბინძურება იმაზე სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ბუნება მისი გაწმენდა შეუძლია. თან უნდა გვახსოვდეს, რომ წყალზე მოთხოვნა მიწოდებაზე ბევრად უფრო მაღალია, 1 მილიარდზე მეტ ადამიანს კვლავ არ მიუწვდება ხელი სუფთა წყალზე.

- ✓ წყლის ჭარბი მოხმარება ხელს უწყობს წყლის გლობალურ კრიზისს, რაც სხვა თანამდევ პრობლემების გამომწვევია (მაგ, ჯანმრთელობის პრობლემები). 2 მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს იმ ქვეყნებში, სადაც წყლის დიდი დეფიციტია.
- ✓ წყალი ბუნებაში თავისუფლადაა ხელმისაწვდომი, მაგრამ ძვირია ინფრასტრუქტურა, რომელიც საჭიროა მისი მიწოდების უზრუნველსაყოფად.
- ✓ 1980-იანი წლებიდან, მსოფლიოში წყლის მოხმარება ყოველწლიურად დაახლოებით 1%-ით იზრდება.
- ✓ სოფლის მეურნეობა (მათ შორის ირიგაცია, მეცხოველეობა და აკვაკულტურა) წყლის ყველაზე დიდი მომხმარებელია. წყლის მოხმარების მისი წლიური წილი 69%-ს შეადგენს. მრეწველობა (ელექტროენერჯის წარმოების ჩათვლით) მოიხმარს წყლის რესურსების 19 პროცენტს, ხოლო შინამეურნეობები - 12 პროცენტს.
- ✓ ათიდან სამ ადამიანს (2.1 მილიარდ ადამიანს, რაც მსოფლიოს მოსახლეობის 29%-ს შეადგენს) არ აქვს წვდომა სასმელ წყალზე, ხოლო 844 მილიონ ადამიანს საერთოდ არ აქვს წყალი.

## ენერჯია

- ✓ თუ მთელ მსოფლიოში უკლებლივ ყველა ენერგოეფექტურ ნათურაზე გადაერთვება, მსოფლიო ყოველწლიურად 120 მილიარდ აშშ დოლარს დაზოგავს. თუმცა ევროკავშირი ვარჯარიან ნათურებს კრძალავს, სხვა ქვეყნებისთვის ისინი კვლავ იწარმოება.
- ✓ ტექნოლოგიური მიღწევების მიუხედავად, რამაც ხელი შეუწყო ენერგოეფექტურობის მასშტაბების ზრდას, OECD-ის ქვეყნებში ენერჯის მოხმარების ზრდა ჯერ კიდევ 35 პროცენტითაა ნავარაუდები, თუმცა პარიზის ხელშეკრულების ფარგლებში უნდა მოხდეს მისი ზრდის ტემპის შემცირება.
- ✓ 2002 წელს OECD-ის ქვეყნებში ავტომობილების მარაგი 550 მილიონ ერთეულს შეადგენდა (აქედან 75 პროცენტი პირადი სატრანსპორტის მანქანა იყო). 2020 წლისთვის ავტომობილის მფლობელების რაოდენობა 32 პროცენტით გაიზარდა. ამავდროულად, მანქანების გარბენი (გავლილი კილომეტრები) 40 პროცენტით იზრდება, ხოლო საჰაერო მგზავრობა ამავე პერიოდისთვის სამჯერ არის გაზრდილი. კოვიდპანდემიამ საჰაერო მგზავრობა ნაკადი 51 პროცენტით შეამცირა.
- ✓ შინამეურნეობები გლობალური ენერჯის 29 პროცენტს მოიხმარენ და შესაბამისად, წარმოქმნილი ემისიების 21 პროცენტს გამოიმუშავენ.
- ✓ ენერჯის მოხმარებაში განახლებადი ენერჯის წილი 20%-ს გადააჭარბა, რაც ქვეყნების ენერგოპოლიტიკიდან გამომდინარე მუდმივად იზრდება.
- ✓ ელექტროფიკაციის გლობალურმა მაჩვენებელმა 2017 წელს 89%-ს მიაღწია (რაც 2010 წლის მონაცემთან შედარებით 6%-ითაა გაზრდილი), თუმცა დაახლოებით 840 მილიონ ადამიანს ისევ არ მიუწვდება ხელი ელექტროენერჯიაზე.
- ✓ 2010 წლიდან 2017 წლამდე ყოფა-ცხოვრებაში საჭმლის მოსამზადებლად სუფთა საშუალებების გამოყენება ყოველწლიურად საშუალოდ 0.5 პროცენტით იზრდება, ხდება შეშისა და ცხოველური ნაკელის ბუნებრივი აირით ან ელექტროენერჯით ჩანაცვლება.
- ✓ იზრდება ელექტრონული მოწყობილობების რაოდენობა, შედეგად ელექტრონული ნარჩენების მოცულობა 38%-ით გაიზარდა. საერთო ნარჩენებიდან მხოლოდ 20% გადამუშავდება.

## საკვები

- ✓ ყოველწლიურად წარმოებული 1.3 მილიარდი ტონა საკვები (წარმოებულის მესამედი, რომლის ღირებულებაა 1 ტრილიონი აშშ დოლარი) ცუდი ტრანსპორტირებისა და მოსავლის შენახვის მანკიერი პრაქტიკის გამო იყრება.
- ✓ 2019 წელს 5 წლამდე ასაკის 38 მილიონი ბავშვი იყო ჭარბწონიანი.
- ✓ მიწის დეგრადაცია, ნიადაგის ნაყოფიერების დაქვეითება, წყლის არამდგრადი გამოყენება, ჭარბი თევზაობა და ზღვის გარემოს დეგრადაცია - ამ მიზეზთა გამო მცირდება საკვები პროდუქტების მოპოვება.
- ✓ კვების სექტორი პასუხისმგებელია ენერჯის მთლიანი მოხმარების 30 პროცენტსა და სათბური აირების გაფრქვევის 22 პროცენტზე.

## ტერმინები

**კონსუმერიზმი** იდეოლოგიაა, რომელიც ადამიანებს სულ უფრო მეტი საქონლის, პროდუქციისა თუ სერვისის შეძენისა და მოხმარებისკენ უბიძგებს. ეს არის ერთგვარი ინდუსტრიული საზოგადოების წესრიგი, რომელშიც უამრავი პროდუქციის/სერვისის ყიდვა-გაყიდვა ხდება.

**მდგრადი ეკონომიკა** მხარს უჭერს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას საზოგადოების სოციალურ, ეკოლოგიურ და კულტურულ ასპექტებზე უარყოფითი გავლენის გარეშე.

**მწვანე ეკონომიკა** ეკონომიკაში მწვანე ფილოსოფიის პრინციპების დანერგვას გულისხმობს. ის ამცირებს წარმოების პროცესების გარემოსდაცვით რისკების, აღმოფხვრის ეკოლოგიურ დეფიციტს, ზოგავს რესურსებს და ამგვარად უზრუნველყოფს ადამიანის მეტ კეთილდღეობასა და სოციალურ თანასწორობას.

**ციკლური ეკონომიკა** იყენებს განახლებად რესურსებს, ხელს უწყობს მათ შემცირებას, რეციკლირებასა და მეორად გამოყენებას, აუმჯობესებს წარმოების პროცესებს, ითვალისწინებს გამოყენებული პროდუქციის სასიცოცხლო ციკლს, ამცირებს ხარჯებს და გარემოზე ზეწოლას.

**ეკოლოგიური ნაკვალევი** - ეს არის ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდისა (WWF) და გლობალური ნაკვალევის ქსელის მიერ შემუშავებული კონცეფცია, რომლის თანახმადაც გამოითვლება ბიოლოგიურად პროდუქტიული მიწისა და წყლის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე დასახლებული ადამიანების რესურსებზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და ამ რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული ნარჩენებისა და დაბინძურების შთანთქმისა და გარდაქმნისთვის.

**გლობალური მწვანე შეთანხმების** Global Green New Deal (GGND) კონცეფცია ორიენტირებულია სამ ფართო ამოცანაზე: 1. წვლილი შეიტანოს მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის, სამუშაო ადგილების შექმნისა და დაუცველი ჯგუფების სოციალური დაცვის საკითხებში; 2. ხელი შეუწყოს ინკლუზიურ და მდგრად ზრდას, უკიდურესი სიღარიბის დაძლევა; 3. შეამციროს ნახშირბადზე დამოკიდებულება და ეკოსისტემის დეგრადაცია.

## გამოწვევები და პრობლემების მოგვარების გზები

მსოფლიოში საზოგადოებრივი დოვლათი არათანაბრადაა განაწილებული. მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესობა მოიხმარს საჭიროზე ნაკლებს. შესაძლებელია შეიქმნას ისეთი

მსოფლიო, რომელშიც თითოეულ ინდივიდს აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა ექნება. შესაძლებელია მოხმარების ისეთი მოდელების დანერგვა, რომლებიც შემდგომ თაობებს ბუნებრივ რესურსებს შეუნარჩუნებს. საჭიროა ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტური გამოყენება და ტოქსიკური ნარჩენების გონივრული განკარგვა. დახმარება უნდა გაეწიოს მოხმარების დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებს, რათა ისინი გადავიდნენ რაციონალურ მოდელებზე.

არსებობს რესურსების მოხმარების მრავალი ასპექტი, რომელსაც მარტივი ცვლილებებით შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს მთლიანად საზოგადოებაზე. წარმოების ხარჯების შემცირებას, ნარჩენების მართვას, კვების სისტემების ეფექტურობის გაზრდას შეუძლია ხელი შეუწყოს გარემოს მდგრადობას. დღეს მოსავლის აღების შემდეგ 13.8% საკვები ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების დროს იკარგება, რაც წელიწადში 400 მილიარდი დოლარის დანაკარგია. ამით მწარმოებელი არა მხოლოდ შემოსავალს კარგავს, არამედ აბინძურებს გარემოს. საკვების ლპობით ატმოსფეროში მეტი სათბური აირი გაიფრქვევა. ასევე მსგავსი დანაკარგები დიდ სხვაობასა და უსამართლობას წარმოშობს, რადგან მილიარდამდე ადამიანი შიმშილობს ან არასრულფასოვნად იკვებება.

ჩვენ მიერ წყლის დაბინძურების ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე ბუნების მიერ მისი გაწმენდის. ეს პრობლემაა, რადგან ადამიანისთვის გამოსაყენებლად წყლის ისედაც მცირე ნაწილია ვარგისი. მომავალში წყლის რესურსების გაწმენდა ბევრად უფრო დიდ დროსთან და ფინანსურ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული.

### **როგორ ითვლიან ეკოლოგიურ ნაკვალევს?**

ეკოლოგიური ნაკვალევი - ეს არის ბიოლოგიურად პროდუქტიული მიწისა და წყლის რაოდენობა, რომელიც საკმარისია ამა თუ იმ ტერიტორიაზე დასახლებული ადამიანების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და ამ რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული ნარჩენებისა და დაბინძურების შთანთქმისა და გარდაქმნისთვის. ის გამოითვლება ერთ სულ მოსახლეზე. ქვეყნების უმრავლესობას აქვს ეკოლოგიური დეფიციტი.

*გლობალური ნაკვალევის ქსელი ყოველწლიურად აფასებს თითოეული ქვეყნისა და დედამიწის ეკოლოგიური დავალიანების დღეს<sup>9</sup>. 2020 წელს ეს დღე 29 ივლისს დაემთხვა, ამ დღიდან მოსახლეობა გადადის იმ რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც ვეღარ მოასწრებენ თვითაღდგენას.*

*ამ მონაცემით, კაცობრიობას საარსებოდ 1 დედამიწა ადარ ყოფნის და 1,75 სჭირდება. სხვადასხვა ქვეყანას ეს დღე განსხვავებულ დროს უდგება იმის მიხედვით, რამდენ რესურსს მოიხმარს, რამდენ ემისიასა და ნარჩენს წარმოქმნის და ასევე როგორია მისი ბიოპროდუქტიულობა. მაგალითისთვის, აშშ-ს საკუთარი რესურსები 14 მარტისთვის უკვე ამოწურული აქვს, ავსტრალიას - 22 მარტისთვის, ყატარს - 9 თებერვლისთვის, საქართველოს - 25 სექტემბრისთვის, ინდონეზიას კი 18 დეკემბრისთვის, ანუ მისი ნაკვალევი ქვეყნებს შორის საუკეთესოა.*

*2021-მა წელმა განსხვავებული ტენდენცია აჩვენა, ჰანდემიამ შეზღუდა მოსახლეობის მობილობა, საგრძნობლად შემცირდა საერთაშორისო გადაზიდვები, საზღვრების გადაკვეთა, საერთაშორისო ტურიზმი, ბიზნესმოგზაურობები და შიდაგადაადგილებები,*

<sup>9</sup> დედამიწის დავალიანების დღის ბმული <https://www.overshootday.org/>

*რამაც ნახშირორქანის ნაკვალები წინა წელთან შედარებით 14,5%-ით შეამცირა. ეს იქნებოდა გასახარი, მსგავსი გაუმჯობესება ჰანდემის დროებით შეზღუდვებს რომ არ გამოეწვია და ის მოსახლეობისა და ქვეყნების გარემოსადმი ჰასუნისმგებლიანი დამოკიდებულების შედეგი ყოფილიყო.*

გლობალური ნაკვალევის ქსელის შეფასებით, თუკი განახლებადი რესურსების გამოყენების ექსპონენციალური ზრდა კვლავ გაგრძელდება, 2050 წლისათვის კაცობრიობას დასჭირდება 2-3-ჯერ მეტი რესურსი, ვიდრე პლანეტა გამოიმუშავებს.

დღევანდელი „ჩვეულებრივი ბიზნესის“ (business as usual) მოდელი სტანდარტულ ოპერაციულ ფუნქციებზეა დაფუძნებული, რომლის მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება. ის არ ითვალისწინებს გარემოს, როგორც საზრუნავს. მოდელი უნდა შეიცვალოს მწვანე ან ციკლური ეკონომიკით. „მწვანე ეკონომიკის“ კონცეფციის ზოგადი განმარტება გულისხმობს, ეკონომიკაში მწვანე ფილოსოფიის პრინციპების დანერგვას, რომელიც ამცირებს წარმოების პროცესების გარემოსდაცვით რისკებს, აღმოფხვრის ეკოლოგიური დეფიციტს, ზოგავს რესურსებს და უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობასა და სოციალურ თანასწორობას.

მწვანე ეკონომიკა ეკონომიკური თეორიის ნაწილია, სადაც ის მოიაზრება ეკოსისტემის ერთ-ერთ კომპონენტად. მწვანე ეკონომიკა ერთმანეთისაგან არ მიჯნავს სახელმწიფო და კერძო სექტორს. იგი ცდილობს, მოძებნოს ეკონომიკური გადაწყვეტილების პოზიტიური ალტერნატივა. მისი მთავარი რეგულატორი არის არა სახელმწიფო ან კერძო ბიზნესი, არამედ საზოგადოება, რომელიც თავად მართავს მას. აღსანიშნავია, რომ მწვანე ეკონომიკა არ გულისხმობს ზედმეტ ჩარევას ხელისუფლების მხრიდან და წინააღმდეგობაში არ მოდის საბაზრო ეკონომიკის ლოგიკასთან/პრინციპებთან. ფართო კონტექსტში, არსებითი განსხვავება ჩვეულებრივ ეკონომიკასა და მწვანე ეკონომიკას შორის ამ უკანასკნელის გრძელვადიან ეფექტებსა და მის შედეგად გაძლიერებულ მდგრადობაში მდგომარეობს.

მრავალი სპეციალისტის აზრით, მწვანე ეკონომიკა მოიცავს ექვს მთავარ სექტორს:

1. განახლებადი ენერჯია (მზის, ქარის, გეოთერმული, საზღვაო, მათ შორის ტალღების, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერჯია);
2. მწვანე შენობები (ენერჯიის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები);
3. სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჰიბრიდული და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებები);
4. წყლის მართვა (წყლისა და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება);
5. ნარჩენების მართვა (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა);
6. მიწის მართვა (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება).

ახალი გლობალური შეთანხმება, რეკომენდაციას უწევს მთავრობებს, მოახდინონ ეკონომიკის ტრანსფორმაცია მწვანე ეკონომიკის სასარგებლოდ, გამოიყენონ პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტრუმენტები, რაც უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს:

- განახლებად ენერჯიაზე გადასვლას;
- მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გაზრდას;

- მდგრადი სოფლის მეურნეობის, ორგანული წარმოების მხარდაჭერას;
- გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის (ნაგავსაყრელები, სასმელი წყალი და ა.შ) გაუმჯობესებას.

ბიზნესის ინტერესებს წარმოადგენს ახალი გადაწყვეტილებების პოვნა, რაც იძლევა მდგრადი მოხმარებისა და წარმოების მოდელების დანერგვის შესაძლებლობას. ეს გულისხმობს წარმოებაში გამოყენებული ყველა პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ცოდნას - როგორი პროდუქცია გადამუშავდება ექსპლოატაციის ვადის ამოწურვის შემდეგ. ამავდროულად, ის უნდა ითვალისწინებდეს შესაფუთი მასალის სასიცოცხლო ციკლსაც - მოახერხებს თუ არა მის გამოყენებას მრავალჯერადად; რამდენად მოახერხებს მის გადამუშავებას, თუ ნაგავსაყრელზე აღმოჩნდება; რამდენი ხანი დასჭირდება მის დაშლას.

საჭიროა წარმოების სრულ ციკლში სუსტი რგოლის გამოკვეთა და მისი გამოსწორება. ყველა წარმოებას მთელი სისტემის გაუმჯობესების პოტენციალი აქვს. გარემოს დამზოგ გადაწყვეტილებებს შეუძლია პოზიტიური ეფექტის მოხდენა არამხოლოდ გარემოზე, არამედ სოციალურ ცხოვრებაზეც. მას აქვს ასევე ინოვაციური იდეების განვითარების ძალიან დიდი ასპარეზი. ინოვაციურ და დიზაინერულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც დამზოგავი ტექნოლოგიების შექმნასა და გამოყენებას უკავშირდება, შეუძლია გააჩინოს ახალი შესაძლებლობები; ხელი შეუწყოს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას, რომ უფრო მდგრადი ცხოვრების წესით ვიცხოვროთ; შეამციროს გარემოზე უარყოფითი გავლენა და ხელი შეუწყოს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.

კონსუმერიზმმა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო ზრდა და მალე ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს განუყოფელ ნაწილად იქცა. გარდაქმნა როგორც პოლიტიკა, ისე ეკონომიკა და კულტურა. კონსუმერიზმი არის იდეოლოგია, რომელიც ადამიანებს სულ უფრო მეტი საქონლის, პროდუქციისა თუ სერვისის შეძენისა და მოხმარებისკენ უბიძგებს. ეს არის ერთგვარი ინდუსტრიული საზოგადოების წესრიგი, რომელშიც უამრავი პროდუქციის/სერვისის ყიდვა-გაყიდვა ხდება.

კონსუმერიზმის ზეგავლენა ადამიანებზე ძალიან დიდია. ხშირად დიდი რაოდენობის საქონლისა და სერვისის გასაყიდად კომპანიები წარმატებით იყენებენ საზოგადოებაში არსებულ გენდერულ და კლასობრივ სტრუქტურებს. ამის ნათელი მაგალითია სულ უფრო პოპულარული მარკეტინგული სტრატეგია, რომელიც გულისხმობს მომხმარებლისთვის სულ უფრო მეტი გენდერულად სპეციფიკური პროდუქციის შეთავაზებას (დაწყებული ჰიგიენური საშუალებებით ან საბავშვო წიგნებითა და სათამაშოებით, დამთავრებული ისეთი მოულოდნელი პროდუქციით, როგორიცაა სალექი რეზინები ქალებისა და მამაკაცებისათვის). ქალები დღეს გარშემორტყმული არიან რეკლამებით, რომლებსაც აქვს იმის ძალა, რომ ისინი კონკრეტული ქცევისა თუ გარეგნობის მიმდევარი გახადონ, რაც მათ კონკრეტული გენდერული როლების მორგებას ავალდებულებს. ქალებისთვის სილამაზის კონკრეტული სტანდარტების დაწესება, რეკლამების დახმარებით კონკრეტული სურვილის გაღვივება, ხელს უწყობს პარფიუმერული საქონლის, პლასტიკური ქირურგიის სერვისისა თუ სხვა სახის პროდუქციის გაყიდვას. შესაბამისად, კონსუმერისტული ბაზარი ყოველთვის ცდილობდა საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპებისა და დამოკიდებულებების გამოყენებას, რათა მეტი პროდუქცია ეწარმოებინა და გაესაღებინა.

გაზრდილი მოხმარება დიდ პრობლემას უქმნის გარემოს განადგურებას. არავინ დავობს იმაზე, რომ ადამიანს ესაჭიროება სხვადასხვა საბაზისო პროდუქცია, მაგრამ მარკეტინგული ხრიკების

გავლენით ადამიანები ყიდულობენ არასაჭირო პროდუქციასაც, ხარჯავენ თანხებს, რითაც რესურსების არაგონივრულ გამოყენებას უწყობენ ხელს. ეს უკვე აღარ არის მხოლოდ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მარკეტოლოგები, ფაქტობრივად, მიგვითითებენ, რა და რამდენი უნდა მოვიხმაროთ. ამას ხელს უწყობს ქუჩაში სარეკლამო ბილბორდები, ტელევიზია, ინფორმაციის ნაკადი, რაც ადვილად გვაქცევს გავლენების ქვეშ - ვმუშაობთ, იმიტომ, რომ სასურველი ნივთი შევიძინოთ, განვაახლოთ უახლესი მოდელებით ელექტრომომწყობილობები, არ ჩამოვრჩეთ მოდის უკანასკნელ სიახლეებს.

რეკლამებიც ჩვენს ამ სწრაფვას ასაზრდოებენ. მათში გამოყენებულია ბედნიერი წყვილის, ოჯახის, ბავშვის, ცნობადი სახეების გამოსახულებებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ის ნივთია, რომელიც დამეხმარება გავხდე უკეთესი/უფრო ლამაზი/მოდური/სასურველი/ბედნიერი. ამის დასაძლევად, კარგად უნდა გვესმოდეს, რეალურად რა არის ბედნიერება და როგორ შეიძლება მისი მიღწევა.

ამდენად ადამიანის ჩამოყალიბება ინფორმირებულ მომხმარებლად დაეხმარება გარემოს და საზოგადოებას, გახდეს უფრო მდგრადი.

## მალთუსიანელების და ანტიმალთუსიანელების ხედვები

რესურსები შეიძლება იყოს დაყოფილი ორ მსხვილ ერთეულად - ბუნებრივი და ადამიანური. ბუნებრივი რესურსები მოიპოვება ბუნებაში და რადგან მათ იყენებს ადამიანი, მას აქვს გარკვეული ფასი. ბუნებრივი რესურსების მაგალითია ნავთობი, რკინა, თუთია, ტყე და სხვა. მათი მოპოვების შემდეგ ადამიანი მას გამოიყენებს ბუნებრივი ან გადამამუშავებული სახით, სძენს მას სასურველ თვისებებს, ფორმასა თუ ფუნქციას. უშუალოდ რესურსები ასევე განსხვავდება ერთმანეთისგან და მათი კლასიფიცირება შეიძლება 2 მსხვილ ერთეულად - განახლებადი და არაგანახლებადი. განახლებადია რესურსები, რომლებსაც მოხმარების შემდეგ აქვთ თვითაღდგენის უნარი. მათ შორის არის - მზე, მცენარეული და ცხოველთა სამყარო, წყალი. ხოლო არაგანახლებად რესურსს არ აქვს რეგენერაციის უარი (თუმცა გეოლოგიურ წარსულში ისინი დედამიწის წიაღში შეიქმნენ). ესენია - წიაღისეული, საწვავი, მძიმე და ძვირფასი ლითონები და სხვა. საინტერესოა, რომ ადამიანს შესწევს უნარი, ნებისმიერი თუნდაც განახლებადი რესურსი თვისებრივად გამოლიოს, ანუ მისი დაბინძურებით გამოუსადეგარი გახადოს, ან მოხმარებამ გადააჭარბოს მის თვითაღდგენის უნარს, რითაც გამოიწვიოს რესურსის დეგრადაცია.

მოსახლეობის მატებასთან ერთად გაჩნდა მოსაზრებები, რომ მისი რაოდენობა იმდენად გაიზრდებოდა, რომ არსებობისთვის რესურსები აღარ ეყოფოდა.

მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობამ დიდი სისწრაფით დაიწყო ზრდა მას შემდეგ, რაც სანიტარულ-ჰიგიენური პირობები გაუმჯობესდა და დაიწყო მასობრივი იმუნიზაცია. ამ ფაქტორებმა შეამცირა სიკვდილიანობა, მეტი ახალშობილი არ კვდებოდა და აგრძელებდა სიცოცხლეს, ხოლო სიცოცხლის ხანგრძლივობამ სწრაფად იმატა. როგორც ექსპერტები ამბობენ, 7,8 მილიარდი (მსოფლიოს მოსახლეობის დღევანდელი რაოდენობა) არ არის ზედა ზღვარი და 2050 წლისთვის მოსალოდნელია ამ ციფრმა 9 მილიარდს გადააჭარბოს. მოსახლეობის სწორედ ასეთმა მატებამ და სურსათზე მოთხოვნის ზრდამ არაერთი ცნობილი მოაზროვნე დააფიქრა. კონფუცი, არისტოტელე, პლატონი, მერკანტილისტების სკოლის წარმომადგენლები, მარქსი - ამ შესაძლო ლიმიტზე წერდნენ.

ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, დემოგრაფი და ეკონომისტი თომას მალთუსიც ამ კავშირებს იკვლევდა. მისი აზრით, მოსახლეობა გეომეტრიული პროგრესიით, ხოლო არსებობის საშუალებები არითმეტიკული პროგრესიით იზრდებოდა. ამ თემაზე მან 1778 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ტრაქტატი მოსახლეობაზე“. მალთუსის თეორიას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ უკვე 250-ზე მეტი წელი გავიდა.

ნეომალთუსიანელის ერთ-ერთი მიმდევარი იყო ესტერ ბოსერაპი, რომელიც განმარტავდა:

- მოსახლეობის ზრდა იწვევს სასოფლო-სამეურნეო მიწების შემცირებას ერთ სულზე;
- იზრდება ფასი არაერთ საკვებ პროდუქტზე;
- ჭარბმა თევზის რეწვამ უკვე გამოიწვია მისი მრავალი სარეწაო სახეობის დეფიციტი;
- აღარ ხდება ნიადაგის გამოყენება საკვები პროდუქტის მისაღებად. ის გადართულია ბიოსაწვავისა და ტექნიკური კულტურის მოყვანაზე, რაც ასევე ამცირებს საკვებს;
- კლიმატის ცვლილებას უკვე გამანადგურებელი შედეგი აქვს არაერთ აგრომეურნეობაზე მსოფლიოს მასშტაბით;
- მოსახლეობა კვლავ განაგრძობს ზრდას განვითარებად ქვეყნებსა და რეგიონებში;
- იზრდება ხორცზე მოთხოვნა მაღალ- და ახალგანვითარებულ ქვეყნებში, რაც აძლიერებს დედამიწაზე დაწოლას;
- გაიზრდება სიკვდილიანობა, შედეგად შემცირდება შობადობა.

ამ მოსაზრებებს არ იზიარებენ მალთუსის იდეის მოწინააღმდეგეები, რომლებსაც ანტიმალთუსიანელებად მოიხსენებენ. ისინი რესურსოპტიმიზტებადაც არიან ცნობილი.

მათი აზრით, ისტორიაში გვექონია არაერთი გარდამტეხი მომენტი, როდესაც ინოვაციების, გამოგონებებისა და ახალი ტექნოლოგიების ან პროცესების ინტენსიფიკაციით, კაცობრიობამ ღირსეულად შეძლო, თავი გაერთვა მოსახლეობის ზრდის გამოწვევისთვის. ესენია:

- ახალი რესურსების განვითარება ან რესურსების ახალი სიცოცხლე (გადამუშავება, რეციკლირება, რეპარაცია, მეორადი გამოყენება);
- ნაკლებად ეფექტური რესურსების ჩანაცვლება მეტად ეფექტურით, მაგალითად, ენერგოეფექტური და ენერგოდამზოგავი საშუალებების ფართოდ დანერგვა;
- მწვანე ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და მასშტაბების არნახული ზრდა;
- კვლევის გამოგონებების მასშტაბების ზრდა და ამ იდეების სწრაფი იმპლემენტაცია;
- სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარება მეცნიერების დახმარებით - მწვანე რევოლუცია, ინტენსიური სოფლის მეურნეობა, გმო და სხვა. ასევე კვლევები პესტიციდების და სასუქების, სარწყავების, მიწის ოპტიმიზაციისთვის;
- მოხმარების, კონსუმერიზმის შემცირებისკენ გადადგმული ნაბიჯები განვითარებულ ქვეყნებში - ჯანსაღი ცხოვრების წესი, ნაკლები ხორცის მიღება და სხვა ჩვევები;
- ადამიანი მათთვის ყველაზე ღირებული რესურსია, რომელსაც შეუძლია თავი გაართვას ნებისმიერ გამოწვევასა და კრიზისს.

გაეცანით მალთუსიანელების და ანტიმალთუსიანელების ხედვებს ქეისში. მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია, ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრება რესურსებსა და მოსახლეობას შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე, რომელთა აზრებს იზიარებთ და რატომ? მოსალოდნელია თუ არა კრიზისი? რა შეიძლება გაკეთდეს პრობლემების შესარბილებლად?

სავარაუდო მიმართულებები (შობადობის შემცირება განვითარებად რეგიონებში, განათლება, ქალთა უფლებები, გარემოს დაცვა კატასტროფების ასაცილებლად, ინოვაციებში და მწვანე ტექნოლოგიებში დაბანდება, მდგრადი განვითარების მიზნები).

დილემა: კინგსლი ნიგერში ცხოვრობს და სახლისგან 185 კილომეტრის მოშორებით მუშაობს მიწის მესაკუთრესთან სორგოს და კასავას პლანტაციებში უწევს მუშაობა. ის თვეში ერთხელ ახერხებს ოჯახთან ჩასვლას, სადაც მეუღლე მერი და 3 შვილი ჰყავს. ოჯახის დაგეგმვა აქ არ არის პოპულარული. ისევე როგორც ამ სოფლის სხვა მცხოვრებლებს, კინგსლის სჯერა, რომ ცხოვრება უნდა იყოს შეზღუდვების გარეშე. მას მიაჩნიათ, რომ შვილები ღვთის საჩუქარია. ოჯახი უნდა მიჰყვებოდეს ტრადიციებს, მას მარჩენლისა და ოჯახის დაცვის ფუნქცია უნდა ჰქონდეს, ხოლო მის მეუღლეს, ოჯახზე ზრუნვისა და ბავშვების აღზრდის. ასეთი მიდგომა ნიგერში ფართოდ არის გავრცელებული, რადგან, როგორც ცნობილია, იქ არ არის საკმარისი საკვები, სამსახური, გაუმართავია ჯანდაცვის სისტემა და სქესთა შორის უთანასწორობის მაღალი მაჩვენებელია. ისინი ამბობენ, რომ შვილები მათ სიბერის ჟამს მიხედავენ. ხოლო მერი მიიჩნევს, რომ სამი შვილი ბედნიერებისთვის საკმარისია და ახლა, 25 წლის ასაკში, მას შეუძლია უკვე საკუთარი კარიერით დაკავდეს, აღარ იყოლიოს მეტი შვილი. მას მხოლოდ ერთი ძროხა და მცირედი მიწა აქვს. ასე რომ, შვილებს ვერ გაუყოფს. ერთადერთი, რაც მას შეუძლია მისცეს შვილებს, არის განათლება. მერი აპირებს, დაიწყოს ბიზნესი. ამ მიზნით მან განაცხადი შეიტანა ბანკში სესხის მისაღებად. ბიზნესის წარმატება ნიშნავს, რომ მერის შვილებს საშუალება მიეცემათ, მიიღონ სათანადო განათლება, თვითონ კი სახელი გაითქვას. ამის შემდეგ ის გახდება მაგალითი ქალისა, რომელმაც წარმატებას მიაღწია.

გაეცანით დილემას, აირჩიეთ პოზიცია, რომელს იზიარებთ. არგუმენტების გასამყარებლად, მოიძიეთ ინფორმაცია მაღალი შობადობით გამოწვეულ პრობლემებზე და პრობლემის მოგვარების გზებზე; ასევე რა პრობლემებია დამახასიათებელი მათი ქვეყნისთვის. დილემაში დასმული პრობლემებიდან გამომდინარე, შეაფასეთ ამ ისტორიის პერსონაჟების პოზიციებისა და გადაწყვეტილების მართებულობა. რა დადებითი და უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს თითოეულს მათი ოჯახისა თუ ქვეყნისთვის. მოიძიეთ არგუმენტები თქვენი მოსაზრებების გასამყარებლად.

### მდგრადი განვითარების მიზანი 13: გადაუდებელი ზომების გატარება კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ



ამჟამად კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს ყველა კონტინენტის ყველა ქვეყანაზე. ის აფერხებს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას და ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას, საზოგადოების ცხოვრების ხარისხს, რაც ქვეყნებს ძვირი უჯდებათ და მომავალში უფრო ძვირი დაუჯდებათ. ზღვის დონე იმატებს, ამინდი უფრო ექსტრემალური ხდება. მატულობს სათბურებიდან გამოყოფილი გაზების ემისიებიც.

თუ არაფერი ვიმოქმედეთ, მიმდინარე საუკუნეში დედამიწის ზედაპირის საშუალო ტემპერატურა, სავარაუდოდ, 3 გრადუსს გადააჭარბებს.

კლიმატის ცვლილება ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხეა, რომლის წინაშეც კაცობრიობა დგას. თუკი გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების დროულად აღმოფხვრა არ მოხდება ლოკალურ თუ ეროვნულ დონეზე, ის გლობალურ პრობლემაში გადაიზრდება და უარყოფითად აისახება ადამიანების ცხოვრების ხარისხზე. მსოფლიო ეკონომიკა ძირითადად საწვავზე დგას, რაც ზრდის ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობას. ეს კი კლიმატის ცვლილების გამომწვევი ძირითადი მიზეზია.

ნებისმიერ ქვეყანას, მდიდარსა თუ ღარიბს თავისი წილი აქვს გარემოს უარყოფით ტრანსფორმაციაში. რასაც განაპირობებს ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, ენერგოგენერაცია, თუ ტრანსპორტი. განსაკუთრებით დიდი წილი კი განვითარებული და სწრაფად მზარდი ეკონომიკის ქვეყნებისაა.

ხშირად, მედიასაშუალებები კლიმატის ცვლილებას გლობალურ დათბობასთან აიგივებენ, რაც არასწორია. დათბობა ყველგან ერთნაირი ხარისხით არ მიმდინარეობს. ის დამოკიდებულია ქვეყნილი ზედაპირის ხასიათზე, ეკვატორთან სიახლოვეზე, ადგილის სიმაღლესა თუ წყალთან სიახლოვეზე. გაზრდილ ტემპერატურას რიგ ადგილებში მეტი აორთქლება მოჰყვება, რაც ზრდის ნალექიანობას და საბოლოო ჯამში, რთული სათქმელია, ასეთ ადგილას ამას ტემპერატურის მატება მოჰყვება თუ კლება. რიგ ადგილებში, სადაც ყინული დნება, თოვლისგან და ყინულისგან თავისუფალი ზედაპირი მეტ სითბოს შთანთქავს და ტემპერატურის უფრო სწრაფ მატებას იწვევს. გლობალურად კი ტემპერატურა აიწევს. კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის მეცნიერების ვარაუდით, ტემპერატურა 2-4 გრადუსით მოიმატებს. თუმცა ეს მაჩვენებელი შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ როგორ შეიცვლება გამონახობის რაოდენობა, რომლითაც ჩვენ ატმოსფერულ ჰაერს ვაბინძურებთ.

ფაქტები და მონაცემები:

- ✓ 2021 წლის მონაცემებით, 191-მა მხარემ ხელი მოაწერა პარიზის შეთანხმებას და მისი რატიფიცირება მოახდინა. ქვეყნებმა შეადგინეს ეროვნული დონის ამოცანები, ადაპტაციის გეგმები. გაეროს კლიმატის ცვლილების სამდივნოს 5 წელიწადში ერთხელ ხელმომწერი ქვეყნების მიერ წარედგინება მომზადებული ანგარიშები გეგმის შესრულების შესახებ და წესდება მონიტორინგის სისტემა.
- ✓ 2020 წლიდან მოყოლებული საჭირო გახდა 100 მილიარდი აშშ დოლარის მობილიზება ყოველწლიურად შემარბილებელი ღონისძიებების განსახორციელებლად.

კლიმატის ცვლილების შესახებ მთავრობათაშორისი პანელის მუშაობის შედეგად ჩვენ ვიცით:

- ✓ 1880 წლიდან 2012 წლამდე საშუალო გლობალური ტემპერატურა გაიზარდა 0.85 ° C-ით. ტემპერატურის ერთგრადუსიან ზრდას მოჰყვა მარცვლეულის მოსავლიანობის დაახლოებით 5%-ით შემცირება. 1981-2002 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა სიმინდის, ხორბლისა და სხვა კულტურების მოსავალი გლობალურ დონეზე, წელიწადში 40 მეგატონით.

- ✓ ოკეანეები მეტად გათბა, თოვლისა და ყინულის მოცულობა შემცირდა და ზღვის დონემ აიწია. 1901 წლიდან 2010 წლამდე ზღვის საშუალო დონემ 19 სმ-ით აიწია, რაც მყინვარების დნობითაა გამოწვეული. არქტიკის ზღვის ყინულის მოცულობა 1979 წლიდან მოყოლებული მცირდება და ყოველ ათწლეულში 1.07 მილიონი კმ<sup>2</sup> ყინული იკარგება.
- ✓ სათბური აირების ამჟამინდელი კონცენტრაციისა და მიმდინარე ემისიების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ ამ საუკუნის ბოლოსთვის გლობალური ტემპერატურის ზრდა 1850-1900 წლებთან შედარებით, 1.5 ° C-ს გადააჭარბებს. მსოფლიო ოკეანეები გათბება და ყინულის დნობა გაგრძელდება. 2065 წლისთვის ზღვის დონე საშუალოდ 24-30 სმ-ით აიწევს, 2100 წლისთვის კი - 40-63 სმ-ით. კლიმატის ცვლილების შედეგების ნაწილი, გამონახობლქვის შეწყვეტის შემთხვევაშიც კი მრავალი საუკუნის განმავლობაში ინერციით გააგრძელებს მოქმედებას.
- ✓ 1990 წლიდან ნახშირორჟანგის (CO<sub>2</sub>) გლობალური ემისიები თითქმის 50 პროცენტით გაიზარდა. ემისიები უფრო სწრაფად გაიზარდა 2000-2010 წლებში, ვიდრე წინა სამი ათეული წლის განმავლობაში ჯამურად.
- ✓ ინსტიტუციური და ტექნოლოგიური ცვლილებები იძლევა იმედს, რომ გლობალური დათბობა 2-გრადუსიან ზღვარს არ გადააჭარბებს.

## ტერმინები

**ამინდი** - ეს არის მეტეოროლოგიურ ელემენტთა (ტემპერატურა, ნალექი, ქარი) ერთობლიობა დროის გარკვეულ მომენტსა თუ შუალედში. ამინდს უწოდებენ ატმოსფეროს ქვედა ფენების მდგომარეობას მოცემულ ადგილზე დროის შედარებით ხანმოკლე შუალედში.

**კლიმატი/ჰავა** გარკვეულ ადგილებზე წლიდან წლამდე განმეორებადი ამინდის ტიპია, რომელსაც საფუძვლად მრავალწლიანი დაკვირვება უდევს. განედი, მზის რადიაცია, კონტინენტის განფენილობა, ოროგრაფია, ოკეანისპირა მდებარეობა გავლენას ახდენს კლიმატის ფორმირებაზე.

**ალბედო** - დედამიწის ზედაპირიდან არეკლილი მზის სხივური ნაკადია. მზიდან ატმოსფეროში შემოდის მოკლელტალღიანი ინფრაწითელი რადიაცია, რომელიც უკან აირეკლება. არეკვლა დამოკიდებულია ზედაპირის ფერზე. მუქი ფერი ნაკლებს ირეკლავს, მაგალითისთვის წყლის ზედაპირი მხოლოდ 10%-ს ირეკლავს, შესაბამისად, მისი ალბედო 10-ია. ღია ფერის ზედაპირის ალბედო, ზოგადად, მეტია, მუქის - ნაკლები. მთლიანად დედამიწის ალბედო 30-ია.

**სათბურის ეფექტი** მნიშვნელოვანია კლიმატცვლილების გააზრებისთვის. ის ხელს უწყობს დედამიწაზე სიცოცხლეს და მისი ტემპერატურული ბალანსის შენარჩუნებას. ატმოსფეროში გამოვლის შემდეგ მზის სხივები ზედაპირთან შეხებისას მის მიერ შთაინთქმება, ან გარდაიქმნება გრძელ ტალღებად და ათბობს ატმოსფეროს ქვედა ფენებს. რაც უფრო მუქია ზედაპირი, ის მეტად თბება, ხოლო გრძელი ტალღების ატმოსფეროში მოხვედრისას შთაინთქმება სხვადასხვა აირის მიერ, როგორებიცაა - ნახშირორჟანგი, მეთანი, წყლის ორთქლი, აზოტის ორჟანგი, ქლოროფტორონახშირბადი. სათბური ეფექტი 1824 წელს პირველად ჟოზეფ ფურიეს მიერ იყო აღმოჩენილი. ერთი მხრივ, რომ არა სათბური ეფექტი, დედამიწაზე ტემპერატურა მთვარის მსგავსი და უსიცოცხლო იქნებოდა, მეორე მხრივ, მათი სიჭარბე იწვევს ტემპერატურის მატებას, რაც სხვა უარყოფითი გამოვლინებების საფუძველი ხდება.

**დედამიწაზე ენერჯის ბალანსი** გამარტივებულად შემდეგნაირად გამოიყურება – მზისგან წამოსული ენერჯიდან 100%-დან 50% შთაინთქმება დედამიწის ზედაპირის მიერ, 30% უკან აირეკლება ატმოსფეროში, 20% კი შთაინთქმება დრუბლების მიერ.

**კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი (IPCC)** – გაეროს მიერ შექმნილი სტრუქტურა, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალი რეიტინგის მქონე მეცნიერებისგან სხვადასხვა ქვეყნიდან. ისინი შეისწავლიან კლიმატის ცვლილებას, ახდენენ მოდელირებას, რომელთა გამოქვეყნებულ ანგარიშებში, მოცემულია რეკომენდაციები შემდეგი ქმედებებისთვის.

## კლიმატის ცვლილების მიზეზები

ადამიანის გავლენა გარემოზე დიდია, მისი საქმიანობა მოითხოვს რესურსებსა და ენერჯიას, რაც ვნებს გარემოს. ჩვენ ირგვლივ დაგროვდა მტკიცებულებები, რომ კლიმატის ცვლილებები დამოკიდებულია ბუნებრივ და ანთროპოგენურ ფაქტორებზე. ბუნებრივი ფაქტორების ცვლილების შეჩერება ადამიანის ძალებს აღემატება. ჩვენ შეგვიძლია, გავლენა ვიქონიოთ ადამიანის მიერ გამოწვეულ შედეგებზე. სატელიტების თუ სხვა ტექნოლოგიების გამოყენებით მიღებული მონაცემები ტემპერატურის მატებაზე, ნალექებზე, ზღვის დონის მატებაზე, ყინულისა და თოვლის საფრის შემცირებაზე, ექსტრემალური ხასიათის მეტეოროლოგიური მოვლენების გახშირებაზე ზუსტი აღრიცხვის საშუალებას იძლევა. ჩვენ ამ ცვლილებების თვითმხილველი გავხდით.

**ინდუსტრიული პროცესები.** ატმოსფეროში სითბოს მშთაინთქავი სათბურის ეფექტის მქონე აირების მატება გლობალური ეკონომიკის ზრდის შედეგია. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა ეს პროცესები მიმდინარეობს წიაღისეული საწვავის მოხმარების ფონზე, რაც, ერთი მხრივ, აძლიერებს ქვეყნების ეკონომიკას, მეორე მხრივ კი, იწვევს გარემოს დაბინძურებას.

**ჩვეულებრივი ბიზნესი (Business as usual),** რომელიც ორიენტირებულია მოგებაზე, ნაკლებად ითვალისწინებს სოციალურ და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას. მედოუსების წიგნში „ზრდის ლიმიტი“ სწორედ ბიზნესი იყო მიჩნეული მთავარ დამნაშავედ. თუ არ მოხდება მისი სრული ტრანსფორმაცია და არ დაინერგება ალტერნატიული ენერჯის წყაროები, ჭკვიანი, დამზოგავი ეფექტური ტექნოლოგიები, ჩვენი მომავალი გაურკვეველი იქნება.

**ენერჯის გენერაცია.** ინდუსტრიული პროცესები დიდ გავლენას ახდენს ეკოსისტემებზე. მისი ფუნქციონირებისთვის საჭიროა ელექტროგენერაცია. მასზე მზარდი მოთხოვნა განაპირობებს ატმოსფერული დაბინძურების მატებას. ადრე მიიჩნეოდა, რომ ენერგოგენერაციას ზიანის მოტანა არ შეეძლო. დღეს კი დადგენილია, რომ დაბინძურების 25% სწორედ მასზე მოდის. საჭირო ხდება ენერჯის ალტერნატიულ წყაროებზე გადასვლა. თუკი ენერჯია ბირთვული სადგურიდან, ან კიდევ უკეთესი, მზის, ქარის, გეოთერმული ან ჰიდროელექტროსადგურებიდან მიიღება, გამონაბოლქვი არ გვაქვს, ატმოსფეროზე ზემოქმედება ნულოვანია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სუფთა ენერჯის წყაროსაც აქვს თავისი უარყოფითი გამოვლინებები.

**შენობების გათბობა/გაგრილება** თანამედროვე კომფორტული ცხოვრების მიღწევად მიიჩნევა. თუმცა ყოველ ჯერზე, როცა გათბობას ან კონდიცირებას ვიყენებთ, გარემო ცოტათი უფრო თბება, თუკი ეს ენერჯია ალტერნატიული წყაროებიდან არ არის მიღებული. იქ, სადაც ელექტროენერჯია ხელმისაწვდომი არ არის და გასათბობად შეშა გამოიყენება, ეს გაუდაბნობასა და ატმოსფეროს დაბინძურებას იწვევს. ჭკვიანი, დამზოგავი ტექნოლოგიები შეამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას. ქალაქების ტემპერატურა გარეუბნების ტემპერატურაზე მაღალია, რაც განპირობებულია, ე.წ. სითბური გუმბათით ქალაქების თავზე.

ამის მიზეზი კი ქალაქებში უფრო მუქი შეფერილობის ზედაპირები (ასფალტი, აგურის შენობები), ტრანსპორტის ხშირი ქსელი და მოსახლეობის სიმჭიდროვეა.

**ნაგავსაყრელები.** ნახშირორჟანგის გარდა, მეთანიც მნიშვნელოვანი სათბური აირია. ის ატმოსფერულ ჰაერში ნაგავსაყრელებიდან და ცხოველთა სადგომებიდან ხვდება. ორგანული ნარჩენები, როდესაც სიმძიმის ქვეშ იტკეპნებიან, გამოდევნიან ჟანგბადს და უჟანგბადოდ, ბაქტერიების საშუალებით იშლებიან, რაც მეთანის გამოყოფის წყაროა. მეთანი ვნებს გარშემო მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობას, არის სხვადასხვა დაავადების გავრცელების წყარო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაგავსაყრელები ამავდროულად არის ეკონომიკური შესაძლებლობა, გამომუშავდეს ბიოსაწვავი და სხვადასხვა ნარჩენის გადამუშავებით მიღებულ იქნას ახალი ნედლეული.

**გაუდაბნობა და ტყის ხანძრები.** მხოლოდ საწვავის წვა არ იწვევს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას. ტყეების ჩეხა და ხანძარიც აზიანებს ჩვენს გარემოს, რადგან 1,6 მილიარდ ტონაზე მეტი ნახშირორჟანგი, რომელიც მცენარეებში რესპირაციისა და ფოტოსინთეზის შედეგად არის მოხვედრილი, ჭრისა და წვის შედეგად ისევ ჰაერში ხვდება. 25-30% სათბური აირები სწორედ ამ გზით ხვდება ჰაერში. ნაანგარიშებია, რომ ტყეების 13 მილიონი ჰექტარი ყოველწლიურად იკარგება.

**სოფლის მეურნეობა** გარემოს მნიშვნელოვანი დამაბინძურებელია (14%). ვიდრე საკვები ჩვენს თევზამდე მოაღწევს, მას სჭირდება წარმოება, შეფუთვა, შენახვა, ტრანსპორტირება და მომზადება. გარემოს ვნებს ყველა ეტაპი. განსაკუთრებით დამაბინძურებელია მეცხოველეობა, რადგან საქონელი საკვების მონელებისას გამოყოფს მეთანს, ნაგავსაყრელების შემდეგ, მეცხოველეობა მეთანით დაბინძურების მეორე წყაროა.

ასევე ცუდად აისახება გარემოზე მიწის გამოყენების ტრანსფორმაცია, რადგან ძირითადად ტყეები სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად გარდაიქმნება. ინტენსიური მეცხოველეობა და მემცენარეობა, თავის მხრივ, გარემოზე უარყოფით გავლენას ახდენს. დაბინძურების 24% სწორედ გაუდაბურებასა და მიწის გარდაქმნაზე მოდის.

**ტრანსპორტი.** გლობალიზაციასთან ერთად იზრდება ტრანსპორტის გამოყენების ინტენსივობა და მასშტაბები. ტრანსპორტირება არა უბრალოდ მნიშვნელოვანი დამაბინძურებელია, ის წამყვან როლს თამაშობს ქალაქების დაბინძურებაში. განვითარებულ ქვეყნებში ქალაქის დაბინძურების 30% ტრანსპორტზე მოდის, განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 70%-ს აღწევს, რაც გამოწვეულია მეორეული ტრანსპორტით, დიზელზე მომუშავე მოძველებული ავტოპარკით, გაუმართავი საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

## კლიმატის ცვლილების გამოვლინებები

უკანასკნელ ათწლეულში კლიმატის ცვლილების ხილული შედეგები კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება და ბევრად უფრო სწრაფად მიმდინარეობს. კლიმატის გავლენა მხოლოდ ლითოსფეროზე (ზედა მანტია და ქერქი, რაც დედამიწის მყარ საფარს შეადგენს) არ აღინიშნება. ატმოსფერო, ბიოსფერო და ჰიდროსფერო მნიშვნელოვნად ზარალდება კლიმატის ცვლილებით. ასევე ეს 4 სფერო დროში ერთმანეთთან ურთიერთქმედებს და ქმნის პედოსფეროს, ნიადაგს, რომელიც ხმელეთს გარს აკრავს და მისი ნაყოფიერება განაპირობებს სიცოცხლეს.

**ცვლილებები ატმოსფეროში.** ატმოსფერო ჰაერის გარსია, რომელიც დედამიწას აკრავს. ტემპერატურა ინდუსტრიული რევოლუციიდან მოყოლებული იცვლება, რამაც ჯამურად 1 გრადუსი შეადგინა. ეს ცვლილებები კიდევ უფრო დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს და დამოკიდებულია სათბური ეფექტის მქონე აირების რაოდენობაზე. გარდა ტემპერატურის ცვლილებისა, შეიცვალა ტემპერატურული რეჟიმი, გახშირდა ანომალიები, ანუ განსხვავება საშუალო წლიურ ტემპერატურასა და ტემპერატურის გრძელვადიან ცვლილებას შორის. ანომალიური ტემპერატურა სულ უფრო ხშირად აღინიშნება.

კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის ვარაუდით, რომელშიც კლიმატის მიმართულებით კვლევებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 1300 მეცნიერი აწარმოებს, ამ საუკუნეში ტემპერატურა 4,5 გრადუსით შეიცვლება. თუმცა ეს ცვლილებები ყველგან ერთნაირი არ იქნება.

**გვალვა და სითბური ტალღები** - ეს განსაკუთრებით მაღალი ტემპერატურაა, რომელიც დღეებიდან კვირებამდე შეიძლება გაგრძელდეს. ნავარაუდევია, რომ ზაფხულში სითბური ტალღები ინტენსიური გახდება, ხოლო ზამთარში ცივი დღეების რაოდენობა შემცირდება. ტემპერატურის ანომალია, რომელსაც საშუალოდ 20 წელიწადში ერთხელ ჰქონდა ადგილი, ახლა ყოველ 2-3 წელიწადში იჩენს თავს.

**ექსტრემალური მოვლენები** - მტორმული ხასიათის ტროპიკული ქარების ინტენსივობა, სიხშირე, ხანგრძლივობა და სიძლიერე მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან მატულობს. გახშირდა მეოთხე და მეხუთე კატეგორიის ციკლონები. კლიმატის ცვლილებასთან ერთად ეს ცვლილებები კიდევ უფრო შესამჩნევი გახდება.

წყალდიდობები, წყალმოვარდნები, სითბური ტალღები, გვალვები, ხანძრები სულ უფრო ხშირად იჩენს თავს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მათი რაოდენობა ორმაგდება. მსოფლიო ბანკის გაანგარიშებით, ყოველწლიურად ამ მოვლენების შედეგები 26 მილიონ ადამიანს აზარალებს. აღმოფხვრაზე 500 მილიარდი აშშ დოლარი იხარჯება.

**მყინვარების დნობა** მიმდინარეობს ანდებში, ალასკაზე, ჰიმალაებში, კავკასიაში. მაგალითად, კილიმანჯაროს მთებზე ჩრდილოეთის მყინვარმა უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე 4 მილიონი მ<sup>3</sup> ყინული დაკარგა, 2030 წლისთვის კი მთლიანად გაქრება.

**ყინულის საფრის შემცირება არქტიკასა და ანტარქტიკაში.** ნასას მკვლევრების მიერ შეგროვებული მონაცემებით, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში გრენლანდიამ 286 მილიონი მ<sup>3</sup> ყინული დაკარგა, ანტარქტიკამ – 127, სამხრეთ ნახევარსფეროში კი დნობის ტემპი გასამმაგდა.

**თოვლის საფრის შემცირება** ცვლის მცენარეული საფრის ციკლურობას, ასევე სოფლის მეურნეობის ციკლებს და მთლიანად ეკოსისტემას. ამ, თითქოსდა დადებითი ცვლილებისადმი ცოცხალ ბუნებას ადაპტაცია სჭირდება. ასევე იცვლება სითბური ბალანსი, რადგან თოვლით დაფარულ თეთრ საფარს მუქი, მისგან თავისუფალი ზედაპირი ანაცვლებს, რაც ზრდის შთანთქმულ რადიაციას და უფრო მეტად ათბობს ატმოსფერულ ჰაერს. ჩრდილო ნახევარსფეროში ბოლო ათწლეულები თოვლი უწინდელზე ბევრად ადრე იწყებს დნობას. ალასკაზე და სხვა ადგილებშიც უთოვლო სეზონი ახლა უფრო ხანგრძლივია. სათხილამურო კურორტები კარგავენ შემოსავლებს, სეზონი მოკლდება.

### **ჰიდროსფეროს ცვლილებები**

**წყლის ორთქლი** თავისთავად სათბურის ეფექტის გაზია, ის შთანთქავს სითბოს და ათბობს ატმოსფეროს. წყალი მაღალი თბოშეკავებით გამოირჩევა. მას შეუძლია გააორმაგოს ნახშირორჟანგით გამოწვეული დათბობა. ასევე დათბობას მოჰყვება მეტი აორთქლება, აორთქლებას მეტი ნალექი, ნალექს მეტი სითბოს შეკავება და ა.შ. თუმცა, ნალექების მატებამ რიგ ადგილებში შეიძლება ტემპერატურა აღარ გაზარდოს.

**ზღვის დონის მატებამ** საუკუნის მანძილზე 8 დუიმი, ანუ 20 სანტიმეტრზე მეტი შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ ყოველი დუიმის მატება წყლის 50-100 დუიმზე ხმელეთში შეღწევას იწვევს. ამ საუკუნის ბოლომდე ოკეანე 1,3 მეტრით შემოადნევს სანაპირო ზოლში და ნიადაგი დამლაშდება. ეს სანაპირო ზოლში მცხოვრებ მოსახლეობას დააზარალებს, და გამოიწვევს მათ აყრასა და გადასახლებას. ინფრასტრუქტურისთვის მიყენებული ზარალიც ძალიან მაღალი იქნება, რადგან პორტები, ძვირადღირებული კურორტები განლაგებულია ზღვისპირას.

**ოკეანის ტემპერატურისა და მჟავიანობის ზრდა.** ოკეანეებს აქვს მნიშვნელოვანი ფუნქცია, შთანთქავს ნახშირორჟანგი, რაც შთანთქმის საერთო რაოდენობის 25%-ს შეადგენს. ოკეანეებში ზედაპირული ტემპერატურა გაიზარდა, რამაც გამოიწვია მათი მჟავიანობის ცვლილებაც. ნახშირორჟანგის რაოდენობის ზრდამ ატმოსფეროში მჟავიანობის 30%-ით ზრდა გამოიწვია. ოკეანეებში ეგზოჩონჩხის მქონე ორგანიზმები (კრაბები და ლობსტერები), ასევე მოლუსკები და სხვა ნიჟარიანები, მარჯნის რიფებისა და მანგროს ტყეების მსგავსად მჟავიანობის შედეგად გადაგვარების წინაშეა.

**მარადიული მზრალობის დნობა.** მზრალობა მიწის ქვეშ რამდენიმე მეტრის სიღრმეზე გვხვდება. ეს მრავალი წლის განმავლობაში ყინულით გაერთიანებული ქვების, ნიადაგის, სედიმენტების ერთობლიობაა, რომელშიც ასევე მცენარეებისა და ცხოველების ნაწილებია შერეული, რომლებიც გახრწნამდე გაიყინა. სწორედ ამის გამო, მზრალობა 1500 მილიარდ ტონა ნახშირორჟანგს აკავებს, რასაც დნობის შემთხვევაში ატმოსფეროში მისი რაოდენობის გაორმაგება შეუძლია. მზრალობა ჩრდილო ნახევარსფეროში ხმელეთის 24%-ს ფარავს, გვხვდება სიმადლეებზე და მაღალ განედებში. მზრალობის დნობა ჰაერში ზრდის ნახშირორჟანგისა და მეთანის რაოდენობას, გარდა ამისა, მის ზედაპირზე ინფრასტრუქტურის დაზიანებას იწვევს.

### **ბიოსფეროს ცვლილებები**

ბიოსფერო – ცოცხალი ბუნებაა დედამიწაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ნელა სწორედ ბიოსფერო იცვლება. მას მილიონობით წელი დასჭირდა ჟანგბადის რაოდენობის დაგროვებით სიცოცხლის გაჩენისთვის შეეწყო ხელი, რაც მცენარეთა რესპირაციისა და ფოტოსინთეზის პროცესებს მოჰყვა. მოკლევადიან პერიოდში მოსალოდნელია, რომ მცენარეები და ცხოველები არეალს შეიცვლიან, წაინაცვლებენ მათთვის ხელსაყრელი კლიმატისკენ. ადაპტაციის მაღალი უნარის მქონე მცენარეები და ცხოველები გადარჩებიან, ხოლო სახეობების ნაწილი შეიძლება გადაშენდეს. იცვლება კვერცხის დებისა და ყვავილობის სეზონიც, რაც ასევე გარემოსთან ადაპტაციას საჭიროებს.

### **პედოსფეროს ცვლილება**

პედოსფეროში დიდი ოდენობით ნახშირორჟანგია დაგროვილი, რაც მცენარეების დახმარებით ხდება. ნიადაგის დეგრადაცია და ტყეების გაკაფვა, ნიადაგის სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენების ფუნქციის შეცვლა იწვევს მის ეროზიას. ეროზია ასევე გაზრდილი შტორმული

ხასიათის მეტეოროლოგიური მოვლენებით არის განპირობებული, ჭარბი ნალექები მას გადარეცხავს, გვალვები – აშრობს, ქარი კი მის გადატანას უწყობს ხელს.

### **კლიმატის ცვლილების შედეგები საზოგადოებაზე**

კლიმატის ცვლილებებსა და მისი უარყოფითი გამოვლინებების შერბილებაზე ფიქრი კაცობრიობამ მას შემდეგ დაიწყო, რაც მისი შედეგები სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებზე მძიმედ აისახა.

მაგალითად, **მყინვარის დნობა** აისახება იმ ადამიანებზე, რომლებიც მდინარის ხეობაში სახლობენ. ისინი წყალდიდობების და წყალმოვარდნების რისკის ქვეშ არიან. წყლის გაზრდილი მოცულობა ასევე ზრდის კაშხლების ნგრევის რისკს, რადგან დიდი მოცულობით წყალს შეუძლია, გაარღვიოს დამბის კედელი. ამავდროულად, მყინვარის ბოლომდე დადნობამ წყლის მიწოდება შეიძლება შეაფერხოს ან შეუძლებელი გახადოს, რაც მოსახლეობის ფართომასშტაბიან მიგრაციას გამოიწვევს.

**ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენები** შეიძლება იქცეს ბუნებრივ კატასტროფად, თუ დაზარალებული მოსახლეობა გარე დახმარების გარეშე მის შედეგებთან გამკლავებას ვერ მოახერხებს.

აღსანიშნავია, რომ კლიმატცვლილების შედეგად გეოფიზიკურ მოვლენებს (მიწისძვრა, მეწყერი და ვულკანის ამოფრქვევა), რაოდენობით მეტეოროლოგიურმა, ჰიდროლოგიურმა და კლიმატურმა მოვლენებმა გაუსწრო. საინტერესოა, რომ ადრეული შეტყობინების სისტემების დანერგვა-გაუმჯობესებით მსხვერპლი შემცირდა, თუმცა გაიზარდა დაზარალებულების რაოდენობა და გავრცელების არეალი.

ექსტრემალური მოვლენებისგან მოყენებული ზარალის დათვლა ეკონომიკისთვის რთულია. გაეროს მიერ ნაანგარიშებია, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ბუნებრივი კატასტროფების შედეგების აღმოფხვრაზე 2908 მილიარდი აშშ დოლარი დაიხარჯა, საიდანაც კლიმატით გამოწვეულ კატასტროფების წილი 77%-ს შეადგენდა.

**განვითარების მიხედვით განსხვავებები** – განსაკუთრებული მოწყვლადობით გამოირჩევიან განვითარებადი ქვეყნები, რადგან მათ არ აქვთ საკმარისი თანხები, რომ წინ აღუდგნენ ბუნებრივ კატასტროფებს, გაზარდონ საკუთარი რეზისტენტულობა, შედეგებს აღდგენა-რეაბილიტაციით გაუმკლავდნენ. კლიმატის ცვლილება ზრდის დაავადებების რისკს, როგორებიცაა მალარია, დიარეა თუ ქოლერა. მათ მკურნალობას განვითარებად ქვეყნებში უზღვავი თანხა სჭირდება.

ღარიბ ქვეყნებში ჭარბობს დაღუპულთა რაოდენობა. ექსტრემალური მოვლენები ძირითადად ანადგურებს მოსავალს, რაც თვითკმარი სოფლის მეურნეობის პირობებში კიდევ უფრო ამძაფრებს შიმშილობის პრობლემას. ექსტრემალური მოვლენები იწვევს მოსახლეობის მიგრაციას, სადაც უკეთესი ბუნებრივი პირობებია და მოსახლეობა საუკუნეებია ტრადიციულად ცხოვრობს. ამგვარ გადაადგილებებს შედეგად დაძაბულობა და კონფლიქტები მოჰყვება.

ღარიბი მოსახლეობის 50%-ზე საერთო დაბინძურების 10% მოდის, მაშინ, როდესაც 10% მდიდარი დაბინძურების 50%-ზეა პასუხისმგებელი.

ადგილმდებარეობით განსხვავებაში იგულისხმება ადამიანის საცხოვრებლის მდებარეობა. სანაპიროსთან ახლოს მის მოწყვლადობას ზრდის ზღვის დონის მატება, წყალთან

დაკავშირებული შტორმული მოვლენები, ასევე წყალდიდობები და წყალმოვარდნები. ეკვატორთან ახლოს მეტია სითბური ტალღებისა და გვალვების ალბათობა. თუმცა მდიდარ ქვეყნებს ადაპტაციის უკეთესი უნარი აქვთ, ასევე აქვთ თანხები, რომ შედეგებს გაუმკლავდნენ.

## კლიმატის ცვლილების დასაძლევად მიმართული საერთაშორისო ძალისხმევა

კლიმატის ცვლილების კონვენციაზე მსოფლიო საზოგადოება 1992 წელს შეთანხმდა, რაშიც განსაკუთრებული როლი კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის მიერ გამოქვეყნებულმა ანგარიშმა შეასრულა. უკვე 1994 წელს 197-მა მხარემ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა. მხარეები ყოველწლიურად იკრიბებიან კონფერენციაზე (COP) და თანხმდებიან, როგორ და რა ინსტრუმენტებით იმოქმედონ.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი იყო კიოტოს ოქმი, რომელიც მესამე კონფერენციაზე 1997 წელს მიიღეს (ძალაში 2005 წელს შევიდა). საინტერესოა, რომ კიოტოს ოქმმა 35 მდიდარ ქვეყანას დააკისრა ვალდებულება 1990 წელთან შედარებით 5%-ით შემცირებინა გამონახოლოქვი. განვითარებადი ქვეყნებისთვის ვალდებულებები არ დაუკისრებიათ. ქვეყნებს მიეცათ უფლება, თუკი მათი სათბური ეფექტის გაზებით დაბინძურების ხარისხი კვოტაზე დაბალი იქნებოდა, ევაჭრათ დაბინძურების კრედიტებით.

2016 წელს ამოქმედდა პარიზის შეთანხმება, რამაც 2020 წელს სრულად ჩაანაცვლა კიოტოს პროტოკოლი. პარიზის ხელშეკრულება მიზნად ისახავს, გლობალური ძალისხმევა კლიმატის ცვლილებების შემცირებისკენ მიმართოს და გლობალური მასშტაბით ტემპერატურის ზრდა 2<sup>o</sup>-მდე, საუკეთესო შემთხვევაში კი 1,5<sup>o</sup>-მდე შეაკავოს. ტემპერატურის 2<sup>o</sup>-ს ზემოთ გადაჭარბებას სახიფათო შედეგების მოტანა შეუძლია.

კიოტოს ოქმით განსაზღვრული პროცესებისგან განსხვავებით პარიზის ხელშეკრულება:

- ✓ შეეხება ყველა ქვეყანას. ის სათბური აირების შემცირებას არ მოსთხოვს მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს, რადგან ამ მიდგომამ განვითარებად ქვეყნებში გამონახოლოქვი 53%-ით გაზრდა.
- ✓ კლიმატის ცვლილების ადაპტაციის გეგმების განხორციელება მრავალი ქვეყნის მისაღწევ ამოცანად იქცევა, რაც მათ მოამზადებს კლიმატის ცვლილებების შედეგებისთვის, რათა ხალხმა ნაკლებად იზარალოს.

## ქეისი - კლიმატის ცვლილება - მითი თუ რეალობა

კლიმატის ცვლილებას ბევრი უარყოფითი გამოვლინება აქვს, მთავარი კი ის არის, რომ მასზე რეაგირების გარეშე ჩვენ არ გვაქვს მომავალი. ამდენად დასაფიქრებელია, ვისი პასუხისმგებლობაა ეს - ჩემი, სხვისი თუ ყველასი. ცვლილებებს შორისაა:

- ✓ სუფთა ჰაერი, სასმელი წყლის დეფიციტი, საჭმლის დეფიციტი, საცხოვრებელი, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისთვის;
- ✓ 2030 წლიდან წლიურად 25000 ადამიანით მეტი დაიღუპება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შიმშილობით, მალარიით, დიარეითა და სითბური ტალღებით;

- ✓ 2030 წლისთვის ქვეყნებმა დამატებითი ფინანსები უნდა გაიღონ ჯანმრთელობისთვის ზრუნვაზე, რაც წლიური 2-4 მილიარდი \$ იქნება. განვითარებადი ქვეყნების ჯანდაცვის სისტემები ამ ახალ სტრესს ნაკლებად გაუძლებს;
- ✓ იზრდება ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ზარალი და ზიანი.

მიუხედავად ამ ხილული უარყოფითი შედეგებისა, კლიმატსკეპტიკოსები ბევრნი არიან და მოსახლეობაში თავიანთი იდეების გავრცელებას ცდილობენ. მათი უმრავლესობა უფრთხის, რომ კლიმატის ცვლილებებისადმი მკაცრი ზომები ბევრ ბიზნესს შეეხება და მათ მოუწევთ, გადადგან ნაბიჯები და განახორციელონ რიგი ცვლილებები გარემოსთან უკეთ ადაპტაციის, რესურსების დაზოგვისა და ნარჩენების შემცირების მიმართულებით, რაც მათი მხრიდან დანახარჯების გაზრდას მოითხოვს.

გაეცანით კლიმატის ცვლილების შესახებ მეცამეტე მიზანს და ასევე მითებს კლიმატის ცვლილებაზე. მათ მცირე ჯგუფებში სამუშაოდ ურიგდებათ 1 მითი, რომელზეც მოიძიებენ ინფორმაციას და გამოაქვთ დასკვნა, რამდენად სარწმუნოა ეს მოსაზრება, რა არგუმენტებით არის შესაძლებელი მისი გაქარწყლება. განმარტავენ, რატომ არ შეესაბამება იგი ჭეშმარიტებას, რომელი მეცნიერული მტკიცებულების საფუძველზე. მათ უნდა განმარტონ, ვინ და რა მოტივით ავრცელებს მათ. რატომ ფიქრობს ზოგი ადამიანი ასე? რა მტკიცებულებას ემყარება მათი წარმოდგენა? რას ემსახურება იგი? რის შემდეგაც სტუდენტებმა, მეცნიერული მტკიცებულებების საფუძველზე უნდა დაადასტურონ, რატომ არის ეს წარმოდგენები მცდარი.

მითები კლიმატის ცვლილებაზე:

- მითი 1. დედამიწის კლიმატი მუდმივად იცვლება.**
- მითი 2. მცენარეებს სჭირდებათ ნახშირორჟანგი.**
- მითი 3. გლობალური დათბობა არ არის რეალური, რადგან ბევრგან და ხშირად საკმაოდ ცივა.**
- მითი 4. კლიმატის ცვლილება არის მომავლის პრობლემა.**
- მითი 5. განახლებადი ენერჯია ძვირია და ახალი ფულის მახე.**
- მითი 6. ჰოლარული დათვების რიცხვები იზრდება.**
- მითი 7. განახლებადი ენერჯიის მუშაობა ამინდზე - უდრუბლო და ქარიანი დღეების რაოდენობაზეა დამოკიდებული.**
- მითი 8. ცხოველები ადვილად ადაპტირდებიან კლიმატის ცვლილებასთან.**
- მითი 9. გამოსავალია მოსახლეობის შემცირება.**
- მითი 10. ჩინეთი პასუხისმგებელია კლიმატის ცვლილებაზე.**

## მდგრადი განვითარების მიზანი 14: ოკეანეების, ზღვებისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება მდგრადი განვითარებისათვის



მსოფლიოს ოკეანეები – მათი ტემპერატურა, ქიმიური შემადგენლობა, ღინებები და სიცოცხლე წყალში დედამიწას საცხოვრებლად მოსახერხებელ ადგილად აქცევს. წვიმის წყალი, სასმელი წყალი, ამინდი, კლიმატი, სანაპირო ზოლი, ჩვენი საკვების დიდი ნაწილი და ჟანგბადი, რომელსაც ჩვენ ვსუნთქავთ, ზღვას უკავშირდება, რადგან ის მონაწილეობს წყლის წრებრუნვაში. მთელი ისტორიის განმავლობაში, ოკეანეები და ზღვები ვაჭრობისა და ტრანსპორტირებისთვის მნიშვნელოვან არხებს წარმოადგენდნენ.

ამ გლობალური რესურსის ფრთხილი და გონივრული მართვა მდგრადი მომავლის მთავარი წინაპირობაა. თუმცა, ამ დროისთვის, დაბინძურება სანაპირო წყლების ხარისხს განუწყვეტილად აუარესებს და ოკეანის მჟავიანობის მომატება უარყოფით გავლენას ახდენს ეკოსისტემებსა და ბიომრავალფეროვნებაზე. ეს ასევე უარყოფითად აისახება მცირე მასშტაბის თევზჭერაზე, რაზეც დამოკიდებულია ზღვისპირა ზოლში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი.

საჭიროა დაცული საზღვაო ტერიტორიების ეფექტურად მართვა და კეთილმოწყობა, მათი რაოდენობისა და ფართობის გაზრდა. ასევე საჭიროა რეგულაციების დაწესება ჭარბი თევზჭერის, ზღვის დაბინძურებისა და ოკეანის მჟავიანობის შესამცირებლად.

ოკეანეებს დიდი წვლილი აქვთ ჩვენი პლანეტისთვის სიცოცხლის ხელშეწყობისა და დაცვის საქმეში. ის არეგულირებს გლობალურ კლიმატურ სისტემას. ზღვები და ოკეანეები მსოფლიოს უდიდეს ეკოსისტემას წარმოადგენს, სადაც სახლობს თითქმის მილიონი ცნობილი სახეობა. აქ მეცნიერებს კიდევ ბევრი აქვთ სამუშაო და აღმოსაჩენი. ოკეანეები აგრძელებს გლობალური მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი საჭიროებების მხარდაჭერას. მათ კონსერვაციას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ბოლო წლების ძალისხმევისა, ათწლეულების განმავლობაში ზღვებისა და ოკეანეების უპასუხისმგებლო ექსპლუატაციამ დეგრადაციის საგანგაშო კვალი დაატყო მას. ამჟამად მთელი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ მოხდეს საზღვაო გარემოსა და მცირე თევზჭერის დაცვა, და ინვესტიციები ოკეანის მეცნიერებაში ჩაიდოს. თუმცა პროცესები აქაც ხარვეზებით მიმდინარეობს. კონსერვაციისა და რეგულირების მასშტაბები ჯერ ვერ უზრუნველყოფს ამ უზარმაზარი, მაგრამ მყიფე რესურსის დაცვას. ადამიანთა აქტივობის მკვეთრი შემცირება, რაც გამოწვეულია COVID-19-ის კრიზისით, ოკეანეების გამოჯანმრთელების შანსია. ეს ასევე შესაძლებლობაა, განვსაზღვროთ მდგრადი აღდგენის გზა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ბუნებრივ გარემოსთან ჰარმონიული ცხოვრებისკენ იქნება მიმართული.

### ფაქტები და მონაცემები:

- ✓ ოკეანეები ფარავს დედამიწის ზედაპირის სამ მეოთხედს, მასში აკუმულირებულია არსებული წყლის მარაგის 97 პროცენტი.
- ✓ ოკეანეების ზედაპირის დაცული საზღვაო ტერიტორიების ფართობი იზრდება, რაც საზღვაო ბიომრავალფეროვნების დაცვას უზრუნველყოფს. 9 ქვეყანა აკმაყოფილებს

საჭირო ნორმებს - დაცული აქვს ოკეანეების 10%. ბოლო წლებში მეტი ყურადღება ექცევა დაცული საზღვაო ტერიტორიების შექმნას.

#### კლიმატის ცვლილება

- ✓ ოკეანეები შთანთქავს ადამიანის მიერ გამოყოფილი ნახშირორჟანგის დაახლოებით 25%-ს, რაც ხელს უწყობს ატმოსფერული ჰაერის გაწმენდასა და გაგრილებას.
- ✓ ოკეანემ შთანთქა კლიმატის სისტემაში ჭარბი სითბოს 90%-ზე მეტი. ამით შეანელა კლიმატის ცვლილების პროცესები, თუმცა ეს უარყოფითად აისახა თავად ოკეანეზე, მის წყალსა და ბინადრებზე. გამოიწვია მისი მქავიანობის ზრდა და დათბობა.
- ✓ 2100 წლისთვის ნავარაუდევია ოკეანეების მქავიანობის 100-150%-ით ზრდა, რაც საფრთხეს შეუქმნის ცოცხალი ორგანიზმების ნახევარს.
- ✓ ოკეანის ტემპერატურა რეკორდულად მაღალ დონეზეა, რაც იწვევს შტორმული ხასიათის დელჯებს, ასევე ტემპერატურული კონტრასტები ტროპიკული შტორმების განმაპირობებელიცაა. აღსანიშნავია, რომ ოკეანის თბილი და ცივი დინებების ჩვეული ციკლი შესაძლებელია შეიცვალოს.

#### ოკეანე და ხალხი

- ✓ სანაპირო ზოლში სამი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს, მათი საარსებო წყარო ოკეანის ბიომრავალფეროვნებაზეა დამოკიდებული.
- ✓ გლობალურად, ოკეანეების, ზღვისა და სანაპირო ზოლში არსებული რესურსებისა და აქ მოქმედი მრეწველობის საბაზრო ღირებულება წელიწადში 3 ტრილიონ აშშ დოლარადაა შეფასებული, რაც მშპ-ის დაახლოებით 5%-ს შეადგენს.
- ✓ ზღვებსა და ოკეანეებში თევზის რეწვა პირდაპირ თუ არაპირდაპირ 200 მილიონზე მეტ ადამიანს ასაქმებს.
- ✓ სანაპირო წყლების ხარისხს აუარესებს დაბინძურება და ევტროფიკაცია. შეთანხმებული ძალისხმევის გარეშე, 2050 წლისთვის ზღვის დიდი ეკოსისტემების 20%-ში მოსალოდნელია ევტროფიკაციის ზრდა.
- ✓ ზღვისა და სანაპიროების დაბინძურების დაახლოებით 80% წარმოიქმნება ხმელეთზე. დამაბინძურებლებს შორისაა სასოფლო-სამეურნეო ნარჩენები, პესტიციდები, პლასტმასა და კანალიზაციიდან ჩანადენი წყალი.
- ✓ ადამიანები მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად ერთ მილიონ პლასტმასის ბოთლსა და 5 ტრილიონამდე ერთჯერადი პოლიეთილენის პარკს ყიდულობენ, რომლებიც სასიცოცხლო ციკლს ნაგავსაყრელებსა და ოკეანეებში ასრულებენ. ოკეანის ზედაპირის 1 კვ.კმ-ზე 13 000 პლასტიკური ბოთლია მოფენილი.
- ✓ დაახლოებით 680 მილიონი ადამიანი ცხოვრობს ზღვის დონეზე ან სანაპირო ზოლში, რომელიც ზღვის დონეზე დაბლაა. ზღვის დონის მატებასთან ერთად ეს ადამიანები რისკის ქვეშ აღმოჩნდებიან, რაც ამ საუკუნის შუა პერიოდისთვის არის მოსალოდნელი. გასამარებელ სამუშაოებს დიდი ფინანსური დანახარჯი სჭირდება.
- ✓ თევზის მდგრადი რეწვა მზარდი ტენდენციაა, თუმცა ის ჯერ ისევ მცირე კუნძულოვანი ქვეყნების რეწვის 1,55%-ს, ხოლო დარბი ქვეყნების 1,1%-ს შეადგენს. საჭიროა არაკანონიერი, არალეგალური და დაურეგულირებელი თევზაობის აკრძალვა.

## ტერმინები

**ევტროფიკაცია** - წყლის ბინადრებში ბიოგენური ელემენტების დაგროვება ანთროპოგენური და ბუნებრივი ფაქტორების მეშვეობით. საწყის სტადიებზე ის წყლის აუზების ბიოლოგიური პროდუქტიულობის გაზრდას, შემდეგ კი ჟანგბადის პროგრესირებად უკმარისობას და აქედან გამომდინარე, ცოცხალი ორგანიზმების მასობრივ დაღუპვას იწვევს.

**მსოფლიო ოკეანე** - დედამიწის ოკეანეებისა და ზღვების ერთობლიობა, რომელთა წყლები ყველა კონტინენტისა და კუნძულის გარემომცველ უწყვეტ ოკეანოსფეროს ქმნის. რიგ წყაროებში ოკეანე ოთხია - წყნარი, ატლანტის, ინდოეთისა და ჩრდილო ცინულოვანი. თუმცა მსოფლიო ჰიდროლოგიური საზოგადოება მეხუთე ოკეანეს, სამხრეთის ოკეანესაც გამოყოფს, რომელიც ს.გ. 60 გრადუსის სამხრეთით მდებარეობს.

**დაცული საზღვაო ტერიტორიები** - (Marine Protected Areas - MPA) მოიცავს ბუნებრივი ტერიტორიების დამცავ მართვას წინასწარ განსაზღვრული მართვის მიზნების შესაბამისად. დაცვისა და კონსერვაციის საფუძვლად შეიძლება იქცეს არაერთი მიზეზი, მათ შორის ეკონომიკური რესურსები, ბიომრავალფეროვნების დაცვა და სახეობების დაცვა.

**წყლის წრებრუნვა** - მზის ენერჯიაზე, დედამიწის როტაციაზე და გაბატონებულ ქარებზეა დამოკიდებული. მზე ახურებს ოკეანის ზედაპირს და დედამიწის ზედაპირზე არსებულ სხვა წყლებს, რის შედეგადაც თხევად აგრეგატულ მდგომარეობაში მყოფი წყალი ორთქლდება და ორთქლის სახით კავდება ატმოსფეროში. რის შემდეგაც ატმოსფეროში არსებული წყლის ორთქლი ღრუბლებად კონდენსირდება და, საბოლოოდ, ატმოსფერული ნალექების, წვიმის ან თოვლის სახით კვლავ დედამიწაზე ბრუნდება. ამის შემდეგ მას რამდენიმე გზა აქვს: იგი შესაძლოა, კვლავ აორთქლდეს, იდინოს დედამიწის ზედაპირზე ან ჩაიჟონოს მიწაში.

**კონსერვაცია** - დედამიწის ბუნებრივ რესურსებზე (ჰაერი, სასარგებლო წიაღისეული, მცენარეები, ნიადაგი, წყალი, ფლორა და ფაუნა) ზრუნვა და დაცვა მომავალი თაობებისთვის მისი შენარჩუნების მიზნით. იგი მოიცავს სახეობების, ჯიშებისა და ეკოსისტემების მრავალფეროვნების შენარჩუნებას. კონსერვაცია მიზნად ისახავს ადამიანის მიერ ბუნების მდგრად გამოყენებას ისეთი საქმიანობებისთვის, როგორებიცაა - ნადირობა, ხე-ტყის დამზადება, სამთო მოპოვება.

## ოკეანესთან დაკავშირებული პრობლემები და მათი მასშტაბები

ოკეანე შთანთქავს ადამიანის საქმიანობით წარმოქმნილი ნახშირორჟანგის წლიური ემისიების დაახლოებით 25%-ს და ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შემსუბუქებას. ოკეანის ტემპერატურამ რეკორდულად აიწია, რამაც წარმოშვა საზღვაო სითბური ტალღები. დედამიწაზე ბევრი უმდიდრესი ზღვის ეკოსისტემა ერთფეროვანი გახდა, დაკარგა ბიომრავალფეროვნება და მიზიდულობა. 2014 წელს დაფიქსირდა მარჯნის რიფების ყველაზე დიდი დანაკარგი, რომელიც სათბურის აირების გამოყოფით დამთბარმა ოკეანემ და მისი მჟავიანობის გაზრდამ გამოიწვია.

მსოფლიო ოკეანეებში ჩაშვებული ნარჩენები დიდ და უარყოფით გავლენას ახდენს გარემოსა და ეკონომიკაზე. თავდაპირველად ნარჩენების ოკეანეებში ჩაშვება თითქოს ეკონომიკურად იაფი საშუალება იყო მათი ხმელეთიდან მოსაშორებლად. თუმცა ეს წინდაუხედავი ნაბიჯი

კაცობრიობას უარყოფითად მოუტრიალდა. ყოველწლიურად, ოკეანეში ხვდება 5-დან 12 მილიონ ტონა პლასტმასამდე. მათი გამწმენდი სამუშაოები, ასევე ფინანსური ზარალი მეთევზეობასა და სხვა ინდუსტრიებში წელიწადში დაახლოებით 13 მილიარდი დოლარი ჯდება. ოკეანის ფსკერზე არსებული ნარჩენების 89% ერთჯერადი პლასტმასის ნივთია, როგორცაა - პარკები და ბოთლები. ასევე მეორე საგანგაშო დამაბინძურებელია ტვირთბრუნვის შედეგად ტანკერებიდან ნავთობის ჩაღვრა, ასევე - შეღწურ და სანაპირო ზონებში ნავთობის მომპოვებელ ჭაბურღილებსა და მილებზე ტექნოგენური კატასტროფები. ნავთობის ჩაღვრას უზარმაზარი ზიანი მოაქვს ცოცხალი ბუნებისთვის. ძვირი ჯდება მისი გაწმენდაც.

მრავალ დასასვენებელ ზონაში ჯერ ისევ გადაუწყვეტელია ტერიტორიების სანიტარული დასუფთავების საკითხი. ნარჩენებს ნაპირზე მარხავენ, ბუნებრივ ღრმულებში ყრიან ან ადგილზე ტოვებენ. მსოფლიო ოკეანის ზედაპირზე მცურავი ნაგვის 90% პლასტმასაა. გაეროს მონაცემებით, ჯერ კიდევ 2 წლის წინ ოკეანის ყოველ კვადრატულ მილზე თითქმის 46 ათასი პლასტმასის ფრაგმენტი მოდიოდა. ზოგიერთ რაიონში კი პლასტმასის მასა 6-ჯერ აღემატება ბუნებრივი პლანქტონის მასას. ადამიანის მიერ ყოველწლიურად წარმოებული 300 მლნ ტონაზე მეტი პლასტმასის დაახლოებით 10% ოკეანეში ხვდება, ამ რაოდენობის 70% კი ოკეანის ფსკერზე გროვდება და იქაურ ეკოსისტემას ანადგურებს. ნაგვის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი ტივტივებს ოკეანის ზედაპირზე და ხუთულია ჩვენი თვალისთვის.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის ინდუსტრია სანაპირო ზოლებში ვითარდება. ტურისტების 80% სამოგზაუროდ სანაპირო ზოლს ირჩევს. საზღვაო ტურიზმის ინდუსტრია წელიწადში 134 მილიარდი დოლარით იზრდება. ზოგიერთ ქვეყანაში ამ ინდუსტრიაში სამუშაო ძალის მესამედია დაკავებული. თუ ტურიზმი სათანადოდ არ იმართება, მას შეუძლია სერიოზული საფრთხე შეუქმნას ბუნებრივ რესურსებს, რომელზეც იგი დამოკიდებულია. ამის უამრავი მაგალითია, როგორ გაუკაცრიელა ერთ დროს ცნობილი საზღვაო კურორტი ოკეანის დაბინძურებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა. მაგალითად, ზაფხულში სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლორიდაში ტემპერატურის მატებამ ტოქსიკური წყალმცენარეების ზრდას შეუწყო ხელი, რის გამოც დაცარიელდა სასტუმროები და სანაპიროები.

ოკეანის ეკოლოგიური მდგომარეობა მჭიდრო კავშირშია ჩვენს ჯანმრთელობასთან. საინტერესოა, რომ ოკეანე დიდი ხანია იძლევა რესურსებს ადამიანების გამოსაკვებად, ასევე წამლების დასამზადებლად. იუნესკოს დასკვნის თანახმად, ოკეანის სიღრმეში აღმოჩენილი ბაქტერიები გამოიყენება COVID-19-ის სწრაფი ტესტირების ჩასატარებლად. ოკეანეში ნაპოვნი სახეობათა მრავალფეროვნება გამოიყენება ფარმაცევტული პროდუქტების დასამზადებლად. ის ცილით უზრუნველყოფს განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის 50% -ზე მეტს.

თუ ოკეანის წყლის ხარისხზე არ ვიზრუნეთ, თევზებსა და სხვა სახეობებში შეიძლება მავნე მინარევების მაღალი შემცველობა აღმოჩნდეს, რაც შემდგომში მათი საკვებად გამოყენებისას ადამიანის ჯანმრთელობასაც დააზიანებს.

**ზღვის დონის აწევა** - თანამედროვე კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაა. მას იწვევს არქტიკის ყინულის ფენებისა და სხვა მყინვარების დნობა. 1901-დან 2012 წლამდე ზღვის დონემ 0.199 მ-ით აიწია. ზღვის დონის აწევის სიჩქარემ წინა ორ ათასწლეულში დაფიქსირებულ სიჩქარეს გადააჭარბა. პროცესები საგანგაშო კუნძულოვან ქვეყნებში, რომლებიც, მარტივად რომ ვთქვათ, იძირებიან, რადგან ზღვა ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტ ტერიტორიას შთანთქავს.

მოიმატა ოკეანის წყლის ტემპერატურამ - მსოფლიო ზღვის დონის აწევა ოკეანის გათბობის შედეგია. ზედა ფენის 75 მ წყლის მასის ტემპერატურა განსაკუთრებით სწრაფად იმატებს და ეს ტემპი ყოველ ათწლეულში  $0.11^{\circ}\text{C}$ -ით იზრდება.

**მჟავიანობის მომატება.** ოკეანე იღებს გაფრქვეული ნახშირორჟანგის დიდ წილს, რაც იწვევს მისი მჟავიანობის მომატებას. ოკეანის ზედაპირული წყლების pH შემცირდა 0.1-ით, რაც წყალბადის იონის კონცენტრაციის გაზომვებზე დაყრდნობით, მჟავიანობის 26%-ით მომატებას გულისხმობს. მჟავიანობა კი საფრთხეს უქმნის კალციფიცირებულ ორგანიზმებს და ხელს უშლის მათ ზრდას, მათ შორის, მარჯნის რიფებს, მოლუსკებს, კრაბისნაირებს და სხვა.

**მარილიანობის ცვლილებები.** (დიდი სანდოობით) მაღალი სიმლაშის რეგიონები, სადაც აორთქლების მაღალი მაჩვენებელია, ხდება უფრო მლაშე, ხოლო დაბალი მარილიანობის რეგიონები, სადაც ნალექები მძლავრობს, 1950-იანი წლებიდან უფრო გამტკნარდა.

### ოკეანეების დაცვის მექანიზმი - დაცული საზღვაო ტერიტორიები

დაბინძურება, ჭარბი თევზაობა და კლიმატის ცვლილება საფრთხეს უქმნის მსოფლიო ოკეანეებს. სწორედ ამიტომ მეცნიერები და კონსერვაციის სპეციალისტები ბიომრავალფეროვნებით მდიდარ ადგილებში ცდილობენ დაცული საზღვაო ტერიტორიების შექმნას, რითაც არა მხოლოდ დაიცავენ ბუნებას, არამედ რეზერვაციებში მათ აღდგენასაც შეუწყობენ ხელს. აღსანიშნავია, რომ ამ ტერიტორიებს ჯერ ძალიან მცირე ადგილი უჭირავს და საერთო ზედაპირის მხოლოდ 1,89%-ს შეადგენს. უახლოეს პერიოდში დაგეგმილი ფართობის მოცულობა 10%-ს უნდა ასცდეს.

განსაკუთრებით რთულია ხალხისა და პოლიტიკოსების დარწმუნება, რომ სანაპიროებსა და ოკეანეებსაც დაცვა სჭირდება: სამწუხაროდ, ზღვებისა და ოკეანეების დასაცავად ცნობიერება უფრო დაბალია, რადგან ეს პრობლემა ნაკლებად თვალსაჩინოა. ყველას არ აქვს საშუალება, ეწვიოს ამ ადგილებს, ჩაყვინთოს სპეციალური აღჭურვილობით, შეისწავლოს დროში ცვლილება და სახეობათა დანაკარგები.

საერთაშორისო თანამშრომლობის პარალელურად მთავრობებმა უნდა შეძლონ დაცული საზღვაო ტერიტორიების ყოვლისმომცველი, ეფექტური და თანაბრად მართული სისტემების ჩამოყალიბება ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად და სათევზაო ინდუსტრიის მდგრადი მომავლის უზრუნველსაყოფად. ლოკალურ დონეზე, ჩვენ ყიდვისას არჩევანი უნდა გავაკეთოთ ოკეანეებისთვის ნაკლები ზიანის მომტან პროდუქციაზე. მაქსიმალურად უნდა აღმოვფხვრათ ერთჯერადი პლასტიკის გამოყენება და მოვაწყოთ სანაპიროების გაწმენდა. რაც მთავარია, ჩვენ შეგვიძლია გავავრცელოთ გზავნილი იმის შესახებ, რამდენად მნიშვნელოვანია ზღვის ცხოვრება და რატომ გვჭირდება მისი დაცვა.

საჭიროა ოკეანის მდგომარეობის მუდმივი კონტროლი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რიგ არიდულ ქვეყნებში ოკეანის მარილიანი წყალი დისტილაციის შედეგად საყოფაცხოვრებო მოხმარებაში გამოყენებადი ხდება. სასმელი წყლის დეფიციტის მოსაგვარებლად აუცილებელია ზღვის წყლების დაბინძურების მინიმუმამდე შემცირება.

## ნარჩენები ოკეანეში - მზარდი პრობლემა

ოკეანეში მოხვედრილი ნარჩენები უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელსაც გავლენა აქვს არა მხოლოდ ოკეანის წყლებზე, მის ფლორასა და ფაუნაზე, სანაპირო ზონაში მცხოვრებ ადამიანებზე, არამედ მთელ კაცობრიობაზე, რადგან ჩვენ ყველანი მოვიხმართ მის რესურსებს - საკვების სახით თუ მედიცინაში. ოკეანეების წყლების ანალიზი აჩვენებს, რომ დაბინძურება ძალიან მაღალია ჩრდილო ნახევარსფეროში. აქ ყველაზე მეტად ჩრდილო ყინულოვანი ოკეანე, ჩინეთის ზღვა, ბერინგის ზღვაა დაბინძურებული. მათ მოჰყვება ევროპის, ჩრდილო ამერიკის, კარიბის აუზის, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის სანაპირო ზოლები. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სამხრეთ ნახევარსფეროში, რაც აიხსნება იმით, რომ იქ განვითარებადი ქვეყნები მდებარეობს.

ადამიანის საქმიანობათა ნაწილს დიდი გავლენა აქვს ოკეანის წყლებზე. ნარჩენებს წარმოქმნის სხვადასხვა საქმიანობა:

- ✓ მშენებლობა - 34%
- ✓ მოპოვებითი მრეწველობა - 27%
- ✓ მანუფაქტურა/გადამუშავება - 11%
- ✓ საყოფაცხოვრებო ნარჩენი - 11%
- ✓ ელექტრონარჩენები (ტექნიკა, ბატარეები, ნათურები)
- ✓ სხვა წყაროები - 16%

მათი უდიდესი ნაწილი სხვადასხვა გზით ოკეანეებში ასრულებს სასიცოცხლო ციკლს.

თუ ოკეანის მსხვილ დამაბინძურებელ წყაროებსა და საქმიანობებს აღვრიცხავთ, აღმოჩნდება, რომ სოფლის მეურნეობა, საკანალიზაციო სისტემები, ნაგავსაყრელები და ქიმიური ნარჩენები ფაბრიკა-ქარხნიდან აბინძურებენ ოკეანეებს, ცვლიან მის თვისებებს. სოფლის მეურნეობაში გამოყენებული პესტიციდები და ქიმიკატები ნიადაგებიდან მდინარეებში ჩაირეცხება და შემდეგ ოკეანეებს ერთვის. იგივე ხდება ნაგავსაყრელებიდანაც - სხვადასხვა მომწამვლელი ნივთიერება საბოლოოდ ოკეანის წყლებში ხვდება. ეს იწვევს წყალში ევტროფიკაციას, რაც ფიტო პლანქტონითა და წყალმცენარეებით ავსებს ზედაპირულ წყლებს. ეს აფერხებს წყალში ჟანგბადისა და სინათლის შეღწევას, რაც საბოლოოდ, წყალში სიცოცხლეს ანადგურებს. ევტროფიკაციას იწვევს დასახლებული ადგილებიდან საკანალიზაციო სისტემიდან წყლის გაუფილტრავი ჩაშვებაც. ეს კი უდიდეს პრობლემებს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

ასევე უნდა შეიზღუდოს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მყარი ნარჩენების ოკეანეებში ჩაშვების მანკიერი პრაქტიკა. ითვლებოდა, რომ ნაკლებად თვალსაჩინო პრობლემა კაცობრიობას უკან არ დაუბრუნდებოდა. ასევე ნარჩენების მოშორების ეს გზა უფრო იაფად მიიჩნეოდა.

ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც ადამიანმა შექმნა პლასტმასა, რომლის წარმოება საკმაოდ იაფი უჯდებოდა, დაიწყო მისი ფართოდ გამოყენება შესაფუთად თუ სხვა მიზნებისთვის. როგორც ვარაუდობენ, შექმნილმა რაოდენობამ 8,3 მილიარდი ტონა შეადგინა. მათი მოცულობა ჯერ კიდევ იზრდება და მხოლოდ მცირე ნაწილის ჩანაცვლება ხერხდება. მათგან ხელმეორედ გამოყენებისთვის მხოლოდ მცირე ნაწილი, 9% მუშავდება. ეს მაჩვენებელი ქვეყნების განვითარებისა და მათი ეკონომიკების მიხედვით მერყეობს, თუმცა ყველაზე უკომეგობრული ქვეყნებიც კი ვერ ახერხებენ პლასტმასის სრულად გადამუშავებას. პლასტმასის ნარჩენების 12%-ს წვავენ, დანარჩენი კი ზედაპირულ წყლებში ხვდება. სარეწაო თევზიდან მიკროპლასტიკატი

ადამიანის ორგანიზმშიც შეიძლება აღმოჩნდეს. ყოველწლიურად ზღვებს, ოკეანებსა და ნაგავსაყრელებს დაახლოებით 300 ტონა პლასტმასის ნარჩენი ემატება.

ერთჯერადი პლასტიკატის ნარჩენები თევზის პოპულაციის შემცირების მიზეზიც ხდება.

1997 წელს ჩარლზ მურმა იახტით მოგზაურობისას წყნარ ოკეანეში ნაგვის მოცურავე უზარმაზარი კუნძული აღმოაჩინა, რომელიც დასახლებებისგან შორს ოკეანის დინებებს გადაეტანათ და რომლის წარმოქმნაში წილი გემებსაც უდევს. ის დიდი ბრიტანეთის სამეფოს შემადგენლობაში შემავალი დაუსახლებელი კუნძულის, ჰენდერსონის სანაპიროსთან მდებარეობდა. ამ კუნძულს მხოლოდ მეცნიერები თუ სტუმრობდნენ ხოლმე. მისი დაბინძურების დონე იმდენად მაღალია, რომ მსგავსი მასშტაბის შემთხვევა მეცნიერებს სხვაგან არ ენახათ.

კუნძულ ჰენდერსონს, მეცნიერთა შეფასებით, შეიძლება „მსოფლიოს სანაგვე“ ეწოდოს. აქ დაახლოებით 37,7 მილიონი სხვადასხვა სახის ნაგავია – თევზსაჭერი ბადეები, პლასტმასები, კბილის ჯაგრისები, საპარსები და სხვა.

წყნარ ოკეანეში არსებული ნარჩენების მცურავი კუნძული, რომლის ფართობი 1.6 მლნ. კმ<sup>2</sup>-ია, წყნარი ოკეანის თითქმის 1%-ს შეადგენს. კუნძული თავისი სიდიდით ტენასის შტატს ორჯერ, ხოლო საფრანგეთს სამჯერ აღემატება და მასზე 80 000 ტონა პლასტმასაა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2050 წლისთვის ოკეანეებში თევზზე მეტი პლასტმასა იქნება.

ოკეანეში ხვდება სწრაფი მოდის ინდუსტრიის ნარჩენებიც.

სწრაფი მოდის ინდუსტრია სათბურის აირების გამოყოფის ერთ-ერთი მთავარი წყაროა, რაც დედამიწაზე ტემპერატურის მომატებისა და კლიმატის ცვლილების ერთ-ერთ გამომწვევს მიზეზად ითვლება. სწრაფი მოდა ტანსაცმლის იაფად და სწრაფად წარმოებას გულისხმობს. იაფი ტანსაცმელი სწრაფად ფუჭდება, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის საშიში საღებავით იღებება და ხშირად ზედაპირული წყლების საშუალებით ოკეანეებში ჩაირეცხება ხოლმე.

მსგავსი ტანსაცმელი არ არის ხანგრძლივად ხმარებაში, ადვილად იცრიცება, კარგავს ფერს თუ ფორმას და მომხმარებელს მისი გამოცვლა სჭირდება. გადაყრილი ტანსაცმელი ჯერ ნაგავსაყრელზე ხვდება, მოგვიანებით კი მიკრობოჭკოვანი ფრაგმენტები ზღვაში ჩაირეცხება, სადაც ისინი ჯერ თევზის, ხოლო შემდეგ ადამიანის საკვებ ჯაჭვში ხვდება.

აუდიტის ანგარიშის თანახმად, შარშან ბრიტანეთში მომხმარებელმა 235 მილიონი ტანსაცმელი გადაყარა, ამასთან ტანსაცმლის რეცხვის შედეგად 700,000 ბოჭკო შეუერთდა გამდინარე წყალს, ხოლო მოდის ინდუსტრიის მუშაობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში 1,2 მილიარდი ტონა ნახშირორჟანი გაიფრქვა.

თუ ჩვენ გვინდა, რომ გონივრული არჩევანი გავაკეთოთ, სანამ ტანსაცმელს შევიძინებთ, უნდა გავარკვიოთ, კონკრეტული ბრენდი როგორ ანადგურებს გაუსაღებელ პროდუქციას და რა ზომებს მიმართავს, რომ მომხმარებელმა პროდუქტი სწრაფად არ გადაყაროს. რას აკეთებენ იმისთვის, რომ მიკრობოჭკოები ოკეანეებში მინიმალურად მოხვდეს. ასევე მნიშვნელოვანია, აგზავნიან თუ არა ბიზნესის მესვეურები გაუსაღებელ საქონელს განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად.

დიდება: სააგენტომ, რომლის მიზანია ოკეანეებისა და სანაპირო ზოლის საკითხებზე კოლაბორაციული მექანიზმების მომზადება, გაეროსთვის შეიმუშავა კონვენცია, რომელიც ზღვებისა და ოკეანეების დაბინძურების შემცირების მიზნით, ოკეანეებში ნარჩენების ჩაშვების შესამცირებლად ქვეყნებს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს. განსახილველ წინადადებას ქვეყნების მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ახალი რეგულაციების შესრულება ქვეყნებს ძვირი დაუჯდებათ, ამიტომ ბევრი წინააღმდეგია. განსაკუთრებული წინააღმდეგობა მოდის შიდაკონტინენტური მდებარეობის ქვეყნებიდან, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ ზღვისპირა ქვეყნების წილი ზღვებისა და ოკეანეების დაბინძურებაში ყველაზე დიდია.

უნდა დაეკისროს თუ არა პასუხისმგებლობა ოკეანეების დაბინძურებაზე ქვეყნებს, რომლებსაც ზღვისპირა მდებარეობა არ აქვთ?

როგორია თქვენი პოზიცია - წარმოიდგინეთ, რომ საკითხი გამოტანილია განსახილველად და იმის მიხედვით ეთანხმებით თუ ეწინააღმდეგებით პოზიციას, წარმოადგენთ ზღვისპირა ან შიდაკონტინენტური მდებარეობის ქვეყანას.

თქვენი პოზიციის გასამყარებლად ჩამოაყალიბეთ არგუმენტები. იფიქრეთ საწინააღმდეგო არგუმენტებზეც.

## მდგრადი განვითარების მიზანი 15: ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება



ტყეები ფარავს დედამიწის ზედაპირის 30,7%-ს. ის უზრუნველყოფს ადამიანებს თავშესაფრით, საკვებით, საშენი მასალით, მედიკამენტების კომპონენტებით და რაც მთავარია, ჟანგბადით. ტყეები კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მკვიდრი/აბორიგენი მოსახლეობის სახლებით უზრუნველყოფის მთავარი სისტემაა. ტყეების დაცვით ჩვენ შევძლებთ, უფრო ეფექტურად ვმართოთ ბუნებრივი რესურსები და გავზარდოთ მიწის პროდუქტიულობა.

ამჟამად, ყოველწლიურად 13 მილიონი ჰექტარი ტყე იკარგება. მიწის მუდმივმა დეგრადაციამ უკვე განაპირობა 3.6 მილიარდი ჰექტრის გაუდაბნობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ხმელეთის 15% დაცულია, ბიომრავალფეროვნება მაინც საფრთხეშია. ადამიანის აქტივობითა

და კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული ტყის განადგურება და გაუდაბნობა დიდ გამოწვევას წარმოადგენს მდგრადი განვითარებისთვის, რამაც უკვე იმოქმედა მილიონობით ადამიანის სიცოცხლესა და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ტყეების სამართავად და გაუდაბნობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც ხელს უწყობენ რესურსების გამოყენების რეგულირებას. ბიომრავალფეროვნების მხარდასაჭერად გათვალისწინებულია ინვესტიციებიც.

ჰაერი, რომელსაც ვსუნთქავთ; წყალი, რომელსაც ვსვამთ; საკვები, რომელსაც ვჭამთ - სწორედ ტყეებში იღებს სათავეს. ხმელეთის სახეობების 80% ტყეებში ბინადრობს (ცხოველები, მცენარეები და მწერები). თუმცა, ბიომრავალფეროვნება უფრო სწრაფად ღარიბდება, ვიდრე კაცობრიობის ისტორიის ნებისმიერ სხვა დროს. ხმელეთის ერთი მეხუთედი (2 მილიარდ ჰექტარზე მეტი) დეგრადირებულია. პრობლემის მასშტაბი რომ უკეთ წარმოვიდგინოთ, ეს უტოლდება ერთად აღებულ ინდოეთისა და რუსეთის ფედერაციის ფართობს. მიწის დეგრადაცია საფრთხის ქვეშ აყენებს 3 მილიარდზე მეტი ადამიანის კეთილდღეობას, რაც იწვევს სახეობების გადაშენებასა და კლიმატის ცვლილების გააქტიურებას. ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემების მომსახურება, შეიძლება იყოს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგიის საფუძველი. სწორედ ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებით ხდება შესაძლებელი ადამიანების მედეგობის გაზრდა კლიმატის ცვლილების გავლენისადმი.

## ფაქტები და მონაცემები:

- ✓ ხმელეთის 2 მილიონი ჰექტარი მიწა უკვე დეგრადირებულია, რაც გადაშენების საფრთხეს უქმნის მილიონობით სახეობას და პრობლემას უღრმავებს 3,2 მილიარდ ადამიანს. პრობლემას დამატებით ამძაფრებს კლიმატის ცვლილებაც.
- ✓ ადამიანთა საქმიანობამ შეცვალა დედამიწის ზედაპირის თითქმის 75 პროცენტი. ველური ბუნება დარჩა მხოლოდ 25%-ში, მასშტაბის ასეთმა შემცირებამ გაზარდა ზოონოზური დაავადებების რისკი, როგორცაა COVID-19, ებოლა და სხვა.
- ✓ ცხოველებს შეუზღუდათ საარსებო სივრცე, ამის გამო მეტი შემხებლობა აქვთ ადამიანებთან. ის ვირუსები, რომლებიც ცხოველებში ცირკულირებდა, ახლა ბევრად ადვილად გადადის ადამიანებზე, რაც იწვევს ახალი, აქამდე უცნობი ინფექციური დაავადებების გავრცელებას.

## ტყეები

- ✓ დაახლოებით 1.6 მილიარდი ადამიანის საარსებო წყაროს ტყე და მისი რესურსები წარმოადგენს, მათ შორის 70 მილიონი ადგილობრივი, მკვიდრი, აბორიგენი ადამიანია.
- ✓ ტყეებში ბინადრობს ცხოველების, მცენარეებისა და მწერების სახეობათა 80%-ზე მეტი, რაც მის ბიომრავალფეროვნებაზე მიუთითებს.
- ✓ 2010-დან 2015 წლამდე მსოფლიოში 3.3 მილიონი ჰექტარი ტყის ფართობი დაიკარგა. ამ დანაკარგმა მასზე დამოკიდებული მოსახლეობა კიდევ უფრო გააღარიბა. შეშა მათთვის საწვავი იყო, ხოლო ტყეში მოგროვილი რესურსები - ძირითადი საკვების წყარო.

- ✓ ამჟამად, ნიადაგის დეგრადაციამ შეამცირა მისი პროდუქტიულობა. მან ხმელეთის ტერიტორიის 23 პროცენტი მოიცვა, რამაც საფრთხის წინაშე დააყენა 235-577 მილიარდ აშშ დოლარის ღირებულების წლიური მოსავალი. ამ პრობლემის მასშტაბებს ზრდის პოლინატორების (მაგ., ფუტკარი) დაკარგვის საფრთხე, რომლებიც ქიმიკატებსა და პესტიციდებს ეწირებიან. დამტვერვის გარეშე მცენარეები მოსავალს ვერ მოგვცემენ.
- ✓ ტყეები ძირითადად სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ექსტენსიურ (ფართობის გაფართოება) ზრდას ეწირება, რადგან მოსახლეობის გაზრდილ რაოდენობას მეტი საკვები სჭირდება. სოფლის მეურნეობის ინტენსიური (იგივე ფართობზე ტექნოლოგიების, ირიგაციისა და სხვა მექანიზმებით მოსავლიანობის ზრდა) ზრდისთვის კი ღარიბ ქვეყნებს საკმარისი სახსრები არ აქვთ. ყოველწლიურად 2010 წლიდან მოყოლებული ტყეების 10 მილიონი ჰექტარი იკარგება.
- ✓ გვალვისა და გაუდაბნობის გამო ყოველწლიურად 12 მილიონი ჰექტარი იკარგება (23 ჰექტარი წუთში). ამ დაკარგულ მიწებზე ერთ წელიწადში 20 მილიონი ტონა მარცვლეულის მოყვანა შეუძლებელია.

#### ბიომრავალფეროვნება

- ✓ ბიომრავალფეროვნების დანაკარგების 50%-ით შემცირება ამბიციური და შეუსრულებელი ამოცანა აღმოჩნდა 2020 წლისთვის. IUCN-ის წითელი ნუსხის მიხედვით 31 ათასი სახეობა, რაც 116 ათასი საერთო რაოდენობის 27%-ია, გადაშენების საფრთხის წინაშეა.
- ✓ ველური ბუნების უკანონო მოხმარება და ბრაკონიერობა ართულებს კონსერვაციის მცდელობებს და მთლიანად ჩაშლის პირას აყენებს მას. ცხოველთა და მცენარეთა არალეგალურ ვაჭრობას ადგილი აქვს 120 ქვეყანაში, რაც დაახლოებით 7000 სახეობის შენარჩუნებას უშლის ხელს.
- ✓ ჩვენთვის ცნობილი ცხოველების 8300 ჯიშისა და 8 პროცენტი გადაშენებულია და 22 პროცენტი კი გადაშენების საფრთხის წინაშეა.
- ✓ ჩვენთვის ცნობილი ხეების 80 000 სახეობიდან პოტენციური გამოყენებისთვის 1 პროცენტზე ნაკლებია შესწავლილი.
- ✓ დაახლოებით 3 მილიარდი ადამიანისთვის ცხოველური ცილის 20%-ს თევზი უზრუნველყოფს. ჯამურად თევზჭერის დაახლოებით 30% მხოლოდ ათ სახეობაზე მოდის, ეს 10 სახეობა წარმოებული აკვაკულტურის დაახლოებით 50%-ია.
- ✓ ღიეტის დროს ადამიანის საკვების 80%-ზე მეტს მხოლოდ სამი მარცვლეული კულტურა შეადგენს - ბრინჯი, სიმინდი და ხორბალი, რაც უზრუნველყოფს მისი ენერჯის 60%-ს.
- ✓ განვითარებადი ქვეყნების სოფლად მცხოვრები ადამიანების 80% სამკურნალოდ ტრადიციულ ცოდნასა და მცენარეებზე დაყენებულ საშუალებებს იყენებს.
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ დაცული ტერიტორიები ხმელეთის 15%-სა და აკვატორიის 7%-ს შეადგენს, ისინი მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავენ ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვან ადგილებს. ტერიტორიები, რომლებზეც ბინადრობენ სახეობები, რომლებიც გადაშენების საფრთხის წინაშე დგანან, ჯერ კიდევ არ არის სრულად დაცული ტერიტორიების ქსელი.

## ტერმინები

**გაუდაბნობა** - მიწის დეგრადაცია არიდულ, სემიარიდულ და მშრალ სუბჰუმიდურ ტერიტორიებზე. დეგრადაცია შესაძლოა გამოწვეული იყოს კლიმატური და სხვა ბუნებრივი ფაქტორებით, მაგრამ ადამიანის საქმიანობა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ამ პროცესზე. ჩვეულებრივ, ამის მიზეზია ის, რომ მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ინტენსიურად ეწევიან მიწათმოქმედებას და აძოვებენ პირუტყვს. გაუდაბნობების შედეგად იკარგება ბიომრავალფეროვნება და ქვეითდება ნიადაგის ნაყოფიერება. მრავალფეროვანი ბუნებრივი ეკოსისტემები ერთგვაროვანი (ერთი დომინანტი მრავალწლოვანი სახეობის შემცველი) ეკოსისტემით იცვლება.

**ბიომრავალფეროვნება** - არის სიცოცხლის ფორმების ნაირსახეობა მოცემულ ეკოსისტემაში, ბიომში ან მთელ დედამიწაზე; გარეული ცხოველებისა და ველური მცენარეების მრავალსახეობა, ხმელეთის, ზღვისა და წყლის ეკოსისტემები და ეკოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მოიცავენ მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემებში; ცოცხალ ორგანიზმთა მრავალსახეობა, ხმელეთის, ზღვისა და წყლის ეკოსისტემები და ეკოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მოიცავენ მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემებში. ბიომრავალფეროვნება ხშირად გამოიყენება, როგორც ბიოლოგიური სისტემების ჯანმრთელობის საზომი.

**ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი** (International Union for Conservation of Nature; **IUCN**) - არაკომერციული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანია ბუნების კონსერვაცია/დაცვა. ის დაარსდა 1948 წლის ოქტომბერში საფრანგეთში. მისი შტაბბინა მდებარეობს შვეიცარიის ქალაქ გლანდში. კავშირი აერთიანებს მსოფლიოს 82 ქვეყანას, 111 სამთავრობო უწყებას, 800 არასამთავრობო ორგანიზაციასა და მსოფლიოს 181 ქვეყნის 10 000 მეცნიერსა და ექსპერტს.

**ეკოსისტემა** - ცოცხალ ორგანიზმთა თანასაზოგადოება და ის ფიზიკური გარემო, სადაც ისინი არიან დასახლებული.

**კონსერვაცია** - დედამიწის ბუნებრივ რესურსებზე (ჰაერი, სასარგებლო წიაღისეული, მცენარეები, ნიადაგი, წყალი, ფლორა და ფაუნა) ზრუნვა და მათი დაცვა მომავალი თაობებისთვის შესანარჩუნებლად. იგი მოიცავს სახეობების, ჯიშებისა და ეკოსისტემების მრავალფეროვნების შენარჩუნებას.

**ნიადაგის დეგრადაცია** - პროცესი, რომლის შედეგად ნიადაგი კარგავს დაგროვილ ორგანულ ნივთიერებებს, რის შედეგადაც იკარგება მისი ნაყოფიერება.

**ჰაბიტატი** - ადგილი ან გარემო, სადაც მცენარე ან ცხოველი ბუნებრივად იზრდება და ცხოვრობს.

**პოლინატორები** - სასარგებლო მწერები, რომლებიც მინდვრებისა და ბაღების განუყოფელი ნაწილია. ზოგიერთი სასარგებლო სახეობა მავნებლების განეიტრალებასაც უწყობს ხელს. მათ გარეშე ვერ მოხდება დეკორაციული თუ საკვები მცენარეების დამტვერვა.

## სიცოცხლე ხმელეთზე და მასთან დაკავშირებული საფრთხეები

ბიომრავალფეროვნება სხვადასხვა ეკოსისტემის, ამ ეკოსისტემებში არსებული ცოცხალი ორგანიზმების სახეობების ერთიანობას წარმოადგენს, რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის კეთილდღეობა. დედამიწაზე არაფერია ისე კომპლექსური, ღინამიკური და მრავალფეროვანი, როგორც ამ ცოცხალი ორგანიზმების ერთობლიობა. ბიომრავალფეროვნებაზე მოქმედი ძირითადი საფრთხეებია: საბინადრო გარემოს განადგურება, დეგრადაცია და ფრაგმენტაცია, ჭარბი მოპოვება, უცხო სახეობების შემოყვანა, დაბინძურება და კლიმატის ცვლილება. ჰაბიტატების დეგრადაციისა და მზარდი, არარეგულირებული მოხმარების გამო მცენარეებისა და ცხოველების მრავალი სახეობა გადაშენების ზღვარზეა.

დღესდღეობით ტყის საფარი დედამიწაზე არსებული ხმელეთის მესამედს შეადგენს და იგი პლანეტისთვის ყველაზე უფრო ორგანულ ადგილს წარმოადგენს, რომლის მიღმაც უამრავი ცოცხალი არსება ბინადრობს. ყოველწლიურად ადამიანები მილიონობით ჰექტარ მიწას ითვისებენ, რაც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვნად ამცირებს ტყის საფარს. ნადგურდება ეკოსისტემები, რის შედეგადაც სიცოცხლეს წყვეტს უამრავი ცოცხალი ორგანიზმი. გარდა იმისა, რომ ტყეს დიდ ზიანს აყენებს ადამიანის საქმიანობა, ხშირად ეს ადგილები ადამიანის საქმიანობას მთლიანად ეწირება, რისი მაგალითებიც ამაზონისა და ავსტრალიის ხანძრებია. ძალიან ბევრი მიზეზის გამო ტყეს გაფრთხილება სჭირდება. რა მნიშვნელობა აქვს ტყეებს:

**სუნთქვაში დახმარება** - გამოყოფს ჟანგბადს და შთანთქავს ნახშირორჟანგს, რომელსაც ჩვენ ამოვისუნთქავთ. ერთი ხე დღის განმავლობაში იმდენ ჟანგბადს აწარმოებს, რამდენიც დღიურად მინიმუმ ორი, მაქსიმუმ კი ათი ადამიანისთვისაა საჭირო.

**ცოცხალი ორგანიზმების საარსებო გარემო** - ხმელეთზე არსებული ცოცხალი ორგანიზმების 80% ტყის ბინადარია. ყველაზე უფრო მრავალფეროვანი სახეობებით კი ტროპიკული ტყეები გამოირჩევიან. თუკი ტყეებს საფრთხე დაემუქრებათ, შესაბამისად, განადგურდება ცოცხალი ორგანიზმებიც.

**ტყე ადამიანების საცხოვრებელი გარემო** - მსოფლიო მასშტაბით ტყეში დაახლოებით 300 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, უფრო მეტი კი – ტყეების სიახლოვეს. ამიტომაც, ტყის მოფრთხილება საჭიროა არა მხოლოდ აქ არსებული ხეებისა და სხვადასხვა ცოცხალი ორგანიზმის გამო, არამედ მოსახლეობის კეთილდღეობისთვისაც.

**ტემპერატურის რეგულაცია** - ტყე მნიშვნელოვან როლს თამაშობს კლიმატის დარეგულირებაშიც. ტყის საფარი აკავებს მზიდან წამოსულ ულტრაიისფერ სხივებს და ხელს უწყობს სიგრილის შენარჩუნებას, ეს უკანასკნელი ხელს უშლის გლობალურ დათბობას. რაც უფრო შემცირდება ტყის საფარი, მით უფრო მწვავედ გამოიხატება კლიმატის ცვლილება.

**წყალდიდობების პრევენცია** - ხეთა ფესვებს აქვთ უნარი, მაქსიმალურად შეიწოვონ წყალი, რაც შესაძლებელს ხდის წყალდიდობის თავიდან არიდებას. ხეები აკავებს დიდი რაოდენობით წყალს, რაც ხელ უშლის ნიადაგის გადარეცხვას, შედეგად კი ნაკლებად ზიანდება გარემო.

**ქარის ზემოქმედების შემცირება** - ხშირად ფერმერები თავიანთი საქმიანობისთვის სწორედ ტყისპირა ადგილებს ირჩევენ, რადგან აქაურობა საკმაოდ ნაყოფიერი და მდიდარია. გარდა ტყის ამგვარი სარგებლისა, აქ არსებული ხეები ბლოკავენ ქარს, რაც ეხმარება ფერმერებს. ქარისმიერი ეროზიისგან სახნავ-სათესებს ხშირად ქარსაცავი ზოლების ხელოვნურად დარგვით იცავენ.

**ხმაურის შეკავება** - ხმაურის საუკეთესო ბარიერი სწორედ ტყეა, რომელიც ახშობს გარე ხმებს და იცავს გარემოს ხმაურით დაბინძურებისგან.

**საკვებით მომარაგება** - როცა ადამიანები ჯერ კიდევ შემგროვებლობით იყვნენ დაკავებული, სწორედ ტყე ითვლებოდა დასასახლებლად საუკეთესო გარემოდ, რადგან თავშესაფარს, საწვავ რესურსს გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად, და საკვებს - ყველაფერს აწვდიდა მათ.

**მედიკამენტებით მომარაგება** - იგი უამრავი ბუნებრივი მედიკამენტის საბაღოა, რომლებიც სერიოზულ დაავადებებს კურნავენ. მაგალითად, ასთმის პრეპარატ თეოფილინს კაკაოს ხეებიდან მოიპოვებენ.

დაკარგული ტყეები ნიშნავს სოფლის მოსახლეობისთვის საარსებო წყაროს გაქრობას, ნახშირბადის გამონაბოლქვის გაზრდას, ბიომრავალფეროვნების შემცირებას და მიწის დეგრადაციას. ბიომრავალფეროვნების შესახებ გავროს უახლესი ანგარიში აჩვენებს, რომ ცხოველისა და მცენარის დაახლოებით 1 მილიონ სახეობას გადაშენება ემუქრება. ეს ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაცილებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე ოდესმე კაცობრიობის ისტორიაში.

საკვების მოსაყვანად წამყვანი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის მდგომარეობას, მის ნაყოფიერებას. ნიადაგში უმთავრესად ფარული პროცესები მიმდინარეობს და ამის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ ვიგებთ, რაც მცენარეებსა და ცხოველებს საფრთხე დაემუქრება ან სულაც გადაშენდება. უდიდეს კატასტროფებს ხშირად მოჰყვება სწორედ ნიადაგის გადაგვარება - დაბინძურება, მისი მჟავიანობის მომატება, ნაყოფიერების დაკარგვა, რომელიც ხმელეთის სხვადასხვა უბანზე სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს. ამის მიზეზი კი უმთავრესად სოფლის მეურნეობის არასწორი მენეჯმენტია.

ნიადაგი ცოცხალი ბუნების მთავარი კომპონენტია. წყლის ინფილტრაციით ის ხელს უწყობს მისი წრებრუნვის პროცესს. გამოიყენება დაავადებებთან საბრძოლველად და, რაც მთავარია, სოფლის მეურნეობის წარმმართველია, გვაძლევს საკვებს, ტანსაცმელს, ტექნიკურ მცენარეებს. კაცობრიობის განვითარების ისტორიის უდიდესი ნაწილი მიწათსარგებლობასა და მეცხოველეობასთან არის დაკავშირებული.

როდესაც ბუნების კონსერვაციაზე ვსაუბრობთ, მთავარი საზრუნავი სწორედ ნიადაგი უნდა იყოს. ნიადაგის თითოეული სანტიმეტრის ჩამოყალიბებას ასეულობით წელი სჭირდება. თანამედროვე ცხოვრების ტემპი და განვითარების მასშტაბი დიდ საფრთხეს უქადის ნიადაგის ნაყოფიერებას, მისი შენარჩუნება კი თითოეული ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ნიადაგის დეგრადაცია გულისხმობს მის რაოდენობრივ და თვისებრივ შემცირებას, რომლის დროსაც ხდება:

- ✓ წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია,
- ✓ ბიოლოგიური დეგრადაცია (ჰუმუსის დაკარგვა, ცვლილებები მცენარეებისა და ცხოველების სასიცოცხლო ციკლში);
- ✓ ფიზიკური დეგრადაცია (სტრუქტურის შეცვლა, ფორიანობის შემცირება);
- ✓ ქიმიური დეგრადაცია (მჟავიანობა, ნაყოფიერების შემცირება, PH-ის ცვლილება, დამლაშება, ქიმიური ტოქსიკაცია).

ნიადაგის დეგრადაციის მიზეზებია: ბუნებრივი მცენარეული საფრის შემცირება, რომლის დროსაც მისი ზედაპირი ეროზიისადმი უფრო მოწყვლადი ხდება; არამდგრადი მიწათსარგებლობა, გადამეტებული მორწყვა; სასუქების, პესტიციდების არასწორი გამოყენება და საძოვრებად გადამეტებული გამოყენება; მიწისქვეშა წყლების ზედმეტი გამოყენება, რამაც

შესაძლოა მიწა გამოაშროს და მისი ფიზიკური დეგრადაცია გამოიწვიოს; ატმოსფეროში მძიმე ლითონებისა და სხვა დამაბინძურებლების მაღალი შემცველობა, რაც არღვევს ნიადაგის ბუნებრივ წონასწორობას.

ბუნებრივი გარემოს შემცირება იწვევს ზოონოზური დაავადებების საფრთხეს - ველური ბუნებიდან ადამიანებზე გადაცემულ დაავადებებს, როგორცაა ებოლა, COVID-19 და სხვა. ყოველწლიურად, ძირითადად დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე განვითარებად ქვეყნებში, დაახლოებით ორი მილიონი ადამიანი იღუპება ზოონოზური დაავადებებისგან, თუმცა კოვიდის სტატისტიკამ კიდევ უფრო საშიში მასშტაბები შეიძინა. მოიცვა მთელი დედამიწა, დაავადებულთა რაოდენობამ 20 ნოემბრისთვის 250 მილიონს გადააჭარბა, ხოლო დაღუპულების - 5 მილიონს. პანდემია ჯერ კიდევ აქტიურ ფაზაშია, შესაბამისად, რაოდენობაც გაიზრდება.

ყურადსაღებია ზოონოზური დაავადებები, რადგან მათ შეიძლება საფრთხის წინაშე დააყენონ ადამიანების ჩვეული ყოფა. მსგავსმა აფეთქებებმა შეიძლება გამოიწვიოს მძიმე ავადმყოფობები, სიკვდილი და პროდუქტიულობის დაკარგვა განსაკუთრებით იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც ადამიანი მეცხოველეობას მისდევს და იზრდება ცხოველიდან ადამიანზე დაავადების გადაცემის შესაძლებლობა. ასობით მილიონი მცირე ფერმერის გაღარიბება სწორედ მსგავსმა დაავადებებმა გამოიწვია. მხოლოდ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ზოონოზურმა დაავადებებმა 100 მილიარდ დოლარზე მეტი ეკონომიკური ზარალი მოიტანა. ამ თანხაში ასახული არ არის COVID-19-ის ზარალი, რომელიც პროგნოზით 9 ტრილიონ დოლარს მიაღწევს.

ადამიანის ჯანმრთელობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ნიადაგის სისუფთავეზე. საფრთხის შემცველია მისი სამრეწველო, საყოფაცხოვრებო თუ სხვა ნარჩენებით დაბინძურება. მოსახლეობის რაოდენობა იზრდება, ნიადაგის ნაყოფიერების შემცირება კი შიმშილობის პრობლემას ამძაფრებს. გარდა ამისა, დაბინძურებულ ნიადაგზე მოწეული მოსავალი ვნებს ჯანმრთელობას. იგივე ეხება ტყეების ფართობის შემცირებას, რაც პირდაპირ აუარესებს სასიცოცხლო პირობებს, ამძაფრებს კლიმატის ცვლილების დამანგრეველ ზემოქმედებას და ასევე ბევრად ამცირებს ჰაერის ინფილტრაციას, რაც ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესების ან უარეს შემთხვევაში სიკვდილის მიზეზად შეიძლება იქცეს.

## პრობლემის მოგვარების გზები

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს დაცული ტერიტორიების ზონების დადგენა.

ნიადაგის დეგრადაციის შემცირების სტრატეგიები, ისეთები, როგორებიცაა ხეების დარგვა, მექანიზაციის მდგრადი პროცესების განხორციელება, ფერდობების დატერასება, ზომიერი ირიგაცია და ღია სარწყავი სისტემების ჩანაცვლება, ქარსაცავი ზოლების განაშენიანება და სხვა - მოსახლეობის შიმშილისგან დაცვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ტრადიციული მეთოდები ხშირად ვერ უზრუნველყოფენ ნიადაგის საფრის დაცვას. ამდენად, მნიშვნელოვანია მოსახლეობის იმ ნაწილის ახალი უნარ-ჩვევებით აღჭურვა, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევენ.

ერთ-ერთი მექანიკური მეთოდია შემაკავებელი ბარიერების აშენება, რაც ნიადაგის გადარეცხვასა და ქარის მიერ ნაყოფიერი ნაწილაკების გადატანას შეუშლის ხელს; ასევე –

ფერდობების დატერასება და კონტურული ხვნა, ხეების ბარიერებად გამოყენება, რაც ჩამოტანილი ნიადაგის ნაყოფიერ ფენას ადგილზე დააკავებს. ქარსაცავი ზოლები უფრო მეტად ქარისმიერი ეროზიის შემაკავებლად მიიჩნევა და ზრდის მოსავლიანობას, რადგან ნიადაგის ნაყოფიერება მისი ზედა ფენის შენარჩუნებით არ მცირდება. ქარსაცავი ზოლი ქარის სისწრაფესაც ამცირებს.

**ხვნა-თესვის ტექნიკა** - იქ, სადაც ერთწლიანი ნარგავებია, მოსავლის აღების შემდეგ მცენარეთა ფესვები უნდა დარჩეს, რათა გაამაგროს ნიადაგის ფენა და მოშიშვლებული ზედაპირი ადვილად არ გამოიქაროს. შესაძლებელია ზედაპირის ბალახით გამწვანება. მცენარეები აჩერებენ ეროზიას და ხელს უშლიან ქარისა და წყლის მიერ ნიადაგიდან ნაყოფიერი ნაწილაკების დაყოფასა და გადატანას.


ჩვენ ხმელეთზე ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის, ბუნების რეგენერაციისთვის არაერთი სასარგებლო რამის გაკეთება შეგვიძლია: მოხმარებული რესურსების შემცირება, მათი მეორადი გადამუშავება, ადგილზე მოყვანილ და წარმოებულ პროდუქციაზე არჩევანის გაკეთება. ადგილობრივი პროდუქციით დიეტის დაცვა უფრო მდგრადია, რადგან ნაკლები დანაკარგი აქვს, ტრანსპორტირების შედეგად არ რჩება ნახშირორჟანგის ნაკვალევი, რომელიც გარემოზე მავნე ზემოქმედებას ახდენს, ასევე იზოგება მისი შენახვის პირობებისთვის აუცილებელი დიდი ენერგოდანახარჯები.

ჩვენ უნდა, დავგეგმოთ ისეთი აქტივობები, რომლებსაც ბუნებაზე მინიმალური ზემოქმედება აქვს, როგორებიცაა - ეკოტურიზმი. ტურიზმის აღნიშნული სახეობა საშუალებას იძლევა პასუხისმგებლობით და ეთიკურად გამოვიყენოთ ველური ბუნება და თავიდან ავიცილოთ დარღვევები. კარგად მართული დაცული ტერიტორიები ხელს უწყობენ ეკოსისტემების გაჯანსაღებას, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება ადამიანების ჯანმრთელობაზე. ამიტომ დაცული ტერიტორიების განვითარებასა და მართვაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი თემების ჩართულობას.

## ქეისი - კუზნეცის მოდიფიცირებული მრუდი

განვიხილოთ, როგორ ხდება გარემოზე ზრუნვა განსხვავებული ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში.

ამისათვის საინტერესო ჰიპოთეზა წამოაყენეს გეოგრაფებმა და ეკონომისტებმა, რომელთა ვიზუალიზაცია პარაბოლის სახით ქვემოთ არის წარმოდგენილი:



ეს კუზნეცის მრუდის მოდიფიკაციაა, რომელიც უთანასწორობას ეხებოდა და ამტკიცებდა, რომ განვითარების გარიჟრაჟზე უთანასწორობა მცირეა. რაც უფრო ვითარდება ქვეყანა ეკონომიკურად, მით უფრო თვალსაჩინო ხდება განსხვავებები მდიდარსა და ღარიბს შორის ქვეყნის შიგნით, რაც ნელ-ნელა, განვითარების გარკვეული სტადიის შემდეგ მცირდება.

ამავე იდეის მატარებელია ზემოთ მოცემული მრუდიც, რომელიც 1990 წელს გროსმანმა და კრუგერმა ნაფტა-ს ქვეყნებზე დაკვირვებით შეიმუშავეს. თემის პოპულარიზაცია მსოფლიო ბანკმა 1992 წლის ანგარიშში მისი გამოყენებით მოახდინა. მოკლედ მისი მთავარი იდეა ასე ჟღერს, ქვეყანაში გარემოს დაბინძურება გაიზრდება, სანამ მიმდინარეობს სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა, მაგრამ განვითარების გარკვეულ საფეხურზე ქვეყანა დაიწყებს გარემოზე ზრუნვას და დაბინძურებაც შემცირდება.

ამ ყველაფრის მაგალითად შეგვიძლია ევროპის განვითარებული ქვეყნების გზა განვიხილოთ. ეს ქვეყნები თავს გარემოსდაცვითი პოლიტიკით იწონებენ და ბევრსაც აკეთებენ მის განსამტკიცებლად. ინდუსტრიამდელ პერიოდში, როცა ისინი იწყებდნენ განვითარებას, გარემო არ იყო დაბინძურებული საწარმოო ნარჩენებით, ქიმიკატებითა და გამონაბოლქვით. ზოგადად, მათი ეკოლოგიური ნაკვალავი იყო მინიმალური. არ იყო ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ეკონომიკის განვითარების სახელით გარემოს გაანადგურებდა. მაშინ მხოლოდ ტყეების ფართობის მკვეთრი შემცირება და ეროზია მიმდინარეობდა, რადგან საწვავად და საშენ მასალად მორები და შეშა გამოიყენებოდა. თუმცა დროთა განმავლობაში როცა ეკონომიკამ სწრაფი აღმავლობა განიცადა, განვითარდა ინდუსტრია, საწვავად მხოლოდ ენერჯის ტრადიციული წყაროები გამოიყენებოდა. ვითარდებოდა ტექნოლოგიები და ჩამოყალიბდა მომხმარებლური კულტურა, რამაც იმდენად შეცვალა გარემო, რომ ქვეყნებმა სიტუაციის გამოსასწორებლად საერთაშორისო კონვენციებსა და შეთანხმებებს მიმართეს. დაიწყო საწარმოების გაწმენდა, უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიებით არსებულის ჩანაცვლება და ასევე ზოგი დამაბინძურებელი ინდუსტრიის რელოკაცია, ანუ განვითარებად ქვეყნებში გადატანა. დადებითად მოქმედებს გარემოს გაჯანსაღებაზე მკაცრი რეგულაციების შემოღება, მაღალი ჯარიმების დაწესება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

დღეისათვის ამ გზას გადიან სხვა ქვეყნები. უმეტესად ესენი არიან აზიისა და ლათინური ამერიკის განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნები, სადაც არნახული ტემპებით იზრდება საწარმოების რაოდენობა, მთლიანად ინდუსტრია, ავტოტრანსპორტის რაოდენობა. თანამედროვე განვითარების ტემპმა გაუსწრო განვითარებული ქვეყნების განვითარების ტემპსაც, რადგან დღეს ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ქვეყნებს ბევრად მეტის საშუალება მისცა. ამდენად პრობლემების მასშტაბებმა ბევრად მწვავედ იჩინა თავი. განსაკუთრებით ეს შესამჩნევია თანამედროვე მსხვილ ქალაქებში. აქ მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვე და ძალიან მწვავედ დგას გამონაბოლქვის პრობლემა. სწრაფად მზარდი ეკონომიკის ქვეყნების დედაქალაქები ძირითადად თბილი და ნოტიო კლიმატით გამოირჩევა, რაც ზრდის სმოგის წარმოქმნის ალბათობას. ეს კიდევ უფრო მწვავედ აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. პილოტები, რომლებიც ბანგკოკში დაფრინავენ, ამბობენ, რომ ქალაქის მდებარეობის განსაზღვრა შორიდან, ყოველგვარი თანამედროვე აპარატურის გარეშე არის შესაძლებელი, რადგან მას თავზე გუმბათივით ადგას გამონაბოლქვის ღრუბელი. ეს არ არის მხოლოდ მომწამვლელი აირები. აქ ჭვარტლის ნაწილაკები (SPM) ბენზოლს შეიცავს. ის იმდენად მცირე - 2,5 მიკრონის ზომისეხება, რომ ადვილად ხვდება ფილტვებში და შეუძლია სიმსივნური დაავადებების გამოწვევა. მაგალითად, ჯაკარტაში, ბანგკოკსა და შანხაიში ავტომობილებით გადაადგილებას იმდენად დიდი მასშტაბი აქვს, რომ ზოგ ადგილებში ფეხით მოსიარულეთათვის ტროტუარებიც კი არ არის გათვალისწინებული. ამ პრობლემის გამო ყველაზე დიდი საცობები სწორედ ბანგკოკში გვხვდება, აქ მანქანა წლის მანძილზე 44 დღის ეკვივალენტს საცობში ატარებს.

ასეთ ქვეყნებს აქვთ შესაძლებლობა, გაითვალისწინონ უკვე დაწინაურებული ქვეყნების გამოცდილება და თავად არ გაიმეორონ ის შეცდომები, რომლებსაც შეუქცევადი ხასიათი აქვს.

არ ავნიშნავს გარემოს ისე, რომ ეს ზარალი ბუნების კომპონენტების რეგენერაციის (თვითაღდგენის) უნარს აღემატებოდეს. გარემოს დეგრადაციის გარდა, ეს ვითარება მოსახლეობაში მძიმე ონკოლოგიურ და სხვა დაავადებებს ავითარებს. ასეთი ქვეყნების მთავრობების გაცხადებით, მათ არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ თავს გარემოს დაცვის უფლება მისცენ. ასევე ითხოვენ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა მათ თავს არ მოახვიონ სხვადასხვა ხელ-ფეხის შემბოჭველი გარემოსდაცვითი რეგულაციები და მისცენ განვითარების საშუალება, როგორც განვითარებული ქვეყნები აკეთებდნენ წარსულში.

და, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ მთელი „მრუდი“ აქვთ გასავლელი განვითარებადი ქვეყნების ყველაზე სუსტად განვითარებულ ქვეყნებს. ამ ქვეყნებში ეკონომიკა იმდენად ჩანასახობრივ დონეზეა, რომ მისი შედეგები გარემოზე უმნიშვნელოა, მოსახლეობის შემოსავლები კი იმდენად მცირე - რომ ხშირ შემთხვევაში საარსებო მინიმუმს ვერ აკმაყოფილებს. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სოფლის მეურნეობაშია ჩაბმული და თვითკმარი მეურნეობები აქვთ. ისინი მხოლოდ ბუნებრივ პირობებზე არიან დამოკიდებული, და განვითარებული და სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების მიერ გამოწვეული გლობალური კლიმატცვლილებების უარყოფით შედეგებს თავის თავზე იწვნევენ. ეს გამოხატულია განხილული შტორმული ხასიათის ამინდებით, გახანგრძლივებულ გვალვებითა და თავსხმა წვიმებით, რასაც ხშირად მოსავლის განადგურება მოჰყვება. თუკი ამგვარ ბუნებრივ კატასტროფებს განვითარებული ქვეყნები თავს ადვილად ართმევენ, ამ ქვეყნებში ეს შიმშილობისა და სიკვდილის მიზეზადაც კი შეიძლება იქცეს.

კუზნეცის მრუდის მიხედვით ყველა ქვეყანა საბოლოო ჯამში განვითარების მიღწევის შემდეგ შეამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას, თუმცა ეს თავისთავად ვერ მოხდება. ამის მისაღწევად საჭიროა დროული ჩარევა, მოსახლეობის განათლებაზე ზრუნვა, მათი ცნობიერების ამაღლება, რომ ერთ მოსაჭრელ ხესაც კი ათასობით დამცველი გამოუჩნდეს, როგორც ეს ჩვენს მეზობელ თურქეთში მოხდა; საჭიროა ასევე - მთავრობის კოორდინირებული მუშაობა, რომ გარემო ინფრასტრუქტურულ პროექტებს არ გადაჰყვეს.

*გაეცანით მასალას მე-15 მიზანზე და ასევე ქუის კუზნეცის მოდიფიცირებული მრუდი. გამართეთ დისკუსია - მოითხოვს თუ არა ეკონომიკური განვითარება გარემოს პრობლემების უფლებელყოფას?*

*აქვთ თუ არა თანამედროვე სამყაროში ქვეყნებს მორალური უფლება, იფიქრონ საკუთარ კეთილდღეობაზე ბუნების საზიანოდ და მისი დაცვა მომავლისთვის გადადონ, როცა ქვეყანა ეკონომიკურად მომძლავრდება?*

მდგრადი განვითარების მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის; მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასათვის; ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე



კონფლიქტი, დაუცველობა, სუსტი ინსტიტუციები და მართლმსაჯულებაზე წვდომის ნაკლებობა მდგრადი განვითარებისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ რჩება. ადამიანი უნდა ცხოვრობდეს და საქმიანობდეს შიშისგან თავისუფალ გარემოში, მასზე არავინ უნდა ძალადობდეს, თავს დაესხოდეს უნდა გრძნობდეს, მიუხედავად სქესისა, ეთნიკური, რელიგიური თუ სექსუალური ორიენტაციისა.

2019 წელს ომის, დევნისა და კონფლიქტების გამო გაქცეული ადამიანების რიცხვმა 79,5 მილიონს გადააჭარბა. რეკორდულ რიცხვს მიაღწია. ყოველ მეოთხე ბავშვს არ აქვს იდენტობის დამადასტურებელი კანონიერი დოკუმენტი. მისი უქონლობა უზღუდავს მათ უფლებას, მიიღონ განათლება, სამედიცინო მომსახურება, დახმარებები, კანონიერად დასაქმდნენ. COVID-19-ის პანდემიამ კიდევ უფრო გაამძაფრა ექსპლუატაცია და ძალადობა, რაც კიდევ უფრო დაასუსტებს ქვეყნებს და ხელს შეუშლის მათ წინსვლას.

მკვლევობების (მათ შორის ფემიციდი, ქალებზე ძალადობის უკიდურესი ფორმა, ქალთა მკვლელობა), ბავშვთა მიმართ ძალადობის, ტრეფიკინგისა და სექსუალური ძალადობის საფრთხეების აღმოფხვრა მნიშვნელოვანია, რათა მდგრადი განვითარებისთვის ხელი შეეწყოს მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების შექმნას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ყველა ადამიანის მართლმსაჯულებაზე წვდომასა და ყველა დონეზე ეფექტური, სანდო ინსტიტუციების შექმნას. უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა ძალადობის მასშტაბი.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მკვლევობებისა და ტრეფიკინგის შემთხვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, ლათინურ ამერიკაში, აზიასა და სუბ-საჰარის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ათასობით ადამიანი სიცოცხლის ხელყოფის დიდი რისკის ქვეშაა. ბავშვთა უფლებების დაცვა (სექსუალური ძალადობა, აგრესია) მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის კვლავ დიდ გამოწვევას წარმოადგენს. ამ პრობლემას განსაკუთრებით ამძაფრებს, როცა არსებობს მისი აღრიცხვიანობის ხარვეზი ან/და მის შესახებ არ განაცხადებენ.

იმისათვის, რომ გავუმკლავდეთ ხსენებულ გამოწვევებს და შევქმნათ უფრო მშვიდობიანი და სოციალურად თანასწორი საზოგადოება, საჭიროა, მიღებულ იქნას უფრო ეფექტიანი და მკაფიო რეგულაციები. თითოეული ინდივიდის უფლებების დასაცავად წინგადადგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი უნდა იყოს მსოფლიოს მასშტაბით ახალდაბადებულების რეგისტრაციის პრაქტიკის დანერგვა და ადამიანების უფლებების დაცვის უფრო დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუციების შექმნა.

## ფაქტები და მონაცემები:

- ✓ კორუფციით ყველაზე მეტად დაზარალებულ ინსტიტუციებს შორისაა სასამართლო და პოლიცია. სწორედ ისინი უნდა ემსახურობდნენ სამართლიანობის აღდგენას და ებრძოდნენ ძალადობასა თუ კანონისგან გადაცდენებს.
- ✓ ნავარაუდევია, რომ კორუფცია, მექრთამეობა, ქურდობა და გადასახადებისგან თავის არიდება განვითარებად ქვეყნებში ძალიან დიდ მასშტაბებს აღწევს და წელიწადში 1,26 ტრილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა სწორედ ამ კრიმინალურ და არალეგალურ საქმიანობაში ტრიალებს.
- ✓ დაბადების რეგისტრაცია და შესაბამისი მოწმობა 5 წლამდე ასაკის ბავშვების 73%-ზეა გაცემული. სიდარიბესთან ბრძოლის გზების დასახვისას აღრიცხვიანობის ხარვეზი არასწორი შეფასებების, მოდელირების მიზეზი ხდება ხოლმე. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო საგანგაშოა აფრიკის კონტინენტზე, სუბ-საჰარის რეგიონში. აქ ბავშვების მხოლოდ 46%-ს აქვს დაბადების მოწმობა.
- ✓ ბოლო ათწლეულში თითქმის უცვლელი დარჩა იმ პატიმრების რაოდენობა, რომლებიც სასჯელის წაყენების გარეშე არიან დაკავებული, რაც მათი საერთო რაოდენობის 31%-ს შეადგენს.
- ✓ ყოველდღიურად შეიარაღებულ კონფლიქტებში 100 მშვიდობიანი მოქალაქე იღუპება.
- ✓ 127 ქვეყანას მიღებული აქვს კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თავისუფლებაზე.

## ძალადობა

- ✓ გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს (UNHCR) მონაცემებით, ომიდან და კონფლიქტებიდან გაქცეულთა რიცხვმა 2018 წელს 70 მილიონს გადააჭარბა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში.
- ✓ 2019 წელს, გაეროს მონაცემებით, 47 ქვეყანაში უფლებადამცველების, ჟურნალისტებისა და პროფკავშირის წარმომადგენლების - 357 მკვლელობა და 30 ძალადობრივი გაუჩინარება დაფიქსირდა.
- ✓ ბავშვთა მიმართ ძალადობა გავლენას ახდენს 1 მილიარდზე მეტ ბავშვზე მთელ მსოფლიოში, რაც საზოგადოებისთვის წელიწადში 7 ტრილიონი აშშ დოლარის ზარალად არის შეფასებული. ბავშვების 50 პროცენტი ყოველწლიურად განიცდის რაიმე ფორმის ძალადობას. ყოველ 7 წუთში ძალადობის შედეგად ერთი ბავშვი იღუპება.
- ✓ 18 წლამდე 10 ბავშვიდან 1 სექსუალურ ძალადობას განიცდის.
- ✓ 10 ბავშვიდან 9 ცხოვრობს ისეთ ქვეყანაში, სადაც ფიზიკური დასჯა აკრძალული არ არის და აღზრდის ნაწილად ითვლება, რის გამოც 732 მილიონი ბავშვი იურიდიულად დაცული არ არის.
- ✓ მსოფლიოში ინტერნეტის ყოველი 3 მომხმარებელიდან ერთი ბავშვია, რომელთაგან 800 მილიონი იყენებს სოციალურ მედიას და ხდება ონლაინძალადობის მსხვერპლი.

## ტერმინები

**ლტოლვილი** - ლტოლვილად პირი ითვლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი გადაკვეთს ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვარს და შემწეობისა და მფარველობისათვის უცხო ქვეყნის ხელისუფლებას მიმართავს.

**იძულებით ადგილნაცვალ პირები (Internally Displaced Persons-IDPs)** - პირველად ეს ტერმინი გაჩნდა ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუციაში. 1975 წლიდან ერთმანეთისაგან ასხვავებენ ლტოლვილებსა და ადგილმონაცვლე პირებს (იგივეა „იძულებით გადაადგილებული პირები“, „დევნილები“). თუ ლტოლვილები არიან პირები, რომლებმაც გადაკვეთეს თავიანთი ქვეყნის საზღვრები, ადგილმონაცვლე პირები ქვეყნის საზღვრებში რჩებიან. გადაადგილების მიზეზი კი განსხვავებულია: შეიძლება საფრთხე შეექმნა მას ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ეს საფრთხე შეიძლება იყოს ეკოლოგიურიც.

**კორუფცია** არის საჯარო მოსამსახურის მიერ თანამდებობის ან თანამდებობასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით; აგრეთვე ამ სიკეთის გადაცემა მისთვის ან ხელის შეწყობა მის მიღებასა და დაკანონებაში.

**ტრეფიკინგი** - ტრეფიკინგის მსხვერპლად ითვლება ადამიანი, რომელიც იქნა დაქირავებული, ტრანსპორტირებული, გადაცემული, დამალული, უკანონოდ შემოყვანილი ქვეყანაში, მუქარის, იძულების, მოტყუების, დაშინების ან სხვა საშუალებებით, მისი ექსპლუატაციის მიზნით.

**ტვინების გაღინება (Brain Drain)** - ეს ტერმინი პირველად შეიმუშავეს 60-იანი წლების დასაწყისში. 1963 წელს ბრიტანეთის სამეფო საზოგადოებამ ხსენებული ტერმინი განმარტა, როგორც: „ბრიტანელი მეცნიერების აშშ-ში საცხოვრებლად და სამუშაოდ ემიგრირება“. ეს ტერმინი გამოიყენება მაღალკვალიფიციური და განათლებული ადამიანური რესურსების გაღინების აღსანიშნავად განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში. ინტელექტუალურ მიგრანტებად მოიაზრებიან ინჟინრები, ექიმები, მეცნიერები და სხვა მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, რომლებსაც აქვთ საუნივერსიტეტო განათლება.

## მშვიდობიანი საზოგადოების ხელის შემშლელი პირობები

იძულებითი მიგრაციის მიზეზები მრავალფეროვანია. მათგან აღსანიშნავია ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენები, ანთროპოგენული ხასიათის კატასტროფები, ომი, კონფლიქტები, შიმშილობა, ეკონომიკური განვითარება (ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, მაგალითად, ჰესის ან ავტობანის მშენებლობა, რომელსაც შედეგად მოჰყვება ადამიანების გადასახლება).

კონფლიქტით გამოწვეული გადაადგილებისას ადამიანები იძულებით ტოვებენ საკუთარ სახლებს, სადაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათ დაცვას. მიზეზებს შორისაა შეიარაღებული კონფლიქტი, მათ შორის – სამოქალაქო ომი, ძალადობა, ეროვნების, რასის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე დევნა.

ამ გადაადგილებული პირების დიდი ნაწილი თავშესაფრის ძიებაში საერთაშორისო საზღვრებს კვეთენ. მათი ნაწილი თავშესაფარს საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით ეძებს და ლტოლვილის სტატუსს იღებს. ნაწილი გამოსახლების შიშით სტატუსგარეშე დარჩენას ამჯობინებს.

ფართომასშტაბიანი ომების რაოდენობა მცირდება, თუმცა მათ ადგილს იკავებს შეიარაღებული სეპარატისტული კონფლიქტები, რომლებიც უკვე შიდა შუღლსა და დაპირისპირებას იწვევს. ეს ბევრს გადასახლებისკენ უბიძგებს. დრამატულად იზრდება იძულებით ადგილნაცვალ პირთა რაოდენობა, რომელთა რიცხვი აღემატება ლტოლვილებისას.

2017 წლის მონაცემებით, მსოფლიოში სულ 257,7 მილიონი მიგრანტია, ანუ პლანეტის დაახლოებით 3,4%. მათგან 68,5 მილიონი - ლტოლვილი.

აღსანიშნავია, რომ უკიდურესად რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან კონფლიქტების და ომის შედეგად დაზარალებულები, რომელთაც იძულებით, სიცოცხლის გადარჩენის მიზნით საკუთარი ქვეყნის დატოვება მოუწიათ. ხშირად რთული პირობების მიზეზი მათ მიმართ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულებაა. მიაჩნიათ, რომ ქვეყანა ლტოლვილებისთვის გამოყოფილ საზღვრებს ადგილობრივების პრობლემების მოგვარებაზე უნდა ხარჯავდეს.

ქვეყნებს აქვთ უფლება, გადაწყვიტონ, ვის მისცენ თავშესაფარი.

2018 წელს მაროკოში გამართულ სპეციალურ კონფერენციაზე გაერომ უსაფრთხო, თანმიმდევრული და ლეგალური მიგრაციის შესახებ გლობალური პაქტი მიიღო.

დოკუმენტი ნებაყოფლობითია და მას სავალდებულო იურიდიული ძალა არ აქვს. დოკუმენტის მთავარი მიზანია ლტოლვილების მიმღები ქვეყნების ტვირთის შემცირება, ლტოლვილებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის გადანაწილება სახელმწიფოებს შორის და მიგრანტებისთვის პირობების შექმნა სამშობლოში დასაბრუნებლად.

მონაწილე ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ გაცვლიან მონაცემებს ლტოლვილების შესახებ და შეებრძოლებიან გარემოებებს (სიღარიბეს, ომებს, სტიქიურ უბედურებებს), რომლებიც ადამიანებს მშობლური ადგილების დატოვებას აიძულებს.

გარდა ამისა, სახელმწიფოები პირობას დებენ, რომ ერთად შეებრძოლებიან არალეგალური მიგრანტების ტრანსპორტირების ბიზნესს და განსაკუთრებით ადამიანებით ვაჭრობას, ასევე გააიოლებენ ლეგალური მიგრაციის პირობებს. ადამიანების დროებითი მოთავსების ცენტრებში განთავსება მხოლოდ უკიდურეს ზომად უნდა იქცეს. ყველა მიგრანტს ექნება საბაზო სოციალური მხარდაჭერა და პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ ახალ საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ლტოლვილები და სხვა დაუცველი ფენები ხშირად ხვდებიან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მსხვერპლი, რაც მონობის თანამედროვე ფორმაა, რომელშიც ადამიანების ჩათრევა მოტყუების, ძალადობის, მუქარის ან იძულების სხვა ფორმით ხდება. ტრეფიკინგის დროს ადამიანებს უზღუდებათ დამოუკიდებლობა, თავისუფალი გადაადგილებისა და არჩევანის უფლება და ხდებიან ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.

მიუხედავად იმისა, რომ ტრეფიკინგი დასჯადი დანაშაულია, უამრავი ადამიანი ხდება ამ სახის იძულებითი მიგრაციის მსხვერპლი.

ადამიანებს უმთავრესად ყიდიან ან აიძულებენ სექსუალური მომსახურების გაწევას. მისი მსხვერპლი ძირითადად ქალები და ბავშვები არიან.

შესაძლოა, პირმა საკუთარი ქვეყანა ნებით დატოვოს, მაგრამ ვალის, მუქარის, ზეწოლის შედეგად, შემდგომში ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდეს. არის შემთხვევები, როცა საზღვრის გადაკვეთაც უკანონოდ, კონტრაბანდისტების დახმარებით ხდება, რომლებიც არალეგალური გზებით ცდილობენ ბარიერების დაძლევას. ამის გამო ტრეფიკინგის სტატისტიკის წარმოება ძალიან რთულია.

ადამიანით ვაჭრობის ყველაზე გავრცელებული სახეებია:

- ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით;

- იძულებითი შრომა სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, საოჯახო მეურნეობებსა და სხვა სექტორებში;
- ადამიანის სხეულის ორგანოებით ვაჭრობა.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა მასშტაბებით მეორე დანაშაულებრივი ინდუსტრიაა მსოფლიოში, რომელიც მსხვილი საერთაშორისო კრიმინალური ქსელების მიერ იმართება. დღეისათვის განვითარებულ ქვეყნებში, სადაც გამკაცრებული საიმიგრაციო პოლიტიკა და საზღვრის მონიტორინგის გაუმჯობესებული ტექნოლოგიებია, არალეგალური მიგრანტების მზარდი ნაწილი მსგავსი კრიმინალური დაჯგუფებების მსხვერპლი ხდება.

იმ ქვეყნებში, სადაც ნაკლებია სიღარიბე და კონფლიქტები, ასევე გამართულად ფუნქციონირებს მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემები, ნაკლებად აქვს ადგილი ტრეფიკინგს. მისი მსხვერპლი ძირითადად კონფლიქტის რეგიონებიდან და ღარიბი ქვეყნებიდან არიან. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რა მნიშვნელოვანია სიღარიბის დაძლევა, რომ მშვიდობიანმა მსოფლიომ არ დატოვოს სივრცე იძულებითი მონობისთვის.

### **როგორ იზომება ქვეყნების დემოკრატიის ხარისხი და ადამიანის თავისუფლება**

მსოფლიოში დემოკრატიის ხარისხის კვლევითი ცენტრის – Economist Intelligence Unit-ის მიერ ყოველწლიურად ქვეყნდება ანგარიში<sup>10</sup>, რომელიც ეხმიანება გაეროს მდგრადი განვითარების მეთექვსმეტე მიზნის გადასაწყვეტ პრობლემებს და იძლევა ქვეყნების პროგრესის დაკვირვების შესაძლებლობას.

„დემოკრატიის ინდექსი 2020-ის“ ანგარიშში მიმოხილულია 165 ქვეყნის მდგომარეობა. თითოეული ქვეყანა 10-ქულიანი სისტემით ფასდება. ქვეყნების ინდექსირება ხუთ კატეგორიას ეფუძნება:

- ✓ საარჩევნო პროცესი, პლურალიზმი;
- ✓ მთავრობის ფუნქციონირება;
- ✓ პოლიტიკური მონაწილეობა;
- ✓ პოლიტიკური კულტურა;
- ✓ სამოქალაქო თავისუფლება.

ამ კრიტერიუმებით ქვეყნები დემოკრატიის ხარისხის მიხედვით ოთხ კატეგორიადაა დაყოფილი.

ეს ჯგუფებია: „სრული დემოკრატია“, „არასრულყოფილი დემოკრატია“, „ჰიბრიდული რეჟიმი“ და „ავტორიტარული რეჟიმი“.

მსოფლიოს მასშტაბით პირველ ხუთეულში შემდეგი ქვეყნებია: ნორვეგია, ისლანდია, შვედეთი, ახალი ზელანდია და კანადა. ბოლო ადგილზეა ჩრდილოეთი კორეა.

მთლიანობაში 2019 წელთან შედარებით 2020 წელს დემოკრატიის ხარისხი მთელ მსოფლიოში საგრძნობლად დაეცა. 165 ქვეყნიდან 116-მა განიცადა უკუსვლა.

საქართველო ამ ანგარიშის მიხედვით 91-ე ადგილზეა, 2020 წელს 5,31 ქულა მიენიჭა, როცა ერთი წლით ადრე ეს მაჩვენებელი 5,42 იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2019 წელთან შედარებით, ის ორი პუნქტით ჩამოქვეითდა. უფრო კონკრეტულად - საქართველო რჩება „ჰიბრიდული რეჟიმების“ ჯგუფში.

<sup>10</sup> ანგარიშის ბმული [https://www.eiu.com/n/campaigns/democracy-index-2020/?utm\\_source=twitter&utm\\_medium=organic\\_social&utm\\_campaign=democracy\\_index\\_2020&utm\\_term=asia\\_democracy&utm\\_content=map&linkId=100000031396045](https://www.eiu.com/n/campaigns/democracy-index-2020/?utm_source=twitter&utm_medium=organic_social&utm_campaign=democracy_index_2020&utm_term=asia_democracy&utm_content=map&linkId=100000031396045)

## პრობლემების მოგვარების გზები

მთავრობებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და ადგილობრივმა თემებმა ერთად უნდა იმუშაონ ძალადობის შესამცირებლად, სამართლიანობის მისაღწევად, კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად და უზრუნველყონ ინკლუზიური მონაწილეობა, საზოგადოების ყველა ჯგუფის ჩართულობა საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. გარანტირებული უნდა იყოს შეხედულებების, გამონატვის თავისუფლება, როგორც კერძო საუბრებში, ასევე საჯაროდ.

კანონი უნდა იქნას გამოყენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და ასევე ყველაზე თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს ქვეყნების მიერ შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტები. ყველანაირი საკამათო საკითხი, სამართლებრივი, ქონებრივი თუ სხვა დავები უნდა მოგვარდეს მართლმსაჯულების სისტემის ეფექტური მუშაობის შედეგად. ეროვნული და ადგილობრივი ინსტიტუციები უნდა იყოს ძლიერი. უნდა ფუნქციონირებდნენ ყველა დონეზე, რათა უზრუნველყონ ძირითადი სერვისები და საკითხების მოგვარება კორუფციის გარეშე.

აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, რადგან მათ ისარგებლონ თავიანთი უფლებით და არჩეული თუ დანიშნული მთავრობისგან, რიგითი ჩინოვნიკებისგან მოითხოვონ, რომ ანგარიშვალდებული იყვნენ მათ წინაშე. გამოიყენონ თავიანთი კანონიერი უფლება და გაუზიარონ საკუთარი აზრები მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლებს. ხელი შეუწყონ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პასუხისმგებლიანი მოქალაქეები ერთად ქმნიან სამოქალაქო საზოგადოებას, რაც აძლიერებს სახელმწიფოს და ხელს უწყობს თითოეული ადამიანისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველყოფას.

მნიშვნელოვანია კორუფციის წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რადგან გაეროს რეზოლუციის თანახმად „კორუფცია სასტიკი სენია, რომელიც მრავალმხრივ ვნებს საზოგადოებას. იგი აზარალებს დემოკრატიას და კანონის უზენაესობას, ლახავს ადამიანის უფლებებს, აფერხებს ბაზრის საქმიანობას, აუარესებს ცხოვრების ხარისხს და ხელს უწყობს ორგანიზებულ დანაშაულს, ტერორიზმსა და სხვა მოვლენებს, რომლებიც რისკის ქვეშ აყენებს ადამიანის უსაფრთხოებას“.

კორუფციაა, როდესაც სახელმწიფო მოხელე ასაქმებს, ქირაობს და შესაბამისად, ბიუჯეტის ფულს უხდის ისეთ პირს ან ორგანიზაციას, რომელიც არაა კონკურსის წესით ობიექტურად შერჩეული. შერჩევის საფუძველი კი პირადი სიმპათიები ან გამორჩენა ხდება. ეს შეიძლება იყოს ნეპოტიზმი, რაც სახელმწიფო მოხელეების მიერ საკუთარი ოჯახის წევრებისა და ახლობლების დასაქმებას გულისხმობს, ან სახელმწიფო უწყებების მიერ პროდუქტის ან მომსახურების მომწოდებლის პირადი ინტერესების მიხედვით, ხშირად, ქრთამის სანაცვლოდ შერჩევას.

კორუფციასთან ბრძოლის გარეშე ქვეყნები ვერ დაძლევენ სხვა გამოწვევებს, რადგან სახელმწიფო სერვისები არ იქნება მორგებული მოსახლეობის ფართო ფენებზე. გაეროს ანტიკორუფციულ პროგრამაში ხაზგასმულია, რომ კორუფციასთან ბრძოლა, პირველ რიგში ხელისუფლების ვალდებულებაა, თუმცა ამასთანავე, ყველა მოქალაქის პასუხისმგებლობაცაა, არ დაუშვას კორუფცია, არ მიიღოს მონაწილეობა კორუფციულ გარიგებებში, ხოლო თუ ასეთის შესახებ შეიტყობს, დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის ორგანოებს.

კორუფცია, მექრთამეობა, ქურდობა და გადასახადებისგან თავის არიდება განვითარებად ქვეყნებში ძალიან დიდ მასშტაბებს აღწევს და წელიწადში 1,26 ტრილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტს უტოლდება.

შეიარაღებული კონფლიქტები, ძალადობა, ადამიანების დაუცველობა დესტრუქციულ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე, უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე და ხშირად საზოგადოების გრძელვადიან უკმაყოფილებას, იწვევს აჩენს უიმედობისა და უპერსპექტივობის განცდას. ადრეულ ასაკში ბავშვთა მიმართ ძალადობა გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობაზე, განვითარებასა და კეთილდღეობაზე, მომავალში მათი სრულფასოვანი რეალიზაციის შესაძლებლობაზე. სასამართლოსა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის არქონა ნიშნავს იმას, რომ კონფლიქტები გადაუჭრელი დარჩება და ხალხი ვერ დაიცავს თავს, ვერ გაასწორებს უსამართლობას და შესაბამისად, გაჩნდება ნიჰილიზმი და დაუცველობის განცდა.

## ქეისი - სახელმწიფო საზღვრები თანამედროვე მსოფლიოში

საზღვარი, განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით არის ფაქტობრივი თუ წარმოსახვითი ხაზი და ამ ხაზის გასწვრივ გამავალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიას (ხმელეთი, წყალი, წიაღი, საჰაერო სივრცე) მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან გამოყოფს. სწორედ ვერტიკალური სიბრტყე მიჯნავს ღრმად ქანებში, მაღლა საჰაერო სივრცესა და წყლისპირა ტერიტორიის შემთხვევაში - აკვატორიასაც. თუმცა, მეორე მხრივ, არსებობენ სახელმწიფოები, რომელთა შორისაც საზღვრები ისევ სადავოა. მათ შორის არის მკაცრი სასაზღვრო ზედამხედველობა, და ამ საზღვრის სპეციალური მოწვევის/ნებართვის გარეშე გადაკვეთა შეუძლებელია.

საზღვაო საზღვრად მიღებულია 12 მილის (1 საზღვაო მილი = 1852მ) სიგანის ტერიტორიული წყლები და ასევე დამატებით 12 მილი ტერიტორიული წყლების მიმდებარე ზონა. გამონაკლისს წარმოადგენენ საერთაშორისო ნეიტრალური სრუტეები და არხები (გიბრალტარი, ლა-მანში, სუეცის, პანამის).

1979 წლიდან გაიმიჯნა საჰაერო სივრცეებიც, ზღვის დონიდან 100-110კმ-ის ზემოთ.

უმეტესად საზღვრებთან დაკავშირებით მის სხვადასხვა მხარეს არსებულ სახელმწიფოს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულება აქვს. მათ შორის ხშირია კამათი ტერიტორიასთან დაკავშირებით.

თუკი საზღვარი მიჰყვება ბუნებრივ სხეულს, როგორებიცაა - მთა, ქედი, მდინარე, მაშინ ის ძირითადად შუა ზოლზე ივლება, წყალგამყოფ ხაზზე, მდინარის კალაპოტის შუახაზზე. სწორედ ამ უხილავ საზღვარს მოჰყვება არაერთი კონფლიქტი. მაგალითად, 1983 წელს სსრკ-ის ტერიტორიაზე კორეულმა თვითმფრინავმა, რომლის ბორტზეც 269 მგზავრი იყო, გადმოკვეთა საჰაერო სივრცე სახალინის კუნძულზე. ინციდენტის გამო საბჭოთა მესაზღვრეებმა თვითმფრინავი ჩამოაგდეს, რის შედეგადაც ყველა მგზავრი დაიღუპა.

ერაყსა და ქუვეიტს შორის 1991 წლის ომსაც მსგავსი მიზეზი ჰქონდა. როდესაც ამ ორ ქვეყანას შორის საზღვარი გაივლო, არავინ იცოდა, რომ მის ქვეშ მსხვილი ნავთობის საბადო (რუმაილა) იქნებოდა. 1990 წელს ერაყმა გააპროტესტა ამ საერთო საბადოდან ქუვეიტის მიერ მოპოვებული ნავთობის მასშტაბები, რომელიც ამ საბადოს აზიანებდა, რამაც ეს ორი ქვეყანა ომამდე მიიყვანა.

## საზღვრის სახეები

ყველაზე უფრო ალოგიკური, რაც კი საზღვარს შეგვიძლია ვუწოდოთ, ეს არის **გეომეტრიული საზღვარი**. ეს სწორი ხაზოვანი საზღვარი, რომელიც არანაირად არ ასახავს ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს და არც კულტურული ჯგუფების საცხოვრებელ არეალს, ადამიანის მიერ მექანიკურად, ყოველგვარი წანამძღვრების გააზრების გარეშეა გატარებული. ამგვარი საზღვრების უმეტესობა კოლონიალურ წარსულში იღებს სათავეს და ძირითადად აფრიკის ტერიტორიაზე გვხვდება, მაგალითად - საზღვრები ეგვიპტესა და ლიბიას, ბოტსვანასა და ნამიბიას, ალჟირსა და მალის შორის. ამას გარდა, საკმაოდ გრძელ ზოლზე გეომეტრიული საზღვარია აშშ-სა და კანადას შორის, მათ შორის ალასკაზეც, ასევე პაპუა ახალ გვინეასა და ინდონეზიას შორის. ხშირია შიდა გეომეტრიული საზღვრების არსებობაც, ამის მაგალითად ავსტრალიის, ან აშშ-ს შორის საზღვრები გამოდგება.

სწორედ ამგვარი დაუფიქრებელი მიდგომის გამო, აფრიკის ქვეყნებში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უამრავი კონფლიქტური სიტუაცია წარმოიქმნა. ზოგ შემთხვევაში ამის მიზეზი იყო ის, რომ ერთი ტომი ამ ხაზით მექანიკურად გაიყო და შემდგომ გაერთიანებისთვის დაიწყეს ბრძოლა, ან პირიქით, ერთ ტერიტორიაზე მოექცა ის ტომები, რომლებიც რთულად თანაარსებობდნენ. ამდენად, ამ გაუაზრებელმა პოლიტიკამ გამოიწვია ხანგრძლივი კონფლიქტები, რაც ამ ქვეყნების განვითარებას კიდევ უფრო აფერხებს.

**ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრები** ბუნებრივ ზღუდეებსა და ბუნებრივ ობიექტებს მიუყვებიან, ისეთებს როგორებიცაა - მთათა სისტემები, მდინარეები, სრუტეები თუ ზღვები და ტბები. მთათა სისტემებიდან დიდი კავკასიონის წყალგამყოფი ქედი რუსეთთან ქმნის საზღვარს, ჰიმალაის მთები ერთმანეთისგან აცალკევებს ჩინეთსა და ნეპალს, იურას მთები - საფრანგეთსა და შვეიცარიას. ეს და სხვა მთათა სისტემები ადვილი მოსაძიებელია პოლიტიკურ და ზოგადგეოგრაფიულ რუკებზე. შესაძლებელია მათი ჩამოწერა კონტინენტების მიხედვით.

სასაზღვრო ტბების მაგალითად გამოდგება საქართველო-აზერბაიჯანს შორის მდებარე ჯანდარის ტბა, ან საქართველოსა და თურქეთს შორის მდებარე კარწახის ტბა; მსოფლიოს შიდა ტბები, მაგალითად, კასპიის ზღვა - რომელიც სასაზღვროა რუსეთს, აზერბაიჯანს, ყაზახეთს, ირანსა და თურქმენეთს შორის; ტანგანიკა ბურუნდის, ზამბიის, კონგოსა და ტანზანიის საზღვარზე; ნიასა - მოზამბიკის, მალავისა და ტანზანიის საზღვარზე; ზემო ტბა - კანადასა და აშშ-ს შორის.

მდინარის, როგორც საზღვრის მაგალითია საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მდებარე მდინარე ალაზანი. ზოგადად, მდინარეები, რომლებიც პოლიტიკური საზღვრის ფუნქციას ითავსებენ, ან სულ მცირე 2 ქვეყნის ტერიტორიაზე მიედინებიან, ტრანსსასაზღვრო მდინარეებად იწოდებიან. ასეთ მდინარეთა რიცხვი ბევრია, მათ შორისაა ზამბეზი - ბოტსვანასა და ზამბიას, ნამიბიასა და ზამბიას, ზიმბაბვესა და ზამბიას შორის; დონგო - ნიგერიასა და კამერუნს შორის; ნიაგარა - აშშ-სა და კანადას შორის; რიო გრანდე - მექსიკასა და აშშ-ს შორის; პარაგვაი - პარაგვაისა და ბრაზილიას შორის და სხვა. ასევე მდინარე ამური რუსეთსა და ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთს შორის. სხვათა შორის ეს უკანასკნელი კონფლიქტის მიზეზიც კი გახდა, როდესაც მდინარე ამურმა კალაპოტი შეიცვალა. საერთაშორისო კანონის მიხედვით, საზღვარი კალაპოტის ცენტრალურ ნაწილზე უნდა გადიოდეს, თუმცა ეს რეგულაციაც ვერ აგვარებს ამ ტიპის პრობლემებს, როდესაც მდინარე კალაპოტს იცვლის. ამდენად 1969 წელს ჩენპაოს კუნძულის გამო, რომელიც მდინარის ცენტრშია, ტერიტორია სადავო გახდა და საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდეც კი მივიდა.

მიუხედავად მოყვანილი მაგალითისა, ბუნებრივი ზღუდეები ისტორიულად იცავდნენ და ძნელად გადასალახს ხდიდნენ საზღვრებს. ისინი ხშირ შემთხვევაში საუკუნეების მანძილზე არსებობენ. მოსახლეობა შეგუებულია აღნიშნულ სივრცეში ცხოვრებას და საქმიანობას. ის უმეტეს შემთხვევაში სადავო არ არის.

**არბიტრარული საზღვრები** ძირითადად შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ წარმოიქმნება, რომელიც 2 მტრულად განწყობილ ქვეყანას შორის კომპრომისული ვარიანტია. ყველაზე ცნობილი მაგალითი ისტორიაში ალბათ ბერლინის გაყოფაა სსრკ-ს (აღმოსავლეთ ბერლინი) და საფრანგეთს, ბრიტანეთსა და აშშ-ს (დასავლეთ ბერლინი) შორის. კედლის მშენებლობა 1961 წელს დასრულდა და 1989 წლამდე რჩებოდა გაყოფის, განცალკევების სიმბოლოდ. ამ დროს მოხდა გერმანიის გაერთიანება და კედელიც დაინგრა.

ზოგადად, არბიტრარული საზღვრები დროებითი შეიძლება იყოს. ეს დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში კონფლიქტი განიმუხტება თუ დაიძაბება. ხშირია შემთხვევები, როდესაც ეს ათწლეულების განმავლობაში გრძელდება, მაგალითად, კვიპროსის კონფლიქტი რვა ათეულ წელზე მეტს ითვლის.

**კულტურულ-პოლიტიკური საზღვრები** ძირითადად ენობრივი, ეთნიკური ან კულტურული ჯგუფების განსახლების არეალს მიუყვება. ამ საზღვრის პრობლემა ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში ის მკაფიო არ არის და აღრუელია საკმაოდ მსხვილი ზოლის ფარგლებში. ფაქტობრივად, არსებობს ბუფერული გარდამავალი ზონები. ასეთი საზღვრების მაგალითია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები: აზერბაიჯანი, უზბეკეთი, სომხეთი, ყაზახეთი, როდესაც სასაზღვრო ზოლში მოსახლეობა შერეულია.

ასევე მე-20 საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო იუგოსლავიის უფრო მცირე ქვეყნებად დაყოფა. ამას მოჰყვა კონფლიქტი, რომლის არსიც ეთნიკური და რელიგიური იყო. იუგოსლავია იყო მრავალი ეთნოსის კრებული, რომლებმაც ვეღარ შეძლეს მშვიდობიანად თანაცხოვრება. ამ პრობლემის მშვიდობიანად მოგვარება ვერ მოხერხდა, რადგან შერეული ჯგუფების საკითხი არცთუ ადვილი გადასაჭრელი აღმოჩნდა. ამ ქვეყანაზე ტურისტულ ბროშურებში შეიძლებოდა ამოგვეკითხათ, რომ იუგოსლავია შედგებოდა 6 რესპუბლიკის, 5 ეთნიკური ჯგუფის, 4 რელიგიის, 3 ენისა და 2 ანბანისგან. სწორედ ამ მრავალფეროვნებამ გამოიწვია საბოლოოდ ქვეყნის დაშლა სერბეთად, ხორვატიად, მაკედონიად, მონტენეგროდ, სლოვენიად.

ეთნიკური მრავალფეროვნება არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ეს ქვეყნის შიგნით მტრულ განწყობებს ან გარდაუვალ დაშლას ნიშნავდეს. თანაცხოვრების კარგი მაგალითია ბელგია, რომელიც ფრანგულად და ჰოლანდიურად მოლაპარაკებად იყოფა, იგივე შეიძლება ითქვას შვეიცარიასზეც, სადაც მოსახლეობა ფრანგულად, იტალიურად, გერმანულად და რეტომანულად საუბრობს.

### **დელიმიტაცია-დემარკაცია**

აქ ალბათ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ საზღვრების დადგენის საერთაშორისოდ აპრობირებულ მეთოდს. ეს ქვეყნებს შორის ორმხრივი პროცესია და არ შეიძლება ცალმხრივად მისი გადაწყვეტა. სახელმწიფოთაშორისი საზღვრების დადგენის პროცესი 2 სტადიას გადის. საერთაშორისო სამართალში დელიმიტაცია ნიშნავს სახელმწიფო საზღვრის მდგომარეობისა და მიმართულების განსაზღვრას მომიჯნავე სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით. ამ პროცესს მოჰყვება საზღვრის რუკაზე დატანა, რაც თან ერთვის დელიმიტაციის დოკუმენტს. ეს შეთანხმება

ეხება როგორც ხმელეთს, ასევე ზღვას, კონტინენტურ შელფს. დადენილ საზღვრებს შემდეგ სჭირდება დემარკაცია, რაც გულისხმობს სახელმწიფო საზღვრის ხაზის დადგენას ადგილზე სპეციალური სასაზღვრო ნიშნების საშუალებით. ამ დემარკაციის პროცესსაც აწარმოებს შერეული კომისია. დეტალურად აღიწერება საზღვარი, თან ერთვის რუკა და აღინიშნება მარკირების ყველა ნიშანი, რაც საზღვარზე განთავსდება. ხანდახან წარმოიქმნება ხოლმე რედემარკაციის საჭიროება, რასაც ერთი მხარე დამოუკიდებლად ვერ ჩაატარებს.

მარკირება ხდება ხმელეთზე, ზღვაზე, სასაზღვრო მდინარეებზე, ტბებზე. ამის შემდეგ მდინარის კალაპოტის თუ ტბის ზედაპირის ცვლილება აღარ განაპირობებს ხელახალ დელიმიტაციას, საზღვარი უკვე დადგენილ საზღვრებში რჩება.

სწორედ დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესი არის მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდეს სადავო საზღვრები.

### **საზღვრები გლობალიზებულ მსოფლიოში**

გლობალიზაცია გულისხმობს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულებას, როდესაც ერთ ადგილას მომხდარი მოვლენა გავლენას ახდენს მეორე ადგილზე. გლობალიზაცია ცვლის ადამიანების აზროვნებას, პოლიტიკური პროცესებისადმი და ქვეყნისადმი მის დამოკიდებულებას.

სანამ გლობალიზაცია მასშტაბურ სახეს მიიღებდა, არსებობდა ქვეყანაცენტრული აზროვნება, სადაც ქვეყნის სუვერენიტეტი იდენტობამდე იყო აყვანილი. ამ ბოლო ხანებში ეს იცვლება. გლობალიზაციისას ქვეყნის საზღვრების მნიშვნელობა ეცემა.

იქმნება ქვეყნებზე უფრო მაღლა მდგომი რეგიონული კანონმდებლობა, ეკონომიკური კავშირები, როცა ქვეყნებს საერთო ფასეულობები აქვთ, როცა ისინი მსგავსად ფუნქციონირებენ და შესაბამისად მცირდება მათ შორის საკონფლიქტო თემები. ამის ყველაზე დიდი მაგალითია ევროკავშირი. ამით იქმნება ერთიანი საზოგადოება, რომელიც აღარაა დაფუძნებული ეთნიკურობაზე.

ისტორიულად ქვეყნის განვითარება პირდაპირ კავშირში იყო იმასთან, რამდენად თვითკმარი იყო ის. ის მით უფრო იყო განვითარებული, რაც მეტად იყო თვითკმარი და არ იყო სხვა ქვეყანაზე დამოკიდებული. თუმცა დრომ უჩვენა, რომ უფრო მეტი კეთილდღეობა მოაქვს ქვეყნის გარკვეული მიმართულებებით სპეციალიზაციას, როდესაც ისინი გლობალურ ბაზარზე თავის ნიშას პოულობენ. სწორედ ასეთი ქვეყნებია დღეს ძლიერი, ხოლო საკუთარ საზღვრებში ჩაკეტილები - არსებობის ზღვარზე დგანან. ასეთი თვითმარგინალიზებული ქვეყნის მაგალითია ჩრდილოეთი კორეა, რომელსაც მხოლოდ 2 ქვეყანასთან (რუსეთი, ჩინეთი) აქვს სატრანსპორტო კავშირი და არ ცდილობს ქვეყნის გახსნას ინვესტიციებისთვის.

ყველა სხვა ქვეყანა ცდილობს, გახსნას საკუთარი ეკონომიკა უცხოური ინვესტიციებისთვის, გახსნას საზღვრები, რათა მოსახლეობას პროგრესის საშუალება მიეცეს. ასევე მნიშვნელოვანი ხდება ენის ცოდნა, რათა ხელი მიგვიწვდებოდეს ინფორმაციაზე, ვიყოთ კონკურენტუნარიანი, რაც უფრო შეამცირებს საზღვრების დატვირთვას.

თუმცა რაოდენ ურთიერთგამომრიცხავიც არ უნდა იყოს, მიუხედავად გლობალიზაციისა, ქვეყნები დიდ თანხებს ხარჯავენ საზღვრების დაცვაზე. პოლიტიკური ფაქტორებიდან ამას

განაპირობებს უსაფრთხოება. ასეთ ქვეყნებს შორის არიან ისინი, ვინც გეოპოლიტიკურად სხვა ქვეყნის ინტერესებში შედიან.

ამავდროულად, არიან ქვეყნები, რომლებიც მიუხედავად პოლიტიკური სტაბილურობისა და იმისა, რომ სხვა ქვეყნის თავდასხმის ინტერესს არ წარმოადგენენ, მაინც განსაკუთრებული სიფრთხილით იცავენ თავიანთ საზღვრებს.

რისგანაც სახელმწიფოს საზღვრები ვერ იცავს, ეს არის ეკოლოგიური პრობლემები, რომლის წინაშეც ნებისმიერი მკვიდრად ნაშენი საზღვარიც კი უძლურია. ამდენად, მსგავსი პრობლემების მოგვარებაც ადამიანებს შორის თანამშრომლობაზე, გონივრულ მომავალზე, ორიენტირებულ მდგრად განვითარებაზეა დამოკიდებული.

**გაეცანით ქვის „სახელმწიფო საზღვრები თანამედროვე მსოფლიოში“ და გამართეთ დისკუსია „რა ელის საზღვრებს თანამედროვე მსოფლიოში“. გაითვალისწინეთ, ყველა მოსაზრება უნდა ეფუძნებოდეს მკაფიო არგუმენტებსა და მაგალითებს, ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული შესაძლო კონტრარგუმენტები. გაეცით პასუხი შეკითხვას - როგორი გავლენა შეიძლება ჰქონდეს საზღვრებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს საზოგადოებაზე, ეკონომიკაზე, პოლიტიკურ პროცესებზე, ბუნებაზე?**

## მდგრადი განვითარების მიზანი 17: განხორციელების საშუალებების და გლობალური პარტნიორობის გაძლიერება მდგრადი განვითარებისთვის



მდგრადი განვითარების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ძლიერი საერთაშორისო პარტნიორობის პირობებში. პარტნიორობა მოიცავს გლობალურ, რეგიონულ, ეროვნულ დონეზე ინკლუზიურ თანამშრომლობას. საჭიროა მდგრადი განვითარების დღის წესრიგში არსებობდეს პარტნიორობა - მთავრობებს, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. ეს ინკლუზიური პარტნიორობაა, რომელიც დაფუძნებული იქნება პრინციპებსა და ფასეულობებზე, საერთო ხედვასა და საერთო მიზნებზე, რომელთა ცენტრში ხალხი და პლანეტა იქნება.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ მდგრადი განვითარების მიზნებს, საჭიროა გადაუდებელი მოქმედება კერძო რესურსებიდან ტრილიონობით დოლარის მობილიზებისთვის. საჭიროა კრიტიკულ სექტორებში განხორციელდეს გრძელვადიანი ინვესტიციები, მათ შორის, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები. განსაკუთრებით იზრდება მათი მნიშვნელობა განვითარებადი ქვეყნებისთვის. აღნიშნული სექტორი მოიცავს მდგრად ენერჯიას, ინფრასტრუქტურასა და ტრანსპორტს, ასევე, ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. საჯარო სექტორის მიერ მკაფიოდ უნდა განისაზღვროს მიმართულები. ინვესტიციების მოსაზიდად და მდგრადი განვითარების გასაძლიერებლად უნდა განხორციელდეს ჩარჩოების, რეგულაციებისა და

მასტიმულირებელი სტრუქტურების განხილვა და მონიტორინგი. უნდა გაძლიერდეს ეროვნული ზედამხედველობის ისეთი მექანიზმები, როგორებიცაა - სახელმწიფო აუდიტის სამსახური და საკანონმდებლო ორგანოს ზედამხედველობის ფუნქციები.

COVID-19-ის პანდემიის შედეგებმა დაგვანახა, რომ, თუ ჩვენ გვსურს მსოფლიოს პრობლემების მოგვარება, მრავალმხრივი ურთიერთობების გაძლიერება და გლობალური პარტნიორობა იმაზე მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მდგრადი განვითარების მიზნები რჩება უკეთესი მომავლისკენ მიმავალ გზად. საჭიროა გაერთიანდეს ყველა - მთავრობები, სამოქალაქო საზოგადოება, მეცნიერები, აკადემიური წრე და კერძო სექტორი.

### ფაქტები და მონაცემები:

- ✓ ოფიციალური განვითარების დახმარების (ODA) მოცულობის ნაკადმა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განვითარების დახმარების კომიტეტის (DAC) წევრი ქვეყნებიდან, 2019 წელს \$ 147.4 მილიარდი შეადგინა. ის იგივე დარჩა, რაც იყო 2018 წელს. თუმცა ამ დახმარების ფარგლებში თანხები განსხვავებულად გადანაწილდა და აფრიკის ქვეყნებისკენ მიმართული დახმარებების წილი 1,3%-ით გაიზარდა, ხოლო სუსტად განვითარებადი ქვეყნების წილი - 2,6%-ით.
- ✓ განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტის 79% განვითარებულ ქვეყნებში საბაჟო გადასახადის გარეშე შემოდის, რაც წაახალისებს ვაჭრობას და პროდუქციას კონკურენტუნარიანს ხდის.
- ✓ განვითარებადი ქვეყნების ვალის ტვირთი სტაბილური რჩება. ის შეადგენს ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების 3%-ს.
- ✓ ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) და ფულადი გზავნილები (რემიტანსები) 2020 წელს 40%-მდე შემცირდება, რაც უკავშირდება დონორი ქვეყნების პრიორიტეტების ცვლილებას. პანდემიის გამო მათ მეტი თანხის მობილიზება დასჭირდათ საკუთარ ქვეყანაში, ქვეყნების ჩაკეტვამ შეამცირა სამუშაო ადგილები და შესაბამისად - საჭიროება იაფფასიან მუშახელზე.
- ✓ მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევარს არ აქვს ინტერნეტი, განსაკუთრებით ღარიბ ქვეყნებში.
- ✓ მონაცემთა აღრიცხვისა და სტატისტიკის გასაუმჯობესებლად საერთაშორისო დაფინანსება 2017 წელს 690 მილიონი აშშ დოლარი იყო, რაც საჭირო თანხის ნახევარს წარმოადგენდა.

### ტერმინები

**გლობალიზაცია** - საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვერსიით, ეს არის - მომსახურების, საქონელბრუნვის, კაპიტალბრუნვის ზრდისა და მრავალფეროვანი ტრანზაქციების შედეგად მთელ მსოფლიოში ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავება, ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელების ფონზე.

**ოფიციალური განვითარების დახმარება** (Official development assistance (ODA)) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ (Organization for Economic Co-operation and Development — OECD), განისაზღვრება როგორც განვითარების დახმარების

კომიტეტი (Development Assistance Committee (DAC)), როგორც მთავრობის დახმარება, რომელიც ხელს უწყობს სპეციფიკური ეკონომიკური განვითარებისკენ მიმართული ამოცანების განხორციელებას განვითარებადი ქვეყნების კეთილდღეობისთვის. მის ფარგლებში გაიცემა კრედიტები (სესხები), გრანტები და სხვა ტიპის ტრანსფერები.

**განვითარების დახმარების კომიტეტი (Development Assistance Committee (DAC))** წარმოადგენს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ ორგანიზებულ ფორუმს, რომელიც მსჯელობს დახმარებებზე, განვითარებასა და სიღარიბის აღმოფხვრაზე განვითარებად ქვეყნებში. კომიტეტი მსოფლიო დონორი ქვეყნების შეკრების ადგილი და ამავე ქვეყნების ხმაა. DAC 30 წევრისგან შედგება. დონორი ქვეყნების გარდა, ევროკავშირს თავისი ადგილი აქვს, ხოლო დამკვირვებლები არიან მსოფლიო ბანკი, მსოფლიო მონეტარული ფონდი, გაეროს, განვითარების პროგრამა, აფრიკის განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ინტერამერიკული განვითარების ბანკი.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (Foreign direct investment FDI)** ითვლება გლობალიზაციის, ეკონომიკური ზრდისა და ინდუსტრიალიზაციის მთავარ მასტიმულირებელ ძალად. ის არის საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის ერთ-ერთი კატეგორია. ეს უკანასკნელი გულისხმობს ერთი ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოს წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებული სხვადასხვა ეკონომიკური ოპერაციის წარმოებას. უცხოური კაპიტალის მოზიდვა და საგარეო წყაროებზე ხელმისაწვდომობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ როდესაც ქვეყანა ძირითადად დამოკიდებულია საგარეო ინვესტიციებზე, ეს ფაქტი სხვადასხვა დადებით ეფექტებთან ერთად მნიშვნელოვანი რისკის შემცველიცაა.

**ფულადი გზავნილები, რემიტანსები** - არის ემიგრაციაში წასული და დასაქმებული (ლეგალურად თუ არალეგალურად) ადამიანებისგან ოჯახის წევრებთან ან ახლობლებთან გაგზავნილი ფულადი ტრანზაქციები.

**საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)** - გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება, რომელიც 1944 წელს შეიქმნა. ფონდი სრული ავტონომიით სარგებლობს. ფონდის წევრია 180-მდე ქვეყანა. წესდების მიხედვით, ფონდმა ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობას, საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას; თვალ-ყური უნდა ადევნოს ვალუტის სტაბილურობას და გასცეს კრედიტები წევრ სახელმწიფოებზე საგადასახადო ბალანსების გასაწონასწორებლად. ფონდის ძირითად კაპიტალს შეადგენს წევრი სახელმწიფოების კვოტური შენატანები. თითოეული სახელმწიფოს კვოტური შენატანის ოდენობა განისაზღვრება ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობით. ფონდში გადამწყვეტ როლს ასრულებენ აშშ, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია, იტალია, კანადა, ბელგია, ნიდერლანდები და შვეიცარია (ე.წ. ათთა ჯგუფი), რომლებსაც ხმების უმრავლესობა აქვთ და განსაზღვრავენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავალუტო პოლიტიკას. ფონდის უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო, რომელიც წელიწადში ერთხელ იკრიბება.

**მსოფლიო ბანკი (WB)** - ბანკის შექმნა ბრეტონ-ვუდსში 1944 წელს გადაწყდა. მუშაობა 1945 წელს დაიწყო. იგი გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებაა, მაგრამ მის წევრად მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი სახელმწიფოები მიიღებიან. შტაბბინა ვაშინგტონშია. მისი უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო. ბანკის ოპერატიულ საქმიანობას ახორციელებს დირექტორატი. ბანკს ჰყავს პრეზიდენტი. პირველი სესხი ბანკმა საფრანგეთს 1947 წელს ომის

შემდგომი რეკონსტრუქციისათვის მისცა (250 მილიონი აშშ დოლარი). მას შემდეგ ამ მიზნით სესხის გაცემა მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა. ბანკში 180-ზე მეტი წევრია. მისი ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სიღარიბესთან ბრძოლა მთელ მსოფლიოში.

## თანამშრომლობის ხელის შეშლელი ბარიერები და პრობლემის მოგვარების გზები

გლობალიზაციის პროცესს სამყაროს შევიწროება-შეკუმშვა მოჰყვა. სატრანსპორტო საშუალებები გეოგრაფიულ წერტილებს ერთმანეთთან აახლოებს. მანძილის დაფარვა ბევრად უფრო სწრაფად ხდება შესაძლებელი. ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაციის დროული გაცვლა – ინფორმაციული ტექნოლოგიები იმდენად განვითარდა, რომ დიდი მოცულობის ინფორმაციის ნაკადების უმოკლეს დროში მიღება უკვე აღარ წარმოადგენს პრობლემას. ტრანსნაციონალური კორპორაციები პირდაპირ აბანდებენ ინვესტიციებს განვითარებად ქვეყნებში საწარმოების გასასხნელად, რაც ამ ქვეყნებს საშუალებას აძლევს, თავი დააღწიონ სიღარიბეს, გაყიდონ საკუთარი პროდუქცია საერთაშორისო ბაზარზე. ყოველივე ეს გლობალიზაციის შეუქცევადი ნიშნებია, რაც თანამშრომლობასაც აადვილებს.

სწორედ გლობალიზაციამ გახადა შესაძლებელი ქვეყნებს შორის თანამშრომლობა, მომსახურებების, იდეების გავრცელება.

საერთაშორისო დახმარებათა სარგებლიანობის შესახებ ერთგვაროვანი ჩამოყალიბებული პოზიცია არ არსებობს, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციები: სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი თუ სხვები, დიდი თანხებით ეხმარებიან ქვეყნებს, რომლებსაც საკუთარი ძალებით განვითარების შეზღუდული საშუალება აქვთ.

გაეროს გენერალური ასამბლეის 1970 წლის რეკომენდაციის თანახმად, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს, რომლებიც დონორებს წარმოადგენენ, თავიანთი მშპ-ის 0,7% ყოველწლიურად საერთაშორისო დახმარებისთვის უნდა გაეღოთ, მაგრამ ეს რეკომენდაცია მეტწილად შეუსრულებელი დარჩა. მრავალი ქვეყნისთვის ეს მიმართულება პრიორიტეტული არ აღმოჩნდა. მსხვილ დონორებს შორის არიან აშშ, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი და იაპონია. დახმარებისთვის 0,7%-ზე მეტს მხოლოდ დანია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, ნორვეგია და შვედეთი ხარჯავენ.

საერთაშორისო დახმარებათა უმეტესი ნაწილი განვითარებადი ქვეყნებისა და რეგიონებისკენ არის მიმართული. ჯამური დახმარების დაახლოებით 70% აფრიკისა და აზიის ქვეყნებზე მოდის, დანარჩენი კი სხვა რეგიონებზე ნაწილდება.

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებად ქვეყნებში აშკარად უმძიმესი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარებაა, საერთაშორისო დახმარებათა კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ:

- ✓ დახმარება ხშირად ვერ აღწევს ყველაზე ღარიბ მოსახლეობამდე;
- ✓ დახმარების უმეტესი ნაწილი ხმარდება დონორის მიერ განხორციელებულ სერვისებს, ასევე ხორციელდება დონორის პროდუქციით, რაც ნიშნავს, რომ ის კვლავ განვითარებულ ქვეყნებს უბრუნდება;
- ✓ დახმარების შედეგად ადგილობრივმა მოსახლეობამ შესაძლოა იზარალოს;
- ✓ დახმარებამ შესაძლოა გააჭიანუროს რეფორმები (მაგ., მიწის რეფორმა);
- ✓ გახადოს ქვეყანა გარე ფაქტორებზე დამოკიდებული;

- ✓ საკვებით დახმარება ძლიერ აზარალებს ადგილობრივ ფერმერებს, რომლებიც ვეღარ ვითარდებიან და მათ პროდუქციას ბაზარზე უფასო საქონელი ანაცვლებს.

უმთავრესად განვითარებისკენ მიმართული დახმარება ნაწილდება განათლებაზე, ჯანდაცვაზე, სოციალურ და ეკონომიკურ ინფრასტრუქტურაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ვალების დაფარვა და ჰუმანიტარული დახმარება. ეს ის სფეროებია, რომელთა განვითარებას ქვეყნების უმეტესობა დამოუკიდებლად თავს ვერ ართმევს. ასეთ დახმარებას მეტწილად სამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ, რაშიც ჩართული არიან საერთაშორისო ექსპერტები. გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმვის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა მინიმალურია. შესაბამისად, მათი სარგებელი მყისიერად ხელშესახები არ არის.

ხშირად საერთაშორისო დახმარებაზე მეტად ოჯახებამდე მიზნობრივად მიდის საზღვარგარეთ მომუშავე ნათესავის ფულადი გზავნილი, იგივე რემიტანსები. რემიტანსების მოცულობა გლობალიზაციასთან და მიგრაციის მასშტაბების ზრდასთან ერთად იზრდება. ის განვითარებადი ეკონომიკისთვის მქონე ბევრი ქვეყნისთვის უცხოური შემოსავლის უდიდეს წყაროს წარმოადგენს. ამ გზავნილების ზუსტი მოცულობის დადგენა რთულდება, რადგან ფული ხშირად არაოფიციალური არხებით იგზავნება.

მიგრანტების მიერ ოფიციალურად დადასტურებული ტრანზაქციების მოცულობამ 2017 წელს 596 მილიარდი დოლარი შეადგინა. აქედან 450 მილიარდი აშშ დოლარი განვითარებადი ქვეყნებისკენ იყო მიმართული. ვარაუდობენ, რომ არაოფიციალური არხებით რემიტანსების მხოლოდ ნახევარი იგზავნება.

ფულადი გზავნილები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისთვის და მათი მშპ-ის თითქმის 4 პროცენტს შეადგენს, ხოლო საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებისთვის მშპ-ის - დაახლოებით 1,5 პროცენტს.

ფულადი გზავნილებს აქვს ადამიანური მხარე. მიგრანტები ხანდახან იღებენ მნიშვნელოვან მსხვერპლს, მათ შორისაა - ოჯახთან განშორება, სხვა ქვეყანაში სამუშაოს პოვნის რისკები. მიგრანტებს შეიძლება მოუწიოთ მძიმე შრომა, იცხოვრონ არასათანადო პირობებში, რათა დაზოგონ ფული იმისათვის, რომ დაეხმარონ ადგილზე დარჩენილ ოჯახს.

მიგრანტების გადინება სახელმწიფოსთვისაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის, რადგან ისინი ძირითადად შრომისუნარიანი მოსახლეობაა, მათი ქვეყნიდან წასვლა ცვლის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას. მათ განათლებაში ჩადებული დანახარჯი არ უბრუნდება უშუალოდ ქვეყანას, რადგან ისინი ამ ქვეყანაში არ საქმდებიან და არ იხდიან გადასახადებს. მიდიან ძირითადად კვალიფიციური ახალგაზრდა კადრები, რომლებიც ადგილზე კონკურენტული გარემოს ფორმირებას შეუწყობდა ხელს.

## რა უნდა გაკეთდეს თანამშრომლობის წასახალისებლად

COVID-19 პანდემია საფრთხეს უქმნის მიღწეულ წარმატებებს, რადგან ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები 2020 წელს 40%-მდე შემცირდება. მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება უთანასწორობა, რადგან მოსახლეობის რაოდენობა სწორედ იმ ქვეყნებში იზრდება, რომელთაც ხელი ნაკლებად მიუწვდებათ რესურსებზე, ტექნოლოგიებზე, განვითარებაზე. ამით კიდევ უფრო თვალში საცემი ხდება ციფრული გაყოფის პროცესი, რომლის დაძლევა საერთაშორისო ძალისხმევის გარეშე ძნელად მოხერხდება.

მსოფლიო საზოგადოებას, ქვეყნებს დასჭირდებათ როგორც არსებული, ისე დამატებითი რესურსების მობილიზება - ტექნოლოგიის განვითარება, ფინანსური რესურსები, შესაძლებლობების განვითარება. განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა შეასრულონ ოფიციალური განვითარების დახმარების ვალდებულებები, რაც დღის წესრიგის ფარგლებში აქვთ აღებული. მრავალმხრივი თანამშრომლობა გადამწყვეტი იქნება მდგრადი განვითარების მიღწევების ეფექტურობის გასაზრდელად და გაჩნდება პროგრესის დაჩქარების შესაძლებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებადი ქვეყნების გაძლიერება, მათი დახმარება არა მხოლოდ ამ ქვეყნებისთვისაა სასარგებლო. სარგებელს მიიღებენ დონორი ქვეყნებიც, რადგან მათ მომავალში შეუმცირდებათ დახმარების ხარჯები, ასევე შემცირდება ღარიბი ქვეყნებიდან მიგრანტთა ნაკადი, რაც შეამსუბუქებს მიგრაციის კრიზისს, ასევე შემცირდება სიღარიბით გამოწვეული კონფლიქტები, რაც მოსახლეობას საშუალებას მისცემს ადგილზე დაკავდნენ სასარგებლო საქმიანობებით, რომლებიც ქვეყნების განვითარებისკენ იქნება მიმართული.

ქვეყნების პასუხისმგებლობა პირველ რიგში საჭირო რესურსების ეფექტური მობილიზება და პროცესის მონიტორინგი იქნება. პროგრესის მიმოხილვა განხორციელდება რეგულარულად. მასში ჩართული იქნებიან სახელმწიფო ინსტიტუციები, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესისა და სხვა ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლები. ეს ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობასა და დახმარების თანხების ეფექტურ განკარგვას.

ამავე მიზნის ფარგლებში დაგეგმილია - რეგიონულ დონეზე ქვეყნების მიერ ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარება, თუ როგორ გაუმკლავდნენ სირთულეებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ყოველწლიურად გაიმართება მდგრადი განვითარების მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმი (HLPF), სადაც შეფასდება პროგრესი გლობალურ დონეზე; გაანალიზდება ხარვეზები და წარმოქმნილი პრობლემები, რათა დროულად მოხერხდეს მაკორექტირებელი ქმედებების დაგეგმვა.

ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად ცალკეულ ქვეყნებს არ აქვთ საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსი, და ვერ შეძლებენ გლობალური გამოწვევების დაძლევას. თუ ეს გამოწვევები ყველა ქვეყანაში არ მოგვარდა, მდგრადი განვითარება ვერ მიაღწევს საყოველთაო წარმატებას. დღის წესრიგი, თავისი 17 მიზნით, არის უნივერსალური და მოითხოვს ყველა - როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ერთობლივ ქმედებას, რათა არავინ დარჩეს მისი სიკეთების მიღმა.

## ქეისი - თვითმარგინალიზებული ქვეყანა - ჩრდილო კორეა

რთულია მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე მოიძებნოს მეორე მსგავსი ჩაკეტილი ქვეყანა, როგორც ჩრდილოეთ კორეა. მასზე ინფორმაციაც მინიმალურია, საერთაშორისო ანგარიშებში ის იშვიათად ხვდება, რადგან მასზე მონაცემები მწირია, ხოლო ქვეყნის მიერ გამოცხადებული მონაცემები სანდო არ არის.

მსგავსი ჩაკეტილობა გამოიწვია დაძაბულმა წარსულმა. მეოცე საუკუნის დასაწყისში კორეა იაპონიას ჰყავდა დაპყრობილი. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, როდესაც იაპონია აშშ-სთან და სსრკ-სთან დამარცხდა, მის მიერ ოკუპირებული ტერიტორია 38-ე პარალელის გასწვრივ ამ ორმა ქვეყანამ გაიყო. მისი ჩრდილოეთ ნაწილი საბჭოთა კავშირს ერგო, სადაც კომუნისტური რეჟიმი დამყარდა, ხოლო სამხრეთ ნაწილი - აშშ-ს. 1950 წელს აშშ-ის ჯარის გაყვანას ჩრდილოეთი კორეის მხრიდან ომის გამოცხადება მოჰყვა. ომი 1953 წლამდე

გაგრძელდა ტრუმანისა (აშშ-ის პრეზიდენტი) და გაეროს ჩარევით ის 1953 წელს დასრულდა. კორეა 38-ე პარალელის გასწვრივ დღესაც 2 ნაწილად არის გაყოფილი.

უნდა ითქვას, რომ ჩრდილოეთი კორეა არ უერთდება საერთაშორისო შეთანხმებებს, არ მონაწილეობს მსოფლიო ლიდერებთან ერთად ყოველწლიურ შეხვედრებში. თუ ყველა სხვა ქვეყანა ცდილობს გლობალურ დონეზე თავის დამკვიდრებას, ჩრდილოეთი კორეა აქაც გამონაკლისია.

სამხრეთ კორეამ სხვა გზა აირჩია. მან ურთიერთობა დაამყარა მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან და დღეს სამხრეთ-აღმოსავლეთ იაპონიასთან და სინგაპურთან ერთად ლიდერ პოზიციებზეა. წამყვანი პოზიციები უჭირავს გლობალიზაციის ინდექსში. აქ ამერიკული სამხედრო პროტექტორატის ქვეშ არაერთი საერთაშორისო ბრენდი განავითარეს: სამსუნგი, ელჯი, ჰიუნდაი.

ჩრდილოეთი კორეის ზოგადი მონაცემები ასეთია:

1. ფართობი: 120.500 კვ.კმ.;
2. ბუნება: უმაღლესი მწვერვალი – ბაიტოუ შანი, 2.744; მდინარე (კმ) – იალუ ძიანი, 791; ტბა – სუპუნგ-ჰო; კუნძული – სინმი; კლიმატი – ზომიერი;
3. ბუნებრივი რესურსები: ქვანახშირი, ტყვია, ვოლფრამი, თუთია, გრაფიტი, მაგნეზიტი, რკინის მადანი, სპილენძი, ოქრო, პირიტი, მარილი, ჰიდროენერჯია;
4. გლობალიზაციის ინდექსის შესახებ მონაცემები არ არსებობს.

მშპ-ის 15 მლრდ-დან 5-7 მლრდ სამხედრო საჭიროებებზე იხარჯება; მრეწველობის 95% სახელმწიფო საკუთრებაშია, სოფლის მეურნეობაში მიწები კოლექტივიზებულია.

სახელმწიფო იდეოლოგია იუშე (მარქსიზმის გავრცობილი ფორმა) ანტიგლობალიზაციისკენ მოწოდებაა, რომელიც ეფუძნება იზოლაციას, მედიის კონტროლს, პროპაგანდასა და დანარჩენი სამყაროს იგნორირებას. მათი მიზანია თვითკმარობის მიღწევა. მათი პოლიტიკური დოქტრინა დასავლეთის ქვეყნებისთვის ძნელი გასაგებია.

კორეაში საუკუნეების განმავლობაში ფესვგადგმული იყო კონფუციანიზმი. ის განაპირობებდა პოლიტიკურ და ეთიკურ ღირებულებებს, რომლებსაც ეფუძნებოდა ოჯახური ღირებულებებიც. შეიძლება ითქვას, რომ იაპონიის მიერ კორეის ოკუპაციას ეროვნული იდენტობის გაძლიერება და დამოუკიდებელი მიმართულების ძიება მოჰყვა. ამ ახალი იდეის ძიებაში მონოლითური იდეოლოგიის შექმნამ ჩრდილოეთი კორეა კიდევ უფრო მოწყვიტა გარე სამყაროს და საკუთარ თავზე უფრო მეტად დამოკიდებული სისტემების შექმნა განაპირობა. 1967 წელს იდეოლოგიის თეზისები პარტიის ყრილობაზე გაიტანეს, 1970 წელს კი დამტკიცდა იდეოლოგიის 10 პრინციპი. იდეოლოგიის პრინციპების გამტარებელი იყო პარტია. ის ადვილად შეერწყა მარქსიზმ-ლენინიზმს, რომელიც რელიგიის რანგში იქნა აყვანილი. აქ დეკლარირებულად საუბარია მასების როლზე, რომლებიც ისტორიას ქმნიან, თუმცა იქვე ნათქვამია, რომ მასებს სჭირდებათ ლიდერი, რომელიც მათ სწორ მიმართულებას მისცემს. ამან გააძლიერა კულტის თავყვანისცემა.

თვითიზოლაციას ხელი შეუწყო 1950 წლის ომმა, როდესაც კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა სამხრეთ კორეას დაესხა თავს. ამ უკანასკნელს გაეროს ვეგით აშშ-მა დაუჭირა მხარი, რის შედეგადაც კაპიტალისტური სამყარო მტრის ხატთან გაიგივდა. 1990 წელს ამას დაემატა თვითიზოლაციის გამამძაფრებელი კიდევ ერთი ფაქტორი – გაერომ კორეის

რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა. ამის შემდეგ სოციალისტური ქვეყნების ბანაკიც დაიშალა, რამაც ჩრდილოეთი კორეა გარე სამყაროს უფრო მეტად მოწყვიტა.

დღევანდელი ჩრდილოეთი კორეა, ფაქტობრივად, არის მოშიში დანარჩენი სამყაროსი, რომელთან კავშირსაც პოტენციური მტრებისა და ჯაშუშების შიშით გაურბის. ეკონომიკური კავშირი მას მხოლოდ ორ ქვეყანასთან – რუსეთთან და ჩინეთთან აქვს. აქ აკრძალულია მოსახლეობის კონტაქტი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან, მობილური ტელეფონები, ინტერნეტი. ეს უკანასკნელი ჩანაცვლებულია ინტრანეტით, რომლის საშუალებითაც მოსახლეობა შერჩეულ, გაფილტრულ ინფორმაციას იღებს. მაგალითად, ჩრდილოეთ კორეელებმა დღემდე არ იციან, რომ ადამიანმა მთვარეზე ფეხი დადგა. მათ ეკრძალებათ უცხოელ ტურისტებთან კონტაქტიც, თუ ამგვარ შეხვედრას ოფიციალური პირი არ ესწრება. მამაკაცებისთვის თმის სიგრძეც კი განსაზღვრულია - 2-დან 5 სანტიმეტრამდე და 5-დან 7-მდე, თუ მამაკაცმა 50 წელს გადააბიჯა. ეს შეზღუდვა უკავშირდება კვლევას, რომ გრძელი თმა ტვინს ჟანგბადს აცლის.

საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა ჩრდილოეთ კორეაში ორი ათასს არ აღემატება. ვიზების გაცემა შეზღუდულია და დაგეგმილი მოგზაურობის თარიღიც არაერთგზის შეიძლება შეიცვალოს. გიდი, მძღოლი ტურისტებს გვერდიდან არ სცილდებიან და თარჯიმნობას უწევენ. სინამდვილეში კი არ აძლევენ ქვეყნის ფარგლებში თავისუფალი გადაადგილებისა და მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტის საშუალებას. ტურისტებს ეკრძალებათ სურვილისამებრ სურათების გადაღება (ფოტოგადაღება ნებადართულია მხოლოდ მასპინძლების მიერ შერჩეულ ადგილებში), ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრება, ტურისტული მარშრუტებიდან გადახვევა. მობილურებს მოგზაურობის დასრულებამდე საზღვარზე ატოვებინებენ. არც ბინოკლების შეტანა შეიძლება.

აქ მოსანახულებელი ადგილებია - მონუმენტები, რევოლუციასთან დაკავშირებული ადგილები, ლიდერის დაბადების ადგილი (ადგილობრივი მოსახლეობა ვალდებულია, ასეთი ადგილები მოინახულოს და მოილოცოს), ბუნება. აქ ბევრი ხელუხლებელი ლანდშაფტია, თუმცა მათი მონახულება ეს საფრთხის შემცველია. მაგალითად, სამხრეთ კორეასთან ურთიერთობის ხანმოკლე დათბობის შემდეგ ერთ-ერთ ბილიკზე მათ მოქალაქეს გზა აებნა, რის გამოც დახვრიტეს. ამან მეზობლებს შორის ურთიერთობა ისევ გაართულა.

ჩრდილოეთ კორეაში კრიმინალის მაჩვენებელი ნულის ტოლია. უცხოელის გაძარცვის ერთი შემთხვევაც კი არ არის აღრიცხული.

ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში არ ხდება. რესურსების ნაკლებობა, განსაკუთრებით – ნავთობისა, იწვევს საწარმოთა შეზღუდვით მუშაობას. უარესდება სოციალური სერვისები. როგორც არაერთგზის აღინიშნა, კორეაში მოსახლეობა კრიტიკულ მდგომარეობაშია, უმრავლესობა დღეში ერთხელ იკვებება, ძირითადი სახსრები კი შეიარაღებისა და ბირთვული ცდებისკენ არის მიმართული.

2020 წლის ანგარიშების მიხედვით, ჩრდილოეთი კორეა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე რეპრესიულ ქვეყნად არის მიჩნეული. აქ შიდა გადაადგილებისთვისაც კი ადგილობრივებს პოლიციის ნებართვა სჭირდებათ. მოსახლეობა ინფორმაციას მხოლოდ ადგილობრივი ტელე- და რადიოარხების მეშვეობით იღებს, მათ საერთაშორისო საინფორმაციო წყაროებზე წვდომა უზღუდვით, ქვეყანაში ინტერნეტი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი არაა.

Human Rights Watch-ის მიხედვით, ჩრდილოეთ კორეაში გრძელდება ტოტალიტარული რეპრესიული მმართველობა. სიკვდილით დასჯის, პატიმრობის, იძულებითი გაუჩინარებისა და იძულებითი შრომის მუქარის შემთხვევები აქ ჩვეულებრივი ყოველდღიურობაა. შეზღუდულია ადამიანის ყველა ფორმის თავისუფლება - მათ შორის გამოსატყვის, რელიგიისა და სინდისის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება. აკრძალულია პოლიტიკური ოპოზიცია, დამოუკიდებელი მედია, სამოქალაქო საზოგადოება და პროფკავშირები. ყველა განსხვავებულად მოაზროვნე პოლიტიკურ საპატიმროებში, ბანაკებში იგზავნება, სადაც მათ წამება, შიმშილი, იძულებითი შრომა ან სიკვდილით დასჯა ემუქრებათ. განსხვავებული აზრის გასაჩუმებლად მოქმედებს კოლექტიური დასჯის შიში. მთავრობა სისტემატურად იყენებს საკუთარი მოქალაქეების იძულებით, აუნაზღაურებელ შრომას ინფრასტრუქტურული თუ საზოგადოებრივი პროექტების განსახორციელებლად. ის არ იცავს ბავშვებისა თუ ქალების უფლებებს. ქალები და გოგონები განიცდიან ფართოდ გავრცელებულ გენდერულ დისკრიმინაციას, სექსუალურ ძალადობასა და შევიწროებას. მთავრობის წახალისებულია და მისივე ხელშეწყობა აქვს დამოკიდებულებას სტერეოტიპული გენდერული როლების მიმართ, რაც ზრდის ძალადობის მაჩვენებლებს და დაუცველს ტოვებს ქალებს.

არსებობს ვარაუდი, რომ სახელმწიფო მოხელეების ხელშეწყობით ჩრდილოეთი კორეიდან ქალები იძულებით გადაჰყავთ ჩინეთში, სადაც ისინი იძულებით შრომასა და სექსუალურ ექსპლუატაციაში არიან ჩართული.

არაფერია ცნობილი შეზღუდული შესაძლებლობის პირებისადმი დამოკიდებულებაზე. ქვეყანა მიგრაციას ერის ტალატად მიიჩნევს. მიგრანტებს უკან დაბრუნების შესაძლებლობა არ ეძლევათ, უამრავი პრობლემა ექმნებათ ქვეყანაში დარჩენილ მათ ოჯახის წევრებსაც.

2021 წელსაც ძლიერმა წყალდიდობამ, რომელიც ქვეყანაში ივნისიდან სექტემბრამდე მძლავრობდა, გაანადგურა ნათესები, გზები და ხიდები, რასაც შედეგად მოჰყვა მასობრივი შიმშილობა. კოვიდპანდემიამ ქვეყანა კიდევ უფრო ჩაკეტილი გახადა, რამაც ასევე გაამწვავა პრობლემები. მთავრობის მეთაურმა მოსახლეობას ქამრების მოჭერისკენ მოუწოდა და უარყო საერთაშორისო დიპლომატიური ჩართულობა და საერთაშორისო დახმარების შეთავაზებები. პანდემიის საპასუხოდ ქვეყანამ შექმნა დამატებითი ბუფერული ზონები, რომლებშიც შესვლისას მესაზღვრეებს ნაბრძანები აქვთ, ესროლონ და უპირობოდ დახვრიტონ ყველა, ვინც მას გადმოლახავს. ეს ხდება Covid-19-ის პრევენციის საბაბით. ასე დახვრიტეს 22 სექტემბერს 47 წლის სამხრეთ კორეელი მეთევზე, რომლის ნავიც დასავლეთ საზღვაო საზღვართან შენიშნეს.

მთავრობამ მკაცრი საკარანტინო ზომები დააწესა. სასაზღვრო ადგილებში დაბრუნებულებს 40-50 დღით უწევდათ ყოფნა სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ხშირად ელექტროენერჯისა და გათბობის გარეშე. მათი საკვები დღეში 3-ჯერ მოხარშული ბრინჯის მცირე ულუფა, დაქუცმაცებული სიმინდი და წყალწყალა წვნიანი იყო. დავირუსებულების, გამოჯანმრთელებულებისა და გარდაცვლილების შესახებ მონაცემები არ მოიპოვება.

გაეცანით ქვის ჩრდილოეთი კორეის შესახებ. გაეცით პასუხი შეკითხვას - რა მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პარტნიორობას? უქმნის თუ არა ქვეყნებს იდენტობისა და ტრადიციების დაკარგვის საფრთხეს გლობალიზაცია და პარტნიორობა?

აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად ასევე გაეცანით კოფის (შვეიცარია) ინდექსს <https://kof.ethz.ch/en/forecasts-and-indicators/indicators/kof-globalisation-index.html>, რაც

გლობალიზაციის მიხედვით ქვეყნების შედარების საშუალებას იძლევა. ის არაერთ კომპონენტზე დაყრდნობით გამოიანგარიშება. გამოიყოფა ინდიკატორების სამი დიდი ჯგუფი. ეკონომიკური გლობალიზაცია – 1. ფულადი ნაკადები, ვაჭრობა, პირდაპირი ინვესტიციები, შეზღუდვები, ბარიერები, ტარიფები, გადასახადები; 2. სოციალური გლობალიზაცია – პირადი კონტაქტები, ანუ ტელეფონი, ტრანსფერები, საერთაშორისო ტურიზმი, უცხოელი მოსახლეობა, წერილები, ინტერნეტის მომხმარებლები, ტელევიზორების რაოდენობა და პროგრამების ხელმისაწვდომობა, გაზეთებით ვაჭრობა, „მაკდონალდსის“ რესტორნების რაოდენობა, „იკეას“ მაღაზიების რიცხვი, წიგნებით ვაჭრობა; 3. პოლიტიკური გლობალიზაცია – საელჩოები ქვეყანაში, საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, გაეროს უსაფრთხოების მისიებში მონაწილეობა, საერთაშორისო სამხედრო ორგანიზაციების წევრობა.

## ბიბლიოგრაფია და სასარგებლო ბმულები:

1. 170 daily actions to transform our world, 2019
2. Anderson, A. *Climate Change Education for Mitigation and Adaptation*, 2013, SAGE Journals
3. Bitesize, Settlement hierarchies
4. COVID 19-ის გავლენა სასკოლო განათლების სისტემაზე, პანდემიით გამოწვეული სასწავლო დანაკარგების შეფასება, კოალიცია განათლება ყველასათვის, 2021
5. Education for Sustainable Development Goals: learning objectives, UNESCO, 2017
6. Geography, Garrett Nagle, Briony Cooke, Oxford University Press, 2009
7. Geography, Patterns and Change, Paul Guinness, Cambridge University Press, 2011
8. Learning for the future: Competences in Education for Sustainable Development, United Nations Economic Commission for Europe Steering Committee on Education for Sustainable Development, 2011
9. Litz, D. 2011. Globalization and the changing face of educational leadership: Current trends and emerging dilemmas. *International Education Studies*, 4(3), pp. 47–61.
10. Meadows, D. H., Meadows, D. L., Randers, J., *MThe Limits to Growth*, 1972
11. Soil Science Society of America, Annual Report, 2012
12. The future of the jobs, WEF, 2020
13. Whole School Approach to Global Learning, Guidance for Schools, Global Learning Programme, 2017
14. არავიაშვილი, მ., მემკვიდრეობის განაწილების გენდერული ასპექტები ქართულ კულტურაში, 2015
15. განათლება 2030: ინჩიონის დეკლარაცია და სამოქმედო ჩარჩო ინკლუზიური და თანასწორი ხარისხიანი განათლებისა და სიცოცხლის მანძილზე სწავლებისაკენ, 2014 წ.
16. გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოში საერთაშორისო ინდექსების და რეიტინგების მიხედვით, CSS, 2012

17. ენერჯის განახლებადი წყაროები და ენერგოეფექტურობა, მსოფლიო გამოცდილება, BP საქართველო, 2013 ენერჯის განახლებადი წყაროები და ენერგოეფექტურობა მსოფლიო გამოცდილება
18. ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯის წყაროები, ორჰუსის ცენტრი
19. ენციკლოპედია „ბრიტანიკა“ – „სიღარიბის სახესხვაობები და ფაქტები“. Encyclopedia Britannica – “Poverty Types and Facts” <https://www.britannica.com/topic/poverty>
20. ლობჯანიძე ს., შუკაკიძე ბ., რატიანი მ., და სხვა, თანამედროვე სკოლის მართვა
21. მომავლის ქალაქი, National Geographic საქართველო, 2019
22. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, მწვანე ალტერნატივა, 2013
23. ნიკოლაიშვილი დ., მდგრადი განვითარება, ისტორიული ექსკურსი, 2014
24. რატიანი, მ., არავიაშვილია, მ. (2020). რემედიაციის პროგრამები: პასუხი ზოგად განათლებაში ჰანდეშით განპირობებულ გამოწვევებს. განათლების მეცნიერება 2(2).
25. რატიანი, მ. ასწავლო დღეს ისე, რომ ფიქრობდე მომავალზე - განათლება მდგრადი განვითარებისთვის, 2012, ჟურნალი „მასწავლებელი“
26. რატიანი მ., განვითარების ამსახველი ინდიკატორები, 2015 წ. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“
27. რატიანი მ., „გარემოს დაცვა, გადაუდებელი აუცილებლობა, 2015. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“
28. რატიანი მ., გენდერი, როგორც გლობალური პრობლემა, 2015 წ. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“
29. რატიანი მ., გლობალიზაცია და მისი გამოვლინებები (მეორე ნაწილი). ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“
30. რატიანი მ., ნიადაგთან დაკავშირებული პრობლემები, 2015. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“
31. რატიანი მ., ჰანდეშით გამოკვეთილი საჭიროებები – არიან თუ არა მოსწავლეები მედიაწიგნიერნი და ინფორმირებულნი, 2021. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“
32. რატიანი, მ., ჭიბრიშვილი, ნ., დოლიძე, თ., და სხვა. საკლასო ოთახი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2019
33. რატიანი მ., სასმელი წყალი და მასთან დაკავშირებული პრობლემები, 2015, ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“
34. რატიანი მ., სახელმწიფო საზღვრები თანამედროვე მსოფლიოში, 2015, ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“
35. რატიანი მ., უთანასწორობა საკვების ხელმისაწვდომობის კუთხით, 2015, ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“
36. რატიანი მ., შესავალი კლიმატის ცვლილებაში – პირველი და მეორე ნაწილები, 2019წ. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“
37. რატიანი მ., შიმშილობის გეოგრაფია, 2015. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“
38. რატიანი მ., ხელს უწყობს თუ არა საერთაშორისო დანშარებები ქვეყნების განვითარებას. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“
39. სეხნიაშვილი, მ. მწვანე ქალაქები, როგორც ურბანიზაციის უარყოფით შედეგებზე პასუხი, 2019 ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“
40. უთანასწორობის შემცირების მაკროეკონომიკური პოლიტიკა, თენგიზ კუპატაძე, სამაგისტრო ნაშრომი
41. შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულების გაანგარიშების მეთოდი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
42. შრომის პირობები და უსაფრთხოება საქართველოს სამშენებლო სექტორში ფორმალური და არაფორმალური დასაქმების პირობებში, კვლევის ანგარიში, 2018 წ.

43. <https://worldpoverty.io/map>
44. <https://www.un.org/sustainabledevelopment/>
45. <https://www.un.org/sustainabledevelopment/>
- 46.
47. <https://sdg.gov.ge/goals-all>
48. <http://geoeconomics.ge/?p=13270>
49. <https://www.imf.org/external/Pubs/FT/fandd/basics/76-remittances.htm>
50. <http://www.nplg.gov.ge/>
51. [http://www.soil-net.com/legacy/advanced/soil\\_functions.htm](http://www.soil-net.com/legacy/advanced/soil_functions.htm)
52. <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/4-45>
53. <https://developmentgoals.wordpress.com/2013/04/23/gender/>
54. <https://www.bankmycell.com/blog/how-many-phones-are-in-the-world>
55. <https://www.weforum.org/agenda/2021/01/covid-digital-divide-learning-education/>
56. <https://www.oxfam.org/en/5-shocking-facts-about-extreme-global-inequality-and-how-even-it>
57. <https://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI?end=2019&start=1967&view=map&year=2018>
58. [https://wid.world/share/#0/countriesmap/sptinc\\_p90p100\\_z/all/last/eu/k/p/yearly/s/false/24.322/80/curve/false/country](https://wid.world/share/#0/countriesmap/sptinc_p90p100_z/all/last/eu/k/p/yearly/s/false/24.322/80/curve/false/country)
59. <https://www.un.org/sustainabledevelopment/>
60. <https://sdg.gov.ge/goals-all>
61. <https://ge.boell.org/ka/2014/10/03/kopenhagenidan-tbilisamde>
62. <http://www.dictionary.css.ge/content/consumerism>
63. <https://nationalgeographic.ge/story/okeaneebis-gadasarchenad/>
64. [https://el.ge/articles/project\\_tasks/articles/task/535823](https://el.ge/articles/project_tasks/articles/task/535823)
65. <https://euronewsgeorgia.com/2021/02/05/the-economist-sakartvelos-demokratiis-xarisxi-2019-weltan-shedarebit-gauaresda/>
66. <https://www.unhcr.org/>
67. [https://migration.commission.ge/index.php?article\\_id=148&clang=0](https://migration.commission.ge/index.php?article_id=148&clang=0)
68. <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-26>
69. <https://worldpopulationreview.com/country-rankings/freedom-index-by-country>
70. <https://palitraneews.ge/video/frinvelebis-genotsidi-rogor-gadaukhada-samagiero-beghurebis-ganadgurebis-gamo-bunebam-chinelebs?fbclid=IwAR1Xz1OsfWMUZZZAUUVW4a1XKz2GOENrdhOTLVhWWVutVdhErzggLJvVWY8I>
71. <http://www.globaldomainsnews.com/the-genocide-of-the-sparrows-in-china-the-most-terrible-decision-of-mao-zedong>
72. <http://ec.europa.eu/food/plant/gmo/>
73. <https://on.ge/story/752-%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98>
74. <http://eiec.gov.ge/News/Publications/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%902.aspx>
75. <https://www.bbc.com/future/article/20180719-how-kazakhstan-brought-the-aral-sea-back-to-life>

76. <https://philebersole.wordpress.com/tag/arak-sea-drying-up/>
77. <https://www.usaid.gov/central-asia-regional/success-stories/jun-2021-regional-efforts-restore-arak-sea-ecosystem>
78. [http://energy.gov.ge/energy.php?id\\_pages=65&lang=geo](http://energy.gov.ge/energy.php?id_pages=65&lang=geo)